მანანა დუმბაძე

ავლანეთი „ბარონის“ ჭუჭრუტანიდან

თბილისი
2012

ამ წიგნის დაბადებას უნდა ვუმადლოდე იმ არაჩვეულებრივ ადამიანებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებმაც ნარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე და ფაქტობრივად დამაწერინეს კიდეც ეს წიგნი.

ამ წიგნის დაბადებას უნდა ვუმადლოდე დიანა ზალდასტანიშვილს, რომლის ძალისხმევითაც აღმოვჩნდი ავღანეთში და ვინც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცხელ წერტილში მეგობრობის სასნაულებრივი ძალა სრულად განმაცდევინა.

ამ წიგნის დაბადებას უნდა ვუმადლოდე ამერიკულ კომპანიას „ქემონიქს ინტერნეიშენალს", რომელმაც ნდობა გამომიცხადა და ურთულესი პროექტის მემატიანეს ვალდებულება დამაკისრა.

ამ წიგნის დაბადებას უნდა ვუმადლოდე ჩემს ავღანელ მეგობრებს, რომლებმაც ციხე-სიმაგრის ქუჩრუტანიდან ნამდვილი ავღანეთი დამანახეს.

დაბოლოს, ამ წიგნის დაბადებას უნდა ვუმადლოდე ბესო ხვედელიძეს და გამომცემლობა „საუნჯეს".

ყველას, ყველას, ყველას, დეირა მანანა! („დიდი მადლობა" ავღანურად, პაშტუს ენაზე).

მანანა დუმბაძე
2012 წლის 21დეკემბერი

მანანა დუმბაძე – „ავღანეთი ბარონის ქუჩრუტანიდან"

რედაქტორი: ქეთევან დუმბაძე, მადონა უჯმაჯურიძე
ყდის დიზაინი: სანდრო კაპანაძე
დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

© მანანა დუმბაძე – „ავღანეთი ბარონის ქუჩრუტანიდან"

© გამომცემლობა „საუნჯე", ვაჟა წოწკოლაური

ISBN 978-9941-442-31-5

თავი 1

ზუსტად ერთი თვეა „ბარონში“ ვცხოვრობ, ქაბულის აეროპორტის ტრასაზე მდებარე კერძო სასტუმრო კომპლექსში, რომელიც რომელიღაც ქაბულელმა მილიონერმა ააშენა და ახლა საერთაშორისო ორგანიზაციებზე აქირავებს. „ბარონი“ გარე სამყაროსგან მაღალი ბეტონის კედლითა და ელექტრო მავთულხლართებითაა შემოსაზღვრული. თანამედროვე სასჯელაღსრულებით კოლონიას ჰგავს. იქაური ადმინისტრაცია და ამერიკის მთავრობა მას მოფერებით „კომპაუნდს“ ეძახიან. მე კი, „გამოსასწორებელ კოლონიას“ ვეძახი, გაძლიერებული კვებითა და დასვენებით. „გამოსასწორებელში“, რა თქმა უნდა, პირადი და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება იგულისხმება. ამ კოლონიაში ხალხი ნებაყოფლობით მოდის, მეტიც, დიდი კონკურსების გადალახვაც უწევთ აქ მოსახვედრად. პირადად მე, ჩემი პოზიციის დასაკავებლად, მეგობრის რეკომენდაციის შემდეგ მრავალჯერადი სატელეფონო ინტერვიუების გავლა მომიწია. ვინ ვარ? ერთ-ერთი ავღანური საერთაშორისო პროექტის კომუნიკაციის დირექტორი. პროექტს შემოკლებით ძალიან კოლორიტული სახელი ქვია: „ტაფა“ (TAFA)

მოკლედ აქა ვარ, მღელვარე ავღანეთში და ვცდილობ, მატერიალურის გარდა, ცოტა სულიერი საზრდოც გამოვღლიტო ამ თავად გაღლეტილ და გაუბედურებულ ქვეყანას. მინდა პეტრე პირველივით, სარკმელი არა, მაგრამ, ერთი ჭუჭრუტანა მაინც გავბურღო „ბარონის“

კედლიდან ევროპაში, ანდა ქაბულში მაინც გავიხედო, რაღაცას მაინც მოვკრა თვალი, ტელეეკრანიდან მოსმენილი ტყუილ-მართალი საკუთარი თვალით დავინახო, საკუთარი ყურით მოვისმინო და ფხიზელი გონებით ავწონ-დავწონო.

ისე მოხდა, რომ აქ, „ბარონში" სამი ქართველი ერთდროულად „ვიხდით სროკს" (ანუ ვიუმჯობესებთ ეკონომიკურ მდგომარეობას). მე და დიანას თითო-თითო წელი გვაქვს „მისჯილი", თუმცა, დიანას, ალბათ, გაუგრძელებენ, მე, ვფიქრობ, ვადაზე ადრე უნდა გამომიშვან), ხოლო ტატო მოკლევადიანზე ზის და თვენახევარში ხელს დაგვიქნევს.

მე და ტატო საღამოობით მაგიდის ჩოგბურთს ვთამაშობთ. ტატო მაგარია და როცა ერთი ერთზე ვთამაშობთ, მასწავლის, ხოლმე. მის ხელში ძალიან გავიზარდე, საკუთარ თავს ველარ ვცნობ, ისეთ „ტოპკებს" ვურტყავ და, რაც მთავარია, ისეთ ტოპკებსა და „პადაჩებს" ვიღებ... ოჰ, ოჰ, ძალიან კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით. კვირაში ორჯერ იოგაზეც დავდივარ და ღრმად ვსუნთქავ. მოკლედ, გაძლიერებულ დასვენება-გაჯანსაღებას შევუდექი. სახლში, დედაჩემს ამერიკაში ვგონივარ და მამადლის, ჩვენ აქ ტყავში ვძვრებით, შენ ერბოში ცურავო, დანარჩენებს ჰგონიათ ყუმბარები მაცვივა თავზე, მე კი, „ბარონსა" ვზი დიდძალი ლაშქრით გარშემორტყმული და მაწონსა ვჭამ... მართლა, ამ მხარეში ძალიან გემრიელი მაწონი იცის. ჩვენი ბადრაგი არც მეტი არც ნაკლები, მსოფლიოში სახლგანთქმული ბრიტანული „გლობალია" ქალაქში ბრონირებული თეთრი ლენდკრუიზერის ჯიპებით დავყავართ, შიგ ორი დაცვის ოფიცრით – ავღანელი მძღოლი და უცხოელი „შუთერი" (სნაიპერი). ყოველ ჩასხდომაზე შუთერი ჩასხდომისთანავე ინსტრუქციებს მიკითხავს, რა უნდა გავაკეთო იმ

შემთხვევაში, თუ მძღოლს ესროლეს და გარდაიცვალა, რომელ ღილაკს უნდა დავაჭირო ხელი, როგორ მოვიქცე, თუ მანქანა ააფეთქეს და ა.შ. მოკლედ, ტექსტი მამაო ჩვენოსავით ზეპირად ვისწავლე, მაგრამ ღმერთმა ნუ დამაჭირვოს, თორემ რის დამჭერი და დამრეკი ვარ, მე არ ვიცი? ორმოცი წელია მართვის მოწმობა მაქვს და მოსახვევში ვერ შევსულვარ ისე, რომ ორ მანქანას მაინც არ გავკრა გვერდი.

გარეთ აფეთქებების კასკადია. ეს ავღანელი თვითმკვლელები ისეთი ხალისით იფეთქებენ თავს, განსაკუთრებით „რამადანის" დროს, შეგშურდება კაცს. ჩამოსვლა ვერ მოვასწარი, პრეზიდენტი კარზაის ძმა მოკლეს, ამბობენ, ნარკობარონი იყოო. მერე, ერთი თვის განმავლობაში, დღეგამოშვებით, ზედ სხვადასხვა პროვინციების გუბერნატორებსაც აკლავდნენ. „ბარონი" ნახევრად ჩაკეტილ რეჟიმზე, ანუ, „ლოქდაუნზე" გადაიყვანეს და ჩვენც ტერიტორიიდან მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების დროს გავყავდით. ასეთი საჭიროებები ძირითადად საბაჟოს ექპერტებს ჰქონდათ. მე მყარად ვიჯექი ტერიტორიის შიგნით ახლად აყვავებულ ბაღჩაში.

გამიმართლა, ძირითადად ავღანელი თანამშრომლების გარემოცვაში ვმუშაობ. ძალიან მომწონს ეს ხალხი, ქალიც და კაციც სანდომიანი, მომღიმარი და თავმდაბალია. მხიარულებიც არიან, ძალიან დახვეწილი იუმორი აქვთ. ჩემს დაქვემდებარებაში ოთხი ავღანელი მამაკაცი და ერთი ქალია. ვითომ ვხელმძღვანელობ, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავად ვსწავლობ მათგან. როცა ხედავენ, რომ ვიღლები და ვნერვიულობ, მოთმინებით მასწავლიან საქმისადმი აქაური მიდგომის ნიუანსებს და მოკრძალიბით დასძენენ: ნუ გეშინია, სახლში ხომ არა ხარ, თავიდან ყველა ასეა, ნახავ, სულ მალე შეეჩვევიო.

მეც, სანამ აზრზე მოვსულვარ, მაქსიმალურად ვსარგებ-ლობ მათი გონებამახვილობითა და გამჭრიახობით.

ქალები მოხდენილად დანარნარებენ ფერად კაბა-შარვალში. თავსაფრებიც ისე ლაზათიანად აქვთ მოხვე-ული – სულ სხვადასხვანაირად. მეც მინდება. ისინიც მონდომებით მასწავლიან თავსაფრის მოხვევის ხერხებს. იმდენნაირია, სათვალავი დავკარგე. ქალები არასდროს უმაღლებენ ხმას (არც კაცები) ჩიტებივით ჭიკჭიკებენ და სახეზე ღიმილი არ უქრებათ.

– რა მხიარულები არიან, – ვეუბნები გუნტაი (გიულ) ნაჯიბის

– ესენი ომით დაღდასმული ქალები არიან და სულ ცოტა ჰყოფნით სიხარულისა და ბედნიერებისთვის, პა-ტარა რამეზეც აღტაცებისგან თვალები უფართოვდე-ბათ, – მიხსნის გიული. ეს კიდევ უფრო მომხიბვლელს ხდის მათ ღიმილს, თბილსა და სევდანარევს. ყველაზე უფრო ის მომწონს, კუთხეში რომ შეიქუჩებიან ხოლმე და ჩუმად კისკისებენ, ამ დროს ისე საყვარლად უჟუ-ჟუნებთ ხოლმე თვალები...

სახლში ძირითადად „ალჯაზირას" ვუყურებ, ანუ, სა-კუთარ თავს შახსეი-ვახსეის ვუკეთებ. ამდენ ძალადობას არცერთი სააგენტო აჩვენებს, არადა ყველაზე სანდო და მიუკერძოებელი მაინც ეგ მგონია. ზუსტად ახლა, პირდა-პირ ეთერში ნატოს ერთ-ერთმა მაღალი რანგის პოლკოვ-ნიკმა განაცხადა, მართალია, თალიბანები ქაბულისკენ იწევენ, მაგრამ არაფერია, ასეთი მცდელობა არაერთხელ ჰქონიათო. დაგვამშვიდა, ჩვენ ქაბულს არ დავთმობთო. დიდი მადლობა... პატივცემულო... მაგრამ დარწმუნებუ-ლი ხართ, რომ თალიბანებს მაგ თქვენს ძალიან „თვითდა-ჯერებულ" განცხადებაზე არ ეცინებათ? აკი გითხარით, ისეთი ხალისით იფეთქებენ თავებს, შენც მოგინდება მეთქი. არადა, რა ქნას ნატოს პოლკოვნიკმა? როგორც

ამბობს, ისე უნდა თქვას. ალბათ, საბჭოთა გენერლები და პოლკოვნიკებიც ასე იძახდნენ, როცა ქაბულის მისადგომებთან მოჯახედების შემოტევებს იგერიებდნენ, არა? მართალია, ამის კონკრეტულ ფაქტებს ვერ ვიხსენებ, მაგრამ მჯერა, რომ ზუსტად ასე იქნებოდა.

„ბარონში" რესტორნის, კაფეს, სპორტული დარბაზების, საცურაო აუზის და მინიმარკეტის გარდა სილამაზის სალონიცაა. ამ სალონში ერთი გაუგებარი ეროვნების ქალი მუშაობს, სახელად – მარია. ისეთ „ბლატნოი" რუსულს უბერავს, ოდესელი ან როსტოველი „ნინკა დოროგაია" გეგონება. თავად იძახის ნახევრად ტაჯიკი ვარ, ნახევრად თურქი, ამათი ორივე ენა, პაშტუც და დარიც კარგად ვიცი. მართლაც, იქაურებს ყველას თავიანთ ენაზე ელაპარაკება. მე კი ისეთი ენამყრალი რუსულით – სირცხვილისაგან თვალებს ვხუჭავ ხოლმე (ყურების დაცვა მერიდება და იმიტომ). კიდევ კარგი, „ბარონელ" ავღანელებს, რუსული ცუდად ესმით, თორემ ულაპარაკოდ გამომღადრავდნენ ყელს. ისე, თქვენ წარმოიდგინეთ, კიდევ ახსოვთ და ცოტ-ცოტას ლაპარაკობენ კიდეც რუსულად. ჩემთან აუტყდებათ ხოლმე დამტვრეული რუსულით ლაპარაკი. ვეუბნები, თავს ნუ იკლავთ, ინგლისურად მითხარით, თუ მაინც და მაინც, გურჯი ვარ გურჯისტანიდან და ქართული ისწავლეთ მეთქი.

მარია, როცა მოეპრიანება, მაშინ მოდის სალონში, იძახის, „ბარონში" მუშაობა საერთოდ არ არის, მარტო მასაჟის შეკვეთებზე მოვდივარო. ძალიან ბევრს ლაქლაქებს, ტყვიამფრქვევივით ისვრის სიტყვებს, თუმცა, შიგა და შიგ ძალიან საინტერესო ამბებს მიყვება ავღანეთზე, ავღანელების ხასიათზე და წეს-ჩვეულებებზე.

– თორმეტი წელია აქ ვცხოვრობ, ბლიად და ამათნაირად ვიცვამ – შავი კაბა, თავსაფრით, ხან ბურკა,

ბლიად. ასე უფრო ნაკლებ ყურადღებას ვიქცევ, ისიც მშველის, რომ ამათ ენაზე ვლაპარაკობ. ბევრი ახლობელი მყავს აქ. ამას წინათ, ორი დღით ყანდაღარში ვიყავი ქორწილში, – მიყვება მარია „ბლატნოი“ რუსულით.

– ყანდაღარშიო? იქ როგორ წახვედი, გუშინ შვიდ-ჯერ მაინც გამოაცხადეს სარაკეტო თავდასხმა, იქ ყველაზე გაბედული ჟურნალისტებიც ვერ დადიან და შენ ქერა, თეთრი და ფუმფულა ასე, სხვათაშორის ამ-ბობ, ყანდაღარში ქორწილში ვიყავიო? – ჩემს გაფარ-თოებულ თვალებს რომ ხედავს, მარიას ეცინება.

– რა გიკვირს, ბლიად, მე ამათ ენაზე ვლაპარაკობ, ამათი წესებით ვცხოვრობ და პატრონიც ამათ მეტი არა-ვინა მყავს, მე, ბლიად, არავინ მერჩის, ჩემგან, ბლიად, რა უნდა წაიღონ, აქეთ თუ არ მომცეს. ესენი, ბლიად, სანამ თავისას არ იზამენ, არ მოისვენებენ. როგორ აგიხსნა, აი, არწივებივით არიან, თავისუფლება უყვართ. ომით, ბლი-ად, ამათ ვერავინ დაიპყრობს და ვერ მოიყვანს თავის ჭკუაზე. „პავერ, ბლიად“!

მარიას თქმით, თალიბანები ძირითადად პუშტუნები არიან – ავღანეთის მოსახლეობის ორმოც პროცენტს, ანუ, დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ და პრეტენზია აქვთ, რომ სახელმწიფო სადავეები მათ უნდა ეჭიროთ, დანარჩენები კი ჩმორები და ქვეყნის გამყიდველები არიან.

აღმოსავლური, მზისა და მთვარის წელთაღრიცხვით ავღანეთში ახლა 1390 წლის 30 ასადია (მე-6 თვე). ჩემი ქმარი, ვადიკა, იძახის, რა საუკუნეშიც არიან, ზუსტად ისე იქცევიანო. ეჰ, რა იცის ვადიკამ, ვინ რომელ საუკუ-ნეშია და რომელი წელთაღრიცხვაა სწორი. ფაქტი ისაა, რომ ეს ყველაფერი ერთ დედამიწის ზურგზე ხდება, ერთი ცის ქვეშ და იმის მაგივრად, რომ ადამიანებმა ამ განზომილებაში მშვდობიანად ვიმოგზაუროთ, ერთ-მანეთისგან თავის დასაცავად ციხე-გალავნებს ვაშენებთ,

იქიდან კი, ერთმანეთს ენას ვუყოფთ, ვლანძღავთ და ვაფურთხებთ.

მაშ ასე, მოგესალმებით მე-14 საუკუნის ავღანეთიდან. აბა გაიხსენეთ, რა ხდებოდა მე-14 საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში? დედა რომ შვილს არ აიყვანდა ის, არა?

თავი 2

დუბაიდან აქეთ რომ მოვდიოდი, თვითმფრინავის სალონში ერთი სანდომიანი შუახნის ქალი მომიჯდა, სახელად მინა. ავღანელი იყო, მაგრამ თანამედროვე კი არა, აი, იმდროინდელი, საბჭოთა და ევროპული სტილით რომ იზრდებოდნენ ქაბულში, ჩვენსავით მუსიკაზე, ინგლისურზე და ცურვაზე, ან ჩოგბურთზე რომ დადიოდნენ, თინეიჯერობის დროს მინი რომ ეცვათ და სტუდენტობის პერიოდში, ლენინგრადში ან მოსკოვში რომ მიდიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად. მინას უმაღლესი ლენინგრადში ჰქონდა დამთავრებული, ახლა, თავის ქმარ-შვილთან ერთად მიუნჰენში ცხოვრობს და მუშაობს, მეუღლეც ავღანელია და ერთმანეთი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიცნეს. ქაბულში ძმასთან მიდიოდა სტუმრად. ძმას განათლება შეერთებულ შტატებში ჰქონდა მიღებული და ავღანეთში დიდ ბიზნესს აკეთებდა – ერთადერთი მინერალური წყლის კომპანიის დამაარსებელი იყო და საქმიან წრეებსა და მთავრობაში დიდი გამავლობით სარგებლობდა. მინა ძალიან მხიარული და კეთილმოსურნეა. როგორც ორმა საბჭოთა პირმშომ, ძალიან ადვილად და უცბად გავუგეთ ერთმანეთს. იმან რუსები აქო... უხერხულობისგან რა მეპასუხა და სად წავსულიყავი, არ ვიცოდი.

– მაშინ ნორმალური ყოფა გვქონდა და რუსები ჩვენს ცხოვრებაში არასდროს ერეოდნენ, ახლა ამ თავსაფარში თუ არ გავეხვიე, ქუჩაში ვერ გავალ. სინამდვილე ისაა, რომ ყველას აწყობს არეულობა ავღანეთში,

ავღანელებს კი ომის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. არასოდეს დამთავრდება ეს ომი, – კატეგორიულად და გაბრაზებული ასკვნის მინა.

– ქაბული ლამაზია? – განყენებულ კითხვას ვუსვამ.

– ქაბულში რაც ლამაზი იყო, ყველაფერი დაანგრიეს, ქალაქი ნანგრევებად და მტვრად აქციეს. აღარაფერი დარჩა აქ სანახავი... ძალიან მწყდება გული ამას რომ ვამბობ, მაგრამ ამ ქვეყნის ფეხზე დადგომის იმედი აღარა მაქვს, – ასეთი საშინელი დიაგნოზი დაუსვა მინამ თავის არეულ ქვეყანას დალაგებული ევროპის გადმოსახედიდან. ასეთ დიაგნოზებს ჩვენთანაც ძირითადად ქართველი ემიგრანტები სვამენ.

ფერიდეც ავღანელი ქალია, უფრო სწორად – გოგო. კოლეჯი კალიფორნიაში დაამთავრა და იმასაც იქით მიუწევს გული, სადაც თავსაფარი არ ახურავთ, ცისფერი მოტკეცილი ჯინსები აცვიათ და რამადანის დროს არ მარხულობენ, მოკლედ, სადაც „ჩვეულებრივი, ცივილიზებული ცხოვრება“ ჩქეფს. ფერიდე დედამისის ერთადერთი შვილია, ბავშვობაში გარდაეცვალა მამა და დედამისთან ერთად ხან ერთ ბიძასთან, ხან – მეორესთან და ხან – მესამესთან უწევს ცხოვრება. ძალიან ცდილობს ნამდვილი ამერიკელი გოგონა იყოს, მანერებით, ინტონაციით. გაუმართლა და სამსახური ამერიკულ კომპანიაში იშოვა, ახლა კალიფორნიაში აპირებს კურსებზე გამგზავრებას და რადაც უნდა დამიჯდეს, იქ უნდა გავთხოვდეო, იძახის.

სანამ ამას გააკეთებს, ჩვენს პროექტში ერთი ძალიან კარგი, საქველმოქმედო საქმე წამოიწყო. თავის ავღანელ მოხალისეებთან ერთად ქაბულის ბაზარში ბოსტნეულს ყიდულობს, ლამაზად ფუთავს და ყოველ შაბათს ჩვენს „კომპაუნდში“ მოაქვს გასაყიდად, რა თქმა უნდა, ოდნავ აწეულ ფასებში. მოგროვილი ფულით საბავშვო სახლებს

და მოხუცთა თავშესაფრებს ეხმარებიან საკვებით. ეს ინიციატივა ჩვენთვისაც ძალიან ხელსაყრელია, რადგან ბაზარში ვერასოდეს ვხვდებით, სუპერმარკეტში ნაყიდ ბოსტნეულს კი, მოგეხსენებათ, პლასტმასის გემო აქვს, თან ცეცხლი უკიდია.

ფერიდე „ბარონში" ჩვენსავით უთავსაფროდ დადის, საღამოს კი სახლში თავის მეორადი მოხმარების ტოიოტათი მიდის. უკვე ისეა მოწამლული დასავლური ემანსიპაციის იდეოლოგიით, რომ ავღანურ სოციუმში მოძრაობა უჭირს, თუმცა, ერთობ გაბედულად უშვერს ხოლმე მკერდს საზოგადოების მხრიდან ისეთ რადიკალურ შეძახილებს, როგორიცაა, „ბოზო", „ჩათლახო" და ა.შ. ესმის ფერიდეს, რომ ყველაფერი ნოვატორული და დინების საწინააღმდეგო მასებში აღშფოთებას იწვევს. „ბარონში" მცხოვრები არაავღანელი ქალები ფერიდეს გმირს და თავგანწირულს უწოდებენ და დამსახურებულადაც, რადგან ჩემი აზრით, აქ ამგვარი საქციელი მართლა გმირობის ტოლფასია. ამერიკელი დენისი აღნიშნავს, რომ რვა წელია ავღანეთში ცხოვრობს და ეს, მის პრაქტიკაში, მხოლოდ მესამე შემთხვევაა. სულ რამდენიმე დღის წინ კი ერთი კოლეგა ყვებოდა, ნანდაგარის ერთ სოფელში დედა და შვილი ჩაქოლეს იმის გამო, რომ გარეთ მამაკაცის თანხლების გარეშე იყვნენ გამოსულებიო.

„ბარონი" არის ბაბილონის გოდოლი. აქ თავი მოიყარა მთელმა მსოფლიომ და ყველა ავღანეთის გადარჩენასა და აყვავებას „ლამობს". ქართველებივით აქაც „სჯერათ", რომ ავღანეთი აუცილებლად გაბრწყინდება, მაგრამ ქართველებისგან განსხვავებით, ამ საქმისთვის ერთობ რადიკალური და ექსტრემალური გზები აქვთ არჩეული. ყველა გზა ყანდაღარიდან იწყება და ქაბულისკენ მიდის, გზადაგზა საერთაშორისო „ვილიჯების" (დასახლებების)

გადაჯეგვითა და ჰაერში აწევით. ღმერთმა დაიფაროს ამისგან ჩვენი „ბარონი“, თორემ ერთი პატარა პანიკაა საჭირო, რომ დიდიან-პატარიანად ყველას ერთდროულად დაავიწყდეს სამყაროს გულზე დასვენებული ყოვლისშემძლე ინგლისური ენა და დროებით გვერდზე გადადებული, მშობლიურ ქართულად აღმოხდეს სასოწარკვეთილი „ვაი, დედა!“ ან „ღმერთო, მიშველე!“

„ბარონში“ ჩვენი სეთური (მამა და მარჩენალი), პროექტის დირექტორი, აბდელკადერ ედ ელრაჰალია. ედს ვეძახით. ედი ლიბანელია, პროექტის ადმინისტრაციულ, ტექნიკურ ნაწილს და ოთხ კომპონენტს ხელმძღვანელობს. კომპონენტების უფროსებიდან ერთი ავსტრალიელია, სახელად ენდი; მეორე – კანადელი კარმელი; მესამე – ამერიკელი ფრედი, მეოთხე – ავღანელი გიუნტაი (ქალი, ზემოთ უკვე გაიცანით) და კომუნიკაციის დირექტორი, მე, – ქართველი. მოწვეული ექსპერტები ბოსნიელები, ინდოელები, ტაჯიკები, ყირგიზები, ფილიპინელები, იაპონელები არიან, ძირითადი თანამშრომლები, ანუ ასისტენტები – ავღანელები. დაცვა ბრიტანულ-სამხრეთ აფრიკულ-ნეპალური. ყველა ეს ადამიანი საერთაშორისო, გასაგებ ინგლისურ ენაზე მეტყველებს.

ყველაზე „ცუდ ინგლისურად“ ბრიტანელები ლაპარაკობენ. ამათ ერთმანეთისაც კი არ ესმით, ისეთ კუთხურს უბერავენ. ყველაზე „მჭერმეტყველს“, რომელსაც პოლი ჰქვია, დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ და ამბობენ, მაგან „სამეფო ინგლისური იცისო“. პოლი „პოშია“ (Posh – Portside out starboard home) ე.წ. მაღალი კლასის წარმომადგენელი და კუთხური ლაპარაკი არ ეკადრება. პოლის შესახებ ერთი მხიარული ამბავი მოვისმინე ბრიტანელებისგან და რისი გაგებაც მოვახერხე ის იყო, რომ პოლის შვილი ერთ დროს ბუკინჰემის სასახლესთან

პატრულირებდა და ეს მთელ ოჯახს დიდ პატივად მიაჩნდა. როცა დედოფლის სასახლესთან გაუნძრევლად იდგა, თავს ახალგაზრდა ტურისტთა და უბრალო გამვლელ ქალთა მთელი სკა დასტრიალებდა. ქალები ყმაწვილს ლამაზი სამხედრო ფორმის ჯიბეში, ან სადაც მოეხერხებოდათ იქ, პატარა მოკეცილ წერილებს უცურებდნენ, ხოლმე, მისამართებითა და ტელეფონის ნომრებით. მათ ხომ განძრევის და თვალის დახამხამების უფლება არა აქვთ, ამიტომ ცვლის დამთავრებამდე, გამვლელების სახალისოდ, ნაძვის ხესავით ასხმულები იდგნენ თურმე ბუკინჰემის სასახლის კარიბჭესთან. სამაგიეროდ, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ ახოვან, ნარჩევ და იუმორით აღსავსე ბიჭებს გოგოებზე ნადირობა და პაემანისთვის თავის შეწუხება არასდროს ჭირდებათ. ამაზე თავად ზრუნავს მრავალფეროვანი და მრავალეროვანი ქალთა სამყარო, ამათ მხოლოდ შერჩევა-სელექცია ევალებათ და არც ეს არის იოლი საქმე – აბა, თუ ბიჭი ხარ დაიმახსოვრე, ვინ, რომელი ქალალდი სად ჩაგიცურა?

ამერიკის საელჩოში სამუშაო შეხვედრაზე მივდივარ ბრონირებული მანქანით. ამ გზაზე პირველად ვარ. გზაზე სხვა საელჩოები და მთავრობის წევრთა სახლები გვხვდება. ყველა მაღალი, მავთულხლართიანი კედლითაა გარშემორტყმული და ზედ კიდევ ქვიშიანი ტომრები ალაგია. ამ კედლებს შორის მომწყვდეულ, ნაცრისფერ ქუჩა-ლაბირინთში კანტი-კუნტად გვხვდება ვინმე სულიერი – მათხოვარი ან დანჯღრეულ ველოსიპედზე ამხედრებული, მტვრიანი შალვარ-კამიზიანი, ავღანელი. ქალი მათხოვრები ძირითადად ცენტრალურ ქუჩებზე დაძრწიან შუა ტრასაზე (ჩვენი მათხოვრებივით), მძღოლებს ფანჯრებში უვარდებიან და ჩვენი მათხოვრებივით იღლიაში ბავშვები ჰყავთ ამოჩრილი. განსხვავება ისაა, რომ ამ ქალებს ცისფერი ბურკა აცვიათ და ბავშვი

ბურკის ნაკეცში ჰყავთ გამოხვეული. დახუნდამ მითხრა, ბურკის ფერი პროვინციაზეა დამოკიდებულიო. ქაბულში ძირითადად ცისფერ ბურკას ატარებენ.

ამას წინათ, სოფო თოდუამ ფეისბუქზე, თეირანის ბურკების მაღაზიის სარეკლამო სურათი გამოფინა და კომენტარად მიაწერა – რა ლამაზი სამოსიაო. მერე ვიღაცამ უპასუხა, მეც ძალიან მომწონს, ასეთიც მქონდა ცისფერი და შავი და მეცვა კიდეცო. ავღანელი ქალები ბურკას მოარულ ციხეს ეძახიან და დასანახად ვერ იტანენ. ქაბულში ბურკის ტარება სავალდებულო არ არის და ამით სარგებლობენ ქალები, სამაგიეროდ, პროვინციებში და ღრმა სოფლებში ბურკის არ ტარება სასიკვდილო განაჩენია. ამიტომ ბურკაზე, როგორც ეგზოტიკურ და მშვენიერ სამოსზე ლაპარაკი იუმორის გრძნობას იმთავითვე მაკარგვინებს და საშინლად მაღიზიანებს. არადა, იმ სურათში ცისფერი ბურკები სისუფთავისგან ბზინავდნენ და პრიალებდნენ, საერთოდ არ გავდნენ ქაბულის მარადიულ მტვერში ამოგანგლულ, დაჭმუჭნულ და გახუნებულ ბურკებს, რომლითაც მოფენილია ავღანეთის მიწა. ცისფერიც იმიტომაა, რომ მტვერს და ჭუჭყს ყველაზე მეტედ ეგ ფერი იტანს.

ლაბირინთი როგორც იქნა დამთავრდა და მზის სინათლეზე გამოვედით. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ამერიკის საელჩოს, მით უფრო მწვანდებოდა და ლამაზდებოდა გარემო, ბოლოს სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ყვავილების ულამაზესი ხეივანი გავიარეთ მრავალი შლაგბაუმითა და ბარიერით. ნახევარი საათი მანქანების კონტროლმა შეიწირა. როგორც იქნა შევედით საელჩოს ტერიტორიაზეც. თავად საელჩო, მე თუ მკითხავთ, ძალიან მდარე გემოვნების, მაგრამ ფუნდამენტური, მკაცრი და შთამბეჭდავი შენობაა, ჩვენს ყოფილ „იმელის“ (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი) შენობას

მაგონებს. გარშემო ხუთ-ექვს სართულიან კორპუსებში საელჩოს სრულშტატიანი თანამშრომლები ცხოვრობენ. ტერიტორიაზე ათასამდე თეთრად და ცისფრად შეღებილი ვაგონია დამონტაჟებული. იქ, მოწვეული, მოკლევადიანი სპეციალისტები ბინადრობენ. ეს ვაგონები შიგნით თანამედროვე მოწყობილობებითა და ავეჯითაა აღჭურვილი.

სამუშაო შეხვედრაც ერთ-ერთ ასეთ, თუმცა, გაცილებით დიდ ვაგონშია ორგანიზებული. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო ყოველ მესამე თვეს აწყობს ასეთ შეხვედრას თავისი პროგრამების კომუნიკაციის სპეციალისტებისთვის და მათ წარმატებული აქტივობების და ანგარიშების წერის ახალ მოთხოვნებსა და წესებს აცნობს. ეს შეხვედრები დიდ ფორუმებს უფრო ჰგავს, რადგან აქ დედამიწის ზურგზე არსებული თითქმის ყველა ჯურის, აღმსარებლობის და კანის ფერის ადამიანს გადაეყრები.

კონკრეტულად ეს შეხვედრა სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ ახლა მუსულმანურ სამყარში რამადანია და რახან საელჩო უფრთხილდება თავისი მუსულმანი თანამშრომლებისა და კონტრაქტორების სულიერ მდგომარეობას, მხოლოდ წყლით გვიმასპინძლდება, თან გვაფრთხილებს, მაინც და მაინც მუსლიმების თვალწინ ნუ დალევთო. მე ეს ძალიან მაღიზიანებს. არა იმიტომ, რომ ყავის დალევაზე მეკეტება ჭკუა, არამედ იმიტომ, რომ არასდროს, არავის, არავისთვის გაუბედია იმის თქმა, მომარხულე ქრისტიანის წინ ხორცი და ყველი არ ჭამოო, პირიქით, მომარხულეებს აფრთხილებენ მკაცრად, თქვენი მარხულობით სხვა არ შეაწუხოთო და თუ მასპინძელმა დაგაძალა, პატივი ეცი და უხმოდ მიირთვი ხორციო. მოკლედ, საყოველთაო დისკრიმინაციის მოწმე გავხდი. რამადანის დროს მუსულმანი კოლე-

გის სულზე მთელი კონფერენცია ზრუნავს, დანარჩენი „ურჯულოებისთვის" კი შესვენებაზე, მოშორებით, ერთ მოფარებულ ადგილას, ერთ-ერთ „ვაგონეტკაში" ცივ და ცხელ ყავას ყიდიან მამასისხლად.

აი, როგორა აქვთ აქაურებს საქმე დაყენებული, სულ ფეხებზე ჰკიდიათ, რას იფიქრებს მათზე დანარჩენი „ცივილიზებული" სამყარო. დარწმუნებულები არიან თავიანთ სიმართლეში და კიდევ იმაში, რომ ყველას დედამიწის ზურგზე მათი სიმდიდრის, მათი წიაღისეულის და ბუნებრივი საბადოების მითვისება უნდა. „ვერ მოგართვით!" არის ამათი კრედო და კიდეც არიან ჩაბმულები საუკუნოვან ბრძოლაში ხან გარეშე, ხან კი შინაურ მტერთან. როცა ხალიჩასავით ათასფრად ნაქსოვ თავიანთ მიწა-წყალს გარეშე მტრებისგან დაბერტყავენ, მერე „გადაჯიშებული" თანამემამულეებისგან იწყებენ მის რეცხვას და ასე დაუსაბამოდ. არ თავდება ბრძოლა ერთ დროს ძლევამოსილი და თვალწარმტაცი ავღანეთის ფეხზე წამოსაყენებლად.

გაგიკვირდებათ და არაერთი ავღანელისთვის შემიმჩნევია ლიბერალი მეფე დაუდის ხანისა და საბჭოთა რეჟიმის (60-70-ისნი წლები) ნოსტალგია. იმ პერიოდზე, როცა ლამაზ ავღანელ ქალებს თავიანთი მაღალი, თხელი ფეხების გამოჩენა შეეძლოთ, სამსახურში დადიოდნენ, ახალგაზრდები სპორტს მისდევდნენ, კარგ განათლებას იღებდნენ... ერთ ჩემ თანამშრომელს ისტერიული სიცილი უტყდება, როცა იხსენებს, რომ სოციალისტური მთავრობა ოჯახს თითო ბავშვზე 5000 ავღანს უხდიდა იმისთვის, რომ ბავშვი სკოლაში გაეშვათ, ვისაც ბევრი შვილი ჰყავდა, ის ოჯახი „ქერის ორმოში" იჯდა და ყოველ წელს ახალ ბავშვს მიერეკებოდა სკოლაში.

– ამ კანონმა მეც მომიწია და ჩემმა მშობლებმა ჩემს სასკოლო განათლებაში კარგი ფული გააკეთეს, – იცინის

ჰასიბი და ამის გამგონეს, მეც გულიანად მეცინება, თან მისი მონაყოლიდან ნახევარს ვერ ვიგებ, იმიტომ კი არა, რომ ენა არ იცის და ვერ მაგებინებს, პირიქით, როგორც ყველა ჩვენი ავღანელი თანამშრომელი მშვენიერად ლაპარაკობს ინგლისურად, უბრალოდ, ფილოსოფიას და მიდგომას ვერ ვხვდები. ამასთან და კიდევ ბევრ ნიუანსთან დაკავშირებით, ყოველთვის ერთი გენიალური საბჭოთა ფილმი მახსენდება – „უდაბნოს თეთრი მზე" და უკვე კლასიკური გამოთქმა: „ვოსტოკ დელო ტონკოე!" (აღმოსავლეთი ძალიან ფაქიზი რამეაო).

ერთი თვეა რაც აქა ვარ, „ბარონის" ოაზისში და ყველა სხვა ბედნიერებასთან ერთად, ჩემთვის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ბედნიერებაც აღმოვაჩინე. ამ გაგანია ზაფხულში „ბარონში" არ არიან კოღოები. რეპტორი ჯერ არც კი ჩამირთავს. მოკლედ ამ მხრივ ნეტარებაა. ჰოდა, როგორც ყოველთვის, დღეს საღამოსაც ბაღში გავედი დასასვენებლად და ჩემი საყვარელი ადგილი, მაღალი თეთრი ლამპიონის ქვეშ, დაკავებული დამხვდა. იქვე გვერდით, ოდნავ ჩაბნელებულ ადგილას მოვკალათდი. მალე დიანა და ტატოც მოვიდნენ ბანქოს სათამაშოდ. ორი წუთიც არ გასულა, რომ სხვადასხვა მხრიდან თავს დაგვესხა არა ერთი და ორი, არც სამი-ოთხი, არამედ კოღოების მრავალრიცხოვანი ლაშქარი. შემოგვიტიეს, მაგრამ რა შემოგვიტიეს, ხელის მოქნევასაც ვერ ვასწრებდით, რომ უკვე მოთავებული ჰქონდათ თავიანთი საქმე და ახალი შემართებით გვიტევდნენ. როგორ დაუნდობლადაც ვხოცავდი, ზუსტად ისევე დაუნდობლად მწოვდნენ სისხლს, რაც მეტს ვხოცავდი, მით მეტი მოდიოდა შეტევაზე. ბოლოს ისე გამრავლდნენ და ისე გათავხედდნენ, რომ ყურებში და ცხვირის ნესტოებშიც კი მიძვრებოდნენ, სქელი შარვლის ტოტებიდან ატანდა ხორცში მათი მწარე ხორთუმი. საიდან მოშავდნენ, სად იყვნენ აქამდე, ვერ გამეგო.

ჩაგვეშალა ჰაერზე ჯდომის სიამოვნებაც და ბანქოს თამაშიც. საბოლოოდ დამარცხებულები, განადგურებულები და სისხლში ნაბანავებები წამოვხტით და შინისკენ მივაშურეთ, რომ უეცრად ჩვენი ძველი საყვარელი ადგილი, ლამპიონის ქვეშ, თავისუფალი დავინახე. სამივე იქით გავვარდით და კოლოების ახალი თავდასხმის მოლოდინში გავიტრუნეთ. გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი და არცერთი კოლო არ გამოჩენილა. არადა განათების ქვეშ ვისხედით, წესით, იქაურობა კოლოების შეტევის და აქტიური მოქმედების ადგილი უნდა ყოფილიყო. კიდევ რამდენიმე ხანს ვისხედით გაუნძრევლად, მაგრამ ამაოდ, კოლოები სადღაც გამქრალიყვნენ. გავვოცდი, გავიხედ-გმოვიხედე და რას ხედავს ჩემი თვალები, იქით, მოშორებით, სიბნელეში კოლოები ერთ დიდ, შავ ღრუბლად შეჯგუფებულიყვნენ. ეს შავი ღრუბელი გამოქანდებოდა ჩვენსკენ და, როგორც კი სინათლის ზღვარს მიაღწევდა, უკან იხევდა და ასე რამდენჯერმე. ზღურბლთან ისეთ წუილს ტეხდნენ, შიშისგან გული მისკდებოდა, ახლა ამათ რომ აინყვიტონ და ასე ერთად დაგვეტაკონ, ბურდღა აღარ დარჩება ჩვენგანთქო, ვფიქრობდი. მაგრამ იმ საზღვარს მილიმეტრითაც არ სცილდებოდნენ ტერორისტი კოლოები. უთუოდ, ახალი შტურმის ტაქტიკას ამუშავებდნენ. ღმერთო ჩემო, რა უკუღმაა ყველაფერი ამ ქვეყანაში (ან წაღმა. გააჩნია, ვინ რა კუთხიდან უყურებს). აქ კოლოებიც ზუსტად ისე იქცევიან, როგორც თალიბანები. ზუსტად მათ სტრატეგიაზე არიან გამობრძმედილები: სიბნელეში იბრძვიან და იკბინებიან, სინათლეში – უკან იხევენ. ახლო-მახლო დაბზუიან, ხელსაყრელ მომენტს პოულობენ, თავს გესხმიან და უმეტესობა „თვითმკვლელი ბომბივით" შენს სხეულზე ლევს სულს. სიბნელეში ჩასაფრებულები გითვალთვალებენ, როდის დაგიცდება

ფეხი და შეაბოტებ მაგათ ტერიტორიაზე, მერე კი თავისი საქმე ხუთიანზე იციან.

დღეს ინგლისურენოვან „ავგანისტანთაიმსში“ ეწერა, რომ „ცენტრალური ფარვანის პროვინციაში პოლიციამ აღმოაჩინა ორი კვირის წინ დაკარგული ორი გერმანელი ტურისტის გაძარცვული ცხედარი. ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია ოთხი ქუჩი (მომთაბარე ტომი ავღანეთში). გამოძიება გრძელდება.“

თავი 3

ავღანელებს ორი სახელმწიფო ენა აქვთ: დარი და პაშტუ. პაშტუ, როგორც ხვდებით, პუშტუნების ენაა. ჩემსა და პუშტუნებს შორის, ძალიან ახლო და მხიარული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მათ ენაზე, ანუ პაშტუზე, მანანა მადლობას ნიშნავს, დეირა მანანა – დიდ მადლობას. როცა დეირა მანანას ამბობენ, „რ"-ს არბილებენ და თითქმის დეიდა მანანა გამოდის. ასე რომ, როგორც კი გაიგეს პუშტუნებმა, რომ მათ ენაზე ჩემი სახელი მადლობას ნიშნავს, გაიხარეს. მომკრავენ თუ არა თვალს, თუნდაც შორიდან, „დეიდა მანანა", „დეიდა მანანას" გაჰყვირიან და სიცილით იხოცებიან. მე უკვე შევეჩვიე და ადრე თუ მეხამუშებოდა ჩვენი სუპერმარკეტის ახალგაზრდა გამყიდველების „დეიდა მანანა", ზედმეტ ფამილიარობად მივიჩნევდი და მაღიზიანებდა კიდეც, ახლა „მემ"-ით რომ მომმართავენ, ის აღარ მომწონს. ამ „დეიდა მანანას" წყალობით „ბარონის" სუპერვარსკვლავი გავხდი, უკვე ყველა სახეზე მცნობს.

დღეს 2011 წლის 14 აგვისტოა და ფაქტობრივად პირველად გავდივარ ხალხში, ანუ „ბარონს" გარეთ მოღვაწე ავღანურ და საერთაშორისო საზოგადოებაში. ჩვენმა პროექტმა ქაბულის სავაჭრო პალატის ტერიტორიაზე სავაჭრო მომსახურების ცენტრი გახსნა. ამ ცენტრის წარმატების შესახებ ესსე უნდა დავწერო და ვიდეო კლიპი გადავიღო. ჯავშან-მანქანითა და დაცვით დილაუთენია სავაჭრო პალატაში გავემგზავრე.

ჩემი უბედურება ის არის, რომ „ბარონი“ ქაბულის გარეუბანში მდებარეობს, აეროპორტისა და ნატოს ბაზისგან თხუთმეტი წუთის სავალში. ის დაწესებულებებიც, რომლებში წასვლაც ნებადართული გვაქვს – ხუთი „სპეცრესტორანი“: „ბოკაჩო“, „ბელა იტალია“, „ლებანონ“, „განდემარკ“, ბისტრო“; ორი სუპერმარკეტი – „ჩიანო“ და „ფაინესტი“, „სამხატვრო გალერეა“ და „სარდოზი“ – ესენიც ყურისძირშია, ამიტომ ქალაქის ცენტრში და ისეთ კოლორიტულ ადგილებში როგორიცაა, მაგალითად: „ჩიქენ სტრიტი“ (ქათმის ქუჩა), ჩიტების ბაზარი, „ბაღი ზანანა“ (ქალების ბაღი) და სხვა, გავლითაც ვერა ვხვდები. შესაბამისად, უცხო ადგილას ჩემი ნებისმიერი გასვლა ახალი კონტინენტის აღმოჩენის ემოციას იწვევს.

ავღანელი თანამშრომლები გასეირნებასაც მთავაზობენ და სახლშიც მეპატიჟებიან, მაგრამ ეს საკითხი ჩვენს დაცვას განსაკუთრებული სიმკაცრის კატეგორიაში აქვს აყვანილი. იმ რამდენიმე მცნებებიდან, რომელიც ჩამოსვლისთანავე საზეპიროდ მოგვცეს, ერთ-ერთი ჰღაღადებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან/თანამშრომლებთან ინტიმური (ფართო გაგებით) კავშირი არ დაამყაროთო. დაცვის სამსახურისგან დაუკითხავად „ბარონიდან“ ფეხი თუ გაგიცდა, 24 საათში სამსახურს და ავღანეთს ერთად დაგატოვებინებენ. ამას არ დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა, საწრაფო წესით როგორ ჩაულაგეს ბარგი და როგორ გააბუნძულეს აეროპორტში თავდაცვის სამსახურის დაუკითხავად აფთიაქში წასული ჩემი თანამშრომელი. რა ექნა, საცოდავს კბილი ასტკივდა და ავღანელ მძღოლს დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ თავი აფთიაქში წააყვანინა. მძღოლიც, პირამიდაში თან ჩააყოლებული ფარაონის მსახურივით, კინაღამ თან გააყოლეს აეროპორტში, მაგ-

რამ, ვინაიდან მძღოლი ავღანელი იყო და ასეთი რამ გამოუცდელობით პირველად მოუვიდა, მის მიმართ ამ-ჯერად მხოლოდ მკაცრი გაფრთხილებით შემოიფარგლ-ნენ. საქმე ისაა, რომ როცა მანქანას ითხოვ, განაცხა-დი ექვსი საათით ადრე მაინც უნდა გააკეთო, კბილის ტკივილს კი, განაწესი არ ითვალისწინებს.

მეორე მხრივ, დაცვისაც მესმის, მას თავისი საქმე აქვს და ჩვენისთანებისთვის უსაფრთხო გარემოს შე-ქმნით შოულობს „ლუკმა-პურს". ზემოთ ჩამოთვლილ კოლორიტულ ადგილებში კი, მილეთის ხალხი ტრია-ლებს და იქ ხდება თუ ხდება თავის აფეთქებები. ერთი ვიღაც შაჰიდი შემოიჭრება ყველაზე ხალხმრავალ ადგ-ილში და საკუთარ თავთან ერთად „უარეს" შემთხვევაში ხუთს, „უკეთესში" კი – ოცამდე უდანაშაულო ადამიანს მაინც გაიყოლიებს დანაპირებ სამოთხეში.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ქაბულის ცენტრი ჩვენთვის დაბლოკილია განსაკუთრებული შემთხვევების გამოკლებით, ხოლო „ქათმის ქუჩაზე", სადაც, თურმე, მთელი ავღანური სიმდიდრეა გამოფენილი, არც უნდა იოცნებო.

ჯანი გავარდეს, ასეთ პირობებში სავაჭრო პალა-ტასაც ბამიანია (ავღანეთის ისტორიული მინა, სა-დაც თალიბანებმა ბუდების უნიკალური ქანდაკებები ააფეთქეს). ის ყოფილი სასტუმროს შენობაშია განთავსე-ბული და ჯერ კიდევ შერჩენია სიმწვანე – ნაშთი ძველი დიდებისა!

ქაბული, როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან და ფოტოებიდან დავრწმუნდი, ერთ დროს ძალიან გა-მწვანებული ქალაქი ყოფილა, ხასხასა სკვერებითა და ვარდის ბუჩქებით. ამაზე მეტყველებს სამინისტრო-ების, საელჩოების, ყოფილი რუსული დასახლებების არაჩვეულებრივად მოვლილი და აყვავებული ბაღები,

საერთაშორისო ორგანიზაციების შემოღობილი ეზოები და საგანგებოდ დაცული სხვა ტერიტორიები. დღეს ქაბულის ქუჩებში „პლეხანოვის" მსგავსად, ველარ ნახავ მრავალწლოვან ფოთლოვან ხეებს – ყველა, ან მოჭრილია ან ააფეთქეს. ახლად დარგულ ვარდებს კი – სკვერებსა და მოედნებზე მტვერი ჭამს და აჭკნობს.

აი, „ბარონი" სულ სხვაა, ჩვენი ბაღი სამოთხესავითაა მოვლილი, ორსართულიანი კორპუსები შავი და წითელი სამეფო ვარდების სკვერებითაა გარშემორტუმული, შიგადაშიგ ყვითელი და თეთრი კოკრებიც ამოხეთქავს, ხოლმე. მწვანე მინდორზე ერთად ხარობს ათასი ჯიშის მინდვრის ყვავილი და უშველებელ, ხელით ნაქსოვ გაშლილ ხალიჩას ჰგავს. ასეთი ბაღია გაშენებული ქალთა განვითარების სამინისტროს ეზოშიც და, რა თქმა უნდა, „ბაღი-ზანანაშიც".

სავაჭრო პალატა და ჩვენი პროექტის სავაჭრო საინფორმაციო ცენტრი დღეს ოცდაათამდე ავღანელ ვაჭარ ქალს მასპინძლობს. მათ ტრენინგს ჩაუტარებენ იმის თაობაზე, თუ როგორ განავითარონ საკუთარი ბიზნესი ჩვენი საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდის დახმარებით, ანუ, როგორ აწარმოონ ელექტონული კომერცია (e-commerce). გაგიკვირდათ ალბათ, სად ავღანელი ქალები და სად ბიზნესიო, მითუმეტეს, ელექტრონული. დიახ, ავღანელი ქალები დღეს ქართველი ქალებივით (ოღონდ ქართველ ქალებზე 30 წლით მოგვიანებით) მიხვდნენ, რომ თვითონ თუ არ მიდგნენ-მოდგნენ, ომის ფსიქოლოგიით გონებაამღვრეული მათი ქმრები საქმეს და ოჯახს ველარ გაუძღვებიან. ამიტომ, ჩადრებით, უჩადროთ, ბურკა ჩამოცმულები, საოჯახო საქმით „დაგრუზულები" და ზურგზე ბავშვმოკიდებულები, ქალისა და კაცის საქმეს ერთდროულად ეჭიდებიან. ხანდახან ქმრებიც საკუთარ ბიზნესში ჰყავთ ჩართული და ეს ბედნიერების მწვერვალია მათთვის.

სავაჭრო საინფორმაციო ცენტრში მოწვეულ ოცდაათ მეწარმე ქალს შორის იყვნენ ახალგაზრდა, შუახნის და ხანდაზმული ქალები, ლამაზებიც და ნაკლებად ლამაზებიც. საერთოდ, ავღანელი ქალის გარეგნობა, ეს ჩემი აზრით განსაკუთრებული თემაა და ჩემზე ბევრად მაღალი კლასის მჭერმეტყველ და ენაწყლიან აღმწერს იმსახურებს. ერთი კი უნდა აღვნიშნო, რომ ამ ქვეყანაში საერთოდ დაიმსხვრა ჩემს წარმოსახვაში არსებული მრგვალთეძოიანი, პირმრგვალი და ატმისფერკანიანი, ფაშფაშა აღმოსავლელი ქალის ხატი. აქაური ქალების უმრავლესობა, თხელი, წვრილ კიდურებიანი, საშუალოზე მაღალი და ფერმკრთალია. ბურკა ვისაც აცვია, იმასაც კი ეტყობა ტანის მოხდენილობა მიხრა-მოხრაში.

ეს თავმდაბალი და მორიდებული ქალები, რომლებიც ინტერნეტში საკუთარი სახის დაფიქსირებას ჯერ-ჯერობით ერიდებიან, საოცარ ნიჭს ავლენენ ვაჭრობასა და მეწარმეობაში. საუკუნეების განმავლობაში რაც კი რამ ცოდნა დაუგროვებიათ მათ წინაპარ ქალებს, ქარგვიდან დაწყებული ხალიჩების ქსოვით დამთავრებული, ყველაფერი ზედმიწევნით აღადგინეს და ყველა შესაძლებელ ბაზარზე გაიტანეს გასაყიდად და გამოსაფენად, მათ შორის საერთაშორისო ბაზრებზეც. ქალთა საკითხების სამინისტროს დახმარებით, ბიზნესში ჩართულ წარმატებულ ქალებს, წელიწადში ოთხჯერ უსასყიდლოდ უშვებენ მსოფლიო ბაზრობებზე და პროდუქციის რეკლამირებაში ეხმარებიან.

რამდენიმე ასეთი ქალის სურათი დავდე ფეისბუქზე და ერთმა ფეისბუქელმა „მეგობარმა“ მომწერა, მართლა ისეთ გაუსაძლის მდგომარეობაში არიან, როგორც ამბობენო? გული დამწყდა, რომ მარტო ეს იციან ავღანელ ქალებზე და მეტი არაფერი. მთელი ქვეყნიერება მარტო

იმას ხედავს, რა უბედურები არიან, როგორი ღირსება-აყრილები, თავმოყვარეობა შელახულები... თუ დამიჯერებთ, თავად ავღანელ ქალებს სულაც არ მოსწონთ, გაუბედურებული მსხვერპლის იმიჯის ტარება, გვეუბნებიან, რატომ იმას არ ხედავთ, როგორი ამაყები და ძლიერები ვართო. მართლაც, რატომ არ ვამბობთ იმას, თუ რა გონებამახვილები, შრომისმოყვარეები, სწავლას მოწყურებულები და რაც ყველაზე თვალშისაცემია, ტანადები და ლამაზები არიან?

აი ახლაც, ჩემმა ფილიპინელმა კოლეგამ ფეისბუქით ავღანური გაზეთიდან ამონაწერი გამომიგზავნა (იცის რომ ავღანეთზე წიგნის დაწერა მინდა), თურმე, როზია დ.-ს ქმარი უშვილობის გამო ორი წელი სცემდა. ბოლოს, როცა ცემისგან მისიკვდილებული საავადმყოფოში ექპერტიზაზე წაუყვანიათ, როზია ქალიშვილი აღმოჩენილა. რა გინდა რომ თქვა? უკომენტაროდ! არადა სახელის გატეხვას რა ვუთხარი, თორემ, რა საქმე აქვს ამ შემთხვევას კერძო ავღანურ მოვლენასთან? განა ევროპასა და ამერიკაში, რუსეთზე აღარაფერს ვამბობ, ცოლებზე არ ძალადობენ? „ბიოტ, ზნაჩიტ ლუბიტ!“ რა, ავღანურ წიაღში დაბადებული ფრთიანი ფრაზაა, ან „ქალი სამზარეულოში ვიცი მე!“

ახლახან მინა შერზოის პრეზენტაციას დავესწარი „ავღანურ-დასავლური კულტურულ-ყოფითი სხვაობების“ თაობაზე. რაც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა იმ პრეზენტაციიდან ის იყო, რომ მინას თქმით, მოდაში ნამდვილი პრობლემებიდან ავღანელ ქალთა პრობლემებზე ყურადღების გადატანა შემოვიდა. „რა ხანია, ავღანელი ქალების მენტალური განვითარების პროექტებზე ვმუშაობ და მხოლოდ ახლაღა მივხვდი, რომ ავღანეთში ქალის პრობლემა არ არის, ავღანეთში დღეს კაცებს ჭირდებათ განვითარება და განათლება, ქალებს

რომ წამოეწიონ. ყველა ომი, ყველა ახალი წესი და კანონი ქალების კისერზე ტყდება, ყველა რეპრესია ავღანეთში მხოლოდ ქალებს ეხება და ამიტომ გამოუმუშავდათ ავღანელ ქალებს, კაცებთან შედარებით, უფრო მძაფრი ლტოლვა პროგრესისა და თვითდამკვიდრებისკენ." – განაცხადა მან.

მინა ავღანელი დიპლომატის ოჯახიდანაა, უკვე ორი ათეული წელია რაც კალიფორნიაში ცხოვრობს და ამერიკის მთავრობის პროექტებში მუშაობს, ხოლმე, ავღანეთში. ორივე კულტურის, ავღანურისაც და ამერიკულისაც, კვალიფიციური სპეციალისტია და ამიტომ მე მის დასკვნებს სავსებით ვენდობი. „ავღანეთის ომებით მთელმა მსოფლიომ მოიგო და მარტო ჩვენ ნავაგეთ: კომუნიზმი დაინგრა, გერმანია გაერთიანდა, პაკისტანი აშენდა, ჩვენ კი, ხალხი დაგვეხოცა და ქვეყანა თავზე დაგვემხო" – ესეც მისი სიტყვებია და რარიგ გულსაკლავი!

მე და ნაბილამ (ნაბილა ქადირი. გვარებს იმიტომ არ ვურთავ, რომ ამ ქვეყანაში სახელი გვარზე მნიშვნელოვანია. ავღანეთში მეც მისის მანანას მეძახიან და არა მისის დუმბაძეს, თან, თურმე, დუმბაძე, დარიზე კუდის ქიცინს ნიშნავს. ვინც ეს გამიმხილა, მირჩია, დაივიწყე გვარი, მშვენიერი სახელი გქვია და ის დაწერეო). უამრავი ფოტო გადავიღეთ. კარგი ფოტოები გამოვიდა და ვახარე, ამ ფოტოებს ფეისბუქზე დავდებ მეთქი. საცოდავი თვალებით შემომხედა და მითხრა, მაგას ნუ მიზამო. კარგი, არ ვიზამ მეთქი დავპირდი.

– აბა, ეს ამდენი სურათი რად გინდა? – ვკითხე მე

– ეს ჩვენი მეგობრობის სახსოვარი იქნება. ალბომსაც ასე დავარქმევ – „მეგობრობა მანანასთან"! – მიპასუხა ნაბილამ.

ნაბილა ჩვენს პროექტში გენდერულ ნაწილს ხელმძღვანელობს და ავღანელ ქალებს ბიზნესის განვითარე-

ბაში ეხმარება. ქალებთან შეხვედრებზე მეც დავყავარ ხოლმე, გენდერის პროგრამის წარმატებებზე ესსე რომ დავწერო.

ბრონირებული მანქანის ფანჯრიდან ბურკიანი ქალების ჯგუფს ვხედავ, ერთად გადადიან გზაზე, ეტყობა, ერთი კაცის ცოლები არიან, მე მათ ინტერესით ვაყოლებ თვალს და ამ დროს, ნაბილა ამაყად მეუბნება:

– ასეთი ორი მაქვს, ერთი აქ და მეორე სოფელში.

გაკვირვებისგან პირი დავაღე, ესეც შენი გენდერის პროგრამის ხელმძღვანელი. ამან როგორ უნდა მოუწოდოს სხვას თავისუფლებისაკენ მეთქი, გავიფიქრე და ეს გაკვირვება რომ არ შემტყობოდა, რა ფერის ბურკა გაქვს მეთქი, ვკითხე.

– ბურკა ლუჯი ან ცისფერი უნდა იყოს, საერთოდ ოთხი ფერის ბურკას ატარებენ: შავს, თეთრს, ოქროსფერს და ცისფერს, მაგრამ ყველაზე მიღებული ლურჯი ან ცისფერი ბურკაა, ქაბულში ცისფერია მიღებული.

მოგვიანებით, გრეისიმ (ჰეზერ გრეის ჯონსი), რომელიც ავსტრალიელია და უკვე 7 წელია ავღანეთში ცხოვრობს მითხრა, რომ ნაბილა ნანდაგარიდანაა და იქ ბურკის გარეშე ქალი კიდევ ერთი მილიარდი წელი ვერ გაივლისო, ამიტომ, სოფელში რომ მიდის ბურკა თუ არ ჩაიცვა, იქიდან ცოცხალი ვერ ჩამოაღწევსო. ეგ კი არა, ნანდაგარში უცხოელებიც კი ბურკაში დადიან თურმე. ასე, რომ გინდა გენდერული თავისუფლების მიმდევარი იყავი და გინდა მისი მგმობელი, ორივე შემთხვევაში თავზე ბურკა უნდა წამოიცვა და ისე აპროტესტო, ან დაიცვა ეს უბედური გენდერი ავღანეთში. ბურკა ყველანაირ აბჯარზე და ჯავშან-ჟილეტზე უტყუარი თავდაცვაა. ბურკით, საჭიროების შემთხვევაში, კაცებიც სარგებლობენ თურმე. კინოებში მინახავს და აქაც ყველაფერი მსგავს შემთხვევებს.

– ნაბილა, საცოდაობა არ არის ასეთ ლამაზ სახეს ფეისბუქზე რომ არ მადებინებ და მსოფლიოს დასანახად გენანება? – მაინც არ ვეშვები ნაბილას.

– შენ დახატული არ გინახივარ, ქორწილში, ან რამე სხვა წვეულებაზე რომ მივდივარ ხოლმე, მაშინ უნდა ნახო, რა გოგო ვარ, დავნაძლევდეთ, რომ ვერ მიცნობ.

– კი მაგრამ ასეთს რას იხატები, რომ ვერ გიცნო?

– ისეთი მაკიაჟი მაქვს, ყველა იბნევა, მეკითხებიან, ვინ ხარო!

ამეტებს მეთქი, ვფიქრობ, მაგრამ ოფისში დაბრუნებულს, ფრენსის ჰარდინიც ზუსტად იგივეს მეუბნება.

– წარმოგიდგენია, ჩემმა ასისტენტმა, უფაქიზესმა და უნაზესმა ზუხრამ დღეს თავისი ნიშნობის სურათები მომიტანა და შთაბეჭდილებიდან ჯერაც ვერ გამოვსულვარ. ეს ჩემი ბავშვივით მიამიტი, მორცხვი, უმწიკვლო გოგონა ისე გამომწვევად მოღებულ კაბაში იყო გამოწყობილი და ისეთი ვულგალური მაკიაჟი ედო სახეზე, უმაღლესი კლასის მეძავს შეშურდებოდა. თოჯინას ჰგავდა, უსიცოცხლო, ვულგარულ თოჯინას.

– მერე რა – უპასუხა ფრენსისს გრეისიმ – ეს არის ამათი კარნავალი, სპექტაკლი, პრემიერა, რომელიც ათასში ერთხელ ეწყობა, მე ამ მაკიაჟს კაბუკის ვეძახი და ძალიანაც მომწონს. ეს უფრო შოუს ჰგავს, კლოუნადას, ერთმანეთის დასანახად და შესაფასებლად მოწყობილ მასკარადს. აქაც არიან მდარე და გენიოსი რეჟისორები. მერწმუნეთ, ძალიან საინტერესო სანახაობაა, მე უამრავ ქორწილში ვარ ნამყოფი და ათასნაირი ასეთი სპექტაკლის მომსწრე გავმხდარვარ. ამ დღეს ავლანელი ქალის შემოქმედებითი ვნებების მუხრუჭები სრულიად მოშვებულია და იგი საკუთარი სხეულის მორთვა-მოკაზმვისა და მოხატვის მწვერვალებს იპყრობს. მე ამ შემოქმედების შედეგრებიც მინახავს და კიჩიც.

ამ არგუმენტის კომენტირებას ნამდვილად აზრი არ ჰქონდა, ვერც შევძლებდით და ამიტომ, ყველანი უხმოდ დავეთანხმეთ გრეისის.

მე და ნაბილა სავაჭრო პალატიდან ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით. ნაბილამ ჩემთან „მეგობრობა დაამყარა", მე – დანარჩენ უბრალო ავღანელ ქალებთან. დიდი სკის ერთი პატარა ფიჭა ამოვავსე ტკბილ-მწარე ავღანური თაფლით. დანარჩენი ფიჭები ჯერ-ჯერობით ცარიელია, მაგრამ ჩემი ამბავი რომ ვიცი, სადღაც მაინც გავძვრები და იქიდანაც გამოვაყოლებ ცოტაოდენ ნექტარს ამ უჭრელესი მინდვრიდან, თანაც, გაიხსენეთ აბა, მე ხომ ქართული ჯიშის ფუტკარი ვარ და ყველაზე დიდი ხორთუმი მაქვს. სულ ღდინში ჩავყვები და ყველა გახსნილი ღრიჭოდან იმაზე მეტს ამოვწოვ, ვიდრე ჩემი კოლეგები ღია კარებიდან ახერხებენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ მინდვრის შუაგულში ცეცხლის მფრქვეველი გველეშაპი ზის და არ მინდა საქმე ისე გავიხადო, აქედან საკუთარ ბაღამდეც ველარ ჩამოვაღწიო. ჰოდა ვზივარ ჯერ-ჯერობით „ბარონის" ოაზისში და ჭუჭრუტანიდან ვუმზერ ფირუზისფერ ცაზე მოფარფატე ჭრელ-ჭრელ ფრანებს.

თავი 4

„ფაინესტი“ გუდვილის ტიპის სუპერმარკეტია. ასეთი ქაბულში ოთხია. ორი თალიბანების წარგზავნილმა „თვითმკვლელმა“ ყუმბარებმა ერთხელ უკვე იმსხვერპლეს და იქ ჩვენს წაყვანას ერიდებიან. დავდივართ ნაკლებსახიფათო „ფაინესტში“, რომელიც ბარონთან ძალიან ახლოა. ფაინესტზე ავღანელებს დაახლოებით ისეთივე წარმოდგენა აქვთ, როგორც ჩვენ „გუდვილზე“, ანუ, ვისაც ჭამა გვიყვარს, კარგი, იაფი ბაზარი გვირჩევნია. დიანას ავღანელი მეგობრები ამ საქმეში გვეხმარებიან და ქაბულის ბაზრიდან ჩვენთვის ცოცხალი პროდუქტი მოაქვთ, მაგალითად, იქვე დაკლული და გატყავებული წიწილა. ავღანეთში ქათამს ჩვენსავით არ პუტავენ – ატყავებენ და ისე ამზადებენ, უქოლესტერინოდ!

„ფაინესტში“ დახლებსა და რიგებს შორის დაცვა დაგვყვება. ყველაზე მყუდროდ მაშინ ვგრძნობ თავს, როცა ფატი (პატრიცი) გვახლავს. ფატი საშუალო სიმაღლის, ხმელი ირლანდელია, საოცრად მორიდებული და თბილი ღიმილით. ფატი (დუგლას ქეროლი, Douglas Carroll) ჩვენი ბრიტანული სპეცნაზიდანაა. სადაც კი დედამიწა გაცხელებულა და აბობოქრებულა, ყველგან ნამუშევარია: აფრიკაში, აზიაში (შუა და შორეულ), აღმოსავლეთში (ასევე შუა და შორეულ), ჩეჩნეთში არ ვიცი, მაგრამ ახლო-მახლო, ალბათ, ნამყოფია სადმე – ერაყში, ირანში... ბავშვივით უმანკო და სანდომიანი თვალები აქვს, სულ თავდახრილი დადის და როცა გელაპარაკება, თვალებს მორცხვად ხრის, ბრიტანე-

ლი სპეცნაზელებისგან გამართულ, გასაგებ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს. ძველ ქართველ ინტელიგენტს ჰგავს, უსამსახუროს და ჩარეცხილს. დაცვის ბიჭებიდან ფატი ასაკითაც გამოირჩევა, იქნება ასე ორმოც წელს მიღწეული. ეტყობა წინა ხაზიდან უკვე დათხოვილია და ახლა კერძო კომპანიებზე მუშაობს, თორემ მისი გამოცდილების კაცს „ბარონი“ და ჩემი დონის ობიექტები ნამდვილად არ ეკადრება.

დიახ, ეს ჩია, ცისფერთვალება, სანდომიანი, უაღრესად მორიდებული და იუმორით აღსავსე ირლანდიელი, თურმე, ერთ დროს თავზარს სცემდა თალიბანებს და ავღანეთის მთებში მასზე ნადირობა იყო გამოცხადებული. თალიბანებს კი გადაურჩა, მაგრამ ახლა მე ფრენსისი და დიანა ვუშრობთ ხოლმე სისხლს, რადგან, როცა მანქანას ვუკვეთავთ საყიდლებზე წასასვლელად, ყოველთვის ფატის ვითხოვთ. იმას კი, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ უხარია სამი ქალის დევნა მაღაზიებში. მაგრამ პროფესიონალი მაღაზიაშიც პროფესიონალია. ისე ვერთობი მისი ყურებით, რომ ხანდახან მავიწყდება კიდეც, რისთვის ვარ წამოსული. ვერცხლისწყალივით მოძრავია, მსუბუქი, სულ რომ არ ელი, იმ ადგილიდან ამოყოფს ხოლმე თავს, სპეციალურადაც რომ მიაყურადო, მის ფეხის ხმას ვერ გაიგებ, თითქოს საერთოდ არ არის იქ და ამ დროს, მუდამ შენს გვერდითაა, როცა არ უნდა მოიხედო. ალბათ, უჩინმაჩინის კურსებიცა აქვს გავლილი, თორემ ასეთი ოსტატური გაუჩინარება და გამოცხადება მხოლოდ ცირკში მინახავს ბავშვობაში. თვითონ ფატი თავის სამხედრო საქმეებზე და თავგადასავლებზე არასდროს ლაპარაკობს. მისი და თალიბანების ამბავი ერთმა თანამშრომელმა მომიყვა. იმან საიდან გაიგო, არ ვიცი. ასე მგონია, იტყუება, თორემ ყველა-ყველა და, სისხლისმსმელი ფატი ძალიან ძნელი წარმოსადგენია.

19 აგვისტო ავღანეთის დიდი დღესასწაულია – ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნიდან განდევნის და დამოუკიდებლობის დღე. წელს ამ დღესასწაულს 92 წელი უსრულდება და ავღანელები უკვე ორი დღეა ზეიმობენ. მართალია, სრულიად ვიზიარებ ავღანელი ძმების სიხარულს, მაგრამ ამ სიხარულმა ჩემი ისედაც შეზღუდული თავისუფლება კიდევ უფრო შეზღუდა. საქმე ისაა, რომ სადაც ნებადართული გვქონდა წასვლა, ახლა იქაც აღარ გვიშვებენ. დაცვა გვეუბნება, სახლში დაატიეთ უკანალები, გული თუ გულობს, მჭადი ორივე ხელით იჭმევაო (საიდან იცოდა ბრიტანულმა დაცვამ ეს ქართული ანდაზა აზრზე ვერ მოვდივარ). იქ არ შეიძლება, აქ არ შეიძლება, პროდუქტები ადრე მოგემარაგებიათ, თქვენი ხმა არ გავიგონოთო... აბა, რას იზამ ამის შემდეგ, უნდა დაემორჩილო... შეიყუჟო შენს ბუნაგში და ყველაზე უკეთესი – სევდისაგან დალიო.

ვესნამ შემზარავი ინფორმაციით გამაღვიძა, ტელევიზორი ჩართე, ბრიტანეთის საბჭოს შენობა ააფეთქესო. ექვსმა „თვითკმვლელმა ბომბმა" მოახერხა ბრიტანეთის საბჭოს შენობაში შეღწევა (ძალიან მიკვირს, როგორ ახერხებენ, ეტყობა ძალიან მოტივირებულები არიან და ჰიპნოზის ნიჭიც აქვთ, ასე მოხერხებულად რომ აცურებენ, ხოლმე, ცხრაკლიტულის მცველებს). თავიც აიფეთქეს და ცხრა პოლიციელიც გაიყოლიეს უკან, თუმცა, ბოლომდე არა, რადგან თვითმკვლელებისთვის სამოთხის კარი ღიაა, აი პოლიციელებისთვის კი – არ ვიცი. ამ აფეთქებას კიდევ რამდენიმე სხვა აფეთქებაც მოჰყვა ქაბულის გარეუბნებსა და ავღანეთის სხვადასხვა პროვინციებში. მოკლედ, ასეთი „ფოიერვერკით" დააგვირგვინა ავღანეთმა ბრიტანეთისგან განთავისუფლების 92-ე წლისთავი. იმედია, აშშ-სგან „განთავისუფლების" 92-ე წლისთავზე უკვე არც აქ და არც სადმე

სხვაგან ახლომახლო აღარ ვიქნები. ჩემს საყვარელ საქართველოს მიწას ვიქნები მიბარებული ბედნიერად. „ეგ შენ არ იცი, ეს ცხოვრებაა!“ – პასუხი მზადა აქვს ჩემს ავღანელ მეგობარ მუსტაფას.

„ბარონი“ ისეთი „ქვეყანაა“, სადაც სულ დაძაბული უნდა იარო, როდის ჩაგირთავენ განგაშს (ჰო, ნამდვილ განგაშს), არასდროს იცი, მაგრამ, როგორც ყველა სხვა ქვეყანა, „ბარონიც“ ხალხითაა დასახლებული და აქაც ათასი კურიოზი ხდება, ხოლმე. აი, მაგალითად, ჩვენს გვერდით კორპუსში ერთ ამერიკელს გაზის ქურა აუფეთქდა. საწყალი, გაზის ბალონი ცხოვრებაში არ ჰქონდა ნანახი და მიუჩვეველმა, ღუმელის ჩასართავი ღია დატოვა. სამსახურიდან დაბრუნებული სახლში რომ შევიდა, ჯერ ხომ კინაღამ დაიხრჩო, მერე ღუმელმა იფეთქა და იმ სიშორეზე მოისროლა, დაცვის გამოძახება აღარ დასჭირვებია, დაცვის ოთხი ბრონირებული მანქანა უკვე იქ იყო. ეს კაცი კი გადარჩა ცოცხალი და უვნებელი, მაგრამ მთელი „ბარონის“ მასშტაბით საგანგებო მგდომარეობა გამოცხადდა. დაიწყო „თვითმკვლელი ბომბის“ ძებნა ძაღლებით და ნაღმსაძიებო აპარატებით. მოკლედ, სანამ ის კაცი გონს არ მოვიდა და საკუთარი პირით არ აღიარა, აფეთქების მიზეზი მე ვარო, მანამდე „ბარონი“ თავისი უცხოელი და ადგილობრივი ბინადრებით საგანგებო რეჟიმში იმყოფებოდა. ავღანელ მომსახურე პერსონალს გული უსკდებოდა, ვითომ ჩვენი აფეთქებები არ გვეყოფა, ახლა ამასაც ჩვენ დაგვაბრალებენო. საცოდავები გასუსულები იყვნენ, სამაგიეროდ, როცა გაიგეს, რომ ამფეთქებელი „ამერიკელი“ იყო, ისე გაიჯგიმნენ, ისეთი ტრიუმფალური ნაბიჯებით დააბიჯებდნენ გადაბუგულ დერეფანში, თითქოს „თვითმკვლელი ბომბები“ ამერიკელების გამოგონებული ყოფილიყოს.

მეორე დღესვე „ბარონის“ ყველა კორპუსში მოხსნეს გაზქურები და ელექტროქურების დამონტაჟება დაიწყეს. ამ საქმეს ერთი თვე დასჭირდა და შესაბამისად, სადილებს ძალიან შეზღუდულად, ერთ პატარა ელექტროქურაზე ვამზადებდით.

ერთხელაც, შესვენებაზე სახლში მოსულს, ჩემი კორპუსის შესასვლელთან ერთობ კომიკური სურათი დამხვდა. ვინც ჩემი თაობისაა, კარგად ემახსოვრება გენიალური ქართული ფილმი „სერენადა“, სადაც რამაზ გიორგობიანის „თავდასხმებისგან“ სასოწარკვეთილი, ათასი თეთრი უნიტაზით გარშემორტყმული ზოზო, როდენის მოაზროვნეს პოზაში ერთ-ერთ უნიტაზზე ზის და გონებაში მოუშორებელი ჭირის განადგურებას გეგმავს. ჩვენი სამეურნეო საქმეების დირექტორი ჰაშიმი, რომელიც ზომით არაფრით ჩამორჩებოდა ზოზოს, კორპუსის წინ, ზუსტად ისეთ პოზაში იჯდა ათასი თეთრი გაზქურით გარშემორტყმული და დარწმუნებული ვარ მარტო იმაზე ფიქრობდა, საკუთარი ხელით როგორ გამოეჭრა ყელი „ფოიერვერკის“ მომწყობისთვის. ამ სურათის შემხედვარეს ისტერიული სიცილი ამიტყდა. მე არ ვიცი ჰაშიმის რა გაახსენდა („სერენადა“ რომ არა, ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული), მაგრამ იმანაც ბევრი იცინა, თან დააყოლა, ეს რაა, ერთი ოცი წუთის შემდეგ გამოიარე და მხიარულება მერე ნახეო. ოცი წუთი არა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ მართლა მომიწია იქ გავლა და რას ვხედავ: თეთრ შალვარკამიზში გამოხვეული ჰაშიმი დიდი დავთრით ერთ-ერთ გაზქურაზე შემომდგარა და ორატორის შემართებით გაზქურების აუქციონს ატარებს.

– რა პრინციპით ჰყიდი? – ვეკითხები

– „ბარონის“ განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლის მიხედვით! – არ იბნევა ჰაშიმი. გავიგე, ის გაზქურები სულ

კაპიკებად დაუტაცია „ბარონის“ მომსახურე პერსონალს. ასე ჩატარდა აშშ-ავღანური პროექტის მორიგი ჰუმანიტარული აქცია და მიყენებული „ფსიქოლოგიური ტრავმის“ ერთგვარი საკონპენსაციო ღონისძიება.

თავი 5

საღამოობით, თავიდან ფეხებამდე ფეისბუქზე ვარ გადართული. ახლა მთელი საქართველო რობიკოს სამსახურიდან მოხსნას დასტირის, აპროტესტებს. ბობოქრობს, თავად მაესტროც! მე კი მგონია, რობიკომ ამ სიბერეში თავისი საუკეთესო სპექტაკლი დადგა და როგორც სჩვევია ტრიუმფით მიდის იქ, სადაც წითელი ხალიჩით ელიან, სადაც ჯერ კიდევ იციან მისი ფასი. სამაგიეროდ, რუსთაველის თეატრი ახლა დიდი ხნით ჩაუვარდება ხელში მამალ პროვინციალებს და დაიწყება რობიკოს – დიდი მაესტროს – მონატრების ერა. ერთი ასეთი შემოლაწუნება ნამდვილად სჭირდებოდა დამარცხებებისგან გაბრუებულ და დაქსაქსულ ქართულ ოპოზიციას. რობერტ სტურუა რომ არა, რუსთაველის თეატრი რომ არა, ვინ იყო გარეთ გამომსვლელი და ხელის გამძრევი. ვინ გამოვიდოდა „სანადიროდ"?

ოთხ კედელში არ ვიყო გამოკეტილი მორიგი განგაშის გამო, სულ არ გავერეოდი მარაქაში. „ბარონში" ყოფნამ საერთოდ ამომიტრიალა მსოფლმხედველობა. პრობლემას სულ სხვა განზომილებაში ვაფასებ, ფასეულობებს სხვა სპექტრიდან ვუმზერ, მოკლედ, ძალიან შორსა ვარ „მაღალი მატერიებისაგან" და მყარად ვდგავარ მიწაზე. მშვიდობის გარდა ყველაფერზე „ძალიან, ძალიან, ძალიან" მეცინება ჩემო ფეისბუქელო მეგობრებო. აბა?!

დღეს, მე და ტატო, ჩვეულებრივ, „პინგ-პონგს" ვთამაშობთ სპორტულ დარბაზში, რომელიც ამავე დროს, თურმე, ბუნკერიც ყოფილა: დახუთული, უფანჯრო,

ბეტონის კედლებიანი, ორსართულიანი, ოთხდარბაზიანი და შიდა აივნიანი „სარდაფი" სულ თეთრადაა შეღებილი, ამიტომ, ეს ბეტონის კედლები გულზე მძიმედ არ განევს. დარბაზი სულ დაკავებულია, იოგასაც აქ ვვარჯიშობთ, ჰოლში კი პინგ-პონგის მაგიდა დგას და ყოველდღე შვიდიდან ათ საათამდე წყვილების ტურნირები იმართება.

ტატოს მობეზრდა ჩემნაირ „ფრაერთან" თამაში და გადაწყვიტა, ვიდრე აქ არის, კლასი ამამაღლებინოს, ცოტა თვითონაც ისიამოვნოს ჩემთან თამაშით და რაც მთავარია, წყვილებში თამაშის დროს საქართველოს ღირსების აყრის უფლება არ მომცეს. მე, რაც შემეხება, ისეთი აზარტული ვარ, „ჟილკობასაც" არ ვერიდები, რაც აქ სრულიად მიუღებელია. თუ არ გამდის და ვაგებ, ვიბოღმები... მოკლედ, თუ თამაში არ გამოვასწორე, ხასიათი საბოლოოდ გამიფუჭდება, აქ კი ეს კატასტროფის ტოლფასია, ამიტომ სრულ მობილიზაციას ვაცხადებ, ძალიან ვინდომებ და ტატოს აქ ყოფნაში, „ბარონის" აბსოლუტური ჩემპიონები ვხდებით!

– შენ მთავარია ბურთი გადაიტანე და დანარჩენს მე მივხედავ, – მეუმბნება ტატო და მეც მზად ვარ, ნებისმიერი „პადაჩა" სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, მაინც არ გავმაზო.

დღეს, მოთელვისას, თავზე დაგვადგა დიანა და გვითხრა, მორჩით თამაშს, შეიძლება განგაში გამოაცხადონო. ქაბულში, განსაკუთრებით, ქაბულის საერთაშორისო აეროპორტში (რომელიც ჩვენგან ორ ნაბიჯშია), „თვითმკვლელი ბომბების" შემოტევას ელოდებიანო. განგაშის სერიოზულობისა და მისი რეალურობის წინაშე პირველად დავდექი. რა უნდა ქნას ამ დროს კაცმა, პირადად მე აზრზე არა ვარ, ტატო რუსეთ-საქართველოს ომის ხაზზე ცხოვრებას არის მიჩვეული და აღელვებას არ ჩქარობს. მე შიშისგან ისტერიული სიცილი მიტყდება.

– ხომ ვამბობდი, ეგენი ყანდალარით არ დაკმაყოფილდებიან, მაგათ ქაბულის აღება უნდათ მეთქი, ჩემი ყურით მოვისმინე ტელევიზორში! – ვამბობ მე და ნერვიულად ვაწვდი ტატოს ბურთს. ტატო „ტოპკებს მიწევს“ და მეც ვურტყამ და ვურტყამ... კარგად გამომდის.

– არა, რა თავგადასავლობანა ავიტეხე ამ სიბერეში? დედაჩემს ამერიკაში ვგონივარ და აქედან თუ ჩამასვენეს... თვალებში როგორ შევხედო მერე? – ვოხუნჯობ კიდეც.

– მე ბრონეჟილეტი არ მეტევა. – ამბობს ტატო და ისეთ ტოპკას მირტყამს, ბურთი კედელზე კვერცხივით სკდება.

– მე ჩემსას ადგილიდან ვერ ვძრავ, „კასკა“ კი პატარა მაქვს – ვეჯიბრები ტატოს.

– ეტყობა შენი და ჩემი ჟილეტები აერიათ, უნდა გავცვალოთ!

– ორივე შენი იყოს, მე მაგ სიმძიმის მთრეველი მაიც არა ვარ.

– განგაშის დროს პასპორტები და სხვა საჭირო საბუთები თან იქონიეთ! – ცეცხლზე ნავთს გვისხამს დიანა – გამოუცდელები ხართ და იმიტომ გაფრთხილებთ წინასწარ.

ბაღში გავიხედე და რას ვხედავ, ბრიტანული დაცვა მთელი შემადგენლობით მშვიდად ზის ლამპიონის ქვეშ მაგიდის გარშემო და ლუდს ურტყამს.

– ეს რა არის? – ვეკითხები დიანას.

– სამაგიეროდ, ავტომატებასხმული მთელი ავღანური დაცვა სახურავეებზე, ბარონის მთელი ტერიტორიაზე და გასასვლელებშია განლაგებული. რამე რომ მოხდეს, იცოდე, ტუალეტი ყველაზე უსაფრთხო ადგილია, კუთხეში უნდა ჩაჯდე და გამოსვლის ნიშანს დაელოდო.

– რა მინდა მარტო ტუალეტში, ხომ გავგიჟდი! ერთად ვიყოთ, მე განგაშის დროს სახლში მარტო არ გავჩერდები!

– კარგი, ბატონო, ჩემთან წამოდი, – მეუბნება დიანა

– აბა რას ვიზამ, ტატო?

– მე დავიძინებ. სხვა, უკეთეს გამოსავალს ვერ ვხედავ – ამბობს ტატო და იზმორება.

– მე მარტო არ დავრჩები! – ჯიუტად ვიმეორებ მე, საერთოდ არ შევალ სახლში!

– კარგი, მაშინ სამივემ ერთად დავიძინოთ!

მოკლედ, ყველაზე მშიშარა მე გამოვდექი, რადგან ერთად დაძინების იდეა არავინ აიტაცა.

– წამოიღე შენი ჟილეტი და წამოდი ჩემთან, – მეუბნება დიანა.

– მე იმ ჟილეტის ადგილიდან დამძვრელი არა ვარ, მაგას ტუალეტში სიკვდილი მირჩევნია, – ვამბობ მე და ამით ვამთავრებთ ოთახიდან ოთახში გადაადგილებაზე კამათს. დიანა ისევ საგანგებო მდგომარეობის დროს მოქცევის წესებს მასწავლის (მან ერთი თვის წინ, იორდანიაში ამის სპეციალური კურსი გაიარა), თან ისე დაჟინებით, რომ ვხვდები, საკუთარი თავის დაცვა თუ არ ვისწავლე, კრიტიკულ მომენტში „მიშველე"-ს ყვირილი სხვადასხვა ენაზე (თუნდაც პაშტუსა და დარიზე) არ მიშველის...

გამახსენდა, რომ დილას, როცა დიანასთან ერთად „ფაინესტში" წასვლის ნებართვა ვითხოვე, დაცვის მორიგემ მითხრა, როცა დაბრუნდებით, აუცილებლად შემატყობინეთო. დაბრუნებულმა რომ დავურეკე, მანანა ვარ, დავბრუნდი და გატყობინებთ მეთქი, იმან გაკვირვებულმა მკითხა, რამ შეგაწუხათო. ძლივს გავახსენე, რისთვის ვურეკავდი. მთელი ღამე არ მიძინია განგაშის მოლოდინში და ამ ამბების წერაში კიდეც დამათენდა. არა-

ვითარი განგაში არ ამტყდარა, თუმცა, ნატოს ბაზიდან რამდენიმე აფეთქება და განგაშის ხმა მაინც დავაფიქსირე. გაიგე ახლა, ნამდვილი იყო თუ იმიტაცია? ამას ყველაფერს, დილას, ალჯაზირა მეტყვის, თორემ ამათგან ხომ სიმართლეს ვერ ეღირსები ასი წელი. ჩვენს სტრესებს ერიდებიან. ბედი არ გინდა, ეტყობა სტრესის მოსახსნელად, პირველი, რაც დილას ელექტრონული ფოსტით მივიღე, არც მეტი – არც ნაკლები, განგაშის დროს მოქცევასთან დაკავშირებული სპეცინფორმაცია იყო, „ფერმესის" დაცვის სამსახური, „სასწრაფოდხელდასავლებ ჩანთაში" (GRAB BAG) ჩასაწყობი აუცილებელი ნივთების სიასაც მატყობინებდა.

საიდუმლო ინფორმაციას გამოვტოვებ და „გრებ ბეგის" შიგთავსის სიას შემოგთავაზებთ. რა იცით, რა ვითარებაში და როდის დაგჭირდებათ იმის ცოდნა, თუ რას უნდა დაავლოთ ხელი და ჩადოთ ჩანთაში ექსტრემალურ შემთხვევებში?

ვინაიდან ეს ზოგადი გზამკვლევია, მასში შესწორებები შეგიძლიათ ვითარების შესაბამისად შეიტანოთ. აქვე უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი „გრებ ბეგი" 8 კილოს არ უნდა აღემატებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მანქანაში თქვენს გარდა აუცილებელი აპარატურაც უნდა ჩაეტიოს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, თუ საჭირო გახდა, თქვენი გუნდის წევრების ევაკუაციისათვისაც უნდა დარჩეს ადგილი.

ესეც „გრებ ბეგი":

- პასპორტი;
- ადგილობრივი, ორგანიზაციის, ან საელჩოს აღმნიშვნელი მოწმობები;
- ყველაზე მთავარი პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და მათი ასლები;
- მართვის მოწმობა და მანქანასთან დაკავშირებული სხვა საბუთები;

- 500.00 დოლარი ნაღდი ფული;
- საკრედიტო ბარათები და საჭირო პირადი ჩანაწერები;
- დატოვებული ნივთების სია;
- გამოსაცვლელი ტანსაცმელი: ხუთი ხელი საცვალი და ხუთი წყვილი წინდა;
- ჰიგიენის საშუალებები;
- პირველადი დახმარების საგნები და მედიკამენტები;
- მწერების საწინააღმდეგო და მზისგან დამცავი კრემები;
- ტუალეტის ქაღალდი;
- სასმელი წყალი;
- ზოგ ადგილზე შეიძლება გამოგადგეთ საძილე ტომარა, ზეწარი ან კოღოებისგან დამცავი ბადე/ფარდა.

ახლა რაც შეეხება მედიკამენტებს, შეგახსენებთ, რომ თქვენი ბრონირებული მანქანა და დაცვის პერსონალი აღჭურვილია ტრავმისა და მძიმე ჭრილობებისთვის საჭირო ყველა საშუალებებით და მაინც თან იქონიეთ:

- იმოდიუმი (Imodium);
- რეგიდრატიული ფხვნილები (Rehydration powders);
- ბინტების ნაირსახეობა Bandages (various);
- სამედიცინო ლენტი (Medical tape);
- ანტისეპტიკური საშუალებები (Antiseptic solutions/ cream);
- თვალის წვეთები (Eye drops);
- ყურის წვეთები (Ear drops);
- ანტიჰისტამინური კრემი (Anti-histamine cream (Anthisan);
- პარაცეტამოლი (Paracetamol);
- იბუპროფენი (Ibuprofen);
- ლეიკო პლასტირები და სახვევები (Plasters/Band-Aids);

• სველი ხელსახოცები (Wet wipes);

• სტერილური მარლის კომპრესები (Sterile gauze pads);

• გულის რევის საწინააღმდეგო აბები (Anti-nausea tablets);

• ლატექსის ხელთათმანები Latex gloves.

იმედია, ჩვენი გზამკვლევი დაგეხმარებათ საკუთარი „გრებ ბეგის" ჩალაგებაში. ჩანთა შეინახეთ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, ისე, რომ საჭირო მომენტში არ გაგიჭირდეთ მისი დანახვა და უცბად ხელის დავლება. რა იცი, რა ხდება!

ბრონირებულ ლენკრუიზერთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ: მე და ნაბილა ბაღიზანანადან (ხომ გახსოვთ – ქალების ბაღჩა) ვბრუნდებოდით. პიკის საათი იყო და საცობში მოვყევით. მანქანებს შორის გაძრომ-გამოძრომის დროს, ჩვენმა ჯიპმა ერთ დანჯღეულ, მეორადი თუ მეორასედი მოხმარების და გაურკვეველი მარკის მანქანას ცხვირით დაეჯახა. შეჯახება რბილი იყო, მაგრამ გზიდან გადადგომა მოგვიწია და ცოტა არ იყოს, დავიძაბეთ. მსუბუქი მანქანიდან, რომელსაც დავარტყით, ნელ-ნელა მგზავრები გადმოდიოდნენ: ერთი, ორი, სამი... ალბათ, ათზე მეტნი იყვნენ. ბოლოს ბურკიანი ქალი გადმოვიდა, ჩვილი ბავშვით ხელში. გული შემიქანდა, მაგრამ საბედნიეროდ, არც მგზავრებს და არც მანქანას ნაავარიების არაფერი ეტყობოდა. მძღოლმა და „შუთერმა" ჩვენს წასაყვანად „ბარონიდან" ახალი ჯიპი გამოიძახეს. მე და ნაბილა მანქანიდან გადმოგვსვეს. ტროტუარზე რომ გადმოვედი და ჩვენს გასისინებულ, გიგანტურ ლენდკრუიზერს შევხედე, თვალები გამიფართოვდა: მანქანას წინა მარჯვენა მხარე თითქმის ბოლომდე ჰქონდა წაღებული, ბამპერი გატეხილი და მომძვრალი, ფარი შეჭყლეტილი და

ჩამსხვრეული, კიდევ რაღაცეები, რისი სახელებიც არ ვიცი, შენგრეულ-შემოგლეჯილი, მოკლედ, ისეთი სურათი დაიხატა, იმ ავღანელ დაზარალებულებს ჩვენი საცოდაობით მგონი გულიც კი დაეწვათ.

– კი მაგრამ, რას ჰგავს ეს, ამის იმედით დავდივართ ფრონტის ხაზზე? – ვცადე მეხუმრა.

– დარტყმა თუ იგრძენი? – მკითხა შუთერმა.

– ისე რა, თითქმის არა.

– ჰოდა, იმიტომაც. ეს რომ ასე არ მინგრეულიყო, უთუოდ იგრძნობდი!

– კიდევ კარგი, იმ ხალხს არაფერი დაემართა! ნახე, პატარა?.. გული კინაღამ გამისკდა...

– მალე მოგაკითხავენ და წაგიყვანენ, არ ინერვიულო.

რამდენიმე წუთში მეორე ჯიპმა მოგვაკითხა და „ბარონში" წაგვიყვანა. ნაბილა მთელი გზა ლოცულობდა, მე, პირიქით, რადიოგადაყლაპულივით ენას ვერ ვაჩერებდი, ახალ მძღოლს სულ წვრილ-წვრილად ჩავუკარკლე, რაც გადაგვხდა და, მე მგონი, რამდენჯერმე.

თავი 6

იმ დილას, „ალჯაზირას“ ავღანეთის თაობაზე დიდად სკანდალური არაფერი გამოუცხადებია, გარდა იმისა, რომ ყანდაღარში, ჩვეულებრივ, რამდენიმე „თვითმკვლელმა ბომბმა“ თავი აიფეთქა და ამას სულ სამიოდე ადგილობრივი პოლიციელი ემსხვერპლა. სამაგიეროდ, დულს და გადადულს აფეთქებებით მეზობელი პაკისტანი. საქართველო არსად მოიხსენიება, არც როგორც ტერორიზმის ბუდე, არც როგორც კრიმინალის აკვანი და არც როგორც დემოკრატიის შუქურა. როგორც ჩვენი მოძმე კავკასიელი იტყოდა ფილმიდან „კავკასიელი ტყვე ქალი“ – „აბიდნა ნუ!“ საქართველოში ახლა სანატრელი „ზასტოია“ და მშვიდობა სუფევს (რობიკო სტურუას მოხსნასთან დაკავშირებით ატეხილ სკანდალს თუ არ ჩავთვლით), ასე რომ, როგორც სვანურ ანეკდოტშია – „მოწყენილი ვარ!..“

ამ ჩვენ მეზობელ რუსებსაც ძილქუში ეტაკათ, ერთს რომ არ „შემოისეირნებენ!“ ყველა ნეტარებასაა მიცემული, მხოლოდ „მეტივეები“ შუხურობენ ხმამაღლა ფეისბუქზე „ვერ ჩაგვრეცხავთო!“. მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობაში კომკავშირის ცეკა ყოველ წელიწადს ხელოვნების „სომპოზიუმებს“ მართავდა ბაკურიანში და ყველა, აქტივისტიც და დისიდენტიც იქ დადიოდა. გია ფერაძე ამ ღონისძიებებს მოფერებით „სპირტბოზიუმს ეძახდა (არ დაგავიწყდეთ, რომ მაშინ „ბოზიუმს“, დღევანდელისგან განსხვავებით, სიგარეტის მოწევასაც ეძახდნენ). მოკლედ, შემოირბენდა ხოლმე ფარნა

ზაქარაია სხდომათა დარბაზში და ყველას გასაგონად გამოაცხადებდა, ვისაც საბჭოთა კავშირის დედის ტრაკის გინება გინდათ, მეათე ოთახში, დათო აგიაშვილთან მიბრძანდითო! ასეთი ზასტოი გვქონდა მაშინდელ „კომკავშირლებს“.

რამ გამახსენა ეს „სპირტბოზიუმი“ ზუსტად არ ვიცი. მაგას საღამოს ფროიდს „ჩავუჯდები“ და იქიდან გავარკვევ. ახლა კი საქართველოს მთავრობა მთელი შემადგენლობით ბათუმშია წასული და დოისეული „ქეთო და კოტეთი“ ხსნის ახალ წელთაღრიცხვას ქართულ ხელოვნებაში. „ქეთო და კოტეს“ პრემიერამ მართალია დიდი ვნებათაღელვით ჩაიარა, მაგრამ სულ რამდენიმე დღეში, სრულიად გადაფარა და გააუფერულა პრეზიდენტის მიერ დადგმულმა „აუზის“ ტრაგიკომედიამ, რომელმაც პიესის წამყვანი მსახიობების – რამდენიმე მომქმედი მინისტრის, პრესცენტრის თანამშრომლის, ფოტოგრაფის და „სუპერვარსკვლავის“ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას აშკარა დაღი დაასვა. მოკლედ, საქართველოში ამ პატარ-პატარა სტოკატოებს თუ არ ჩავთვლით, სრული განცხრომაა: ოპოზიცია მეტნაკლებად (მოსათმენის ფარგლებში) ატრაკებს, მთავრობა კი საკუთარი სრულყოფილებითა და წარმატებებით ტკბობის ზენიტს ეთამაშება, ხოლო ამ საყოველთაო განცხრომის ხანის სადარაჯოზე დგას არც მეტი – არც ნაკლები, ვანო მერაბიშვილი მთელი თავისი შსსთი და საპატრულო სამსახურით. ეს რა ძალაა, თავად მოგეხსენებათ!

საიდან სად წახვედიო... სად „ბარონი“ და სად ერეკლე! ისევ ფროიდი მჭირდება... და აი, ისიც... ჩვენმა სათაო ოფისმა ავღანეთში მომუშავე თანამშრომლებისათვის „სტრესის მოხსნისა“ და „გუნდის შენების“ საკითხების ექპერტი-ფსიქოლოგი მოგვივლინა. ჯგუფური

სეანსების დროს, ისე შემომელანძღა პროექტის პოლიტიკა, სტრატეგია და ტაქტიკა, თავის მენეჯმენტიანად, რომ კინაღამ მეორე დღესვე ეტაპით გამომაბრუნეს საქართველოში, მაგრამ ფსიქოლოგმა დენ ჰესმა ჩემზე ყველაზე დადებითი შეფასება დაწერა (ანუ, ეტყობა ყველაზე მეტად არის სამკურნალოო) და მომდევნო სეანსებზეც თავის ძირითად ჯგუფში გადამიყვანა (ეს არის საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებისგან აქვს შედგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავღანეთიდან წასვლის შემდეგაც კავშირს არ გაწყვეტს ჩემთან და „სტრესულ პირობებში" მუშაობაზე დაკვირვებებს ავღანეთიდან ჩემი დახმარებით ჩაატარებს).

კავშირი სკაიპით უნდა გვქონოდა, დღე და საათიც დავთქვით. ზარი თვეში ერთხელ უნდა განხორციელებულიყო. პირველ დარეკვაზე ვერ დამიჭირა, რადგან მე ბაღში ჩემს გუნდთან ერთად პინგ-პონგს ვთამაშობდი და სეანსი სულ დამავიწყდა. მეორეჯერ დამეძინა და სეანსი ამიტომ გამოვტოვე, მესამეჯერ კი შუა განგაშის დროს დავუკავშირდით ერთმანეთს და ისეთები ვუთხარი, რომ ერთი კვირის შემდეგ დაგირეკავო, მითხრა. იმ ერთი კვირის განმავლობაში „ბარონში" კიდევ ორჯერ გამოცხადდა განგაში და საუბარი ისევ ჩაიშალა. ბოლოს, როგორც იქნა დავუკავშირდით ერთმანეთს და თვითონ იყო ისეთ დეპრესიაში, მთელი საღამო მისი სტრესის მოხსნას მოვუნდი. ერთი თვის შემდეგ, კიდევ უნდა დაველაპარაკოთ ერთმანეთს. ვნახოთ, ვინ როგორ იქნება!

ოოო... დავუბრუნდეთ „ბარონს" (როგორ მინდა ვთქვა, ქაბულს, ავღანეთს, მაგრამ როგორ, იქ რომ არ ვარ? „ბარონში" რომ ვარ?). გუშინ დიანასთან და ფრენსისთან ერთად „ჩიანოში" წავედი. იტალიური სუპერმარკეტია აქვე „ბარონის" გვერდით. ამ გზას უკვე თვალდახუჭუ-

ლი ვაგნებ (ბრონირებული მანქანით, რა თქმა უნდა). არაფერი არ მჭირდებოდა, ოღონდ „ბარონის“ ტერიტორიიდან გავიდე და სულ ერთია, სად წავალ. ისევ გავყურებ გარეუბნის მტვრიან ქუჩებს, ტალახისგან ნაგებ ღარიბულ ქოხებს, გარე მოვაჭრეების დახლებს, მზეზე მიფიცხებულ, მტვრით გაუფერულებულ და მზეზე გახუნებულ ჩალმა-პერანგებში გახვეულ მოხუც მუსლიმებს, კაკლის მურაბასავით შავთვალება, ტიტლიკანა, მტვერში ამოგანგლულ და სახე მოდღურულ ბავშვებს და ვერ ვძღები მათი სილამაზით. ყველა ბავშვი ლამაზია, მეტყვით, მაგრამ ასეთი მოდღურულები და ასეთი ლამაზები, მარტო ფილმებში მინახავს. გოგონებს ჯერ კიდევ მოკლე კაბები აცვიათ, მაგრამ, უკვე თავსაფრები ახურავთ, ზურმუხტივით მწვანე თვალებს გრძელი, შავი წამწამებიდან აბრიალებენ და გახარებულები მანქანაში მსხდომთ ხელს გვიქნევენ, მეც ვუქნევ ხელს პასუხად და კოცნასაც ვუგზავნი. ამაზე სიცილით კვდებიან.

„ჩიანოში“ სულ რომ არაფერი იყიდო აუცილებელი პირველადი საჭიროების სურსათის გარდა, ორმოცდაათი ევრო მაინც დაგეხარჯება. დავიფიცე, ჩემი ფეხი აღარ იქნება-მეთქი აქ და დამავიწყდა, რომ ეს „ბარონიდან“ გაღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. ძაღლს რომ გაასეირნებენ ხოლმე ქალაქგარეთ და თავდავიწყებით დარბის უმისამართოდ, ისეა ხოლმე ჩემი საქმე „ჩიანოში“. ერთი პატარა ქილა მდოგვი, ერთი კილო შაქარი, ერთი ქილა სოსისი, 200 გრამი ყველი და ორი ბოთლი გრეიფრუტის წვენი 62 დოლარი დამიჯდა. ეს რომ ჩემმა ქმარმა გაიგოს, თავს მოიკლავს, 20 ლარად მთელი ნავთლულის ბაზარი მოაქვს, ხოლმე, სახლში.

ერთი ასეთი „ჩიანო“ „ბარონშიც“ გვაქვს, მინიმარკეტი, სადაც ხორცის გარდა, თითქმის, ყველაფერი იყიდება. აქაც ყველაფერს ცეცხლი უკიდია, იმ განსხვა-

ვებით, რომ ამ მარკეტში შევაჭრება მოსულა და მართალია, აქაც გატყავებენ, მაგრამ ორმხრივი კომპრომისის და კმაყოფილების ფონზე.

მარკეტის მეპატრონე და გამყიდვლები ახალგაზრდა, მხიარული, ხანდახან ზედმეტად მხიარული ყმაწვილები შეტლიკინებულები არიან დაცვის ბიჭებთან, ჩვენთანაც. სწორედ მაგათ აღმოაჩინეს, რომ ჩემი სახელი „დეიდა მანანა" პაშტუზე დიდ მადლობას ნიშნავს. ფასებს მიკლებენ ხოლმე და ამბობენ, ასეთი ფასი მარტო დეიდა მანანასთვის გვაქვსო (იტყუებიან, რა თქმა უნდა, მაინც ძალიან მიხარია). ამათი ძაღლიც კი სხვანაირად მიქიცინებს კუდს, თითქოს, ესეც დეიდა მანანას მეუბნება. ამით განსაკუთრებით ძაღლის პატრონი ერთობა, მეუბნება, მარტო შენი ხელიდან იღებს საჭმელსო (უთუოდ ეგეც მატყუებს, მაგრამ მე ესეც ძალიან მიხარია).

ძაღლის პატრონს ნაჯიბულა ქვია. შავგვრემანი, ტანადი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდაა, სპეციალობით კინელოგი, თავისი ორი ძაღლით „ბარონის" დაცვის სამსახურში მუშაობს, რამდენიმე წელია თავისი ძაღლებით, ავღანეთის სხვადასხვა პროვინციაში თალიბანების წინააღმდეგ იბრძვის. მისი ძალლები ყუმბარების, ნაღმების და იარაღის მეძებრები არიან. თეთრი, შავლაქებიანი სპანიელი „ბრუნოც" და – როტვეილერიც (სახელი არ ვიცი) „ბარონში" მუშაობენ. ბრუნო ჩემი უსაყვარლესი მეგობარია და ამის გამო, ნაჯიბულასაც ჩემს მიმართ განსაკუთრებული სიმპათია გაუჩნდა. სულ უნდა, რომ რამით მასიამოვნოს. ერთხელ ისეთი რამე მაჩვენა, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: ბისერის მძივით ნაქსოვი ცისფერი ავღანური სამაჯური-ხელთათმანი – სამაჯური და ზედ მიბმული ხუთი ბეჭედი. სამაჯურსა და სათითურ ბეჭდებს შორის მტევანზე, ასევე, ბისერისგან ნაქსოვი გაშლილი ვარდი იყო ჩაქსოვილი. ულამაზესი რამ იყო.

– ეს რა არის ნაჯიბულა, საიდან გაქვს? რა სილამაზეა! – ვკითხე და სამაჯურის ხელზე წამოცმა ვცადე, სამაჯური კი მომერგო, მაგრამ სათითურებში თითები არ შემეტია.

– პატარა გაქვს, – გულდაწყვეტით თქვა ნაჯიბულამ, ზუსტად ერთი კვირა ვაწყობდი და შენი ზომა არაა.

– ულამაზესია, შენ ქსოვ ამას, ნაჯიბულა?

– ჰო, ძალიან ძნელი ასაწყობია, მაგრამ მიყვარს ამის კეთება, დიდხანს ვუნდები, ხოლმე. კედელზე დაკიდე.

– რა ღირს?

– შვიდასი დოლარი, – ეცინება – ამას სხვას მივცემ, შენ ახალს გაგიკეთებ და გაჩუქებ.

– არა, ისე არ მინდა, უნდა გადაგიხადო, ვიცი, რაც ღირს სინამდვილეში ასეთი ნამუშევრები.

– შენგან ფული არ მინდა, შენ ჩემ ძაღლს ყურძენს აჭმევ და ისე უყვარხარ, უარს არ გეუბნება, – ეცინება და ბრუნოს თავზე ხელს უსმევს.

– რას ამბობ, მე მეგონა შენი ბრუნო გიჟდებოდა ყურძენზე, შენც ხომ აჭმევ?

– მე რომ ვაჭმევ, საჭიროა და უარს ვერ მიბედავს, აი, შენგან რომ ჭამს, ეგაა გასაკვირი!

– საწყალი ბრუნო, კიდევ კარგი მითხარი, თორემ მთელი მტევანი მქონდა მაგისთვის გადანახული.

უცებ ნაჯიბულა რაციით გამოიძახეს და ბრუნოიანად წავიდა, სამაჯურიც თან წაიღო და მომაძახა, ამაზე უკეთესს გაგიკეთებო. ვუყურებდი, როგორ მიყვებოდა ბრუნო შემართული კუდით თავის ავღანელ პატრონს და ჩემი ბავშვობის გენიალური ფილმი – „თეთრი ბიმი შავი – ყური" მახსენდებოდა. ბრუნო და ბიმი ძალიან გავდნენ ერთმანეთს, აი, ნაჯიბულასი და ტიხონოვის – რა მოგახსენოთ!

თავი 7

მე და დახუნდა (რავაჯუდინ დახუნდა) ერთ ოთახში ვსხედვართ. განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდაა – 32 წლის. ყავს ცოლი და ორი შვილი. ავღანეთის ამბებს ძირითადად დახუნდა მიყვება. ძალიან კარგი მთხრობელია, თან იცის, რომ ჩანაწერებს ვაკეთებ და უნდა, რომ სწორი შთაბეჭდილებები ავკრიფო. თავიდან, როცა ამას ვერ ვხვდებოდი, შემპარავ კითხვებს ვაპარებდი ხოლმე.

– რამდენი წლის იყავი ცოლი რომ მოიყვანე?

– ოცდახუთის.

– ოცდახუთი წლის რომ იყო, ჩემს შვილს უკვე მეორე ცოლი ჰყავდა, – მოვიტყუე

– თქვენთან კანონი არ კრძალავს მეორე ცოლის მოყვანას? – მეკითხება დახუნდა.

– კანონი არ კრძალავს, თუ პირველს გაეყრები და მეორეს ისე მოიყვან.

– ჰოო...

– შენ თუ შეგიძლია კანონით მეორე ცოლის მოყვანა? – გამოვიშტერე თავი.

– რა თქმა უნდა, შემიძლია, ოთხი ცოლის მოყვანა შემიძლია, მამაჩემს ორი ცოლი ჰყავს.

– მეცა მყავს ახლობელი ადამიანი, რომელსაც ორი ცოლი ჰყავს, მაგრამ მეორე არაოფიციალურია, თუმცა, ოჯახშიც და ახლობლებშიც ამას ყველა შეგუებულია, –„ვამშვიდებ" დახუნდას – ერთთან ორი შვილი ჰყავს, მეორესთან, სამი.

– ცალკ-ცალკე ცხოვრობენ?

– რა თქმა უნდა!

– ჩვენ ყველა ერთად ვცხოვრობთ, მამაჩემის ორივე ცოლ-შვილი, მხოლოდ ჩემი უფროსი ძმაა სახლიდან წასული თავისი ოჯახით, მაგრამ, გვერდით სახლში ცხოვრობს. ახლა უმცროსმაც მოიყვანა ცოლი და ისიც ჩვენთან ცხოვრობს. ამიტომ მყავს უამრავი ბიძა, ბიცოლა...

– ჩვენთან ორი ცოლი ერთად არ შეიძლება, არც ცალკე შეიძლება, მაგრამ ხდება, ხოლმე. წარმომიდგენია, ერთად რომ იცხოვროს ორმა და სამმა ცოლმა საქართველოში, რას უზამენ ჯერ იმ ქმარს და მერე ერთმანეთს, არცერთს ღერი თმა არ შერჩება თავზე.

– ჩვენში ეს კაცზეა დამოკიდებული, მამაჩემმა ისე მოახერხა, რომ ცოლები ერთმანეთს ხმამაღალ სიტყვასაც ვერ უბედავენ. პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს, ერთად ზრდიან ბავშვებს და ოჯახში სრული სიმშვიდე და ურთიერთგაგებაა. ეს იმიტომ, რომ გადამწყვეტი სიტყვა მამაჩემს ეკუთვნის. არასდროს მისცემს ქალს იმის უფლებას, რომ გადაწყვეტილების მიღებაში ჩაერიოს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომელიც ოჯახურ ურთიერთობებს ეხება. ამბობს, რამე თუ ისე არ ხდება, მე ვარ ამაზე პასუხისმგებელიო.

– კი მაგრამ, ეგებ ერთ ცოლს უფრო მეტად უყვარს და ეჭვიანობს მეორეზე, წყინს რაღაც-რაღაცეები?

– ამაზეც ეგ აგებს პასუხს და მართალი რომ გითხრა, იდეალურად აქვს საქმე ამ მხრივაც აწყობილი. ერთმანეთის წინაშე არასდროს არცერთი დაუმცირებია, ორივეს ერთი რაოდენობის ფულს აძლევს ხოლმე საყიდლებისთვის და არასდროს ყიდულობს ერთ რამეს, ყოველთვის – ორს. ასეა შვილების მიმართაც. აბა ჩვენი მეზობლის ოჯახში ცოლებს შორის ისეთი დაგნარია ატეხილი, ძაღლი პატრონს ვერა სცნობს! მამაჩემი მაგარია!

– ნამდვილად, მაგარი კაცი ყოფილა მამაშენი, – ვეთანხმები მე და ამბის გაგრძელებას ველოდები.

– ჰო, მაგარია, სამხედროა და სადაც მუშაობს, იქაც ეგეთი წესრიგი აქვს დამყარებული. ავღანეთის პოლიციის მთავარი აუდიტორია.

– თავიდან გეთქვა, შე კაცო, სამხედროა თქო, თორემ ისეთი ოჯახური ჰარმონია დახატე, კინალამ რჯულის შეცვლა გადამაწყვეტინე. დაამყარებდა წესრიგს, აბა რას იზამდა, მთელი ავღანური პოლიციის ფინანსებს თუ აწესრიგებს, ორი ქალის მოვლა ამასთან რა მოსატანია, – ორივეს გვეცინება.

– ისე, რა ადვილი მოსაქცევი ყოფილხარ? აკი ქართველი ქალები ასეო და ისეო... ქრისტიანობის გულისთვისო... ჰა სადაა ეს შენი ადათი და თავგანწირვა?

– სადაა ჩემო დახუნდა და იმ ქალებთან ერთად, რომლებზეც გიყვებოდი ასე და ისე თქო, ქრისტიანობისთვისთქო... წავიდა... გაჰყვა... – შენ რომ მეორე ცოლი მოინდომო, მოიყვან? – გამოვცვალე საუბრის თემა.

– თუ მოვინდომე, ვინ დამიშლის, მაგრამ ახლა არ მინდა! – ამაყად ამბობს დახუნდა.

– გაყრის უფლება არა გაქვთ?

– როგორ არა, კაცს აქვს, ქალს – არა, ქალს აქვს არჩევანის უფლება, გათხოვების წინ ეკითხებიან, გინდა თუ არა ეს კაცი ქმრადო და თუ თანხმობა თქვა, აქ თავდება მისი გადაწყვეტილების მიღების უფლებაც. ამის შემდეგ მას აზრის შეცვლა აღარ შეუძლია, თუ კაცი თავად არ გაშორდა. მაგრამ ეს ყველა ქალისთვის უდიდესი სირცხვილი და ტრაგედიაა. არც კაცია ყოველმხრივ თავისუფალი გაშორების საკითხში, განსაკუთრებული ან ძალიან ხელმოსაჭიდი მიზეზი უნდა ჰქონდეს, მაშინ შეუძლია გაყრა, ისე, წვრილმანის გულისთვის, ხასიათებში ვერ შევეწყვეთო, ჩვენში არ ეყრებიან.

– რა საინტერესოა...

– ეს კი არა, ქალის სახლიდან გაშვება მუსლიმისთვის ტრაგედიაა, მაგალითად, თუ ოჯახის წევრი მამაკაცი გარდაიცვალა, ცდილობენ რომ მისი ცოლი ოჯახიდან არ გაუშვან, ამისათვის შეიძლება მის ძმასაც მიათხოვონ და ხდება ხოლმე, რომ ახალგაზრდა კაცს მიცვალებული ძმისგან მოხუცი ცოლი ერგება. აი, ამის საკონპენსაციოდ, მას მეორე ცოლის მოყვანა შეუძლია, ისეთის, რომელიც თავად უნდა.

– აბა რა, ცოდო არ არის, ერთი ცოლი ხომ მაინც უნდა ჰყავდეს სიყვარულით მოყვანილი. სავსებით გასაგებია, იმ რძალთან ყოფნა რომ არ უხაროდეს და სიყვარულს ეძებდეს – ვეთანხმები მე დახუნდას და ვგრძნობ, როგორ ვცდილობ გამართლება მოვუძებნო ამ ჩემთვის სრულიად უცხო და გაუგებარ ადათ-წესებს.

დიდი სისულელე იქნება ახლა თუ ვიკითხავ, ეს სადაური წესიათქო. სადაური წესია და აქაური! ადათ--წესებთან დაკავშირებით ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა: კანიბალებმა ქართველი ტურისტები ტყვედ აიყვანეს. ტომის ბელადმა საბჭო მოიწვია. გადაწყვიტეს, კაცები გავაუპატიუროთ და ქალები შევჭამოთო. ქალებმა იკივლეს, ეს სადაური წესიაო და იქვე მჯდომმა კაცმა მიუგო, სადაური წესია, გენაცვალე და აქაური წესიაო! ახლა როგორ დავუკავშირო ეს ანეკდოტი დახუნდას მონაყოლს, არ ვიცი. ამას, ალბათ, ისევ ფროიდის „ქვეცნობიერის ნაკადი..." ჭირდება, მაგრამ მაინც ეჭვი მეპარება, ათასი ეჭვებით დაკომპლექსებულ ფროიდს, შესაფერისი პასუხი ქონდეს ამ უმარტივეს სახალხო განტოლებაზე. სადაური წესია და აქაური, მორჩა და გათავდა, ყველამ თავის მამიდას მოუაროს!

ისეთი წინწასული ადამიანისთვისაც კი, როგორიც დახუნდაა, სრულყოფილი უმაღლესი განათლებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებით, სხარტი გონებითა და იუმორით, თავიდან ფეხებამდე

ინტერნეტის ქსელში გაბმული და მისი უბადლო მომხმარებელი, მისთვისაც კი ყოველივე ზემოთ ნაამბობი ჩვეულებრივი ავღანური ცხოვრებაა, თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონებით და ამ კანონების და ჩვეულებების დანგრევის ვერავითარ მიზეზს ვერ ხედავს.

– ჩემი ცოლი მეუბნება, მასწავლებლად მინდა მუშაობის დაწყებაო. გავიკითხ-გამოვიკითხე და სულ რაღაც 200 დოლარამდე უნდა გადაუხადონ. მე ვეუბნები, მე მოგცემ ამ 200 დოლარს, სახლში დაჯექი და ჩვენს ბავშვებს ასწავლე მეთქი, – მეუბნება დახუნდა და ჩემს გამომეტყველებაზე სიცილი უტყდება.

ძალიან მაგონებს გოგიტას, ჩემს სიძეს, ვერასდროს გაიგებ, როდის ხუმრობს და როდისაა სერიოზული. დახუნდას კარგი იუმორი აქვს. ავღანური „აბსურდების" მიმართ „კეთილი სატირა" აქვს შერჩეული და ყველაზე გასაცოფებელ და აღმაშფოთებელ ამბავს ისე ჰყვება, სიცილისგან შეიძლება ფილტვები დაგისკდეს. ავღანეთის უახლესი ისტორიიდან ნააბობი „სახალისო" ამბები კი ყველას „უხურავს". მაგალითად, თურმე, თალიბანების რეჟიმის დროს, ძალიან პოპულარული იყო ინგლისურის და კომპიუტერის კურსებზე სიარული (როგორც ჩვენთან ვარდების რევოლუციის შემდეგ და დღეს).

– რას ამბობ, არ მჯერა, ყველგან წერია, რომ თალიბანებმა აკრძალეს კინო, თეატრი, მუსიკა, წიგნები, ყველაფერ ამაზე ციხე და გადასახლება იყო და ინგლისური და კომპიუტერი რა ჯანდაბად უნდოდათ, უნივესიტეტებიც აკრძალეს, სკოლებიც დახურეს და...

– ეს ქალებისთვის, თორემ კაცებს შეეძლოთ რამდენიც უნდოდათ, იმდენი კურსი გაევლოთ. რაც შეეხება სკოლებს, ორი წლის განმავლობაში მთელი ავღანეთის სკოლები რამდენიმე სკოლად გააერთიანეს და ბავშვები იქ გამოცდების ჩასაბარებლად დავდიოდით მხოლოდ.

გამოცდა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სრული სისულელე, „ბლიც ინტერვიუ", ასე გადავდიოდით კლასიდან კლასში.

მოჯახედების რეჟიმის დროსაც არანაკლებ ნოვაციებს ჰქონია თურმე ადგილი, როგორც ავღანეთის უახლოესი ისტორიიდან ვიცით, რუსეთის სოციალისტური წყობილების დამხობის შემდეგ ავღანეთში მოჯახედების რეჟიმი დამყარდა და როგორც ხდება ხოლმე ყველა „თავმოყვარე" ქვეყანაში, იწყება შიდა ომები. აქაც დაერიენ ერთმანეთს ავღანეთში მცხოვრები პუშტუნები, ხაზარები და ტაჯიკები. ქაბული, მოჯახედების დროს, თურმე, სექციებად იყო დაყოფილი და უბნიდან უბანში თავისუფლად ვერ იმოძრავებდი. ვინც საზღვრის გადალახვას გაბედავდა და ჩავარდებოდა, შესაბამისადაც დაისჯებოდა კიდეც. ხაზარი ძალიან ადვილად გასარჩევია სხვა ტომის ავღანელისგან ცხვირის ფორმით და ყვრიმალებით. ისინი მონღოლოიდური რასაა, პუშტუნი და ტაჯიკი – არიული. პუშტუნის გარჩევა ტაჯიკისგან ჭირს. მოჯახედების რეჟიმის დროს, ერთმანეთის ამოსაცნობად ავღანელებმა, ბევრი რომ არ ეწვალათ, მარტივ ლინგვისტურ-ფონეტიკურ ხერხს მიმართეს: „ყრუდ" დარის ენაზე გაწურულ მაწონს ნიშნავს. ტაჯიკი, რომლისთვისაც დარი მშობლიური ენაა ამბობს „ყრუდ", ხოლო პუშტუნი, რომლის მშობლიური ენა პაშტუა, ამბობს „ქრუდს". ამაზე უტყუარი საბუთი რად გინდა...

– თუ მეტყველების დეფექტი მაქვს? – ვეინტრიგანები დახუნდას.

– არა, მეტყველების დეფექტი მიზეზად არ გამოდგება. თქვი „ყრუდ" როგორც საჭიროა ისე და გზა ხსნილია ოთხივე მიმართულებით, – იცინის დახუნდა – ჩვენი ერთი სახლი მაშინ ხაზარების ტერიტორიაზე მოხვდა და ჩუმად ვიპარებოდი, ხოლმე, იქ, სახლის სანახა-

ვად. რამდენჯერმე გუშაგებმა დამაკავეს და რომ ნახეს, რომ ტაჯიკი ვარ, დიდი ნიჩაბი მომცეს და სანგრების გასათხრელად წამიყვანეს. შუადღემდე ვთხრიდი სანგრებს პუშტუნების და ტაჯიკების უბნის საზღვარზე. მერე გამოიარა ავტობუსმა და ზედამხედველმა, იმ ავტობუსში ორ ტაჯიკს მოჰკრა თვალი, გააჩერეს ავტობუსი, გადმოყარეს ის ტაჯიკები ავტობუსიდან, მე მითხრეს, შენ გეყოფა, ახლა ამათ თხარონო და „მშვიდობით" გამომიშვეს.

– კიდევ კარგი, რომ გამოგიშვეს, – სიცილს ვერ ვიკავებ მე.

– მეტი რაღა უნდა ექნათ, ერთი კვირა ნელში ვერ ვსწორდებოდი.

– შენ ეს მითხარი, კიდევ რამდენი სახლი გაქვთ სხვადასხვა უბნებში?

– შვიდი სახლი და ამდენივე მაღაზია.

– მდიდრები ყოფილხართ?

– არა გვიშავს, მაგრამ დაგროვებით ვერ ვაგროვებთ, ყველა ჩემი და კერძო სკოლაში დადის, ძმების განათლებაც ძალიან ძვირია, ასე რომ, რაც შემოდის, იმდენივე იხარჯება, თან ამხელა ოჯახს გეცოდინება, რამდენი ჭირდება.

– რატომ არ გამოეყოფი ოჯახს შენი ცოლ-შვილით?

– ასე გვინდა ცხოვრება და იმიტომ, ახლა ჩემმა პატარა ძმამაც ცოლი მოიყვანა და უფრო გავფართოვდით, ალბათ, მალე სახლზე მესამე სართულის დაშენება მომიწევს, ოჯახიდან გამოყოფას არ ვაპირებ. ასე უფრო კარგი და მოსახერხებელია ყველასთვის! – ამბობს დახუნდა და თვალებში მიცინის. იცის, რომ ჯერ კიდევ „უხსოვარი დროიდან" ვცხოვრობ მარტო და დარწმუნებულიც არა ვარ იმაში, მომწონს თუ არა ასეთი ცხოვრება, ეგებ ჯობდა, მთელი ცხოვრება მეც ჩემს არაჩვეულებრივ დედ-მამასთან ერთად გამეტარებინა?

– ძმებს თუ გაქვთ ქონება გაყოფილი?

– ქონება მამაჩემისაა, კი იტყვის ხოლმე ეს იმას, ეს იმასო, მაგრამ მხოლოდ სიტყვის მასალად, ისე მთელი ქონების გამგებელი ისაა. არავინ მაძალებს იქ დარჩენას, შემიძლია ცალკეც გავიდე, მაგრამ არა მაქვს ჯერ ამის სურვილი, ისევ მირჩევნია, სახლს სართული დავაშენო. ჩემი უფროსი ძმა ხომ ცალკე ცხოვრობს, იმას ისე მოსწონს. მე ასე...

ამ საუბარში სულ გადაგვავიწყდა, რომ „ბარონის“ მოედანზე დღეს ორ პროექტს შორის ფრანებით რბოლაში შეჯიბრი იმართებოდა. მთელი კვირა ველოდებოდი ამ ღირშესანიშნავ დღეს და დახუნდას ისტორიებს არ გადავყევი? ორივე გიჟებივით გავცვივდით ეზოში, მაგრამ ყველაფერი უკვე დასრულებული იყო და მოედანს „პიკნიკისთვის“ ამზადებდნენ. ამას მაინც მივუსწარით.

თავი 8

„ჩემს თავზე ყოველდღე ათასი ფრანი დაფარფატებს პეპელასავით და ამიტომ თვალი სულ ცისკენ მაქვს მიპყრობილი. ცეცხლის და ზღვის ყურებას ჰგავს, ვერ მოწყდები" ფრანი ავღანეთის კულტურის ისეთივე ნაწილია, როგორც ქართველებისთვის... აბა, მითხარით რა გართობა? ვერ მოვიფიქრე, ალბათ, ქეიფი, რადგან ჩემი სამოცწლიანი გამოცდილებიდან ქართველების რაიმე სპორტული გართობისადმი ასეთი ვნებიანი ერთგულება და სიყვარული ჯერ არ მინახავს. ჰალედ ჰოსეინის ყველაზე პოპულარული წიგნის სათაურიც ხომ ესაა, „ფრანით მორბენალი". ფრანი ავღანელისთვის საყვარელი არსებაა და როცა არ უნდა ახედო ავღანეთის ცას, იქ ერთი ორი ფრანი ყოველთვის დაფარფატებს – ჭრელი ტრაპეციის ფორმის, რომბისებური, მოგრძო, ცილინდრისებრი... ტრაპეცია, ეტყობა, კლასიკური ფორმაა და ძირითადად ამ ფორმის ჭრელა-ჭრულა ფრანებითაა ავღანეთის ცა მოფენილი. მათი შემყურე კიდეც დაგავიწყდება კაცს, რომ უკვე სამ ათეულ წელზე მეტია ამ ქვეყნის ცას ტყვია-წამალისა და დენთის კვამლი არ დაკლებია და მიუხედავად ამისა, ფრანი ისეთი დაუმორჩილებელი რამაა, რომ ამ ბურუსშიც კი ახერხებს შეჭრას. მოკლედ, ის მინდა ვთქვა, რომ თითოოროლა ფრანი ავღანეთის ცას ყოველთვის ამკობს და ალამაზებს, მე კი, კარგ ხასიათზე მაყენებს.

ამ უშველებელი მავთულ-ხლართებიანი კედლის მიღმა ღარიბი დასახლებებია, ტალახით ნაშენ ქოხებში ცხოვ-

რობენ, შიათ, წყურიათ, მაგრამ ფრანს მაინც აფრიალებენ თავიანთი სახლის თავზე. ფრანი ისე შორსაა ატყორცნილი ცაში, თოკი არა ჩანს, ამიტომ დიდ ფრთაგაშლილ ფრინველს ჰგავს და თავისუფლების სიმბოლოსავით კამარაშეკრული დასრიალებს მავთულხლართებით და ბეტონის კედლით გარშემორტყმულ „ბარონის" თავზე.

– ავღანელებს ფრანის გარეშე ცხოვრება შეგიძლიათ? – ვეკითხები დახუნდას.

– ახლა სეზონია და რა გინდა, ბავშვები ერთობიან, ადრე შედარებით მოკლე თოკები გვქონდა, ახლა მოდელირებული ფრანებია დიდი გორგოლაჭებით და რა სიმაღლეზეც გინდა, იმ სიმაღლეზე აუშვებ ფრანს. ბევრი სირბილი აღარაა საჭირო, ადგილიდანაც კი შეიძლება მართვა.

– ზამთარში რას შვებით?

– ფრანი ზამთარშიც ძალიან პოპულარულია, მაგრამ ზაფხულში, აბა, სხვა რა უნდა გააკეთონ ბავშვებმა ავღანეთში... ფრანი ყველაზე კარგი გასართობია. კარგ ამინდში ფრანით თამაში ყველას უხარია და ამიტომაა მთელი ცა ფრანებით აჭრელებული. ფრანის მართვა ძალიან ძნელია, შეჯიბრის დროს მეფრანეები ცდილობენ ერთმანეთს თოკები გადაუჭრან და ვინც ბოლო დარჩება, გამარჯვებულიც ისაა. თოკებიც ისეთი ბასრია, სპეციალური სკოჩით თუ არ გადაიკარი ხელი, შეჯიბრის ბოლოსთვის არცერთი თითი არ შეგრჩება.

– ფრანი ძალიან მიყვარდა ბავშვობაში, ჩვენთან იშვიათობა იყო ფრანით სირბილი, რუსეთში კი ბევრი მიმდევარი ჰყავს, „მფრინავ გველს" ეძახიან. თურმე, საფრანგეთშიც იმართება ფრანების ტურნირები, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული წესები ჰქონიათ.

– ჰო, მეც გამიგია, წესებით ფრანის მართვა ევროპელების მოგონილია, ჩვენში ფრანების შეჯიბრი, წესების

გარეშეა, არავითარი ჯარიმა, ყველა მეთოდი გამართლებულია, თუ გამარჯვებას მოგიტანს.

– ომივით ყოფილა

– როგორც ყველა შეჯიბრი. ფრანის მართვის ხელოვნება თითების მოძრაობაზეა დამოკიდებული. მეტოქეები ერთმანეთს დაუნდობლად უჭრიან თოკებს და თან ცდილობენ, სხვის თოკს თავისი თითიც არ მიაყოლონ.

ვიდრე ფრანის გაშვების და მართვის ტექნოლოგიას მიყვებოდა, დახუნდას ლოცვის დრომ მოუწია და სალოცავ ოთახში გავიდა. მე, ჩემს საყვარელ „ბარონის" ბაღს მივაშურე, მზეს მივეფიცხე და ცას ავხედე. ჩემს თავზე ახლაც უამრავი ფრანი დაფარფატებს პეპელასავით და თვალს ვერ ვწყვეტ. ვხედავ ერთი-ორი ფრანი მოწყდა კაბადონს და მკვდარი ჩიტივით დაეშვა მიწისკენ. დანარცხებას ვერ ვხედავ, რადგან ეს ყველაფერი ბეტონის შვიდმეტრიანი ღობის მიღმა ხდება. მინდა ვიყვირო, ნუ შვებით ამას მეთქი, ცოდოა მარტო ფრანი ამხელა ცაზე, მაგრამ ფრანები პანტა-პუნტით ცვივა და მე ვერაფერს ვახერხებ ფრანთა ხოცვა-ჟლეტის აღსაკვეთად. ცოდოა! ცოდოა! – მინდა ვიყვირო, მაგრამ „ბარონში" ყვირილი აკრძალულია, მითუმეტეს, სისულეების გამო ყვირილი „კანონით ისჯება".

ვუყურებ ცაში მარტო დარჩენილ, ამაყად მოლივლივე ვეებერთელა სამფერა (ავღანეთის დროშის ფერებიან) ფრანს და ლირის კომპლექსი მეძალება, „და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი, ლირი, ყველასგან მიტოვებული". „ბარონში" ასეთ რაღაცეებზე ცრემლი მომდის. მარტო დარჩენილი იმპერატორი „ფრანი" პონტიუს პილატესავით უბედურია და იქით – აქეთ აწყდება ცის კაბადონს კოსმოსში ასაჭრელად. ამის მაგივრად კი, ისიც შურდულივით ენარცხება მიწას და ამით მთავრდება მისი პეპელასავით ხანმოკლე ნავარდი. მეფე მკვდარია,

გაუმარჯოს მეფეს! ხვალ ისევ აიჭრებიან ცაში ფრანები და ვინ დაენარცხება მიწაზე ბოლოს, არავინ იცის. როგორც ჩემი ასისტენტი მუსტაფა ამბობს, „ეს ცხოვრებაა“!

მე ბაღიდან დავბრუნდი, დახუნდა სალოცავიდან და საუბარი გავაგრძელეთ. მაგრამ ვიდრე დახუნდას ახალ ამბებზე გადავიდოდე, მინდა მოგახსენოთ, რომ ფრანების შეჯიბრში ჩვენმა თანამშრომელმა ჰაშიმიმ გაიმარჯვა. ჰაშიმი სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელია და როგორც მის თანამდებობას შეეფერება, ორმოც წელს მიღწეული, ერთობ ჩასუქებული, აღმოსავლური გარეგნობის ვაჭრის პროტოტიპია. მხიარული და ეშმაკი თვალები აქვს. მისი სურათები ვნახე ფრანის მართვის დროს გადაღებული და გავოგნდი, სურათზე ერთი სიმპათიური და საოცრად მოქნილი შუახნის მამაკაცი იყო აღბეჭდილი, მოცეკვავე ხელებითა და სხეულით. ეს ცხოვრება კი არა – ფრანია, ჩემო მუსტაფა – გავიფიქრე მე. ფრანი ავღანელ ხალხს სულსა და სხეულს ულამაზებს! ამიტომ არ თავდება მის ცაზე ფრანების ფარფატი.

რაც შეეხება დახუნდას ძმის ქორწილს, მე იგი ვიდეოზე ჩაწერილი ვიხილე. დახუნდა მეტრაბახება 1500 კაცი დავპატიჟეო. ეტყობა ისტორიული ქორწილი გადაიხადა თავისი უცხოელი სტუმრებითურთ. უცხოელებს ტრადიციული ავღანური სამოსი აცვიათ, ზოგს ავღანელი ეროვნული გმირის, მასუდის ქუდი ახურავს და უკლებლივ ყველა ცეკვავს. ისტერიული როკვაა გამოცხადებული. კედლების გასწვრივ ხანდაზმულები (მამაკაცები) ჩილიმს ეწევიან, დანარჩენი ათასი და მეტი კი დაცემამდე ძიგძიგებს. შალახოს მაგვარ რაღაცას ცეკვავენ, ჩეჩნების როკვასაც ჰგავს, ოღონდ, თანამედროვე მოდიფიცირებით, ერთმანეთს თვალებში უყურებენ და ნეტარად უცინიან, ამღვრეულ, ნეტარ თვალებს ატრიალებენ

და სიკვდილამდე ცეკვაში იწვევენ ერთმანეთს. ფეხის გასმისა და თეძოს რხევის ოსტატობა ყველა საზღვარს სცდება, ამას ემატება თვითკმაყოფილების ექსტაზი და კაიფის კულმინაცია. ნეტა იმ პატარძალს, რომელსაც ამ კოსმიური ექსტაზისთვის ბოლო აკორდის დასმა არგუნა ალაჰმა, ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობაა!

რაც ახლა მოგიყევით, სულ კაცების დარბაზში ხდება, ქალების დარბაზის ვიდეო ჩანაწერი დახუნდას, რა თქმა უნდა, არ გაუკეთებია, მაგრამ ნორვეგიელი ჟურნალისტისა და მწერლის, ოსნე საიეშტადის რომანს, „ქაბულელი წიგნით მოვაჭრე" თუ დავუჯერებთ, აქაც თავაწყვეტილი ცეკვა-თამაში მიდის. უკიდურესობამდე დაგრიმული ავღანელი ქალები, რომლებიც ჩვეულებრივ ყოფაში ბუზსაც კი არ აფრენენ და ჩიტებივით ჭიკჭიკებენ, ასეთ დღეებში ისე იხატებიან, პატრონმა, რომ ვერ იცნოს. თავაწყვეტილი, გამომწვევი ცეკვით ექსტაზში ვარდებიან და დიდი აღგზნებით ჩქმეტენ ერთმანეთს ბარძაყებზე, ძუძუებზე და ყველა შესაძლებელ რბილ და მგრძნობიარე ადგილებზე. ჰოდა, ასევე უკიდურესად აღგზნებული ეგებება პატარძალი თავის ნაცეკვ-ნათამაშევ და კონდიციაში მოყვანილ სიძე-ბატონს. ორი ვარიანტია: ან სამყაროს დასასრული უნდა მოხდეს იმ ღამეს ან სიქაგაცლილებმა ერთმანეთის გვერდით მკვდრებივით „მშვიდად" უნდა იძინონ დილამდე. „და, ვოსტოკ დელო ტონკოე" – ჯერ კიდევ როდის თქვა ეს ამხანაგმა სუხოვმა და, მე თუ მკითხავთ, სრული ჭეშმარიტებაა ეს!

ნაჯიბულა და მისი ძაღლი ბრუნო დღეს ჩემი ფოტოაპარატის წინ პოზირებდნენ. ნაჯიბულას არ წყინს, როცა მისი სახელი მავიწყდება, მთავარია, ბრუნოს სახელი არ დამავიწყდეს, ამას ვერასოდეს მაპატიებს. ნაჯიბულა თავად ძალიან ახალგაზრდაა – ერთი უბრალო ავღანელი ბიჭი, ტიპიური ავღანური გარეგნობით, თხელი,

მუქი ფერის კანით, შავი თვალებით და ყორანივით შავი თმებით, საშუალო სიმაღლისაა და საოცრად პროპორციული. მოკლედ, ჰოლივუდელ ვარსკვლავად ნამდვილად გამოდგებოდა, მაგრამ ჯერ არ იცის ეს და ამიტომ ძალზე უშუალო და ხანდახან სასაცილოც კია თავის ძაღლებთან ერთად. ისე ყავს გაწვრთნილი, ცირკის ძაღლებს უფრო გვანან, ვიდრე სამხედრო მოსამსახურეებს.

ნაჯიბულა ავღანელია, პუშტუნი, ბრუნო – დანიელი მეძებარი. თეთრი, შავი ლაქებით. როგორც უკვე მოგახსენეთ, ბრუნო ნაღმებისა და იარაღის მეძებრადაა გაწვრთნილი. წარმოდგენაც არ მინდა იმისა, რომ ერთ დღეს ბრუნო შეიძლება ნაღმზე აფეთქდეს და მაშინ ნაჯიბულას ის შავი როტვეილერი დარჩება, რომელსაც დასანახად ვერ ვიტან. განურჩევლად ყველას უღრენს, ნაჯიბულა კი იძახის, რომ ეს ხასიათი აქვს ეგეთი, თორემ გულით კეთილიაო.

– ბრუნო რომ ნაღმზე აფეთქდეს...? – გულის სიღრმიდან წამომცდა

– რას ამბობ, ჩემი ბრუნო ნაღმს 100 მეტრში შეიგრძნობს. დაჯდება ნაღმიდან ორი მეტრის მოშორებით და ადგილიდან არ იძვრის, იმდენს იწკმუტუნებს, ვიდრე სამიზნეს არ ამოგათხრევინებს, ალღოიანია, ჯერ იაღლიში არ მოსვლია, – თავს იმშვიდებს ნაჯიბულა და ამის დასამტკიცებლად ბაღის ერთ-ერთი თავისუფალი სავარძლის ქვეშ საცდელ იარაღს მალავს.

სწორედ მაშინ, როცა ვიღაცა, სრულიად შემთხვევითი პირი იმ სავარძელში ჯდება, მაშინ უბრძანებს ხოლმე, ბრუნოს ნაჯიბულა, „აბა ეძებეო" და იწყება ცირკი. ბრუნო მივარდება სავარძელს და წინა თათებით მის ქვეშ მიწის გამოთხრას იწყებს. სავარძელზე მჯდომი ჯერ ერთობა და ეფერება ბრუნოს, რა გინდა, რას ეძებო, ეკითხება, მერე, შეწუხებული აქეთ-იქით იყურება და

ბოლოს, ელდანაკრავივით წამოხტება სავარძლიდან და თავქუდმოგლეჯილი გარბის, სავარაუდოდ, უსაფრთხო მანძილზე. ისე, ეს რომ ბრუნო არ იყოს, საყოველთაოდ საყვარელი ბრუნო, „ბარონის" მოსახლეობა ნაჯიბულას ცოტა სხვანაირად დაელაპარაკებოდა. ბრუნოს ხათრით, სრულიად „ბარონი" ნაჯიბულას ავღანურ შავ იუმორზეც თვალს ხუჭავს.

დღეს გვიან გამეღვიძა და სამსახურში ყავის დაულევლად გავვარდი. იქ კი ყავა კი არა, უკვე მეორმოცე დღეა, წყალსაც არ გვიდგამენ. რამადანია და იმიტომ. დახუნდას შევჩივლე, თქვენი ნაზი ფსიქიკის გამო მთელ ოფისში კაცი ერთ ჭიქა წყალს ვერ დალევს მეთქი. ისიც დავამატე, ჩვენი მარხვა უფრო მკაცრია, მაგრამ ამის გამო არავინ წუხდებამეთქი. დახუნდას, რომელსაც ამ ამბისთვის ყურადღება არ მიუქცევია, უფრო სწორედ, არც კი შეუნიშნავს, რომ ოფისში წყლისა და სხვა სასმელის სრული დეფიციტია, გაიკვირვა და საკითხის მოსაგვარებლად ადმინისტრაციას მიაშურა. მალე დაბრუნდა და მომახსენა, სხდომათა დარბაზში უზარმაზარი ტკბილი სუფრაა გაშლილი ყველასთვის და შეგიძლია წამობრძანდეო. დარბაზის კუთხეში მართლაც ოთხი სახეობის სამსართულიანი ტორტი და სხვადასხვა სახის ნამცხვრით რძიანი ყავით, შავი ყავითა და ჩაის ნაირსახეობით სავსე თერმოსებით გაწყობილი მაგიდა იდგა. ლიმონათი და წვენები თავზე სასხმელად იყო.

მივიხედ-მოვიხედე, დარბაზში უცხოელებიდან მარტო მე და რუსი ანდრეი ვართ, დანარჩენები სულ ავღანელები არიან. ტკბილეულისკენ დერეფანს მითავისუფლებენ. ავღანელი ქალები ცალკე კუთხეში სხედან და მამაკაცებში არ ითქვიფებიან. „ლეიდიზ ფერსტ!" – მეუბნება ავღანელი კოლეგა და რიგს მითმობს. მე ვარჩევ რაც მინდა და ქალებისაკენ მივდივარ. ერთ ლამაზ გოგოს გვერდით

ვჯდები. ძალიან გრძელი მაგიდაა და მიუხედავად ამისა, ხალხი ფეხზე დგას, ადგილები არ ყოფნით.

პროექტის დირექტორის მოადგილე საფირ საფარი წვეულებას ავღანურ ენაზე უძღვება. მისი საუბრიდან, ბუნებრივია, ვერაფერს ვიგებ, მაგრამ უეცრად დგება „ქარი" (ადამიანი, რომელმაც ზეპირად იცის მთელი ყურანი) და ყურანიდან რამდენიმე ტაეპს გალობს. სუფრის წევრები და ისინი, რომლებიც იატაკზე ისხდნენ და ფეხზე იდგნენ, თავებს ხრიან, ხელებს გულზე იწყობენ და მხურვალედ ლოცულობენ. მე გაუნძრევლად ვზივარ და რატომღაც მეტირება, ისე, რომ მრცხვენია კიდეც, ვინმემ ეს აპრიალებული თვალები არ შეამჩნიოს. ქარი გალობას ამთავრებს, მუსულმანები ხელებს ზეცისკენ აღაპყრობენ და ალაჰს ადიდებენ. გულში სითბო მეღვრება და ჩუმად ვიწყებ: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა..." თვალები ცხელი ცრემლებით მევსება და ზუსტად ვიცი, რომ ამ წუთას ის ჩემთანაა და იმ მლოცველ მუსულმანებთანაც, რომლებიც თურმე როიას ახლად გარდაცვლილი ბიძის მოსახსენიებელად ლოცულობენ.

აქაური წესის მიხედვით, სუფრის დაწყების წინ, აუცილებლად ჯერ ახლადგარდაცვლილი ახლობლის მოსახსენიებელ ლოცვას ამბობენ და მერე იწყებენ ქეიფს და დროსტარებას. ჩვენს ტრადიციას ჰგავს, როცა მიცვალებულების მოხსენიების შემდეგ, თამადა სიცოცხლის და ბედნიერების სადღეგრძელოს ამბობს.

მე და დახუნდამ ეს საკითხიც დეტალურად განვიხილეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენსა და მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, არც სულიერებაში და არც ასაკში, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად არც მეტი – არც ნაკლები, ზურიკელასა და ილარიონის დროის კონცეფცია მოვიშველიე ასაკით განსხვავების არარსებობის დასტურად.

თავი 9

ნაბილას და გიულის ძალიან ვეცოდები, „ბარონიდან" ვერსად რომ ვერ გავდივარ. ბევრი ფიქრის შემდეგ შემომთავაზეს, ჩვენთან ერთად წამოდი, ხოლმე, ქალთა საქმეთა სამინისტროში და საგარეოს გენდერული საკითხების დეპარტამენტში, ორივე ცენტრშია და ცოტას მაინც გაიხედ-გამოიხედავო („ჯავშანტრანსპორტიორის" ფანჯრიდან, რა თქმა უნდა). ჭკუაში დამიჯდა ეს აზრი და პირველივე შემთხვევისთანავე, ქალთა საკითხების სამინისტროში მივლინება გავაფორმე. ნაბილაც თან მახლდა. მანქანის ფანჯარაზე აკრული, სულმოუთქმელად ველოდი რაღაც განსაკუთრებულს. მეუბნებოდნენ, საინტერესო არაფერია, ყველაფერი დანგრეული და დაბომბილიაო, მაგრამ არ მჯერა, არ შეიძლება რამე არ შემორჩენილიყო, თუნდაც, დანგრეული ძველი სიმაგრეები. ეს ხომ კიდევ უფრო საინტერესოა. ნაბილა ძალიან სუსტი გიდი აღმოჩნდა, არაფერს მიყვება, მთელი გზა მობილურზე ლაპარაკობს. რამდენჯერმე გარკვევით თქვა „მანანა", ბატონო-მეთქი ვუპასუხე და შენ არაო – მიპასუხა, თურმე, ვილაცას პუშტუნების ენაზე მადლობას უხდიდა.

ნაბილა ავღანელი ქალის კვალობაზე ზომაზე მეტადაა ჩამრგვალებული, უფრო აზერბაიჯანელ ქალს წააგავს. ლამაზი, პირმრგვალი, თბილი, მხიარული ღიმილით. მეუბნება, ოფისში რომ თავდაჭერილი დავდივარ, ისე კი არაა საქმე, სამსახურის მერე კარგი მოლხენა და მეგობრობა ვიციო.

– რას გულისხმობ? – ვკითხე.

– ეს ამერიკული ორგანიზაციაა, აქ ზედმეტი უშუალობა და ხორხოცი არ შეიძლება, სამუშაო საათების მერე – კი ბატონო. ისე ცოტა არ იყოს, დამტანჯა ამ სერიოზულობის თამაშმა.

ეტყობა, ვილაცამ დაარიგა ასე და საწყალი ნაბილაც მაქსიმალურად ცდილობს თავი შეიკავოს მხიარულებისგან და სამსახურის ბოლომდე სულისა და გულის კუნჭულებში გულმოდგინედ გადამალოს თვალებში მოთამაშე ეშმაკუნები. ხანდახან იღლება და ჩემთან შემოდის გულის გადასაყოლებლად. სულ ახლახან აღმოვაჩინე, რომ ნაბილა 22 წლისაა და ჯერაც გაუთხოვარია. ავღანოლოგიის სფეროში ჩემი დილეტანტური ცნობიერების მიხედვით, ეს ჩვეულებრივ მოვლენას არა ჰგავს და ამიტომ, გაკვირვებას ვერ ვმალავ.

– ვინ დაგტოვა ასეთი ლამაზი და მშვენიერი ამდენ ხანს გაუთხოვარი? – ვეკითხები ნაბილას.

– ეჰ, მამა გარდამეცვალა და ოჯახში მარტო მე ვმუშაობ. ჩემი ძმები და დები პატარები არიან, ყველა ფეხზე მყავს დასაყენებელი. აბა, როგორ უნდა გავთხოვდე, იმათ რა ეშველებათ მერე?

– რა დაამთავრე?

– ქაბულის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვარ, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ვსწავლობ. სკოლის დამთავრების შემდეგ, რვა წელია ხან რა კურსებს ვამთავრებ, ხან რას. ახლახან ინგლისური ენის პედაგოგის სერტიფიკატი ავიღე.

– შენ გენაცვალე, ისეთი განათლება მიგიღია, ამ ქვეყანაში კარზაის მეტი არავინ შეგეფერება.

– ვის რად უნდა კარზაი! – იცინის ნაბილა.

– მართალია, კაი ქალებში ჩემი პრეზიდენტიც ვერაა მთლად პოპულარული, ისე იცოცხლე, ბუზებივით

ესევიან ნაირ-ნაირი ჯიშის, რჯულისა და სოციალური მდგომარეობის მანდილოსნები – გავუტიე მე ჩემი ქვეყნის „გასაჭირისკენ“.

– ნახე, რა ლამაზი სანდლები მაჩუქა დედაჩემმა, დედის გული მაინც სხვაა, დედის ფასი არაფერია ამ ქვეყანაზე, ჯერ დედას უნდა დავეხმარო და მერე ვნახოთ, გავთხოვდები, აბა, რას ვიზამ!

– გიული რამდენი წლისაა?

– არ ვიცი, ჩემზე უფროსი კია.

– ლამაზია ძალიან.

– ჰო, ქმარიც კარგი ჰყავს, ბრიტანელი ავღანელია, აქ ეკონომიკის ექპერტად მუშაობს, ბრიტანეთის საელჩოში და ბრიტანულ ხელფასს იღებს. ძალიან კარგი მეუღლეა, ესაა, რომ ჯერ შვილი არ გაუჩნდათ, ახლახან, მეორედ მოწყდა მუცელი, – სხაპასხუპით ჩამიყაჭა ნაბილამ გიულის ოჯახური ამბები.

– რატომ? აწუხებს რამე?

– აბა მე რა ვიცი, ასეთ საკითხებში საერთოდ ვერ ვერკვევი. გიული მეწუწუნება ხოლმე, მაგრამ ვერაფერს ვპასუხობ იმის გარდა, რომ ვთხოვ, თავს მოუაროს. მე ქალურ ამბებში არც პრაქტიკა მქონია და არც თეორიას ვფლობ. ის კი ვიცი, თავს რომ უნდა მოუაროს.

– რას ამბობ, პრაქტიკა რა საჭიროა ასეთ ამბებში, მე მაგალითად, ერთი დაქალი მყავს, ჯერ კიდევ ქალიშვილია და როცა გოგოები ქალურ საკითხებზე ვიწყებთ კამათს, ის პირველი ყვირის, მაგი მე მკითხეთო.

– მე კი ვეუბნები, თავს მიხედეთქო, მაგრამ როგორ უნდა მიხედოს, აზრზე არა ვარ, – იცინის და თვალს მიკრავს, მეც ვუცინი. – წავედი ჩემს საქმეს მივხედო, თორემ ამ ფრონტზეც თუ შემისუსტდა პოზიცია, საერთოდ ჩამოსაწერი გავხდები.

ნაბილა წავიდა, სამუშაო დღე დამთავრდა, ანგარიშები გავაგზავნე სათაო ოფისში, რომელსაც ჩვენები

მოფერებით „მშობლიურ ოფისს“ ეძახიან, ავიკრიბე გუდა-
-ნაბადი და პირდაპირ „ბარონის“ ბაღს – ჩემს პატარა
წალკოტს მივაშურე. ისეა იქაურობა აყვავებული, ისეთი
სუფთა, მსუყე ჰაერია, ცა ისეთი ლურჯია და ბალახი
ისეთი მწვანე... „ცა-ფირუზ, ხმელეთ – ზურმუტო!“ ცაში
ერთ წერტილს მივშტერებივარ. იქ, ცაში ატყორცნილი
ტრაპეცია ფარფატებს ლურჯ-ყვითელი-წითელ-ყავის-
ფერი ფრანი. თვალის ჩინი სათამაშო კალეიდოსკოპივით
დატრიალდა და აჭრელდა, სასიამოვნოდ დამეხვა თავ-
ბრუ და დაბანგულივით ნეტარ-ღიმილიანი შევცქერი
აჭრელებულ ცას. უეცრად ტრაპეცია ცას მოწყდა და
შურდულივით ძირს დაეშვა, მეტეორივით ჩამიარა და
გაქრა. მივიხედ-მოვიხედე ჩემს გარშემო და ვერსად
დავინახე მიწაზე დანარცხებული. გულზე მომეშვა, ისევ
ცაზე დავიწყე მისი ძებნა. მერე ღრუბლების მოძრაობის
ცქერით გავერთე და მოწყვეტილი ტრაპეცია სულ გად-
ამავიწყდა.

– დეიდა მანანა! – მომესმმა სახლში მიმავალს.
ჩვენი მინი მარკეტის გამყიდველი აბდულა კმაყოფილი
მიღიმოდა, – მემ, ხომ ხედავთ, „დეიდა მანანაზე“უკვე
იხედებით კიდეც.

– ჰო, ვიხედები, მანანა მქვია და აბა რას ვიზამ? –
გამეცინა მეც და უცებ გამიშტერდა თვალი აბდულაზე,
რომელსაც ჩემი ციდან მომწყდარი ტრაპეცია იღლიაში
ჰქონდა ამოდებული და გორგოლაჭზე ნეილონის თოკს
ახვევდა. მერე საკუთარი თვალით დავინახე, როგორ
ჩაუძახა ორივე, ფრანიცა და გორგოლაჭიც მუყაოს გაც-
რეცილ ყუთში.

*„ფარაჯა ხანი არსად ჩანს, მუსტაფა თავის პლასტ-
მასის ყვავილებით მორთულ ოთახში გამოიკეტა, ამე-
რიკელების სპეცნაზისათვის თვალიც არ მოუკრავთ.
არაფერი ხდება, გარდა იმისა, რომ ყოველ ღამე ავტო-
მატების კაკანი ისმის, დღისით კი ცაში ვერტმფრენები*

წრეებს ხაზავენ. მსოფლიოს ყველაზე განუკითხავ რეგიონში საშინელი მოწყენილობაა" („ქაბულელი წიგნებით მოვაჭრე", ოსნე საიეშტადი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", თბილისი 2009)

დახუნდამ თავისი ქალიშვილების სურათები დამათვალიერებინა (ცოლის არა!). უფროსი ოთხი წლისაა, უმცროსი – 6 თვის. ორივე თოჯინებივით გამოპრანჭულები, ჩემდა გასაკვირად, ორივეს თვალები შავად აქვთ შეღებილი, აი სუხიშვილის მოცეკვავეებს რომ აქვთ, ისე. ეს ვინ უქნა ამ ბავშვებს? – ვეკითხები დახუნდას

– დედამისმა, პატარა ფანქრის დანახვაზე ჩხავის და ფეხებს ასავსავებს, გატანჯა ქალი!

– უამისოდ არ შეიძლება?

– უამისოდ, როგორ? წესია ასეთი, შენ გგონია პირის დაბანა მოსწონს? ამაზეც დიდი ამბავი გვაქვს. აი უფროსი კი გიჟდება, ძალიან მოსწონს, ერთი სული აქვს, როდის დახატავენ.

– ახალდაბადებული რომ იყო, ალბათ, ისიც აპროტესტებდა, არა?

– არ მახსოვს, მე მგონი ის ყოველთვის უფრო თვინიერი იყო, ეს ყაჩაღია, კერკეტი ხასიათი აქვს.

ასეა, დახუნდას სჯერა, რომ მის უმცროს გოგოს ჯიუტი ხასიათის გამო არ მოსწონს თვალების დახატვა, მე ეჭვი მეპარება, იმიტომ რომ მე ავღანელი არა ვარ და ჩვენს კულტურაში ახალდაბადებული ბავშვი ჯერ არავის დაუხატავს. ისე, ჯანმრთელობას თუ არ ვნებს და ფსიქიკაზე თუ არ მოქმედებს, რა მოხდა, ითამაშონ თავისი შვილებით თოჯინობანა, მითუმეტეს, თუ ზოგს მოსწონს კიდეც ეს პროცედურა? მოგვიანებით, უზრასგან ვიგებ, რომ ფანქარი, რომლითაც ავღანელები პატარა გოგონებს თვალებს უხატავენ, არის სურმა, საუდის არაბეთის სასწაულმომქმედი, დიდი შავი ქვა, რომელიც ბავშვებს ავი თვალისგან იცავს.

თავი 10

ავღანეთში ვისაც მინა ჰქვია, ეტყობა ყველა ლამაზი უნდა იყოს. მინა შერზოიზე ცოტა ზემოთ უკვე გიამბეთ, ამერიკელი-ავღანელია თქო, თუ გახსოვთ. მინა სათაო ოფისიდანაა ჩვენი პროექტის წამყვანი კოორდინატორი, არაჩვეულებრივად ელეგანტურია, არისტოკრატულ ავღანურ ოჯახშია დაბადებული. მამამისი წლების განმავლობაში ავღანეთის ელჩი გახლდათ ევროპასა და აზიაში. აქედან მოყოლებული მინა დღემდე ყველაზე მაღალ დიპლომატიურ წრეებში ტრიალებს. ახლა ოჯახიანად, კალიფორნიაშია „გადასახლებული" და აქ აშშ-ს სხვადასხვა პროექტებში სამუშაოდ უხდება ხოლმე ჩამოსვლა. უცნაური ამბავი ის არის, რომ ვინაიდან მინას ამ ეტაპზე „ტაფას" კანონების ჩარჩოებში უხდება მუშაობა, საკუთარ სახლში ცხოვრების უფლება არა აქვს. პროექტის განაწესის მიხედვით, იქ მის დაცვაზე „ტაფა" პასუხს არ აგებს, ამიტომ კეთილი უნდა ინებოს მინამ და საკუთარი „ციხე-სიმაგრის" მაგივრად ღამე „„ბარონის" სტანდარტულ ოროთახიან ნომერში უნდა გაათიოს. სამუშაოს შემდეგ ჯავშან-მანქანას მიჰყავს ხოლმე სახლში და ღამის 11 საათისთვის უკან აბრუნებს „ბარონში" ღამის გასათევად.

მინა იძახის, არც ისე წვიმს, როგორც ქუხსო, მაგრამ რა ქნას, კანონი კანონია და უნდა დაემორჩილოს. ამავე აზრისაა ავსტრალიელი გრეის ჰეზერ ჯონსიც. მისი ავღანელი ქმარი გერმანიაში მუშაობს, შვებულებით ჩამოვიდა გრეისთან, მაგრამ ღამის გათენება ნათე-

საეებთან უხდება. გრეისი არღვევს „ბარონის“ ყველა კანონს და თავის ქმარს დაბმული ძაღლივით უჩუმრად ამყოფებს თავის ოთახში. ღამე, როცა ბნელდება, მაშინ გამოდიან ერთად ბაღში სასეირნოდ. ყველამ იცის, გრეისი რომ ოთახში ქმარს მალავს, მაგრამ ხმას არავინ იღებს, ტყუილია, რომ იძახიან ქართველების გარდა ყველა ჩამშვებიაო, ჩამშვები ყველგანაა, საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც.

ყველაზე კარგ მდგომარეობაში ამათ შორის მე ვარ. როგორც კი ამიხსნეს, რომ ოჯახის წევრების ნაყვანა არ შეიძლება და თუ მაინც და მაინც გინდათ, საკუთარი სახსრებით ამგზავრეთ და აცხოვრეთ ავღანეთში და მათ სიცოცხლეზეც თქვენ აგეთ პასუხიო, მივხვდი, რომ თუ მაღალანაზღაურებადი სამსახური მინდოდა, ერთხანს უნდა დავშორებოდი ოჯახს და სადაც მეტყოდნენ, იქ დავტეულიყავი. ზუსტად ისე, როგორც ავღანელ ქალებს ეუბნებიან გათხოვების წინ ერთხელ და სამუდამოდ, თუ ამ კაცზე გათხოვება არ გინდა ახლავე თქვი, თორემ მერე გვიანი იქნება თითზე კბენანიო.

გრეისი თან წუწუნებს თავისი უხერხული მდგომარეობის გამო, თან საშინელებას საშინელებაზე ჰყვება. თალიბანებს, თურმე, ამერიკის სელჩოს ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი ქალი გაუტაციათ და ვინაიდან საერთაშორისო წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მის გამოსასყიდად მილიონები მოუთხოვიათ. საელჩოს მოლაპარაკება კი დაუწყია, მაგრამ პარალელურად მძევლის გამოხსნის სპეცოპერაციაც დაუგეგმავთ.

– მაგაზე ამბობენ, გაყიდესო. – თქვა ვესნამ. ვესნა ბოსნიელია და ასეთ საკითხებში ტყუილიც დაეჯერება.

– ეჭვიც არ მეპარება. – დაეთანხმა გრეისი.

– ვინ გაყიდა? – გაოცებული ვკითხულობ მე – ვის უნდა გაეყიდა, დაცვას?

– მაგალითად, მძღოლს შეატყობინებდა, ესა და ეს ადამიანი ამა და ამ დროს აქა და აქ მიმყავსო და დიდ ფულსაც აიღებდა ამ ინფორმაციაში.

– კი მაგრამ... აღარ დავასრულე, რადგან კამათს ახლა ამბის დასასრულის მოსმენა მერჩივნა. ამბავი კი ასე სევდიანად დამთავრდა: ამერიკელებმა დიდი ბჭობის შემდეგ, თანხის გადახდას სპეცოპერაციის ჩატარება ამჯობინეს. ჩაატარეს და ქალი გაურკვეველ პირობებში შემოაკვდათ. მიდი და არკვიე ახლა, ვისი ბრალია. გრეისი ძალიან შეწუხებულია, თურმე, კარგად იცნობდა ამ ქალბატონს და პატივს სცემდა, თუმცა, თავის შეზღუდულ თავისუფლებას ამ მაგალითს არანაირად არ უკავშირებდა. არც მინას მიაჩნია, რომ ამ ამბავს რაიმე საერთო შეიძლება ჰქონდეს მის „აბსურდულ" მდგომარეობასთან, როდის იყო, მგლის შიშით ცხვარს წყვეტდნენო, ქარაგმით იმართლებს თავს და მეც სავსებით ვეთანხმები, რომ ძალზე შეზღუდულები და გამომწყვდეულები ვართ.

ამ საუბრიდან რამდენიმე საათის შემდეგ, დაცვის სამსახურიდან ერთი კონფიდენციალური ფორმა გამომიგზავნეს შესავსებად. თხოულობდნენ: ჩემი ახლობელი ადამიანების ტელეფონის ნომრებს, პირად მონაცემებს, სახელს, გვარს, ხასიათის ნიშნებს, გარეგნულ მახასიათებლებს, გარეგნულ მონაცემებს, რომლითაც ამ ადამიანის ამოცნობას შეძლებდნენ იმ შემთხვევაში, თუ ჩემთან დაკავშირებით დასჭირდებიდათ. ზოგ გრაფაში რა უნდა ჩამეწერა ვერც კი ვხვდებოდი.

– რად გინდათ ასეთი დეტალები? – ვეკითხები ნილსს – დაცვის უფროსს.

– ეს აუცილებელია, რომ გაგიტაცონ, ამ მონაცემებით შევძლებთ თქვენს ამოცნობას, – მპასუხობს ნილსი.

– კი მაგრამ, ახლობლების მონაცემები რაღაზე გჭირდებათ? – არ ვეშვები.

– ეს იმ შემთხვევაში, თუ მოგკლეს, ჩვენ უნდა მოვიპატიჟოთ ზუსტად ის ადამიანი, რომელიც შესძლებს თქვენს ამოცნობას.

არ ვიცი გრეისი და მინა რას ჩივიან, მე კი უკვე ისეთი „ინსტრუქტაჟი" მივიღე, რომ „ბარონიდან" კი არა, ლამის 1020-დანაც (ჩემი ოთახის ნომერია), ფეხი არ მოვიცვალო. ერთი მადარდებს მხოლოდ – დედაჩემს ამერიკაში რომ ვგონივარ და რაღაც-რაღაცეებს რომ მაბარებს, მანდ ბევრი იქნება და ჩამომიტანეო, ეგ როგორ მოვახერხო? „ბარონში" ავღანური ხალიჩების და სუვენირების მეტი რომ არაფერი იყიდება?

ადრე ქაბული მწვანეში ჩაფლული ქალაქი ყოფილა, ფესვმაგარი, ასწლოვანი ფოთლოვანი ხეებით დამშვენებული. ამ გაუთავებელი ომების წყალობით ავღანეთის სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის მსგავსად დიდი რბევისა და ფიზიკური განადგურების გადატანა მცენარეებსაც, ხეებსაც მოუხდათ. რაც დაბომბვას, ყუმბარასა და ნაღმს გადაურჩა, იმას უმოწყალოდ ჭრიდნენ, რადგან ქუჩის ბრძოლების დროს ხეს ამოფარებული მტერი ტყვიამფრქვევზე საშიში ყოფილა.

დღეს პირველად მომიწია აეროპორტის გარდა ქალაქის სხვა უბანში გამგზავრება. მე მას ქაბულის მთიანი „ნახალოვკა" შევარქვი, ისე, კარტი ფარვანი ჰქვია, უფრო კი ბუხარისა და სამარყანდის დასახლებების ანალოგიურია: ერთმანეთთან მჭიდროდ მიმდგარი ბანიანი სახლები, მათ შორის გაჭრილი მაღალსაფეხურიანი ვიწრო კიბეები, მინჯღრეულ-მონჯღრეული მიწური ბილიკები და აღმართზე წყლის კასრებით დატვირთული თეთრი და ყავისფრი ვირების „ქარავანი".

წყალი ამ უბანში იმიტომ დააქვთ, რომ აქ არც სასმელი წყალი აქვთ და არც კანალიზაცია, ხოლო ვირით იმიტომ, რომ აქ მანქანა არ დადის, მითუმეტეს, ზედა

ქუჩებზე, ვირი კი, მოგეხსენებათ ყველგან მავალი ტრანსპორტია, მის სხვა კეთილშობილ თვისებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მძღოლი მეუბნება, ამ უბანში უპოვარი ხალხი ცხოვრობს, საჭმელი რომ ენატრება ისეთიო. რა ვიცი, ძალიან ლამაზი კია და... ქაბულში რომ ვცხოვრობდე, სახლს აქ ავიშენებდი მეთქი ვპასუხობ, იმას მრავამნიშვნელოვნად ეღიმება ულვაშებში.

ჩვენს მანქანას შინაგან საქმეთა სამინისტროში არ უშვებენ და მე ძალიან მიხარია, რომ ქაბულის ცოცხალ ქუჩაში ფეხით რამდენიმე მეტრის გავლის და მისი ნატურალური მტვერის შესუნთქვის საშუალება მეძლევა. არა მტვერი „ბარონშიცაა", მაგრამ საერთაშორისო ინგრედიენტებით შეზავებული და „ხელოვნური". „ბარონში" ავღანური მტვრის გემოს ვერასდროს შეიგრძნობ და ვერც იმას მიხვდები, რატომ გვანან ქაბულის ქუჩებში ხის „ტახტრევნებზე" ფეხმორთხმით ჩამომსხდარი ავღანელი მამაკაცები თავიანთ დამტვერილ, მოლურჯო-მონაცრისფრო სალოცავ ფარდაგებს. რატომ აქვს ქუჩებში საქმიანად მოსიარულე ქაბულელი ქალების ბურკებს გაცრეცილი ლურჯი ფერი და ნაცრისფრად რატომ დამჭკნარა გაზონის ყველა წითელი, ყვითელი და თეთრი ვარდი.

მტვერი ქაბულის მაცოცხლებელიცაა და მკვლელიც. მაცოცხლებელი იმიტომ, რომ ავღანელებს მასთან ათასწლეულის წინ დაწყებული ბრძოლა ჯერ არ დაუმთავრებიათ, მკვლელიც, ალბათ, იგივე მიზეზით. არ ვიცი, ასე კი ამბობენ, ჩვენი მკვლელიაო.

ამ წმინდა ავღანურ მოვლენას ისიც უწყობს ხელს, რომ ქაბული ომიდან ომამდე ინტენსიურად შენდება, უმეტესი ქუჩები (ცენტრალურის გარდა) მოუასფალტებელია, ქარი და წვიმა კი ავღანეთში ნამდვილად არ ჭირს და მეტი რა უნდა მტვერს...

ჩემი გამოცდილებით, ასეთ აღმატებულ ხარისხში, მტვერზე, მხოლოდ თეატრთან მიმართებაში ლაპარაკობენ: „სცენის მტვერს რომ გემოს გაუგებ...“ და ა.შ. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ქალაქის მტვერს ასეთი საკრალური მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ასეა, რადგან „ეს ხომ ავღანეთია“, ყველასგან და ყველაფრისგან განსხვავებული ავღანეთი, თავისი მტვერითა და ჭუჭყით, თავისი სიმდაბლითა და სიდიადით, ყველასგან ჩაკეტილი, განზე გამდგარი და ყველას თვალის მომჭრელი, შიშის მომგვრელი და ანდამატივით მიმზიდველი ავღანეთი. აღარ გათავდა მასზე არც გარედან და არც შიგნიდან ნადირობა.

ჩემი ოთახის დამლაგებელი, კობრა, ამბობს, დღეს რომ ერთნი ცათამბჯენს აშენებენ, ხვალ მეორენი, აფეთქებენ, ამაზეც ფულის კეთება ისწავლესო. ეჰ, ჩვენ ბომბებისგან ჯვარი გვწერია და სხვა მხრივ, ზუსტად ეგრე არ არის? გზებს დააგებენ, ორი კვირის შემდეგ გათხრიან, სამი კვირის შემდეგ მილებს ჩაყრიან, ზედ ასფალტს გადააგებენ, მერე ისევ გათხრიან – შეგვეშალაო, ახალ მილებს მოიტანენ, ახალ ასფალტს დააგებენ და ასე გაუთავებლად. ათეთრებენ და ათეთრებენ შავ ბულალტერიას, ასე უსაშველოდ მდიდრდებიან ერთნი და უსაშველოდ ღარიბდებიან მეორენი.

თავი 11

ჩვენს ეგრეთწოდებულ ბაბილონს, ანუ „ბარონს", ახლახან ჩემმა ფილიპინელმა მეგობარმა გრეის მარტინეს ბუენკამონომ მონათა ბანაკი უწოდა. მართალია, ჯერ ვერ დავიჭირე და შევიგრძენი ამ შედარების ქვეცნობიერი იმპულსები, მაგრამ მჯერა, რომ გრეისისნაირი გამოცდილი (განსაკუთრებით ავღანურ საკითხებში) მრავალწახნაგოვანი წარმოსახვისა და არანაკლებ მრავალხნულიანი ტვინის ადამიანის ამგვარ განმარტებაში, უთუოდ, დევს ერთობ სერიოზული რაციონალური მარცვალი. ფიქრის საღერღელი აშლილია და გზადაგზა, ეგებ გასაღებიც მოვუნახოთ ამ სპონტანურად შემოგდებულ გამოცანას – „ბარონი, მონათა ბანაკი." არა, სასჯელ-აღსრულებითი ან შრომა-გასწორების კოლონია რომ ეთქვა გაძლიერებული კვებითო, თვალდახუჭული დავეთანხმებოდი, მაგრამ მონათაო და... არა, ეს ნამეტანია, მე და ჩემმა ღმერთმა! რატომ მონათა? მართალია, დღის პირველ ნახევარში ყველა ვირივით მუშაობს, თავაუღებლად, სამაგიეროდ, შუადღის 4 საათის შემდეგ, რაც გინდა, აკეთე: გინდა ისევ ვირივით იმუშავე და გინდა კედელს უყურე მეორე დილამდე. არავის აზრადაც არ მოუვა, რომ ხელი შეგიშალოს. გინდა სპორტულად განიტვირთე, გინდა ალკოჰოლით, გინდა ფიზიკურად, სექსუალურად და გინდა სულიერად, ყველაფრის საშუალებაა „ბარონში". ოღონდ, ყველაფერს რამდენიმე ფხიზელი თვალი დაჰყურებს და ვინაიდან ამაზე საკუთარი ხელით გაქვს შენი გვარ-სახელი მოწერილი, კიდეც უნდა

შეეგუო. ამას არაფერი აქვს საერთო ავღანეთის პრობლემასთან, ეს პირადად შენი პრობლემა და არჩევანია.

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი" – შემზარავი განაჩენია, თუმცა, ძალიან პოეტური და პათეტიკური. რატომღაც, ვერასდროს ვმალავდი პროტესტს, როცა ამ სტროფებს ძალიან ამაყად და ომახიანად მასმენინებდნენ, ხოლმე, თუ სცენიდან და თუ სუფრაზე. ახლა აქ, ავღანეთის ტანჯულ მიწაზე ვიღაც ჩემნაირი გადამთიელი მეუბნება, „ბარონის" უღელი გადგასო! – ეს პირველ განაჩენზე გაცილებით შემზარავი მოსასმენია!

ახლა იმასაც შეგახსენებთ, რაზეც ადრე უკვე შევთანხმდით – „ბარონი" ერთგვარი ბაბილონია, აქ იმდენი ჯურის ხალხია შეკრებილი, ამდენი ქვეყანა და სახელმწიფო თუ არსებობდა დედამიწის ზურგზე, არც კი მეგონა. რას ვიფიქრებდი, თუ გეოგრაფიას საფუძვლიანად ჩემი ცხოვრების დაისზე, ავღანეთში, და ისიც ქაბულის გარეუბანში, კიდევ უფრო კონკრეტულად კი, „ბარონის" კომპაუნდში შევისწავლიდი. არ მახსოვს, განვმარტე თუ არა სადმე ზემოთ, რომ სიტყვა „კომპაუნდი" ინგლისურად სტრუქტურას, კომპლექსს, მთლიან წარმონაქმს, ნარევს ნიშნავს. ლინგვისტიკაში ეს სიტყვა ითარგმნება, როგორც „რთული" (მაგ: რთული წინადადება, სიტყვა და ა.შ.). ახლა შეაერთეთ ყველა ეს განმარტება და რასაც მიიღებთ, ისაა „ბარონი", ანუ „ბარონი" არის ერთი მთელი, რთული ნარევისაგან შექმნილი წარმონაქმნი (შინაურულად რომ ვთქვათ, „აჯაფსანდალი") და მე, მანანა დუმბაძე, ამ წარმონაქმნის ერთი მოლეკულა ვარ, ეროვნებით ქართველი, აღმსარებლობით მართლმადიდებელი ქრისტიანი, მრწამსით – კოსმოპოლიტი/ინტერნაციონალი, ჩემი სამშობლო – ჩემი დედამიწაა. ავღანეთში ამის განცხადება მომგებიანი

სულაც არ არის, არც არავინ აკეთებს ამას, მითუმეტეს, „ბარონში“ მე ვაკეთებ! თავხედი არ გეგონოთ, ამას მაშინ მივხვდი, როცა ავღანელმა მებაღემ და ჩვენი პატარა „მინიმარკეტის“ მეპატრონემ ერთად მითხრეს მთელი სერიოზულობით „თქვენ, მეგობარი ხართ, შესანიშნავი ქალბატონიო“ იმათ თვალებზე მივხვდი, რომ არ მეხუმრებოდნენ და ორივეს გულში ჩაკვრა მომინდა, მაგრამ ავღანეთში ამას, სულ რომ შვილად მიგაჩნდეს, მაინც ვერ გააკეთებ. არ შეიძლება და მორჩა! როცა ეს სიტყვები მახსენდება, ისეთ ხასიათზე ვდგები, ხოლმე, ისეთი სითბო დამივლის ძარღვებში, თითქოს, მადლიერი ავღანელი ხალხისგან, ქვეყნისათვის გაწეული ღვაწლისთვის მშვიდობის პრემია მიმეღოს.

ანდრეი გვარად მოისეევია, რუსის, ყაზახის, თათრის და ებრაელის ნაჯვარი. ამბობს, მართლმადიდებელი ვარო. მშობლიური ენა – რუსული, 10 წლის წინ წავიდა კანადაში და დღესაც ვანკუვერში ცხოვრობს. ფინანსური ოპერაციების მაესტროს ეძახიან. მგონი არყის ჭიქასთან ერთად დაიბადა, რამდენჯერაც შემხვდება ბაღში თუ კორიდორში, სულ ხელში უჭირავს. მისი მეგობარი რახატი ყირგიზია, იურისტი, მეუღლე შვედი ჰყავს, ცხოვრობს ხან შტატებში, ხან მოსკოვში, აღმსარებლობით „ათეისტია“ (საბჭოთა კავშირის პირმშო). ჯივანი მალაზიელია, ცხოვრობს ტექსასში, 30 წლის წინ გადასახლდა შტატებში და წარმატებასაც მიაღწია. ჯივანი შავკანიანია, მაგრამ ევროპული პირისახის, მკერდზე ოქროს ჯვარი ჰკიდია, ისიც ჩემსავით ქრისტიანია, ოღონდ არ ვიცი რომელი კონფესიის. აი საშა კი, რომელიც თხემით ტერფამდე გერმანელი მეგონა და არის კიდეც, რამადანის დროს აღმოვაჩინე, რომ მუსულმანობა მიუღია, ყველა რელიგიურ წესს იცავს და დღეში ხუთჯერ მორჩილად ლოცულობს „ბარონელ“ მუსლიმებთან ერთად. გრემი

ამერიკელი ებრაელია, იშვიათად დახვეწილი, ინტელიგენტი ადამიანი, ჩეხოვის მოთხრობების პერსონაჟს მაგონებს, ძალიან რბილი და ამავდროულად, მახვილი იუმორი აქვს. ჩემი დიანა ქართველი მართლმადიდებელია, მეტიც, სიღნაღელი კახელი – ჯიშიანი და თავისუფალი. სძულს ყოფილი საბჭოთა კავშირი, მაგრამ გიჟდება, ურალს გაღმა მცხოვრებ თავის რუს ნათესავებზე, რომლებიც, მამის მხრიდან, ბებიისგან ერგნენ შთამომავლობით.

მე და დიანამ, ამას წინათ, საუფროსო ხინკალი გავაკეთეთ და მის დასაგემოვნებლად ზემო ხსენებული „აჯაფსანდალიც" მოვინვიეთ. ხინკალი გვეცოტავა და ზედ ქართული სამზარეულოს სხვა სიამაყეებიც დავამატეთ და კარგიც ვქენით, რადგან ხინკალი, რომელმაც მთელი დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია, რუს-თათარ ანდრეის სასაცილოდაც არ ეყო, ზომითაც ძალიან პატარა მოეჩვენა და არც გემოზე გაგიჟდა მაინცადამაინც. მეტიც, ჩვენს საამაყო ხინკალს წყალში დამხრჩვალი „მანტეს" პაროდია უწოდა.

უზრდელი, ხეპრე, გაუთლელი რუსი! – ასეთი იყო ჩემი და დიანას ხმამაღალი კომენტარი ამაზე და მიუხედავად ამისა, ანდრეი მაინც ერთობ გემრიელად მიირთმევდა, უკვე თვლა ამერია მერამდენე ხინკალს, თან არა უშავს, ჭამა შეიძლებაო, ზედ არაყს აყოლებდა. ხინკლის ჭამას რომ მორჩა, გამოაცხადა, პარასკევს ყველას ჩემს თათრულ მანტეზე გეპატიჟებითო. პარასკევს, წითელი პარასკევივით, ველოდი. ზუსტად შვიდ საათზე, მე და დიანა ანდრეის ოთახის კართან ვიდექით თავიდან ბოლომდე დამუხტულები და შემართულები იმისთვის, რომ ჩვენი ხინკლის უსახური ნათესავი „მანტე" შიგ ჩახარშული კვახით ქართული სიდარბაისლითა და კლდემამოსილებით „კრიტიკის ქარცეცხლში გაგვეტარებინა".

ისე მოვინდომეთ, რომ სტუმართაგან პირველები ჩვენ აღმოვჩნდით. გაზქურაზე მანტეს სპეციალურ ხუთსართულიან ქვაბს ორთქლი და ოხშივარი ასდიოდა. ერთმანეთზე დაწყობილ თითო საწურზე მონღოლი გოლიათისთვის შესაფერისი ზომის ოთხი-ხუთი მანტე ორთქლში იხარშებოდა. კუჭების ნაცვლად, მანტე ოთხივ კუთხით ულვაშივით აპრეხილი კუდებით იკვრებოდა. ხუთსართულიან ორთქლსახარშზე ანდრეის წესით დამზადებული მხოლოდ 20-25 მანტე ეტეოდა. მანტე არის საშუალო სისქის ცომში გამოხვეული დაკეპილი ხორცი ბევრი ხახვით, შავი და წითელი პილპილით და წვრილად დაჭრილი ყვითელი კვახით. კვახი მანტეს, მართლაც, რაღაც არაჩვეულებრივ პიკანტურობას და არომატს მატებს. მანტეს მოჰყვება აუცილებელი პომიდვრის საწებელი ბევრი წითელი წიწაკითა და უფრო მეტი ნივრით, თათრები მას, სავსებით სამართლიანად, „კობრას“ ეძახიან.

რა გითხრათ და დიანამ, რომელიც აქ „ბარონში“ რადიკალურად კნინობით ფორმაში აღიქვამს ყველაფერს არაქართულს და მითუმეტეს, რუსის ხელიდან გამოსულს, თავშეკავებით, მაგრამ მაინც აღიარა, მანტე ხინკალს ჯობია, მაგრამ გააჩნია, რა შემთხვევაშიო (ბოლომდე მაინც არ დაიხია უკან). ორზე მეტ მანტეს იქ მყოფთაგან მარტო თავად ანდრეი მოერია – ოთხს! მიუხედავად იმისა, რომ „მანტე“ ძალიან კარგ არომატს აფრქვევდა, არაჩვეულებრივად მიმზიდველადაც გამოიყურებოდა, იმხელა იყო, მესამესთან და, მითუმეტეს, მეოთხესთან შერკინებას ვერავინ ბედავდა.

ასე „დაგვეჩაგრა“ საერთაშორისო დონეზე ჩვენი უსაყვარლესი ხინკალი და არ დამიწყოთ ახლა ფრუნზიკა მკრტჩიანივით „თქვენ ხინკლის გაკეთება არ იცით და იმიტომო!“

არ იფიქროთ, საჭმელების კეთების მეტი „ბარონში“ არაფერი ხდებოდეს. ბევრი, ძალიან ბევრი რამ ხდება, მაგრამ საჭმელი აქ, გარდა სასიცოცხლო საჭიროებისა, ადამიანთა ურთიერთობის, კულტურათა ურთიერთგაცნობის, ინფორმაციის გაცვლისა და დამეგობრების უპირველესი წყაროა, გონებაში ღრმად დალექილი, ქვეცნობიერი იმპულსების გამაცოცხლებელი და მეხსიერებიდან ამომტივტივებელი ძალა, რომელსაც ბებერი ხის გამხმარ ფესვებამდე ჩააქვს მზის სინათლე და წყალი, სიცოცხლეს შთაბერავს და დახეთქილი მერქნიდან ახალ, ნორჩ ყლორტს ამოაყოფინებს თავს. მერე აღმოჩნდება, რომ ამ უკიდეგანო პლანეტაზე ყველა ვიღაცის ბაბუა და შვილიშვილია. ვგიჟდები, ისე მომწონს მალაზიური იავნანა. დავიჯერო, ეგ რომ მემღერა ჩემი შვილისთვის, არ ჩაიძინებდა? სხვათა შორის, ჩემს პატარას მოცარტის ნანასაც ვუმღეროდი და ძალიან ტკბილად იძინებდა.

აქვე, ჩემი ჩინეთში მოგზაურობის ერთი მომენტიც მინდა გავიხსენო. 2007 წელს შანხაიში გახლდით მთარგმნელთა საერთაშორისი ფედერაციის (FIT) გენერალურ ასამბლეაზე. ეს ამბავიც გლობალიზაციის ტიპური სცენარით გათამაშდა დიდი ჩინური ნადიმის ერთ პატარა მრგვალ მაგიდასთან. ნადიმი შანხაის ყველაზე ფეშენებელური სასტუმროს „აღმოსავლეთის ვარსკვლავის“ დიდ საბანკეტოში იმართებოდა. დიდხანს ვარჩიე, რომელ მაგიდასთან დავმჯდარიყავი, რადგან ქართული დელეგაცია სულ ერთი კაცისგან, ჩემგან, შედგებოდა. თან ძალიან მსურდა სადაც ჩინელები ისხდნენ, იქ მოვხვედრილიყავი, ნამდვილი ჩინური კერძები ჩინური წესების დაცვით დამეგემოვნებინა. ერთ მაგიდას მივადექი. მის გარშემო ათიოდე ჩინელი იჯდა და სამი თავისუფალი სკამი კიდევ იყო დარჩენილი. ჩემს გვერდით

მჯდომს ვთხოვე, რასაც შენ შეჭამ, მეც ის მომაწოდე და თან მასწავლე თქო. იმას ძალიან გაუხარდა ჩემი ცნობისმოყვარეობა და მაშინვე დამიწყო იმის ახსნა, თუ რომელი ჭურჭლით რა უნდა მეჭამა. მაგიდაზე მეორე, ზედა პატარა მაგიდა ტრიალებდა, როგორც ჩინურ რესტორნებშია, ოფიციანტები ახალ-ახალი კერძების მოტანას ვერ აუდიოდნენ. სუფრის წევრები ჩემით ძალიან გაერთნენ. ისინი სხვადასხვა პროვინციებიდან იყვნენ ჩამოსულები და ყველა თავისი ტრადიციიდან გამომდინარე მიხსნიდა თითოეული კერძის ჭამის წესს. ბოლოს, ისე გამწვრთნეს, რომ აქეთ ვეუბნებიდი, რაღაცას ხომ არ ურევთ თქო.

ზუსტად ამ დროს, ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი მოგვიახლოვდა და პირდაპირ მე მომმართა, ეს ორი სკამი თუ თავისუფალია, შემოგიერთდებითო. რა თქმა უნდა, მოვიპატიჟეთ. ზუსტად ჩემს გვერდით დასხდნენ და თავისი გვარიც მითხრეს, ტიპური ებრაული გვარი, აღარ მახსოვს. როცა გაიგეს, რომ ქართველი ვარ, მკითხეს როგორი მდგომარეობაა ახლა საქართველოშიო, რას წარმოადგენთ, სად მუშაობთო, მოკლედ, ძალიან მოლაპარაკე მეზობლები გამოდგნენ, განსაკუთრებით ქალი. კაცი აშკარად მეცნიერი იყო, ძალიან აკადემიურად ჩაცმული, მიამიტური გამოხედვით. როცა ვუთხარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე თქო, კაცმა ცოლს გადაულაპარაკა, ეს, ალბათ, ნოდარის კათედრააო.

– რომელი ნოდარის? – ვერ დავმალე ცნობისმოყვარეობა.

– ნოდარ ჯინჯიხაშვილი, ჩვენი მეგობარი, მგონი ეთიკას კითხულობდა, ძალიან სიმპათიური ყმაწვილია – მითხრა კაცმა.

– ჩემი უსიმპათიურესი ლექტორი ნოდარ ჯინჯიხაშვილი?

– თქვენი ლექტორი იყო?

– კი, ჩემი ლექტორი, ვგიჟდებოდით მასზე გოგოები, მაგის ლექციას ვინ გააცდენდა, ისეთი, მომხიბვლელი იყო, თანამედროვე, მაგრად იცვამდა, ჯაზი უყვარდა...

– ჰო, ჰო, ძალიან მომხიბვლელი იყო, მეც ძალიან მომწონდა, – დამეთანხმა ქალი – არ გეწყინოს ძვირფასო! – თან დააყოლა.

– რატომ იყო, რამე ხომ არ მოუვიდა?

– არა, ათი წლის წინ სხვა შტატში გადავიდა, სხვა უნივერსიტეტში და მას მერე აღარ გვინახავს, კავშირი გაწყდა, არადა, რა ახლოს ვიყავით! – გულდაწვეტით აღნიშნა კაცმა

– როცა ნიუჯერსში ჩამოვიდა, სულ ახალგაზრდა იყო. უნივერსიტეტში ამის მეტი ახლობელი არ ჰყავდა, სულ ერთად ვიყავით, ამის წყალობით მოიკიდა ფეხი, არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავდა, – დაამატა ცოლმა.

– ჰო, ვიცი ძალიან ლამაზი ქალი იყო მანანა ბააზოვა, ნანახი მყავს თბილისში არაერთხელ – დავეთანხმე მე.

– როგორ მომნატრებია, აუცილებლად მოვძებნი, სახლში რომ დავრუნდები – გადაწყვეტით თქვა ქალმა და კაციც დაეთანხმა „კარგი აზრიაო".

მერე მე და იმ ქალმა ბევრი ვიჭორავეთ ქალურად, მომიყვა, როგორ ჩამოვიდნენ ამერიკაში, როგორ ეხმარებოდა მთელი ებრაული სათვისტომო ფეხზე დადგომაში, რა კარგი იუმორი ჰქონდა და რა ტკბილი ბიჭი იყო, როგორ დადიოდნენ ოჯახებით ერთად წვეულებებზე... და რა ბედნიერები იყვნენ, რომ ასეთი კარგი მეგობრები გაიჩინეს. მერე მეც მოვუყევი ის მწირედი, რაც ვიცოდი ნოდარ ჯინჯიხაშვილის შესახებ თბილისიდან... პროფესორი იშვიათად, მაგრამ მაინც ერეოდა ჩვენს საუბარში

და რაღაც-რაღაც დეტალებს ამატებდა დიდი სიყვარულითა და სითბოთი. ჩვეულებრივი ადამიანური, ძალიან შინაურული საუბარი გაიმართა საერთო ნაცნობზე სამ ადამიანს შორის, რომელთაც სულ რამდენიმე წუთის წინ ერთმანეთის არსებობის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მართლაც, რომ ცხრა ზღვა და ცხრა მთა გადალახეს, რათა ჩინეთამდე ჩამოელწიათ, შანხაის ცენტრში, ერთი პატარა მაგიდის გარშემო დამსხდარიყვნენ ერთად და ერთი დავიწყებული საერთო მეგობარი გაეხსენებინათ. ამაზე თუ დაფიქრდი, ცხოვრება მართლა საოცარი და მშვენიერი მოგეჩვენება.

აგაშენა ღმერთმა! მაგრამ ეს „მონათა ბანაკი" რომ მოსვენებას არ მაძლევს? ...ძალიან არ მომწონს „ბარონში" რომ ვარ და ვიღაც ყოველდღე მონათა ბანაკში ხარო მიყიჟინებს. ძირში მივყვები სიტყვა „კომპაუნდის" განმარტებებს და აი ესეც: Compound – 1. შემოღობილი ადგილი (მაგალითად, სამხედრო ტყვეებისათვის); 2. ფერმაში მომუშავე ზანგების დასახლება აფრიკაში;
რა არ ვეცადე, საიდან არ მოვუარე, რა არ ვიფილოსოფოსე, რომ რაღაც სიმბოლურ-მრავალმნიშვნელოვანი ახსნა მომეძებნა ამ განმერტებებისთვის, მაგრამ ბოლოს მაინც გრეის მარტინესის ვარიანტი შემრჩა ხელში: „ბარონი, მონათა ბანაკი". მთლად კარგად ვერ ეღერს, მაგრამ ფაქტია და...!

თავი 12

შიშა იგივე ჩილიმია. ავღანელები მას „ჰაილუნსაც" ეძახიან. შიშა ბარონის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა და გასართობი საშუალებაა. ვინც შიშას არ ეწევა, ის – გოიმია! მე უკვე ერთი წელია სიგარეტს არ ვეწევი და არც ამ ჩილიმზე მიმდის გული, თუმცა, მის გარშერმო დატრიალებული სურნელი ძალიან მომწონს: ხილის, კენკრის, პიტნის, ყვავილების, ბროწეულის... რისი აღარ. ერთხელაც ვერ მოვითმინე და პიტნისა და ვაშლის არომატიანი შიშა ბაღში გამოსატანად შევუკვეთე. ვიჯექი ფაშასავით დივანზე და ველოდი. მომიტანეს ლამაზი და მშვენიერი, გაწყობილი და გამზადებული, მოქაჩვის მეტი არაფერი უნდოდა. მეც, როგორც ძველმა პროფესიონალმა მწეველმა, ერთი ღრმა ნაფაზი დავარტყი, უფრო სწორად, ვეცადე დამერტყა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, იმ წვრილი მილიდან და მუნშტუკიდან ვერაფერი გამოვწოვე, ვერც გამოვქაჩე, ვერც წყალი ავათუხთუხე დოქში, ტუჩებიც დამისკდა ქაჩვისგან და ფილტვები კინაღამ დავიხეთქე. მსოფლიო მასშტაბით მომექრა თავი შუაგულ აზიაში, ნაკოტიკისა და კაიფის მექაში. გვერდზე მსხდომები ჩუმ-ჩუმად ხითხითებდნენ, დახმარებას მთავაზობდნენ. ჩემ შემყურე ტატოს ნერვები აეშალა:

– და, რა დაგემართა? – მკაცრად მითხრა.

– აბა, მე რა ვიცი, არ იქაჩება – დავიმორცხვე.

– ყველა ეწევა და შენ რით ვერ მოქაჩე?

– ჩემი ბრაკია.

– მაგის ბრაკი არ არსებობს.

– ჰო კაი, გამომივა, აბა რას იზამს, – დავამშვიდე ტატო და ახლა ნაზად ვცადე მოქაჩვა, მალე ყველას მობეზრდა ჩემი საცოდაობის ყურება, მეც აღარ მოვიკალი ზედმეტი მცდელობით თავი, ვაგლახავე ცოტა და იქვე მივაგდე. ბარმენი ფულის წასაღებად რომ მოვიდა, პირველი და უკანასკნელია-თქო გამოვუცხადე.

– რატომ, ყველას მოსწონს, რამე ისე არ იყო? – მკითხა გაოცებით, მერე ჩემი შეკეთებული ჩილიმი მოქაჩა და ისე გემრიელად გააბოლა, კინაღამ გული გამისკდა.

– შენთვის შეგიკეთებია და ეგაა – ვთქვი ქართულად, იმან ვერაფერი გაიგო, მხრები აიჩეჩა, ბოდიში მომიხადა და ჩილიმიანად წავიდა.

მეორე დღეს, პინგ-პონგის თამაშის შემდეგ, ბაღში ვისხედით წრიულად. თითოს გამოტოვებით, სკამებს შორის ჩილიმები გვედგა. გარშემო ველური ყვავილების და ხილის სურნელი ტრიალებდა. თანამშრომლები მუნშტუკებს თავებს უცვლიდნენ და ისე გადასცემდნენ ერთმანეთს. მეც მომაწოდეს. მე ვიუარე, ეგ ჩემი საქმე არ ყოფილა-თქო და რატომო, ზუსტად ისე გაიკვირვეს, როგორც ბარმენმა წინა ღამეს. მოვუყევი რაც გადამხდა.

– აი ეს გასინჯე – არ მომეშვა ბრაიენი, თავის მუნშტუკს თავი შეუცვალა და სულ ძალით შემომაჩეჩა ხელში.

– კარგი, ოლონდ დაცინვა არ გაბედო. – ავიღე მუნშტუკი და რაც ძალი და ღონე მქონდა მოვქაჩე. ზუსტად ისე დამემართა, პირველად რომ მოვწიე სიგარეტი ცხოვრებაში, კინაღამ ხველებით დავიხჩვი, გუშინდელ ნამეცადინევს, ზედმეტად მაგარი ნაფაზი გამომივიდა. ამაზე ირგვლივ მსხდომებმა სიცილი ვერ შეიკავეს და არც გამკვირვებია. მერე ყველაფერი დალაგდა, ერთმანეთში აღრეული საოცარი არომატების ნაკადი მდორედ ჩაიღვარა ჩემს ერთი წლის განმენდილ ფილტვებში და მოვარდისფრო-მოიასამ-

ნისფრო ნისლით დაბურა. ძალიან მომეწონა ეს ნისლი, ძალიან გამათბო და დამამშვიდა.

– გუშინდელით რომ დაგემთავრებინა, ამის გემოს ხომ ვერასოდეს გაიგებდი? – მეკითხება ბრაიენი.

– ჰო კარგია, რომ აზრი შემაცვლევინე, თორემ ნამდვილად დაუმსახურებლად გავლანძღავდი ამ მშვენიერ „ქაილუნს“ ჩემს დღიურებში.

– ეს „ქაილუნიც“ რა ლამაზი და მისტიკური სიტყვაა, ნეტავ რას ნიშნავს? ეკითხება ანას ბრაიენი, ის მხრებს იჩეჩავს.

– ახლა შეგიძლია თამამად თქვა, რომ აღარა ხარ „გოიმი“, – მამშვიდებს ბრაიენი.

– ჰო, და მალე „შეიძლება პაპიროსიც მოვწიო“ – ვუდასტურებ. ბრაიენს ეს არ ესმის, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც მიცინის.

თავი 13

დათო ტურაშვილი: „გურგენ-ხანის დროს იქ, ჩრდილოეთ ავღანეთში ქართველები დასახლდნენ (1202). შარშან ამერიკელები რომ ბომბავდნენ ავღანეთს, აქ, თბილისში ყველას ვეუბნებოდი, ეგენი ის ქართველები არიან ავღანელები რომ გახდნენ მეთქი, მაგრამ მათ ვინღა უშველიდა“ („გურჯი ხანუმი“, თბ. 2011, პალიტრა, გვ.16).

ასეთი შემთხვევა მომხდარა პაკისტანში: მოსულა ბრიტანეთის საელჩოში ვილაცა, უთქვამს თალიბანების წარმომადგენელი ვარ და ავღანეთის მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების სურვილის გადმოსაცემად ვარ გამოგზავნილიო. ბრიტანეთის საელჩოს ეს კაცი პაკისტანიდან ნატოს თვითმფრინავით ქაბულში ჩამოუყვანია და ხამიდ კარზაისთან შეუხვედრებია. სამშვიდობო მოლაპარაკების მომზადებისთვის ავღანეთის მთავრობას ამ კაცისთვის მილიონი აშშ დოლარი გადაუხდია. ამაოდ ელოდა თურმე ხამიდ კარზაი დათქმულ მოლაპარაკებას, კაცი ფულიანად ისე გაუჩინარდა, ვითარცა თვითმფრინავის ნაკვალევი ცის კაბადონზე. ავღანეთის საერთაშორისო თავდაცვის სამსახური ამაოდ ეძებდა მის კვალს ავღანეთის მთებსა და ტრამალებში. მაგრამ, გამოხდა ხანი და უფრო კვალიფიციურმა სამსახურებმა თაღლითს პაკისტანში მიაგნეს – ერთი ავღანური მაღაზიის მეპატრონე იყო. ატყდა სკანდალი, ვაი-უშველებელი, კარზაი ბრიტანელებს სდებდა ბრალს ეს ვითომ თალიბანების ლიდერი თქვენ შემომტენეთო. ბრიტანელები – ავღანელებს, ტვინი სად

გქონდათო. ნატო ორივეს გამჩენს აგინებდა და კრება კი, დარჩა მხიარული იმის დაუდგენლად, თუ სად წავიდა ის ერთი მილიონი აშშ დოლარი. ფაფუ... ამასობაში კი თალიბანები ხოცავდნენ ვინც საჭირო იყო და არ იყო საჭირო. თავდაცვა ვერც თავს იცავს და ვერც ქვეყანას, მოკლედ, რაც გინდა თქვით და ეს ჩვენი მიშაა თუ ვანო, მართლა „მაგარია" ძმაო!

წარმოიდგინეთ ერთი წუთით ახლა, რომ ვიღაც ჩალმაში ჩამონტაჟებული დინამიტით მიშასთან შევიდეს და ააფეთქოს (ამას იმიტომ ვწერ, რომ გუშინ ასე ჩალმაში ჩამონტაჟებული პატარა ბომბით ვიღაც ყანდაღარელი თალიბანი ყოფილ პრეზიდენტთან, რაბანთან, სტუმრად მისულა. გადახვევია სიყვარულის ნიშნად და მასთან ერთად თავი აუფეთქებია – ეტყობა ესეც სიყვარულის ნიშნად. საწყალი რაბანი თურმე სპეციალურად ჩამოუყვანიათ დუბაიდან ამ კაცთან შესახვედრად, კარზაი ყოველ დღე ურეკავდა, შეხვდი, სამშვიდობო მისიითაა გამოგზავნილი თალიბანებისგან და დაელაპარაკე, მე ირანში ვარ და არ მცალიაო.

შანსი არ არის! გაუჩხრეკავად და დაუმუშავებლად მიშასთან, მე მგონი, ცოლშვილსაც აღარ უშვებენ, აქ კი, ვიღაც მედუქნე იგლისელ ჯეიმს ბონდებთან ერთად დაფრინავს ნატოს თვითმფრინავებით პაკისტანსა და ავღანეთს შორის და მილიონ ამერიკულ დოლარს ისე სწაპნის ამ ორ იმპერიას ცხვირწინ, რომ ვერც ერთი და ვერც მეორე აზრზე ვერ მოდის. ბნელა მთვარიან ღამეში? სულ ზღაპარი და თვალში ნაცრის შეყრა მგონია ეს ამბავი. თუ მართალია, ესენი ან მართლა 1390 წელში ყოფილან გაჩხერილები (ჩვენი წელთაღრიცხვით) და შესაბამისი წესით ეწევიან ჭაპანს, ან ყველას, მტერსაც და მოყვარესაც სავსებით აწყობს ეს დაუსრულებელი ავღანური „ეპოპეა" და მსოფლიოს აღადავებენ... ვფიქრობ, ცოტ-ცოტა ორივეა.

***

– აბა თუ მიხვდებით ქაბულში ღორი სადა ჰყავთ? – გამომცდელად კითხულობს დიანა, მე მხრებს ვიჩეჩავ – ზოოპარკში, თან ერთადერთი. ჰოდა, როცა მთელი მსოფლიო ღორის გრიპმა მოიცვა, ავღანელებმა ამ საცოდავ ღორს საჩვენებელი სადამსჯელო ოპერაცია ჩაუტარეს და საჯაროდ დახვრიტეს. ეს ამბავი ჩემმა ავღანელმა თანამშრომელმა მომიყვა.

– ღორის გრიპის დროს USAID-ის პროგრამით კახეთში მიმავლინეს სასოფლო-სამეურნეო პროექტის შესაფასებლად. გლეხებს ვეკითხებოდით, რა შვებით, ღორებს ხომ კლავთთქო და ისინი გვპასუხობდნენ, როგორ არა, ავადმყოფ ღორებს ვკლავთო?! – გაიხსენა ღორის გრიპთან დაკავშირებული ქართული ამბავი ჩვენმა ამერიკელმა კოლეგამ მათიაშმა, რომელიც არაერთი წელი მუშაობდა საქართველოში – მიდი და შეეკამათე, აბა ჯანმრთელი და სახსალამათი ღორის დაკვლა ვის გაუგია?

სექტემბრის გრილი საღამოა ბარონის ბაღში და სახალისო ისტორიები არ ილევა. ზოგი კოქტეილს წრუპავს, ზოგი სიგარეტს ეწევა, ზოგიც შიშას. მე შიშაზე უკვე საკმაოდ სოლიდური ინფორმაცია მოვაგროვე. შიშა თურმე ძალიან სასარგებლოა, ფილტვებს წმენდს, კუჭნაწლავსაც, ტვინის უჯრედებს ასუფთავებს, მოკლედ, შიშას მოუწევლობა საკუთარი ორგანიზმის ღალატს ნიშნავს თურმე.

– ძალიან ლამაზი სიტყვაა „ქაილუნნننننننნ“ – ატმის არომატით გაჟღენთილ კვამლთან ერთად ამოდის ჩემი ფილტვებიდან ბგერათა ეს მშვენიერი თანწყობა და სავსე მთვარის შუქში ნაცრისფერ ღრუბლებად იშლება. „ქაილუნს“ ჩემს მუნშტუკს ვაცლი და დაგრეხილ, მწვანე

მილს ფილიპინელ გრეისის ვაწოდებ, გრეისი მილზე თავის მუნშტუკს ამაგრებს და რანდენიმე ღრმა ნაფაზის შემდეგ ჩემსავით, გვერდზე მჯდომს აწვდის, ის თავის გვერდზემჯდომს და ასე ტრიალებს ტომის ბელადებს შორის „მეგობრობის ჩიბუხი", ვიდრე მოსაწევი და მოსაყოლი არ ამოიწურება.

მართლა მშვენიერი რამე ყოფილა ეს ქაილუნი. მშვიდობის დამყარების ერთობ ეფექტური საშუალება – დროებითი მშვიდობის დამყარების მაინც. რატომ ვერაფერი ისწავლეს ამერიკაში „ჩაბრძანებულმა" ევროპელებმა ინდიელებისგან სკალპის აღების და ყელის გამოჭრის მეტი?

თავი 14

ერთი დიდი ბლოკნოტი ხომ გავასე უკვე „ბარონზე" ამბების წერით და იმაზე წუწუნით, რომ ავღანეთში ვარ და აქ არ ვცხოვრობ თქო. ხომ დავიკომპლექსე თავი იმაზე ფიქრით, როგორ გავარდ-გავმძვრალ-გავპარულიყავი „მოავღანეთო" ადგილებში და რაღაცა მაინც მენახა და დამეწერა ქვეყანაზე, სადაც უკვე სამი თვეა ვცხოვრობ და კიდევ 7 თვე უნდა ვიცხოვრო.

ამასობაში გრანდიომანიაც შემეყარა. თავი დიდი ვინმე მგონია (და არა მარტო მე, აქ რომ მოისმინოთ, რა პრეტენზიებს აცხადებენ ადამიანები, თუნდაც დაცვის სამსახურის მიმართ და რა დითირამბებს უმღერიან საკუთარ „მოღვაწეობას". გეგონებათ, დღეს თუ არა ჰა, ჰა ხვალ ავღანეთს წალკოტად გადააქცევენ). მანქანაში ისე არ მსვამენ, ერთი ორი დაცვის კუნთმაგარი თანამშრომელი მარჯვნიდან და მარცხნიდან რომ არ ამომიდგნენ და კარი არ გამიღონ. ისე შევეჩვიე ამ მდგომარეობას, ახლა რომც არ გამიღონ, დებილი ბავშვივით ვდგავარ მანქანის კართან და არ ვიცი, რა უნდა ვქნა. ასევე მაღაზიაში, ვიდრე მე დახლებს შორის ვმოძრაობ, ორმეტრიანი ცისფერთვალება ბრიტანელი ბრგე ვაჟკაცი თვალს არ მაშორებს, ემანდ ეს ქალი ვინმემ არ მომტაცოსო... არც გვერდიდან მშორდება და ჩემი ქმარშვილისგან განსხვავებით ერთი არ წამოცდება, „მორჩით რა ქალბატონო, ნუ გაატრაკეთ, აირჩიეთ ბოლოს და ბოლოს რაც გინდათ და დავახვიოთ აქედანო". როგორ გამიბედავს!

თავიდან მრცხვენოდა, მერე მერიდებოდა, მერე შევეჩვიე და ბოლოს ისე შევიფერე, თითქოს, მთელი ჩემი წინაპრები ასე დაცვით დადიოდნენ გურიასა და მის შემოგარენში. მოკლედ, სულ წავედი ხელიდან, ცოტაც და მიშასავით დავიწყებ: „უჩემოდ საქართველო (ავღანეთი) განწირულია თქო". მართალია, ეს მიშას არ უთქვამს – სანდრამ თქვა, მაგრამ მიშას ნამეცადინევი არ არის?

ხუთ ოქტომბერს პირველი შვებულება მაქვს და ორი კვირით სახლში ვბრუნდები. ამიღეს ბილეთი, ჩამსვეს ბრონირებულ ლენდკრუიზერში, გვერდზე „შუთერი" მომისვეს და აეროპორტისკენ ჰერი-ჰერი! აეროპორტი სულ რაღაც თხუთმეტი წუთის სავალზეა ჩვენგან, მაგრამ მოედანზე გაგვაჩერეს, მანქანა გვერდზე გადაგვაყენებინეს და გვითხრეს, დანარჩენი გზა ფეხით უნდა გაიაროთო. ეს, მართალი გითხრათ, არ მომეწონა, რადგან ფეხით საკმაოდ დიდი გზის გავლა გვიწევდა და, თანაც, არც თუ ისე უსაფრთხო უბანში.

– რა ხდება, რატომ არ გვიშვებენ? – ვეკითხები მძღოლს.

– კარზაი მოფრინავს ინდოეთიდან, მემ და ფეხით უნდა გააგრძელოთ გზა!

– ამას ვხვდები, მაგრამ როგორ უნდა წავიდე და სად, გზა რომ არ ვიცი, თან ამხელა ჩემოდნით, თან მარტო? – ავწკმუტუნდი.

– მარტო არა, მემ, დაცვა გამოგყვებათ და ჩემოდანსაც წამოგიღებენ. მე აქ დაველოდები.

კი შემეშინდა, მაგრამ რა უნდა მექნა, შუა ოკეანეში ვზივარ ნავში და გინდა თუ არა, გადახტი, როცა ცურვაც კი არ იცი. უკან გზა არ არის, წინ – სამშობლოა, ცოცხალმა თუ ჩააღწიე. გადმოვდივარ მანქანიდან, შუტერი საბარგულიდან ჩემს „ქერიონს" (პატარა გორია-

ლა ჩემოდანს) იღებს და ერთად მივდივართ აეროპორ-ტისკენ. მოედანი ხალხითაა სავსე და ყველას, თავის ბარგიანად აეროპორტისკენ უჭირავს გეზი. გულში ქართულ-ინგლისურ-რუსულ-სპარსულ ენაზე ერთად ვა-გინებ დედამიწის ზურგზე დამავალ ყველა პრეზიდენტს და საკუთარ თავსაც. იმისათვის, რომ ამ გაუგებრობაში ნებაყოფლობით გავყავი თავი.

აბრეშუმის თავსაფარი მისრიალებს და უკვე მერამ-დენედ მძვრება თავიდან, ვისწორებ, ცოტა ხანში ისევ მძვრება და მტვერსა და ნაგავში ვარდება, ვფერთხავ, არ იფერთხება და ნერვებმოშლილი პროტესტის ნიშნად ჩანთაში ვკუჭავ. გზას თავშიშველი ვაგრძელებ. რა ვქნა, კარზაის დააბრალონ, ვიმშვიდებ თავს და თავდახრილი მივუყვები აეროპორტისაკენ მიმავალ ტრასას. გზაზე პოლიციის რამდენიმე პოსტია გასავლელი. უთავსაფრო-ბა ავღანეთში ძალიან ცუდი ტონია, მაგრამ რა ვქნა, იმ ტურტლიან თავსაფარს ხომ ვერ დავიფარებ თავზე, ჩანთიდან ვაძვრენ და ხელში ვაფრიალებ გამოსაჩენად, თითქოს, ამით რამის შეცვლა შეიძლებოდეს, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, არავინ მაყენებს შეურაცხყოფას, არც ეჭვის თვალით მიყურებენ, პირიქით, ყველა გზას მითმობს, როგორც ქალს და გზას მასწავლის ქალების გასაჩხრეკი პუნქტისკენ.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, ერთ პუნქტს მივადექით, სადაც ძალიან დიდი რიგი იდგა, ჩემმა „შუთერმა" პოლიციელს ჩემი ბილეთი აჩვენა და სთხო-ვა ურიგოდ გავეშვი, რადგან სხვა შემთხვევაში თვით-მფრინავზე დამაგვიანდებოდა. იმან ბილეთი აათვა-ლიერ-ჩაათავლიერა, მერე მე, მერე ჩემი ჩემოდანი, ვიღაცას დაუძახა, რაღაც მითითება მისცა და ჩემოდანი ჩამომართვა. რა ხდებოდა არ ვიცოდი, მაგრამ ვინაიდან ხმის ამოღებას აზრი არ ჰქონდა, გასუსული ველოდი

მოვლენების განვითარებას. პოლიციელმა ჩემს „შუთერს" აჩვენა გვერდზე გადექიო, მე კი – აქეთ მოდიო. ადგილიდან არ დავიძარი. ველოდი, ჩემი დაცვა რას მეტყოდა.

– მემ, აქედან მე ვაღარ გამოგყვებით, უფლება არა მაქვს, ეს კაცი აეროპორტის ავტობუსამდე მიგიყვანთ და იქიდან თვითონ უნდა გაერკვეთ ყველაფერში.

თავს თუ არ მოვიკლავდი, არ მეგონა. „შუთერს" მადლობა გადავუხადე და შესაწირი კრავივით უხმოდ ავეკიდე იმ ვიღაც ავღანელს, რომელიც ჩემს ჩემოდანს მიათრევდა და ჩქარ-ჩქარა რაღაცას მეუბნებოდა ავღანურად, აშკარად ფულს მთხოვდა მომსახურებისათვის.

ავტობუსი ისეთი მტვრიანი და ჭუჭყიანი იყო, რომ ფერი ვერაფრით გავარჩიე. ავძვერი, ის ჩემი თანამგზავრი ამომყვა და თითით უკანა სკამებზე მიმითითა, იქით წადიო, თვითონ კი, ჩემი ჩემოდნიანად, მძღოლის გვერდზე დადგა. უკანა რიგში რამდენიმე თავსაფრიანი ქალი უკვე იჯდა. კაცები ამოდიოდნენ და წინ სხდებოდნენ. მერე, ავტობუსი რომ გაივსო, კეთილი ინებეს და ჩვენკენაც წამოიწიენ. ბოლოს ისე დაგვაფასეს, რომ ჩემს გვერდით ერთი და წინ ორი შალვარ კამიზში გამონყობილი ავღანელიც კი დაჯდა. მე, ისევ დასაკლავი კრავის კომპლექსით შეპყრობილი, უმისამართოდ ვიყურებოდი იქით-აქეთ და აზრზე ვერ მოვდიოდი, რა უნდა მომხდარიყო. „მატარებელი თვლემს, როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა" – ამეკვიატა გალაკტიონის სტროფი და თავი ბებიაჩემ ანიკო ბახტაძედ წარმოვიდგინე, რომელიც 37-ში, ალბათ, ზუსტად ასე მიჰყავდათ ეტაპით გადასახლებაში ყაზახეთისკენ. სასწრაფოდ ამოვიღე ტელეფონი და დიანას ნომერი ავკრიფე. დიანამ რამდენიმე ზარის შემდეგ მიპასუხა:

– დიანა, დაიმახსოვრე, გელაპარაკები აეროპორტის ავტობუსიდან. ვარ მარტო და გვეუბნებიან აეროპოტში მიგიყვანთო.

– მერე რატომ უნდა დავიმახსოვრო?

– ვარ მარტო და არ ვიცი, ამის შემდეგ კიდევ მექნება დარეკვის საშუალება თუ არა.

დიანას ისეთი სიცილი აუტყდა, სიტყვებს თავს ველარ უყრიდა.

– ნუ გეშინია, ორ წუთში აეროპორტის ცენტრალურ გასასვლელთან მიგიყვანენ, იქ ქალებს აეკიდე და ყველგან ურიგოდ გახვალ. მოსაცდელ დარბაზში რომ მოხვდები, კიდევ დამირეკე, საშიში არაფერია.

აქედან და ამ წუთიდან დაიწყო ნამდვილი ავღანეთი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ყოფილ საბჭოთა კავშირთან, მაგრამ მაინც გამახსენდა 70-იანი წლების ჩვენი ძველი, ჯაბახანა, ჭუჭყიანი აეროპორტის ავტობუსები, რომლითაც ძალიან იშვიათად ვმგზავრობდი, მაგრამ თუ ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, თავზე აუცილებლად მეწყო ხოლმე ფუთები, ყუთები, „სეტკა“ და სხვა ათასი წვრილმანი.

ავტობუსი ნელ-ნელა ივსება, ჩალმიანი ავღანელი კაცები ქალების ადგილს აღარ თაკილობენ. ერთმა მანიშნა, ჩაიწიეო და ზურგით დამიჯდა (რომ არ გადავრიო და არ ვაცდუნო იმიტომ). ეტყობა ადგილი არ შეხვდა „კაცური“, თორემ მაჩვენებდა, სად ჯდებიან ნამდვილი კაცები. ახლა რას იზამს, რამდენიმე წუთი უნდა მოითმინოს. მინდოდა შევკითხოდი, ეს ავტობუსი აეროპორტამდე თუ მიმიყვანს თქო, მაგრამ ისე პრინციპულად ჰქონდა ზურგი მოშვერილი, რომ ვერ გავუბედე. ერთი ქალი მიხვდა რაც მაწუხებდა და მშვენიერი ინგლისურით მითხრა, დაწყნარდით, იქ მიგიყვანთ სადაც საჭიროაო. „დავწყნარდი“.

ვიდრე მთავარ ტერმინალამდე მიგვიყვანდა, ავტობუსმა მგზავრების თხოვნით რამდენიმე ადგილზე გააჩერა და მგზავრები ჩამოსვა, მერე ერთი-ორჯერ სადღაც

შეუხვ-შემოუხვია, კიდევ ჩამოსვა მგზავრები და ბოლოს, როცა ავტობუსში ლამის მარტო მე და ჩემი ჩემოდანი დავრჩით, დანიშნულების ადგილთან მიგვასრიალა. ხალხი, რომელიც გზადაგზა ჩამოდიოდა ავტობუსიდან, საპასპორტო კონტროლთან დამხვდა. ეტყობა, იფიქრეს ფეხით უფრო ადრე დაიკავებდნენ ადგილს უშველებელ რიგში. გენდერული თანასწორობის კუთხით ავღანეთის უკიდურესი ჩამორჩენილობა სწორედ აქ გამომჟღავნდა. ფემინისტების ჯინაზე აქ ქალებს კაცებთან ერთად რიგში არ აყენებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ჭყლეტაში ხვდები და ჩხრეკის პროცედურასაც მდორედ და მშვიდობიანად გადიხარ.

საპასპორტოდან საბაჟოზე დაიწყო ის, რაც ადრე ჩვენს აეროპორტში და ადგილობრივი რეისების დროს საბჭოთა აეროპორტებში ხდებოდა. ერთმანეთზე გადახტომა, ბარგის და ფუთების წინ გადაწოდება, მუჯლუგუნები, ბუზღუნი, ყვირილი, კაცები თავიანთ ცოლ-შვილს ზუსტად ისე უფრთხილდებოდნენ და დასტრიალებდნენ თავს, როგორც ბარგს. ჩვენ კი, უცხოელ ქალებს, არც გზას და არც ადგილს გვითმობდნენ. ერთ კაცს თავისი ბავშვით, ცოლითა და ბარგით მოსაცდელში მთელი რიგი ჰქონდა დაკავებული. ამ რიგის ბოლოს ერთი ცელოფანის პარკი სკამიდან ავიღე, იატაკზე დავდე და იმ ადგილას ჩამოვჯექი. ქალმა აღშფოთება ვერ დამალა, ბავშვიანად ფეხზე წამოხტა და რაღაც ძალიან ბევრი სასაყვედურო ფრაზით თავის ქმართან მიიჭრა. იმან ამხედ-ჩამხედა, ამწონ-დამწონა, შემაფასა და ცოლს ძალიან დამაჯერებელი ტონით რაღაცა ძალიან სერიოზული დარიგება მისცა. ქალმა უსმინა, უსმინა და ბოლოს ისე დაშოშმინდა, იმის კრინტი აღარ გამიგია გაფრენამდე,

ასე მოვიპოვე ადგილი ქაბულის საერთაშორისო აეროპორტის მოსაცდელში. მყარად დავჯექი დაპყრობილ ტერიტორიაზე და ტრიუმფატორის მზერით გადა-

ვხედე გარემოცვას. ეს იყო ძალიან ნაცნობი, მშობლიური, ღრმა „ზასტოის“ დროინდელი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რიგითი აეროპორტის მოსაცდელი, ოღონდ, ავღანური პეიზაჟით. ტუალეტის გვერდით სალოცავი კუთხე იყო მოწყობილი და იქიდან წელამდე სველი და პლასტმასის სანდლებში სველფეხებგაყრილი კაცები გამოდიოდნენ. ქალებს არ შევსწრებივარ. უმეტესობა ნაციონალურ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი – შალვარ-კამიზებსა და „მასუდის ქუდებში“. ის ქუდი ძალიან უყვართ ავღანელ კაცებს. მეც მომწონს, არაჩვეულებრივი დიზაინია: შუბლის გარშემო დახვეული „ბუბლიკი“, რომელიც შეგიძლია ჩამოშალო და მთელი სახე დაიფარო. არაჩვეულებრივია ავღანური მტვრიანი ქარიშხლების გასამკლავებლად და საკონსპირაციო ნიღბად. ქამელიონივით ეხამება ავღანეთის გარემოს ფერებს – ღია და მუქი ყავისფერი, ღია მოვარდისფერო და შავი (ეს უფრო იშვიათად გვხვდება). „მასუდის ქუდს“ ეძახიან იმიტომ, რომ ტურისტებისთვის ეს ქუდი ლეგენდარული მოჯახედის, მასუდის სახელს უკავშირდება და დიდი ხანია უკვე მთელი მსოფლიოსთვის ყველაზე პოპულარულ სუვენირად იქცა ავღანურ ყელსახვევებთან და შარფებთან ერთად. ეს ქუდი ძალიან კარგი ხარისხის, სქელი მაუდისგან იკერება, ხოლო საუკეთესო ნიმუშები, აქლემის ბეწვის შალისგან. ღირს ასე 5 დან 10 დოლარამდე. მე რამდენიმე ცალი უკვე ვიყიდე და დავარიგე ახლობელ მამაკაცებში. ერთი ჩემთვისაც ვიყიდე და თბილისში ძალიან წარმატებით ვატარებ.

ბურკიანი ქალები მოსაცდელში არ დამინახავს – მხოლოდ ჩადრებიანი. უცხოელ ქალებსაც თავსაფრები ეხურათ. უმეტესობა ფეხზე იგდა, რადგან დარბაზში თავისუფალი სკამი არ იყო. რამდენიმე ფრენა გადაიდო, ნახევარმა დარბაზმა სკამებზე საძინებელი მოიწყო. მე

ჩემს რეისს ველოდებოდი. მოსაცდელმა, თავისი კოლორიტული მგზავრებით, ახლა ინდოეთის რკინიგზის სადგური გამახსენა, მაგრამ ქაბულის სასარგებლოდ უნდა ვთქვა, რომ ინდოეთის რკინიგზასთან შედარებით აქაურობა ლუვრად მომეჩვენა.

ყველაფერ სიკეთესთან ერთად, იმ დღეს მოსაცდელში არცერთი საინფორმაციო ეკრანი არ მუშაობდა და ჩემი რეისის თაობაზე წერილობითი ინფორმაციის მოპოვება გამორიცხული იყო. რეისის მიკროფონით გამოცხადებას უნდა დავლოდებოდი. აცხადებდნენ სამ ენაზე: დარიზე, პაშტუზე და ინგლისურად. მოკლედ, ვიდრე შენთვის საჭირო ინფორმაციას, შენთვის გასაგებ ენაზე მოისმენდი, თვითმფრინავი შეიძლება უკვე დიდი ხნის გაფრენილი ყოფილიყო. ამის შიშით დავიძაბე და იმდენი განცხადება მოვისმინე დარისა და პაშტუზე, ადგილობრივ დისპჩერად გამოვდგებოდი.

ჩემი რეისის გამოცხადება იგვიანებდა. დარბაზში ჩაძინებულმა ხალხმა გამოიღვიძა და მოსაცდელში ისეთი ყაყანი ატყდა, აღარაფერი მესმოდა. მოვკიდე ჩემს გორიალას ხელი და სანუკვარი ადგილი გულის ფანცქალით მივატოვე. ამ დროს სამი გასასვლელიდან ერთი გაიღო და მეც იქით გავვარდი. გზად უტიფრად ვაბიჯებდი მუსულმანი კაცების მიყრილ-მოყრილ სანდლებს და ფუთებს. თავსაფრის სწორებ-სწორებით მივიწევდი წინ ღია გასასვლელისკენ. იქ, შუა კარში შავთავსაფრიანი და წითელთმიანი ჩასუქებული აღმოსავლელი ქალბატონი მგზავრებს ბილეთებსა და პასპორტებს უმოწმებდა. ჩემი პასპორტი და ბილეთი გასინჯეს და ეს არ არის თქვენი რეისიო, მითხრეს. ახლა მეორე გასასვლელს მივაწყდი, არც იქ მიმიღეს. მერე ღმერთმა ერთი ახალგაზრდა გამომიგზავნა, იმან ინგლისურად მითხრა მემ, ნუ ნერვიულობთ, მეც თქვენი რეისით მივფრინავ და ჯერ არ გამოუცხადებიათო. ავეკიდე იმ ბიჭს პატარა

ბავშვივით და საითაც წაიწია, იქით გავყევი. როცა ოდ-ნავ დავმშვიდდი, ვკითხე, რატომ აღარაფერს აცხადებენ მეთქი. იმან მითხრა დაგვიძახებენო. რა მეთქი, გავუმეორე კითხვა და დამიმარცვლა „და-გვი-ძა-ხე-ბენ!" იმის კითხვა, ეს სადაური წესია თქო, ველარ გავბედე, ამიტომ, იმ პასუხით დავკმაყოფილდი, რომელიც მივიღე და იქვე, ერთ-ერთი ფუთიანი სკამის კიდეში ჩამოვჯექი.

მართლაც, ის ქალი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ გასასვლელში ბილეთებს ამოწმებდა, ახლა რიგებს შორის ხმამაღლა გაიძახოდა „საფი", „საფი", ანუ იმ კომპანიის სახელს, რომლის რეისიც ახლა მიფრინავდა. მე „დუბაი ფლაი" ვიყავი და ეს დაძახილი არ მეხებოდა. დარბაზის ნაწილი „საფის" ქალს გაჰყვა გასასვლელისკენ. მე ვიჯექი „მშვიდად" და ჭეშმარიტად აღმოსავლურ მოსაცდელ დარბაზს ვსწავლობდი.

არა, დუბაის აღმოსავლური გარემო სხვაა. ეს, სულ ცოტა, ორიოდ საუკუნით მაინც ჩამორჩება მას სოციალურ-ეკონომიკური დონით, აი ტრადიციებისადმი ერთგულებით კი რა მოგახსენოთ, ქაბულთან ახლოსაც ვერ მოვა: აბა, სად ნახავ დუბაის მოსაცდელში ამდენ ფეხშიშველა კაცს, მჯღავანა ბავშვს, რომელსაც არავინ უშლის ჯღავილს და ამიტომ ისინიც უკანასკმელ აკორდზე კივიან. სად ნახავ ერთად ამდენ და ასე დაჩმორებულ ევროპელს? თავის მოედანზე გაჯგიმულები რომ დადიან, ერთი განახათ, რა დაპატარავებულები და „სუსლიკებივით" გასუსულები არიან ქაბულის აეროპორტის მოსაცდელში! ერთი წელი რომ არ გამოუცხადო ფრენა, ხმას როგორ ამოიღებენ. მე მაგათთან შედარებით ჟანა დ'არკი ვარ, მაია წყნეთელი. მე, ბარონის ბინადარი, რომელიც დაცვის გარეშე ფეხსალაგშიაც არ დავდივარ, ერთი უნდა განახათ, თავშალმოხსნილი, სეინერივით როგორ დავსრიალებ აღმოსავლელი მამაკაცებით სავსე რიგებს შორის და ხან ვის ვეკვეთები

კითხვებით და ხან ვის. ამდენ სითავხედეს რომ არ ელიან უცხოელისგან, ალბათ, იმიტომ არ მერჩის არავინ. პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ აქეთ მერიდებიან. ყველა კომპლექსი და შიში ერთად მომეხსნა, ღრმა ავღანურ სიტუაციაში ჩავვარდი და ახლა სულ ფეხებზე მკიდია, ვინ სად, რას ააფეთქებს.

როგორც იქნა დაიძახეს „დუბაი ფლაიო". გასასვლელისკენ მიმავალ ნაკადს ავეკიდე. რიგში ბევრი ევროპელი და შავკანიანი ამერიკელი იდგა. ყველას გეზი „ნეიტრალური წყლებისკენ" – დუბაისკენ ეჭირა, საიდანაც ყველა გზა ხსნილია. ავღანელებს – უფრო პალესტინისკენ, ინდოეთისკენ, ირანისა და საუდის არაბეთისკენ. დუბაი სატრანზიტო პუნქტია, საიდანაც იწყება მშვიდობა და უშფოთველი მომავალი. ვისაც ავღანეთში ამის მიღწევა არ შეუძლია და არც გადარჩენის იმედი აქვს, ყველა ამ ქარავანსაა აკიდებული.

მალე ავღანეთი ავღანელებისგან დაიცლებაო, ამბობს შეწუხებული ჩემი დარის მასწავლებელი, და თავადაც სულმოუთქმელად ელოდება თავშესაფარის განაცხადზე პასუხს ამერიკის საელჩოდან. რამდენიმე საეტაპო პროცედურა უკვე გაიარა მთელმა ოჯახმა და უფრო სავარაუდოა, რომ მალე ისიც დატოვებს ავღანეთს და ცოლშვილით დუბაის გავლით ქვეყნიდან გასულ დიდ ქარავნს შეუერთდება.

ქაბულიდან დუბაიმდე ფრენა სამი საათია. „დუბაი ფლაიმ" აქაოდა იაფ ბილეთებს ვყიდითო, მგზავრებს უფასოდ არ ემსახურება. ეს შუა ფრენის დროს აღმოვაჩინე, როცა სტუარდესამ კალკულატორით და მენიუთი ჩამოგვიარა და სადილის შეკვეთები მიიღო. მაშინ კი დავაფასე ის ორი უგემრიელესი ხაჭაპური, რომელიც წამოსვლის წინ დაქალებთან ერთად ჩაიზე გეახელით. მითუმეტეს, მაშინ, როცა ჩემს გვერდით მჯდომი ამერიკელი ქალი ქათმის ბუტერბროტში, პაკეტ ჩიპსებსა

და ერთ პატარა ჭიქა ჩაიში 50 დოლარს იხდიდა, მაშინ მე არხეინად ვიჯექი სავარძელში და ამ შთაბეჭდილებებს ვიწერდი.

სამი საათი დუბაიმდე, კიდევ სამი საათი დუბაის აეროპორტში. დუბაიდან თბილისამდე ფრენასაც სამი საათი უნდა, ამასობაში დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნსაც" ნავიკითხავ. თუ კიდევ რამე გადამხდა თავს, ან კარგი რამ გამახსენდა ჩემი მოგზაურობიდან, მოგიყვებით, თუ არა და, ვეცდები დავიძინო, რადგან თბილისში დილის ოთხ საათზე ადრე მაინც ვერ მოვხვდები.

სკაიპის პროფილში ჩავწერე: „ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო, ჩემო სამშობლი მხარეო, სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო!". მედიკო გობრონიძისგან კატეგორიული წერილი მომივიდა: ახლავე დაიხურე ქუდი და წამოდი მაქედანო. არ მეგონა, თუ სამ თვეში ასეთი ნოსტალგია შემეყრებოდა. ამას „ქართული სინდრომი" ქვია? როცა აქეთ მოვდიოდი „ბარონის" ბინადრები სიხარულით მაცილებდნენ, აბა შენ იცი, ბედნიერად, კარგად დაისვენე, შეირგე, გილოცავ... არავის წყინდა რომ მოვდიოდი, რადგან იცოდნენ, რომ სახლში მივდიოდი და სახლი ხომ ყველას ენატრება „ბარონში". მე თუ მკითხავთ, არ არსებობს „ქართული" და „რუსული" ან „ინგლისური" ნოსტალგია. ნოსტალგია ემართება ყველა დატყვევებულ ადამიანს, არა აქვს მნიშვნელობა ეს ტყვეობა ძალადობრივია, თუ ნებაყოფლობითი, სულერ მიზანს ემსახურება თუ მატერიალურს. ნოსტალგია, გინდა თუ არ გინდა, მაინც მოგიქცევს მარწუხებში და სამარცხვინოდ გაწუწუნებს. რამდენიც უნდა გადაგიხადონ, მაინც სევდა გიპყრობს. ჩვეულებრივ, ამ ბატონებს ზოგი მძიმედ იტანს და ზოგიც იოლად, ზოგი, თურმე ზედაც გადაჰყოლია ამ დაავადებას.

თავი 15

ვინა თქვა ავღანური დაცვა არ ვარგაო – შესანიშნავია, მე რომ მაწყობს, ისეთი.

ჩვენს პროექტში, და საერთოს ამერიკის სხვა პროექტებშიც, ამერიკის მთავრობის მიმდინარე პოლიტიკის თანახმად ავღანეთში სრული „ავღანიზაცია“ მიმდინარეობს. იგივეა დაცვის სამსახურებშიც. ამერიკელ და ბრიტანელ დაცვის ოფიცრებს ახლა გაწრთვნილი ავღანელი ჯარისკაცებით და ოფიცრებით ანაცვლებენ. ამაზე ჭკუიდანაა გადამდგარი ბარონის მთელი საერთაშორისო კორპუსი. არ ენდობიან ავღანელებს: რა იცი, რომ არ გაგყიდიან და მერე გამოსასყიდად შენს თავს თალიაბანებს არ გადააბარებენო. ესენი საკუთარ ხალხს აფეთქებენ და ჩვენ რას დაგვინდობენო. მე ასე შორს ვერ ვიყურები, ავღანეთში ცხოვრების დიდი გამოცდილება არ მაქვს და შესაბამისად, არავითარ უნდობლობას არ განვიცდი ავღანელი სამხედრო დაცვის მიმართ. ჩემთვის ვზივარ და ვაკვირდები. როგორც კი რამე საეჭვოს შევამჩნევ, თქვენზე ახლობელს ვის ვეტყვი?

იმ ტრაგიკული ამბის შემდეგ, რაც თალიბანების მიერ გატაცებული დიპლომატი ქალი სპეცოპერაციის შემდეგ შემოაკვდათ, ყველას, ვისაც ეს ეხება და არ ეხება, ვაფრთხილებ, თუ ღმერთი გამიწყრა და გამიტაცეს, არც კი იფიქროთ ჩემი ტერორისტებისგან გამოხსნა, არ გაბრიყვდეთ და თითი არ გაატოკოთ, თალიბანებთან ჩემს ამბავს მე თვითონ „გავაიასნებ მეთქი“. ეცინებათ ამას რომ ვამბობ და იცოდე, უადგილოდ ხუმრობო, მაფრთილებენ.

– შენ თუ თალიბანებთან შენი კულინარიული მონაცემები გამოამჟღავნე, შეიძლება თავად ჩაატარონ სპეცოპერაცია შენს დასატოვებლად და... მოკლედ, ყველა ვარიანტში გენძრევა! – ეცინება ჯივანს (ჯივან კამპოსი, მალაიზიელი ამერიკელი. ავღანეთის სავაჭრო პალატის საინფორმაციო ცენტრის მოწვეული ექსპერტი).

– მე ვხუმრობ არა ცუდად?

– ხომ იცი, რომ ყოველ ხუმრობაში, მხოლოდ მცირე ნაწილია ხუმრობა, დანარჩენი სულ სიმართლეა?

– ეგ ანდაზა პირიქითაა: „ყველა ხუმრობაში ნაწილი სიმართლეაო!" – ვესნა ცდილობს ჩემს გამოქომაგებას.

– ჰო, მაგრამ დროთა განმავლობაში, ყველაფერთან ერთად, ამ გამოთქმამაც განიცადა მოდიფიკაცია. ახლა მე რომ ვამბობ, ისეა! – ძალიან უნდა ჯივანს თალიბანების ტყვედ წარმომიდგინოს და ჩემი გამოხსნის ტრაგიკომიკური სცენარი აქვე თათარიახლად გაითამაშოს. ასეთი რაღაცეების დიდოსტატია. ავყვებოდი, მაგრამ მე რომ მსხვერპლი უნდა განვასახიერო, ეს არ მომწონს და ამიტომ ჯივანის ფანტაზიას გაფურჩქვნის საშუალებას არ ვაძლევ. მორჩა კინო!

უკვე მეოცე დღეა „ტაფა" ქაბულის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებს გადამზიდველთა საერთაშორისო ასოციაციის საქმიანობისა და საერთოდ, გადაზიდვებისა და ტრანსპორტირების საკითხებზე ტრენინგებს უტარებს. ამ ტრენინგს მთელ ავღანეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა ამ კურსს „ტაფა" ავღანეთის თითქმის ყველა პროვინციაში მოღვაწე გადამზიდველებს უკითხავდა. ჰოდა, დადგა ჩემი ზეობის საათიც: ამასთან დაკავშირებით „საქსეს სტორის", ანუ წარმატების ამსახველი ამბის დაწერა დამავალეს. 30 ოქტომბერს სამთვიანი ტრენინგის საზეიმო დახურვა

დაინიშნა, რომელსაც ავღანეთის ეკონომიკის დარგის, ბიზნესის და საუნივერსიტეტო აკადემიური ელიტა დაესწრებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილნი, სამშობლოს მიმართ მათ მიერ განეული ღვაწლითა და ამაგით, ასევე, ტრენინგის მიზანი, მიღწევები და მისი ზემოქმედების ხარისხი ავღანეთის ეკონომიკურ განვითარებაზე სულ რაღაც ერთ გვერდზე უნდა ასახო, ამისათვის კი სულ ცოტა ერთი-ორი ტომი შესაბამისი მასალა მაინც უნდა მოიპოვო და ამღვრეულ წყალში, რაც შეიძლება დიდი ღლავი დაიჭირო. გადავწყვიტე, ვიდრე ტრენინგის საზეიმო დახურვას დავესწრებოდი, მასალის მოსაპოვებლად ბოლო სემინარს თავად დავსწრებოდი, თან მენახა, როგორ სწავლობენ, როგორ ცხოვრობენ იქაური სტუდენტები, რა აცვიათ, როგორი დამოკიდებულება აქვთ სწავლის მიმართ, რისი იმედი აქვთ, რისკენ ისწრაფვიან და ამით ჩემი ჩანაწერებისთვისაც რამდენიმე „ელვარე" გვერდი შემემატებინა.

მანამდე კი იმას მოგიყვებით, რაც დარის (სპარსულის ავღანური ვერსია. დარი ძველ ავღანურად მეფის კარს ნიშნავს) მასწავლებელმა მომიყვა იმის თაობაზე, თუ როგორ ასწავლიდა ინგლისურს ახალგაზრდებს თალიბანების რეჟიმის დროს:

„როცა თალიბანები მოვიდნენ ხელისუფლებაში, სამთავრობო სამსახურს თავი დავანებე და პედაგოგობა დავიწყე. უნივერსიტეტში ვკითხულობდი ენის კურსს. ამასთან ერთად მოვამზადე წერა-კითხვის შემსწავლელი კურსი, ინგლისურის დაწყებითი კურსი და ჩემი სახლის პირველ სართულზე ოფისი გავხსენი. ღამის 11 საათამდე მუხლმოუხრელად ვმუშაობდი და არაფერს ვერიდებოდი, ვიდრე ერთ დღეს არ დამიკაკუნეს კარზე და შუა გაკვეთილის დროს დაკითხვა არ მომიწყვეს – რას ასწავლი, რატომ ასწავლი, ვის ასწავლი და ა.შ.

მეც მშვიდად ვპასუხობდი, მეგონა უბრალო შემონმება იყო. ჩემი ვაჟიშვილი ჩემზე მიხვედრილი აღმოჩნდა და ჩემს დასაცავად თავისი ოთახიდან ოფისში ჩამოვიდა. სიტყვის თქმაც არ აცალეს, რომ წიხლი თხლიშეს პირდაპირ სახეში, მე დასახმარებლად წავიწიე და ახლა მე შემდგნენ წიხლებით. გაოგნებული მოწაფეები უხმოდ უყურებდნენ ჩვენს ცემა-ტყეპას და განძრევასაც ვერ ბედავდნენ, რადგან ყველა თალიბანი შეიარაღებული იყო და ადგილზე შეეძლოთ „განაჩენის" სისრულეში მოყვანა. ამჯერად ცემით გადავრჩით. მას მერე ძალიან ფრთხილი გავხდი და ვამჯობინე გვიან ღამემდე აღარ მემუშავა ოფისში. სახლში დავდიოდი მოსწავლეებთან და იქ ვამეცადინებდი.

განსაკუთრებით ცუდ დღეში ივყვნენ გოგონები, რომლებსაც წერა-კითხვის ან ინგლისურის სწავლა უნდოდათ. ეს მორალის უხეში დარღვევა იყო და ამისთვის შეიძლება სტადიონზეც გაესამართლებინათ, თუ ჩაქოლვას გადაურჩებოდნენ.

ინგლისურის სასწავლებლად მოლებიც მოდიოდნენ. ერთხელ კიდევ გაისმა ჩემს კარზე უცნაური ბრახუნი და მოლას ვუთხარი, ახლავე ადექი და ყურანი წაიკითხე მეთქი. იმან დამიჯერა და როცა „დამსჯელი რაზმი" შემობრძანდა, მოლას დანახვაზე კრინტიც ვერ დაძრა. რა უნდა ეთქვათ, ის ხომ წმინდა ყურანს კითხულობდა. მოტრიალდნენ და წავიდნენ პირში ჩალაგამოვლებულები. ერთი ორჯერ ქუჩაშიც გამაჩერეს, როცა მოსწავლეებისგან ვბრუნდებოდი: სად იყავი, რატომ იყავი, რას ასწავლი, რატომ ასწავლი? არაერთხელ დამაბეზღეს კიდეც ვილაც-ვილაცეებმა, ეს კაცი კარგ საქმეებს არ აკეთებსო. ზოგს მართლა ეგონა, რომ ამით კარგ საქმეს ემსახურებოდა და ავღანეთის მორალურ სიწმინდეს იცავდა. მე კი სულ სხვა მიზანი მქონდა. ჩემს ხალხს განათლება და

წერა-კითხვის სწავლა ჭირდებოდა. ეს ყველას ესმოდა, მაგრამ შიშით საკუთარ თავსაც ვერ უმხელდა. მეც მეშინოდა, ძალიან მეშინოდა, მაგრამ არ გავჩერებულვარ. დღემდე ამ საქმეს ვემსახურები. ორასამდე ენის კურსი მაქვს დაწერილი სხვადასხვა ფენის და ცოდნის ადამიანებისთვის".

ეს იყო თალიბანების დროს. ახლა იმას მოგიყვებით, როგორია ავღანეთის ცოდნის ტაძარი – ქაბულის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს.

დაცვას დილიდან შევუთანხმდი, თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი ჩემი თანამშრომელი დახუნდა და მისი თანაშემწე მანქანაში ჩავისვი და გადაზიდვების თემისადმი მიძღვნილ ბოლო სესიაზე დასასწრებად გავეშურე. ჩემდა ბედად უნივერსიტეტი ქაბულის ცენტრის გადაკვეთაზეა და მიხაროდა, რომ როგორც იქნა ქაბულის ცენტრისა და „ქათმის ქუჩის" დათვალიერებას ვეღირსებოდი, მაგრამ ამას რომ ვფიქრობდი, ზუსტად მაშინ ამუშავდა მანქანაში რაცია და მძღოლს შეატყობინეს, მთავარ მოედანზე ხალხმრავალი დემონსტრაციაა და შემოვლითი გზით წადიო. ცენტრის მონახულება ჩაიშალა. ისევ იმ ნაცნობი გზით წავედით მთების გასწვრივ, თვალდახუჭული რომ ვცნობ – მტვრიანსა და გაპარტახებულს.

ფერდობებზე სოკოებივით შეფენილან ტალახით ნაშენი ბანიანი ქოხები. მათ შორის ვირის ბილიკი და ვიწრო მაღალსაფეხურებიანი ქვის კიბეებია. ზედა სახლებამდე კიბეც არ მიდის, იქ მარტო ფეხით ან ვირით თუ ახვალ.

– ნორმალურ ქვეყნებში, ასეთ ადგილებში მილიონერები ცხოვრობენ, ჩვენთან – ყველაზე უპოვრები და ღატაკები – მეუბნება დახუნდა, რომელიც უნდა აღინიშნოს, რომ შესანიშნავი გიდი აღმოჩნდა. მთელი გზა ქაბულის ძველი და ახალი არქიტექტურის, მშენებლობის,

ინფრასტრუქტურისა და განაშენიანების შესახებ მიყვებოდა – რა როდის აშენდა, მერე როდის დაანგრიეს და ა.შ. – ამ უბნებში არც წყალია, არც გზა და რა თქმა უნდა, სინათლეც გრაფიკით აქვთ. კანალიზაციას რაც შეეხება, ეს მთელი ქაბულის აქილევსის ქუსლია – მეუბნება დახუნდა.

– მერე ამხელა საერთაშორისო დახმარება სად მიდის, წყლის და კანალიზაციის ამბავი რომ ვერ მოგიგვარებიათ ქვეყანაში? – ისე აღვშფოთდი, ვითომ 90-იანებში საქართველოში სულ გაჩახჩახებულ და თბილ ბინებში ვცხოვრობდით.

– რა, არ იცი? რა თქმა უნდა ვილაც-ვილაცეების ჯიბეებში? თქვენთან რა, სხვანაირადაა? – შემომიბრუნა კითხვა.

– ჩვენთან გზები ჯერ კომუნისტებმა აშენეს და ანგრიეს, მერე, კომუნისტების აშენებულ-დანგრეული დემოკრატებმა აყარეს, მაგათი დაგებულის დედაც ვატირეთო. ვარდების რევოლუციასთან ერთად მთელ ქვეყანაში გზების ნგრევისა და მშენებლობის ახალი ბუმი დაიწყო. მთავრობას რომ კითხო, მთელი საერთაშორისო დახმარება იმ გზების აშენებაში დაიხარჯა, არა აეროპორტიც ააშენეს ახალი, არაუშავს ისეთი, ქარი და წვიმის დროს სახურავი რომ არ ძვრებოდეს. იმდენჯერ გადაძვრა სახურავი, რომ ქართველებმა თავის აეროპორტს სიყვარულით „კაბრიოლეტი" დაარქვეს. – დახუნდა იცინის – კიდევ შადრევნები გვაქვს უთვალავი, ერთ სულ მოსახლეზე თითო შადრევანი მაინც მოდის, ასევე კოსმეტიკური შუშის ხიდები. ერთხელ სამთავრობო ტელევიზითაც კი იხუმრეს, იმდენი ხიდები ავაშენეთ, მდინარეების დამატება დაგჭირდებაო. მოკლედ, დიდი აღმშენებლობისა და რესტავრაციის ეპოქა დაგვიდგა. ჯერ-ჯერობით არავინ აფეთქებს.

– აბა კმაყოფილები ხართ მთავრობით?

– რას ამბობ, თვალში რომ ჩაგვივარდეს მთელი ნაცმოძრაობა ერთად, თითის ამომსმელი არავინაა.

– ეგ როგორ? რას ნიშნავს თითის ამომსმელი...

– ზუსტად იმას, რასაც ვამბობ, ჩემი პრეზიდენტი ჩემი თვალის ჩინია – კიდევ უფრო გავურთულე და თან ისეთი დამაჯერებლობით, რომ კინაღამ თავადაც დავიჯერე – შენ ის მითხარი, რა ღირს ამ უბანში სახლი?

– ძალიან იაფია და მაინც არავინ ყიდულობს. აქ იძულებით ცხოვრობს ის, ვისაც გადასახადების გადახდა არ შეუძლია და ლუკმაპური ენატრება.

– ძალიან ლამაზი და ეგზოტიკური კია და... აქ დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი. ბუხარას ჰგავს. ერთი ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ, ეს უბანი ყველაზე სასურველი საცხოვრებელი ადგილი გახდება ქაბულში, ინშალაჰ! – წავიოცნებე მე – ჭკვიანი კაცი დღეს ფულს აქ დააბანდებდა.

დახუნდას ეცინება ჩემს შორსმიმავალ ავღანურ გეგმებზე, ვატყობ არც იმის იმედი აქვს, რომ ავღანეთში 30 წელი ომი აღარ იქნება და არც ამ უბნის აყვავებისა და გაბრწყინების ჯერა მაინცდამაინც.

– ულამაზესი ფერდობებია. საერთოდ, არაჩვეულებრივი რელიეფი აქვს ქაბულს, რა გულდასაწყვეტია, რომ ასე მოუვლელია ეს ქალაქი, არადა ინტერნეტში წავიკითხე, ერთ დროს მას აზიის მარგალიტს, თუ ვარდს ეძახდნენ. იქვე პარკებით გაშენებული ძველი ქაბულის ფოტოებიც იყო განთავსებული და ვერსალს თუ ვინძორს მაგონებდა, ისე იყო დაგეგმარებული, – დანანებით ვეუბნები დახუნდას.

– კი, დიდი ქალაქი იყო, როცა მე ძალიან პატარა ვიყავი, აღარც კი მახსოვს. ახლა ქალაქი კი არა, მტრვის ბუდეა, ხე და ბუჩქი არ დარჩა მოუჭრელი. ჯერ იყო და

რუსებთან ომის დროს გაჩეხეს რაც მუხა და რცხილა იყო, სნაიპერებს დამიზნებაში უშლიადა ხელს, მერე რაც რუსებს გადაურჩათ, თალიბანებმა გადაწვეს და გააჩანაგეს, ვითომ მაგათი არ იყო. ქარს და მანქანებს ეს მტვერი მთელ ქალაქში გადააქვთ, ამიტომაა ყველაფერი, ვარდებიც კი, ყავისფერი ქაბულში: სახლები, ქუჩები, ხალხი, მცენარეები, ცხოველები, ფრინველები. რაც არ უნდა იბანო, ნახევარ საათში ისევ მტვრიანი და ტალახიანი ხარ. სიცოცხლე მოგბეზრდება.

– კაი ერთი, არც ეგრეა საქმე, ნახე რა მზეა, რა ჰაერი, რა სილამაზე...

– ეს ბოლო რამდენიმე წელია, რაღაც გზები დაადგეს, მთავარი ქუჩები მოაასფალტეს, მაგრამ ძირითადად ისევ მიწიან გზებზე დავდივართ. შენი თქმის არ იყოს, ამ ქალაქში იმდენი აღმართი და დაღმართია, იმდენი მისახვევ-მოსახვევი, მაგას რა გაასწორებს, ამას ძალიან დიდი ხნის მშვიდობა და ფული ჭირდება.

– არა, ძალიან მომწონს ეს ფერდობები, ქაბულელი რომ ვიყო, აქ ვიცხოვრებდი. თან, ალბათ, შედარებით უსაფრთხო ადგილიცაა, ამ სიმაღლეზე ვინ ამოვა თავის ასაფეთქებლად? – ვითომ წავიღადავე.

– რას ამბობ, ტერორისტები პირველად სწორედ მთის დასახლებებს უტევენ. ჯერ ეს ერთი, ღატაკების ქოხებია და ადვილი დასაპყრობია, მერე მთა და ფერდობი სტრატეგიულ ადგილად ითვლება, იქიდან ყველაფრის ადვილად გაკონტროლება შეიძლება. ასე რომ, ნამდვილად არ გირჩევ აქ ცხოვრებას – ეცინება დახუნდას და ბრონირებული ლენდკრუიზერის მძღოლს თვალს უკრავს, მე კი ლამაზ ფერდობზე ცხოვრების ყველა შანსს მისპობს. სამაგიეროდ, ჩემს მხარეზეა დახუნდას ასისტენტი ჯამშიდი. ის მეთანხმება, რომ ფერდობი ძალიან ლამაზია და საცხოვრებლადაც საამური.

– იქ ყოველთვის სუფთა ჰაერია და შენ წარმოიდგინე, იქაური მტვერიც კი შედარებით ნაკლებ მავნებელია ჯანმრთელობისთვის, – აცხადებს ჯამშიდი.

– მოვედით! გაიგე ერთი, თუ შეგვიშვებენ ტერიტორიაზე მანქანით – უთხრა მძღოლმა დახუნდას.

უნივერსიტეტის რკინის ალაყაფს ორ მხარესა აქვს შესასვლელი. ერთი გოგონებისთვისაა, მეორე – ბიჭებისთვის. შესვლისას გოგოებსაც ჩხრეკენ და ბიჭებსაც. გამოსვლა თავისუფალია, რომელი გასასვლელიდანაც გინდა, გადი. ჩვენ მანქანას ეზოში შესვლის ნება დართეს.

უნივერსიტეტს უშველებელი ტერიტორია აქვს დაკავებული. სასწავლო კორპუსები ხშირ, მარადმწვანე ნიწვოვან და ფოთლოვან ტყეპარკშია გაბნეული. პარკში საბჭოთა რეჟიმის დროინდელი ძველი, უკვე აყრილი ასფალტის მიხვეულ-მოხვეული სამანქანო გზები და მთლიანად დანგრეული ტროტუარებია შემორჩენილი. სიღრმეში დაჟანგული რკინის სკამები და მაგიდებიც მოსჩანს. სასწავლო კორპუსები მთავარ გზას შედარებით უკეთ მოვლილი მოასფალტებული მოკლე გზებით უკავშირდება. პარკი ძველია და „ხელთუქმნელი", თუმცა, ქალაქის მტვერისა და ჭუჭყის შემოტევებისგან ისიც სულ გაცრეცილ-გაყავისფერებულია. პარკი უკაცრიელია. საქმიანი სტუდენტები ან შენობებში არიან, ან ჭიანჭველებივით დაქრიან კორპუსიდან კორპუსში, გასასვლელისკენ და პირიქით. ეტყობა ამ პარკს ერთ დროს კარგად უვლიდნენ, ნამდვილად ეტყობა ძველი დიდების კვალი. ყოფილი განაშენიანების კონტურები ჩანს, მაგრამ ყველაფერი აბურდულ-დაბურდული და გაველურებულია. ადამიანის მზრუნველობის კვალი არ ატყვია და მაინც ლამაზია. ამის აღდგენასაც რამდენიმე წლის მშვიდობა და კეთილი ნება ჭირდება, მეტი არაფერი.

ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტისკენ მიმავალი გზა ხეივანში გადის. როდის დაარსდა თქვენი უნივერსიტეტი მეთქი ვკითხე დახუნდას და 1320-ში თუ 30-ში არ მახსოვსო, მითხრა. ახლა ავღანეთში 1390 წელია. მოკლედ, დაახლოებით ჩვენი უნივერსიტეტის ხნისაა, მაგრამ ჩვენისგან იმით განსხვავდება, რომ ეს ნამდვილი საუნივერსიტეტო ქალაქია. ყველა კორპუსი ერთ ტერიტორიაზეა თავისი ბიბლიოთეკებით, სამეურნეო წერტილებით, ადმინისტრაციითა და სტუდენტური კლუბით. ისე მომეწონა იქაური გარემო, შენობაში შესვლაც აღარ მინდოდა. მაგრამ გამახსენდა, რომ სულ სხვა საქმისთვის ვიყავი მოსული და ფეხის თრევით ავყევი დახუნდას ეკონომიკის ფაკულტეტის მესამე სართულზე, სადაც 80-მდე სტუდენტი და ბიზნესმენი გადაზიდვისა და ტრანსპორტირების საკითხებზე ბოლო სემინარს ესწრებოდა.

აუდიტორიის პირველ მწკრივში მხოლოდ მამაკაცები ისხდნენ. გოგონები ცალკე რიგში და მესამე, მეოთხე მწკრივიდან. დახუნდა და ჯამშიდი ბოლო, წერით სამუშაოს ატარებდნენ და მწკრივებს შორის დინჯად მიდიმოდიოდნენ, სტუდენტებს კითხვებზე პასუხობდნენ და რჩევებს აძლევდნენ. მე მათ კუდში დავსდევდი და სტუდენტებს სურათებს ვუღებდი. შესვენებაზე დახუნდამ გოგონებთან მიმიყვანა. მცირე ინტერვიუები ჩავიწერე. საქმიანი კითხვების დასმისას დაძაბულობას ვატყობდი. როცა ვკითხე, როგორ შეაფასებდით ამ ტრენინგს მეთქი, ზრდილობიანად მიპასუხეს, ძალიან სასარგებლო და საინტერესო იყოო. მერე კითხვა შემომიბრუნეს

– მე მაინტერესებს, თქვენ თვითონ როგორ შეგვაფასებდით? – მომმართა ვარდისფერთავსაფრიანმა, მწვანეთვალება, ძალიან მკრთალსახიანმა და ჩამოქნილ ნაკვთებიანმა გოგონამ.

– მე რა ვიცი აბა, ჩემი შეფასებით თქვენ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგონები ხართ, დანარჩენს ესენი შეაფასებენ – დახუნდასკენ გავიშვირე ხელი.

– დიდი მადლობა, თქვენც ლამაზი ბრძანდებით და ძალიან კეთილი – მასიამოვნეს პასუხად.

– ამათთვის ეს ყველაზე სასურველი შეფასებაა, ყველაზე მეტად ამის გაგონება უხარიათ, – აღნიშნა დახუნდამ და თვალით მანიშნა, წავედით, შენი თავისუფლების ლიმიტი ამოიწურაო.

– გოგოებს სურათი უნდა გადავუღო, – დროის გაწელვას შევეცადე.

– ბაღში გადაუღე – მითხრა ჯამშიდმა და შევატყვე, უკვე ცოტას ნერვიულობდა.

გოგონებს ჩქარ-ჩქარა გადავუღე სურათი კორპუსის წინ, მერე ბაღშიც და სულ კუნტრუშ-კუნტრუშით გამაქცუნეს ჩემი „ბრონირებული" მანქანისაკენ. ავღანელ მძღოლს ეცინებოდა ჩემს ფეხის ათრევაზე, მაგრამ დიდი სურვილის მიუხედავად, დამხმარებოდა, ვერაფერს გახდა, ისიც შეზღუდვების მარწუხებში იხრჩობოდა. სამაგიეროდ, ოცნებასაც რომ ვერ გავბედავდი, ისეთი სასწაული ჩაიდინა ჩემი ხათრით – უკან, „ბარონში" სწორედ იმ მთიანი დასახლების ოღრო-ჩოღროებით და აღმართ-დაღმართებით წამოგვიყვანა. მანქანა ნელა მოძრაობდა მოხრეშილ, ვიწრო გზებზე, ზოგ ადგილას ლამის გვედზეც კი გადაწვა, ღვედით ვიყავი დაბმული და სახელურს ვეკიდებოდი, მაინც ყველაფრის გადაღებას ვახერხებდი, სახლების, ვირების, მათი ჩამოძონძილი პატრონების, ტურტლიანი, მხიარული ბავშვების, რომლებიც უკან მოგვსდევდნენ და მგონი, დაგვცინოდნენ კიდეც. ეს იყო ჩემი ყველაზე შთამბეჭდავი ექსკურსია ქაბულში. რასაც თვალი მისწვდა, ყველა კუთხე-კუნჭული დავათვალიერე.

დავყურებ სურიას უბნის სურათებს და ძალიანაც მომწონს, რომ ცივილიზაციას აქ ჯერ თავისი ნატიფი ფეხით არ შემოუბიჯებია. ეს ტალახით ნაშენი ქოხები, მტვრიანი მისახვევ-მოსახვევები, კბილებჩამსხვრეული მაღალი კიბეები და სარეველამოკიდებული ბანები ჯერ კიდევ ხელთუქმნელად ინახავენ ავღანეთის უნიკალურ ისტორიულ ინფორმაციას. იმ სიმაღლიდან კი, იქაურ მოსახლეებს, ხელის გულზე უდევთ მთელი ქაბული თავისი ყოველდღიური ყოფითა და ჯახირით, დემონსტრაციებით, დღესასწაულებით, კატაკლიზმებითა და ტერორისტული აქტებით. აქედან ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით იზომება და იწონება. ვფიქრობ, სწორედ აქ იქმნება ყველაზე უტყუარი მატიანე, რომელსაც ვერცერთი მედროვე ისტორიკოსის მიერ შეთითხნილი ქრონიკები ვერ შეედრება.

თავი 16

მოდით, ცოტა ხანი აღარ ვიწუწუნებ, რომ „ციხესა ვზი და ვსტირი თქო".

ისეთ დღეში ვარ, აღარ ვიცი რა დავწერო, რით დაგაინტერესოთ. არსად დავდივარ, უფრო სწორად – არსად მიშვებენ. ეს სუპერმარკეტები: „ფაინესტი" და „ჩიანო" ყელში ამომივიდა. თუმცა ერთხელ, იმის გამო, რომ ვილაცამ ფაინესტში თავი აიფეთქა და ათობით უდანაშაულო უცხოელი და ავღანელი უკან გაიყოლია, სურსათის საყიდლად ფაინესტის ქსელის სხვა სუპერ-მარკეტში წაგვიყვანეს და როცა იქიდან დატვირთული უკანა კარით გამოვდიოდი, დავინახე, რომ ჩემს თვალწინ მაღალი, ხრიოკი მთა აღმართულიყო, თავზე გვირგვინად დიადი ციხე-გალავანი ედო. მონუსხული შევყურებდი ამ უძველესი არქიტექტურის შედევრს და ადგილიდან ვერ ვიძვროდი. აი ისიც, ქაბულის უძვირფასესი მარგალიტი „ბალაჰესარი" (მაღალი ციხე-სიმაგრე/გალავანი) – ვერც გაუთავებელმა ავღანურმა ომებმა და ვერც ჟამთა სვლამ ვერაფერი რომ ვერ დააკლო. ჯვრის მონასტერივით მთიდან ამოზრდილი გეგონება, ისე ერწყმის გარემოს.

– ეს რა არის? – ვეკითხები ავღანელ მძღოლს?

– რა?

– რა და ეს – მთისკენ ვიშვერ ხელს

– ჰო, ეს ღირსშესანიშნაობაა, ციხეა.

– მაგას მეც ვხვდები, რა ჰქვია?

– რა ქვია? – ეკითხება მძღოლი შუტერს, ერთხანს იბჭეს და მერე ასე მიპასუხეს – ისე უბრალოდ ციხეა, რა!

– კარგი, გასაგებია – მანქანაში ვჯდები და ვიდრე ჩემი უცნობი „ღირსშესანიშნაობა" თვალთახედვიდან არ ქრება, წინ ვერ ვიყურები.

მეორეჯერ ფაინესტში აღარ მოვხვედრილვარ და იმ ციხისთვისაც აღარასოდეს მომიკრავს თვალი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს დროის მანქანით რუსთაველის ნაკვალევზე დავდიოდი და განგებამ ქაჯეთის ციხესთან მიმიყვანა, რათა საკუთარი თვალით მენახა, სად იყო ნესტან-დარეჯანი დატყვევებული. ზმანებასავით გამომეცხადა „ბალაჰესარი" და მას მერე თავისი თავის კიდევ ერთხელ ნახვის ღირსი აღარ გამხადა.

გუშინ ერთმა ჩემმა ავღანელმა თანამშრომელმა ძველი ქაბულის სურათები დადო ფეისბუქზე. ქაბული – აღმოსავლეთის ბაღნარი და გაშლილი ვარდი. აი, ასე აღწერენ მოგზაურები ორმოციოდე წლის წინანდელ ქაბულს.

ვინა თქვა, ავღანელებს ყველაზე კარგად ომი ეხერხებათო? ამათ აღმშენებლობის ხელოვნებაც ისე ჰქონიათ დახვეწილი, როგორც ომისა. თუ არადა ის ციხესიმაგრე, ხომ მხოლოდ სურათზე კი არა, საკუთარი თვალითაც ვნახე. უბრალოდ, ამ ქვეყნის ცხოვრება ისე აეწყო, რომ ნგრევა უფრო ხშირად უწევთ, ვიდრე შენება. ხანგრძლივმა ნგრევამ შენების საიდუმლოებებიც შეიძლება ნანგრევებში ჩაიყოლოს და დავიწყებას მისცეს. ამისი ნიშნები უკვე მრავლადაა ქაბულში. ავღანური სისადავე ინდურმა, პაკისტანურმა და ირანულმა ზიზილ-პიპილომ დაჩაგრა. არცერთს არაფერს ვერჩი, მაგრამ ყველაფერი ხომ თავის ადგილზეა ლამაზი: ინდური – ინდოეთში, პაკისტანური – პაკისტანში და სპარსული – ირანში. ავღანეთსაც უდავოდ თავისი ავღანური ელფერი უფრო დაშვენდებოდა.

ნამდვილად არ ვიცი საქართველოს ისტორიიდან რას შევადარო, რომელ ტომს, მაგრამ ჰოტაკების გვარი

ავღანეთში თურმე ქუჩის ტომის დიდ მომთაბარულ და იმპერიულ ამბებს უკავშირდება. ეს გვარი მე-14 საუკუნეში, თურმე, მთელ ავღანეთს და ნახევარ ირანს მართავდა. ისმაილ ჰოტაკი დღეს ამ გვარის ალბათ ერთადერთი უკანასკნელი ტიპური წარმომადგენელია: მაღალი, ახოვანი, ფართე, გაშლილი მხრებით, გრუზა ხუჭუჭა შავი თმითა და კუპრივით შავი თვალებით. ქართული თქმულებებიდან არსენა მარაბდელს ჩამოჰგავს ყველაფრით, ქცევა და მიხრა-მოხრაც ისეთი აქვს. მე რომ მკითხოთ, ავღანეთი როგორიაო, ალბათ, პირველად თვალწინ ისმაილი დამიდგება და დაუფიქრებლად გიპასუხებთ აი, ზუსტად ასეთი თქო. ისმაილი სულ იღიმის და ყველას ეხმარება. ჩვენს პროექტში მას თანამშრომლების ტრანსპორტირება და მოგზაურობა აბარია. პირველი ის შემხვდა აეროპორტში და ალბათ, იმიტომაცაა, რომ სხვა ავღანეთში მოგზაური მწერლებისგან განსხვავებით, ამ ქვეყნის მიმართ პირველივე დღიდან უფრო ამაღლებული და ოპტიმისტური განწყობა შემექმნა. თავიდანვე რეგისტრით მაღალ ტონალობაში დავიწყე წერა და როცა მინორი შემომიტევს ხოლმე, ისევ ისმაილს წარმოვიდგენ და ყველაფერი თავის კალაპოტში დგება.

– მე პუშტუნი ვარ, ჩვენი გვარის ხალხს ღრმა წარსულში „ვოთხილს“ ეძახდნენ, რაც ვოთხეთის შვილებს ნიშნავს. ბაბუაჩემს ოთხი ცოლი ჰყავდა, მამაჩემსაც ოთხი, ჩემს ძმებს სამ-სამი. ოჯახში მარტო მე მყავს ერთი ცოლი და სამი შვილი (იტყუება, რადგან გრეისიმ მითხრა ისმაილი ქუჩია და 10 შვილი ჰყავსო. რაც შეეხება ქუჩის ტომის წარმომადგენლობას, არ მოუტყუებია, რადგან არაერთხელ მითხრა დიდი სიამაყისა და უპირატესობის გრძნობით, ქუჩი ვარ და აბა ეს პუშტუნები ვინ არიან, ქუჩები არ იყვნენ თავიდანო?).

ისმაილმა ზედმიწევნით იცის ავღანეთის ისტორია და პირადად მე, მასთან შეკამათებას ვერ ვბედავ. იმდენად

კარგად იცის, რომ ისიც კი ახსენა, როგორ შემოიჭრნენ პირველი ქართველები ბრძოლით ჩრდილოეთ ავღანეთში და ჩარჩნენ კიდეც იქ და გაავღანელდნენ.

– ქუჩის სოფლებს „ვოთხილს“ ეძახიან და საშიშ ხალხად მიიჩნევენ. თალიბთა რაზმების უმრავლესობაც თითქმის სულ ვოთხილებისგან შედგება. ქუჩი მოძრავ ტომს ნიშნავს (ჩვენებურად – მომთაბარეები). ქუჩის მხედრებს ბუსკაშში ბადალი არა ჰყავთ. ამ სპორტში ჩვენი ცხენებიც საუკეთესოები არიან.

– ბუსკაში ცხენბურთია?

– ბუსკაში – „ბუს კაშინ“ ცხენით დაჭერას ნიშნავს. მხედარმა მოწინააღმდეგეს გატაცებული დაკლული ხბო უნდა წაართვას, ვინც საბოლოოდ მოიპოვებს ხბოს, გამარჯვებული ისაა. ბუსკაშში სისხლიანი და დაუნდობელი თამაშია წესების გარეშე – თავი მოიკალი და ხბო წაართვი შენს მოწინააღმდეგეს. გმარჯვებულებს არ ასამართლებენ!

– ომი ყოფილა აბა ბუსკაში, ავღანეთში არც ფრანებით სრბოლას აქვს წესები. იქაც სიცოხლის ფასად უჯდება მოთამაშეემს ფრანის ჩამოგდება და მოპოვება. დიდი უწესო ხალხი ხართ, როგორც ვხვდები! – ვეხუმრები ისმაილს.

– ასე გამოდის, ამიტომაც დღეს ბუსკაშს ავღანელების გარდა აღარავინ თამაშობს, თან ხბოც ცხვარით შეიცვალა. ადრე ცხვარი გაჭირვებისა იყო, თავმოყვარე ვაჟკაცები მხოლოდ მოზრდილი ხბოთი თამაშობდნენ, ეს უფრო ძნელიც იყო და უფრო ძვირიც! – მოწყენით ამბობს ისმაილი და დუმდება. მერე ძალიან დაბალ ხმაზე იწყებს ბურტყუნს, თითქოს, თავისთვის, მაგრამ მთელი ქვეყნიერების გასაგონად:

– აქ ვერასდროს გაიგებენ, რა არის დემოკრატია. ჩვენი კულტურა და ჭეშმარიტება არის ისლამი. ისლამი

არის კანონი, დემოკრატია და ყველაფერი, რაც კი კაცობრიობის აზროვნებით შექმნილა. ისლამი არის უდიდესი შვება და თავისუფლება... ქალის უფლებები ირღვევაო ავღანეთში. რას ნიშნავს ირღვევა, ჩვენ ვარღვევთ ქალის უფლებებს? ჩვენ, რომლებიც ზედ დავკანკალებთ ჩვენს ქალებს, დღეს და ღამეს ვასწორებთ მუშაობაში, რომ მათ ხელი არ გაანძრიონ? ჩვენ, რომლებიც ერთი წუთითაც არ ვტოვებთ ჩვენს ქალებს უყურადღებოდ და არასდროს ვტოვებთ მარტო ბედის ანაბარა?

– რას ამბობ, ისმაილ ავღანელ ქალებზე ლაპარაკობ, თუ ყურს დამაკლდა და მეჩვენება?

– ქალი ჩემთვის ყველაფერია, დედა, მეუღლე, მეგობარი, საყვარელი, შვილი, სამშობლო, ავღანურში ყველაფერი ქალის სახელს უკავშირდება... – ისე გაუბერა ისმაილმა, ასე მეგონა ქართულ სადღეგრძელოს სვამდა.

– აბა ბურკა მე მოვიგონე. მოარული ციხესავით რომ ჩამოაფხატეთ თქვენს ულამაზეს ქალებს თავზე, ეგოისტო ავღანელებო! – მსუბუქად ვეხუმრები მძვინვარე ჰოტაკის შთამომავალს.

– მერე ვინ გითხრა, რომ ბურკა ავღანურია, ვიღაც ერთმა სულელმა შემოიტანა ირანიდან, მეორე სულელმა თავის ცოლს დაახურა, აქაოდა თხა თხაზე ნაკლებიო და ასე წავიდა და წავიდა... მე ჩემი ცოლისთვის ბურკა არასდროს შემითავაზებია. შენ წარმოიდგინე, ზოგ ქალსაც მოსწონს ბურკა და სიამონებით მალავს თავის გარეგნობას.

– რალაც ძალიან სუსტი მეჩვენება ეს შენი არგუმენტები ბურკასთან დაკავშირებით.

– იმაზე რას იტყვი, ჩემი ცოლისთვის 6-7 მეტრი ძვირფასი საკაბეს ყიდვა რომ მიწევს წელიწადში ასჯერ. შენს კაბაზე რამდენი მეტრი ნაჭერი მიდის – სამოცდაათი სანტიმეტრი?

– ორი მეტრი

– ხედავ? რა ძვირი გვიჯდება ჩვენი ქალების შემოსვა? სანდლების რაოდენობას ხომ ვერც დაითვლი... ჩემს ქვეყანაში კაცები ქალს გულგრილად ვერ უყურებენ თუ ის მარტოა ან „შიშველი" (ე.ი. უთავშალოდ). მაგრამ თუ კაცს მანქანაში კლდემამოსილი ქალი უზის, წესიერად ჩაცმული და ნაპატრონები, მას პოლიცია არ გააჩერებს, რადგან ასეთი ქალის გვერდზე მჯდომი მამაკაცი პატივცემული, პატიოსანი და საქმიანი კაცია, მისთვის ყველა გზა თავისუფალია. მაგრამ, თუ მაგალითად, შენნაირი ქალი ჩაისვა მანქანაში (ისევ დაუკრეფავში გაუბერა ისმაილმა), როგორც უნდა იმართლოს თავი, ვერავის დააჯერებს, რომ სადღაც დროს გასატარებლად და სამამაძაღლოდ არ მიდის, ოჯახის სიწმინდეს არ ღალატობს.

– საცოდავი ისმაილი... რა დღეში ყოფილხარ, ესე იგი ჩემნაირი ჩაცმულობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ კოჭებამდე კაბა მაცვია და თავსაბურავიც მახურავს, შეიძლება გაგაჩერონ და ამორალური საქციელის გამო დაგაპატიმრონ ან დაგაჯარიმონ კიდეც? რა საცოდავები ყოფილხართ ჩვენს ხელში!.. თან, შვილებიც მგონი გოგოები გყავს არა?

– არა, ბიჭიც მყავს, მაგრამ გოგოებზე ვგიჟდები, ბიჭი დედისაა – (მე მგონი ეს ისმაილი ქართველმა კაცებმა გაწრთვნეს და მოთმინების გამოსაცდელად მე შემომიგზავნეს) – კარგი პატრონი რომ არა გყავთ, იმიტომაც დადიხართ ჯავშან-ჟილეტებით და დაჯავშნული ჯიპებით. აბა ბურკა ჩაიცვი, თუ გაგცეს ვინმემ ხმა? – ხარხარებს ისმაილი.

მოკლედ, ვერცერთ კითხვაზე სერიოზული პასუხი ვერ მივიღე და სწორედ ეს უფრო მომწონს, რადგან მტკიცედ მჯერა, რომ ისმაილისთვის, რომელიც

უკვე ათეული წელია, რაც საერთაშორისო პროექტებს ემსახურება, მთავარი მაინც უზენაესი თავისუფლებაა დემოკრატიისა და კომუნიზმის შენაკადების გარეშე, თავისუფლება, რომელიც თავის ისლამში უდევს და მისით საზრდოობს.

– ქუჩი ქარივით თავისუფალია. ავღანეთის მინა მისთვის საკუთარი ხელით ნაქარგი მფრინავი ხალიჩაა, მთებიდან მონაბერი ქარი – საჭე. ქუჩი ძალიან გონებამახვილი და მოხერხებულია, ავღანეთში მას ყველაზე მეტი ფული აქვს ნაშოვნი, მაგრამ უბრალო ცხოვრება უყვარს ქარივით... დრო გარბის, დროს ვერ დააკავებ, ამისი გვეშინია და ამიტომ ისე არ ვცხოვრობთ, როგორც უნდა ვიცხოვროთ – ფილოსოფოსობას არ იშლის ისმაილი – ან როგორც გვინდა, რომ ვიცხოვროთ. დაუნდობელი დრო სისულელეებს გვაკეთებინებს იმისთვის, რომ ქონება დავაგროვოთ და „კარგად" ვიცხოვროთ. „აზიზი" ბანკის მფლობელი ჩემი ალალი ბიძაშვილია. ნავთობზე გამდიდრდა, დიდი ფული იშოვნა, მარამ ამის ფასად ორი შვილი მოუკლეს, ერთი მოსტაცეს და სანამ მილიონები არ გადაიხადა, არ დაუბრუნეს...

ისმაილის ოჯახი ოთხმოცი წევრისგან შედგება. ყველა ერთ უბანში ცხოვრობს. ყველას საკუთარი სახლი აქვს. სულ ცხრა სახლი. აქედან ერთი საერთოა, სასტუმრო-სასადილო. ამ სახლში ყოველ საღამოს იკრიბებიან და ერთად სვამენ ჩაის. ისმაილის თქმით, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ დედამ ყველა შვილი ყოველდღე ერთად მოისიყვარულოს, რომ ნახოს, რა ერთიანი და ძლიერი ოჯახი აქვს, რომ ბედნიერმა ყოველ ღამე მშვიდად დაიძინოს.

– ეს ჩვენი უმცროსი დედაა, ახლა ჩემთან ცხოვრობს. მამაჩემი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ყოველდღე რომ არ ნახოს შვილები, დარდით ესეც მოკვდება. ჩვენც

ვუსრულებთ ამ პატარა კაპრიზს, რა ვქნათ, ხომ გვინდა რომ დიდხანს იცოცხლოს – ამბობს ისმაილი.

არა გენაცვალე, ეს რაღაც სულ სხვა ავღანური ზღაპრიდანაა. თორემ, რასაც მე ვკითხულობ დოკუმენტურ და მხატვრულ ლიტერატურას ავღანეთზე და რასაც მე ვუყურებ შეუიარაღებელი თვალით, ეს სულ სხვა რეალობაა. თუმცა ერთი წუთითაც არ მინდა იფიქროთ, რომ ისმაილის ნაუბარში ეჭვი მეპარება. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს მისი „ქუჩური" სამყარო – ჰოტაკებით დასახლებული ცხრასახლიანი კლანით, მართლა ის სასურველი ავღანეთია, რომელიც მხოლოდ ისმაილის განზომილებაში არსებობს.

ზუსტად ასეთივეა ქუჩის ხალხის ხალიჩაც. არაფრით ჰგავს ტრადიციულ, საქვეყნოდ ცნობილ ავღანურ ხელით ნაქსოვ ხალიჩას. ის ბევრად უფრო მარტივი და მიმზიდველია, უფრო ადამიანური და მოსახერხებელი. ქუჩის ხალიჩა მის ხალხთან ერთად დამოგზაურობს და თანაბრად ინაწილებს მისი ხალხის ბედსაც და უბედობასაც. ქუჩის ხალიჩაზე, როგორც მუხის მერქანზე აღბეჭდილია მთელი მისი მოდგმის მატიანე, ამიტომ მათზე კოლექციონერები და ტურისტები განსაკუთრებით ნადირობენ, თუმცა, ჰერატის ხალიჩას წინ მაინც ვერაფერი დაუგდება, ის მეფეთა რჩეულია და ქუჩის ხალიჩას ზემოდან დაჰყურებს.

იმდენ საშინელებას ვკითხულობ ავღანელი ქალების გაუსაძლის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ღრმა პროვინციებში, რომ „დრონი-ჯი"-ზე გამოქვეყნებული ლიდი „18 წლის გოგონას სამი დღის განმავლობაში აუპატიურებდნენ, მერე კი ცოცხლად დაწვა სცადეს", ავღანური სინამდვილიდან მეგონა და სხაპა-სხუპით ჩავიკითხე: „უკრაინაში, კიევთან ახლომდებარე ნიკოლაევის რაიონში საშინელი დანაშაული მოხდა. სამი ახალგაზრდა

მამაკაცი 18 წლის გოგონას ჩაკეტილ ბინაში სამი დღის განმავლობაში რიგრიგობით აუპატიურებდა, მერე კი, კვალის დაფარვის მიზნით, გოგონას ხელ-ფეხი შეუკრეს, პირი აუკრეს და ერთ-ერთ მიტოვებულ მშენებლობაზე მისი ცოცხლად დაწვა სცადეს. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი 18 წლის გოგო საავადმყოფოშია მოთავსებული და ექიმები მისი გადარჩენის პირობას ჯერ ვერ იძლევიან".

ამ ისტორიის ყველაზე აღმაშფოთებელი დეტალი, რასაკვირველია, დანაშაულის ფორმის შემდეგ, ის გახლავთ, რომ სამი ეჭვმიტანილიდან, რომლებიც პოლიციამ დააკავა, ორი გაათავისუფლეს. მაშინვე გაჩნდა ხმები, რომ გათავისუფლებულები მაღალჩინოსნების შვილები არიან, რაც დადასტურდა კიდეც: ერთ-ერთი გათავისუფლებული ეჭვმიტანილი ელენაცკის, რაიონული ადმინისტაციის ყოფილი ხელმძღვანელის შვილია, მეორე კი – ნიკოლაევის, ცენტრალური რაიონის ყოფილი პროკურორის". (23:53 13.03.2012)

თურმე უკრაინა ყოფილა, წარმოგიდგენიათ, ცივილიზებული უკრაინა, დემოკრატიის შუქურას პრეტენზია რომ ჰქონდა. ჰოდა ამაზეა ნათქვამი, სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიაო... ყველა აფეთქების, ყელის გამოჭრის და გაუპატიურების (პატარა ბიჭებისაც) ბუდედ უპირველესად ავღანეთს წარმოიდგენენ ხოლმე. საკუთარ ციხეებში და პროვინციებში შევიხედოთ ის დროა. აშშ-ზე აღარაფერს ვამბობ, იქ დემოკრატიისა და კანონის სახელით სრული „პრაიზვოლი" ხდება.

ჩემი ფილიპინელი თანამშრომელი გრეის მარტინეს ბუენკამინო უფრო შთამბეჭდავ ამბებს მიყვება ავღანური რეალობიდან. ერთ-ერთი, რომელსაც ახლა გიამბობთ, ყანდაღარის პროვინციის ერთ სოფელში მოხდა.

გრეის მარტინეს ბუენკამინო: „ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ავღანელი კოლეგა ოფისში ძალზე აღელვებული და

აღშფოთებული შემოვიდა. რა დაგემართა ამ მშვენიერ მზიან დღეს-მეთქი ვკითხე და მან ასეთი საოცარი ამბავი მოგვიყვა: ქუჩაში ტაქსს ველოდებოდი, როცა ერთი კაცი მომიახლოვდა და მკითხა, ვინმე ადვოკატს ხომ არ იცნობთო. ვკითხე, რად გინდა ადვოკატიმეთქი. ჩემი უმცროსი და, ფატიმა მინდა ქმარს გავაშოროო – მიპასუხა. ფატიმა სავადმყოფოში წევს, უკანასკნელ დღეში, რადგან ქმარმა ნაზირმა სასიკვდილოდ სცემაო. ნაზირი და ფატიმა მას შემდეგ რაც მთელი დღე ხილს კრეფდნენ ბაზარზე გასაყიდად, ბაღჩიდან სახლში ბრუნდებოდნენ. ნაზირი ვირს მიერეკებოდა, მხარზე ტომარააკიდებული ფატიმა კი ქმარს უკან მისდევდა. აღმარზე ვირმა ტვირთი ვერ ზიდა და მუხლებზე ჩაიჩოქა. ნაზირმა ვირს ბარგი ჩამოხსნა და ფატიმას აჰკიდა. ფატიმა იქვე დაეცა, გამხეცებულმა ნაზირმა კი, ეს რა არაფრის მაქნისი ცოლი შემხვდაო, ფატიმა ცემით კინაღამ მიასიკვდილა.

– წავიდეს და ისმაილს მოუყვეს ეს ამბავი, იმას ეყოლება მაგარი ადვოკატები, – განრისხებული ვეუბნები გრეისის, ის კი ვერაფრით ხვდება, რა შუაშია აქ ისმაილი.

დღეს მე, ვესნა და სამი ახალგაზრდა ავღანელი ქალი ერთად ვსადილობთ. ვესნა ბოსნიელია, უკვე ხუთი წელია ქაბულში მუშაობს საერთაშორისო პროექტებში და საკმაოდ კარგად იცნობს ავღანურ ყოფას. ამის გამო ძალიან ადვილად შედის კონტაქტში ავღანელებთან. მისგან განსხვავებით მე „ბარონს" იქით ფაქტობრივად ფეხი არ გამიდგამს, წიგნებში რასაც ვკითხულობ, ეტყობა საკმარისი არა არის და ისეთ სულელურ კითხვებს ვსვამ ხოლმე, თავადაც მრცხვენია. მაგრამ სამაგიეროდ, რაც უფრო მეტ სულელურ კითხვას ვსვამ, მით უფრო მეტს და უფრო დაწვრილებით ვიგებ რეალურ ავღანურ თანამედროვე ყოფასა და განწყობაზე.

წიგნები, რომლებიც აქ წამოსვლამდე წავიკითხე და მერე „ბარონში“ ყოფნისას ისეთი „საშინელებებითაა“ სავსე, ნორმალური ფსიქიკის კაცს ავღანეთი უნდა გეზიზღებოდეს და ღმერთს მადლობას სწირავდე, რომ „ბარონში“ ზიხარ და ამერიკის მთავრობა ზრუნავს შენს უსაფრთხოებაზე. არა, მთლად ეგრე რომ არ არის საქმე, ამას კი ვხვდები, მაგრამ ჯერ „პატარა ვარ“ და იმას უნდა დავუჯერო, რასაც ჰალედ ჰოსეინი და სხვა ავღანელი მწერლები ყვებიან. მათი ნაამბობიდან გამომდინარე, ეს ერთ დროს დიადი ერი, გამორჩეული აღმოსავლური კულტურითა და წეს-ჩვეულებებით, ასევე, განათლებისკენ სწრაფვით, დღეს მანიაკების, სადისტების, გაუნათლებელი ფანატიკოსების, ინტელექტუალური კონფორმისტებისა და კორუფციონერების ხროვად გადაქცეულა.

რა ვქნა, რომ ვერ ვიჯერებ! ანდა როგორ დავიჯერო, როცა ჩემი ტკბილმოუბარი სპარსულის მასწავლებლის მწვანე თვალებში უსაზღვრო სიბრძნესა და სიკეთეს ვკითხულობ, როცა ახმად ზიას ხუმრობებზე ვბჟირდები და ნაბილას თვალების ჟუჟუნზე ისტერიკა მემართება?

ემიგრანტები იმის გამო, რომ ემიგრანტები არიან, თავისი დევნილობისა და იძულებითი გადასახლების გამო ადანაშაულებენ მათაც, ვის გამოც იმყოფებიან დევნილობაში და მათაც, ვინც სამშობლოში დარჩა, ან მათსავით გაქცევა ვერ მოახერხა. ყველა დამნაშავეა მათ წინაშე. ისეთ ტრაგიკული აქციების ჩატარებაში, როგორიც იყო, მაგალითად, ფეხბურთის მოედანზე ტაიმსა და ტაიმს შორის შესვენებებზე სადამსჯელო ოპერაციების – საჯარო ჩაქოლვა, დახვრეტა, ჩამოხჩობა და ა.შ., ისინი ჯალათებთან ერთად გულის სიღრმეში მსხვერპლსაც ადანაშაულებენ, რადგან ამ უკანასკნელთ „ტრაკი არ ეყოთ“ , რათა ქვეყანა დაელაგებინათ და მათთვის უკან დასაბრუნებელი ნიადაგი მოემზადებინათ.

ასე გვადანაშაულებენ დღემდე გასაბჭოებას გაქცეული ქართველი ემიგრანტები და აქ დარჩენილებს – კომუნისტებს, ან უკეთეს შემთხვევაში, საბჭოთა მენტალიტეტის მატარებელ, გადაგვარებულ ქართველებს გვეძახიან, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დამხობის და მათთვის უკან დასაბრუნებისთვის ნიადაგის მომზადების საკმარისი ნება არ გამოვიჩინეთ. მას, ვინც სოციალიზმის პირობებში წარმატებას მიაღწევდა, დასავლეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები კაგებეს აგენტებად მოიაზრებდნენ. კომუნისტები ემიგრანტებს მოღალატეებს ეძახდნენ, ჩვენ, უბრალო მოკვდავ საბჭოთა კავშირელ ქართველებს გვშურდა მათი, ვინც პარიზში, ლონდონში და ამერიკაში „მოღვაწეობდა" და მილიონებს „ატრიალებდა". როგორ წარმოვიდგენდით, რომ ჩვენები იქ უმაღლეს კლასს არ წარმოადგენდნენ და გადარეული არ ჰყავდათ მთელი დასავლეთი სამყარო საკუთარი ნიჭითა და გამავლობით. საპირისპირო ამბები სულ ახლახან გავიგეთ, რკინის ფარდა რომ გაიხსნა და ხალხმა რაღაც-რაღაცეები უკეთ რომ დაინახა...

ჩემი ინდოელი კოლეგა ნიმაი ამბობს, რომ ავღანეთი უიღბლო ქვეყანაა, მას ბედი არ სწყალობს, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ინდოეთთან საერთო საზღვარი დაკარგა, ანუ მას შემდეგ, რაც ინდოეთსა და ავღანეთს შორის პაკისტანი აღმოცენდა.

ძალიან გადავუხვიე თემას. არადა რა მხიარული საკითხით დავიწყე. მოკლედ, რაღა გავაგრძელო და მე, ვესნა და „უიღბლო ქვეყნის" სამი ასული ერთად მივირთმევდით ავღანურ სადილს. იმ დღეს სასადილოში „ლანჩზე" წვნიანი, შემწვარი წიწილა, წითელი ლობიო და შემწვარი კარტოფილი გვქონდა, დესერტად ორი ბანანი. მე და ვესნა ქათამს ისეთი განცხრომით დავეწაფეთ, გეგონება, ისრი-მაყვალში ყოფილიყო ჩაწყობილი.

– ისე გემრიელად მიირთმევთ ამ გაფშეკილ წიწილას, მეც კი მადაზე მომიყვანეთ. – ამბობს უზრა და თეთრი ხორცის ძიძგნას იწყებს.

– ჰო, ამან თუ ჭამა დაიწყო, ესე იგი მაგარი სტიმული მიგიციათ, – იცინის პარასტუ – საერთოდ არაფერს ჭამს.

– რატომ? აი, მეც ვჭამ და ძალიანაც მომწონს, – ლაპარაკში ერთვება რაჰიმა.

მე და ვესნას ნახევარი ულუფა უკვე დამთავრებული გვაქვს. მეორე ნახევარს ვებრძვით ხან თითებით, ხან კბილებით, ეს წიწილა მართლაც ცოტა გაფშეკილია. ეს იმიტომ, რომ კანგაცლილს წვავენ. ავღანეთში გაყინულ ქათმებს უბრალო, მუშათა სასადილოშიც კი არ კადრულობენ. ახლად დაკლული და კანგაცლილი უნდა იყოს, ბაზარში ნაყიდი. აქ, „ბარონში" გამახსენდა სოფლის ქათმის დიდი ხნის წინ მივიწყებული გემო, ახალ ტყემალთან და ლომთან ერთად. მახსოვს, ერთ დროს, არც ჩენ ვკადრულობდით მაღაზიის უჯიშო ქათმებს. მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო და მას მერე იმდენმა წყალმა ჩაიარა... ქვეყანა წინ წავიდა, განვითარდა, საკვებზე მოთხოვნილება შეიცვალა... აი, ესენი კი ჯერ კიდევ იმ დროში არიან ჩარჩენილები, ცოცხალი პროდუქტებით რომ იკვებებიან და სიტყვა გენმოდიფიცირებული რას ნიშნავს, ჯერ რომ არ გაუგიათ. ხომ ატყობთ, როგორ ჩამორჩნენ ცივილიზებულ სამყაროს?

ისევ ავცდი თემას, მოკლედ, ეს გოგოები ჩვენგან განსხვავებით ძალიან ნაზად მიირთმევენ და ჩურჩულით ელაპარაკებიან ერთმანეთს. ერთი სული მაქვს, ვიდრე ვესნა რაიმე ყოფით საქმეზე ჩამოუდებს საუბარს, მაგრამ შენც არ მომიკვდე. გასაგებიცაა, ვესნას მობეზრებული აქვს უკვე ავღანურ ყოფაზე ბაასი და ავიწყდება, რომ მე ამის მეტი დღეს არაფერი მაინტერესებს. უცებ, გაიღო მოწყალება და ჩემს წინ მჯდომ გოგონებს ჰკითხა,

გათხოვილები თუ ხართო. მესამე რომ გათხოვილი იყო იცოდა, რადგან მის ქორწილში ნამყოფი იყო. როზიამ და პარასტუმ ერთხმად უპასუხეს, არაო.

– ესე იგი სამზადისში ხართ?

– წარმოიდგინეთ, არც სამზადისში ვართ, – პასუხობს ლამაზი როზია და ოცდათორმეტივე ბროლის კბილს გვაჩვენებს.

მაღალი „ტოპკა" ამიწიეს, ამის ხელიდან გაშვება არ იქნებოდა.

– მართალი მითხარით, მართლა ძალიან ძნელია ბიჭებისთვის ცოლის მოყვანა?

თავიდან გაკვირვებულები მიყურებენ, მერე ხვდებიან, რასაც ვგულისხმობ და ის, რომელიც გათხოვილია, რაჰიმა, მპასუხობს:

– ჰო, მთელი ხარჯები მამაკაცის გასაწევია: საქორწინო საჩუქრები, სახლი, ჩასაცმელ-დასახური, ქალის ოჯახისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით (5000 დოლარი ყოფილა). ქაბულში ეს ტრადიცია ოდნავ გამარტივებულია, მაგამ სოფლებში ჯერ კიდევ მყარად აქვს ფეხი მოკიდებული. ამ მხრივ მამაკაცები მართლა, ძალიან რთულ მდგომარეობაში არიან.

ახლა კიდევ ოდნავ გადავუხვევ ამ საუბრიდან და თემასთან დაკავშირებით ჩვენი მინიმარკეტის გამყიდველის, აბდულას ამბავს მოგითხრობთ. აბდულა მარკეტში ძვირფასი ქვებითა და ნაკეთობებით ვაჭრობს. ვაჭრობს მეთქი რომ ვამბობ, ნამდვილ ვაჭრობას ვგულისხმობ, სისხლის დანთხევამდე და სიკვდილამდე. ამ საქმის დიდოსტატია და დიპლომატიის უმაღლესი სკოლა თუ არ გაქვს გავლილი, მასთან ვერაფერს გახდები. ამიტომ უიმედოდ დავყურებ ხოლმე მის არაჩვეულებრივ ზურმუხტებს, რომლებიც პირდაპირ პანშირიდან ჩამოაქვს და კრინტსაც ვერ ვძრავ, ისეთ ფასს ადებს. ერთ დღესაც მეუბნება, თუ მყიდველი ხარ, ნახევარ ფასში წაიღეო.

– რა მოხდა, აბდულ? – ვეკითხები.

– ქალს ვნიშნავ და ფულის მოგროვებას ვიწყებ, ძალიან ბევრი ფული მჭირდება. ერთ თვეში უნდა მოვაგროვო და ერთი თვე კეთილი აბდულა ვიქნები. ხელიდან არ გაუშვათ ეს მომენტი, მერე გული დაგწყდებათ, იცოდე.

– ვა, რა კარგია, გილოცავ აბდულ, ძალიან ბედნიერი ხარ?

– ძალიან, ერთ თვეში ნიშნობა მაქვს და ბევრი ფული მჭირდება.

– მაინც რამდენი?

– ძალიან ბევრი... ყველაფერს ნახევარ ფასად ვყიდი... მიდი გამაკეთებინე ბიზნესი, არ წააგებ არც შენ და არც შენი მეგობრები.

– კარგი, ვეტყვი ყველას.

მართლაც წავედი და გადავეცი თანამშრომლებს, მეგობრებს, მეზობლებს აბდულას დანაბარები და მყიდველების ჯარი დაიძრა „ბარონის" მინიმარკეტში აბდულას ძვირფასეულობების მოსანახულებლად. ზოგი ყიდულობდა, ზოგი ევაჭრებოდა (მათ შორის მეც) და თქვენ წარმოიდგინეთ, აბდულა ყველას უთმობდა, სასნაულ შეღავათებზე და დათმობაზე მიდიოდა. მინიმარკეტში სიცილ-კისკისისა და უსაზღვრო მხიარულების ხანა დადგა. აბდულას ძმა და ორი ბიძაშვილი, რომლებიც მარკეტში მასთან ერთად მუშაობდნენ, დასცინოდნენ აბდულას და ამბობდნენ, სულ წავიდა ხელიდან, ასე თუ გააგრძელა ჩვენც გაგვაკოტრებს და იმ ქალს შორიდანაც არავინ დაანახებსო. აბდულაც გულიანად იცინოდა, მაგრამ თავისას არ იშლიდა და ბოლოს, მოსავლის აღების დრო რომ დადგა, აღმოჩნდა, რომ ამ ერთ თვეში ქალის დასანიშნი ფულიც მოუგროვებია და მთელი „ბარონის" ქალები თავის სამკაულებით აუსხამს. ესეც

შენი აბდულა, „გუუდ ჯობ!" – იძახოდნენ უცხოელები. მე კი ვფიქრობ, რომ აბდულა ის კაცია, რომელმაც ზოგიერთებისგან განსხვავებით ძალიან კარგად იცის ერთი არა ქართული, არამედ ზოდაგსაკაცობრიო ანდაზა: „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის!"

ფეისბუქში ჩემს გვერდზე ერთი „სახალისო" პოსტი დაიდო, უფრო სწორად ვიდეო მასალა ლიდით: ავღანეთში ქართველებმა ამერიკელ ჯარისკაცს დუტუ მეგრელის ლექსი ასწავლეს.

droni.ge; 14:14 27.02.2012 – სოციალურ ქსელ „იუთუბზე" დღეს გამოქვეყნდა ვიდეო, რომელიც ავღანეთშია გადაღებული. კადრში ჩანს ქართველი და ამერიკელი სამხედროები, რომლებიც ჯავშანმანქანაში იმყოფებიან. ისინი, სავარაუდოდ, დავალებაზე გასვლის ბრძანების მოლოდინში არიან ან ისვენებენ. ქართველი ჯარისკაცები ამერიკელ საზღვაო ქვეითს ქართულად ლექსის წარმოთქმას სთხოვენ და ისიც, თითქმის შეუცდომლად, ამერიკული აქცენტით ამბობს დუტუ მეგრელის ცნობილი ლექსის პირველ სტროფს, შემდეგ კი რამდენიმე, კერძო საუბარში პოპულარულ ქართულ ფრაზასაც ურთავს და ვიდეორგოლის ორიგინალში იყენებს არანორმატიულ ლექსიკას. კადრები პორტალმა geoarmy.ge-მ მოიპოვა.

(ვითომ საამაყოა ეს?)

ახლა შეგვიძლია დავუბრუნდეთ ქორწინების სირთულეებთან დაკავშირებით დაწყებულ ჩვენს დიალოგს.

– ესე იგი ცოლის მოყვანა ძვირი უჯდებათ?

– ჰო, თან გაგიგიათ ალბათ, ავღანელი ქმრები ძალიან მზრუნველები არიან...

– ყველაფერი ყველაფერი და ეს კი მართლა პირველად მესმის. აი საპირისპირო კი – რანდენჯერაც გინდა, – გულწრფელად და დაუფიქრებლად წამოვაყრანტალე,

თან თვალწინ გრეისის მონათხრობი მედგა, ფატიმასა და მისი ნადირი ქმრის, ნაზირის შესახებ.

– მერე არ არის სწორი, გიმეორებთ, ავღანელები ძალიან მზრუნველი ქმრები არიან, მათ ყველაფერი ზედმიწევნით აქვთ გათვალისწინებული (ახლა ისმაილის სიტყვები გამახსენდა, ხელის გულზე ვატარებ ჩემ ცოლსო). ცოლის სურვილი ავღანელი ქმრისთვის წმიდაა და აუცილებლად უნდა აასრულოს (გაიგე ახლა, ვინაა მართალი ისმაილი და ეს გოგო, თუ ავღანეთზე დაწერილი ბესტელერების ავტორები). ბევრი რამ, რაც ავღანურ ადათ-წესებს მიეკუთვნება, საერთოდ არ არის ასახული ისლამის რელიგიაში. ეს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობაა და ხშირად იმას, რასაც ისლამი არ გვასწავლის, უცოდინარნი მუსულმანთა რელიგიურ კანონებს მიაწერენ.

– ისლამს რომ ყველა მუსულმანი ბოლომდე მისდევდეს, მთელ ჩვენს სამყაროში იდეალური მშვიდობა და თავისუფლება დაისადგურებდა, – ხაზგასმით ამბობს რაჰიმა, რადგან ჩემს თვალებში ეჭვსა და უნდობლეობას ხედავს.

– მაგრამ შენს ქმარს ხომ აქვს უფლება, მეორე და მეოთხე ცოლიც მოიყვანოს?

– ჰო, მაგრამ მხოლოდ თანასწორი უფლებებით! – ამაყად აცხადებს იგი და მისი ორი გაუთხოვარი მეგობარიც მორჩილად ეთანხმება. ჩემთვის ამათი ამბავი უკვე გარკვეულია, ამიტომ კამათს ამ საკითხზე ვწყვეტ. რაჰიმა ხვდება ჩემს დამოკიდებულებას და არ ნებდება.

– კი მაგრამ, თუ კაცი კარგად გრძნობს თავს თავის ცოლთან, რატომ უნდა შეირთოს მეორე? აქეთ მისვამს ჩემს დასასმელ კითხვას.

– რა ვიცი, მეც ეგ მაინტერესებს.

– თქვენ მამაკაცებს სხვა ქალები არ ჰყავთ?

– ჰყავთ, ალბათ, მაგრამ ცოლი უპირველესია, მის გარდა სხვა ქალებს იმ კაცის ცხოვრებაში კანონიერი ადგილი არა აქვს თუ ცოლს არ გაეყარა და ის სხვა არ შეირთო, – ვუხსნი პოპულარულ ენაზე.

– დიდი ვერაფერი განსხვავებაა, მასე ჩვენთანაცაა, პირველი ცოლი, მეორე, უფროსი, უმცროსი, თან კაცმა თუ მეორე ცოლი მოიყვანა, ქალს შეუძლია გაყრა მოითხოვოს.

– მე როგორც ვიცი, ავღანეთში გაყრის უფლება მარტო კაცს აქვს.

– მართალია, მაგრამ თუ მეორე ცოლი მოიყვანა, ეს უფლება მექანიკურად გეძლევა. უმიზეზოდ, არავინ გაგყრის. ეს კი არის, რომ უფლება მაინც ქმრისგან უნდა მოიპოვო და ავღანელი ქმრები ძირითადად უარს ამბობენ ცოლების გაშვებაზე. ისინი ასე უდგებიან ამ საკითხს: „შენ ჩემი ცოლი ხარ, ჩემი შვილების დედა, მე შენზე პასუხისმგებლობა მაკისრია და ქუჩაში უპატრონოდ ვერ გაგიშვებო“.

– მოკლედ, ისეთ ხასიათზე დამაყენეთ, ლამის გავეყარო ჩემს უკრაინელ დემოკრატ ქმარს და ბედი ავღანეთის იდეალურ მამაკაცებში ვეძებო. მაგრამ მე ისეთი ბედი მაქვს, ავღანელ ქმარში ფულს აქეთ გადამახდევინებენ.

– თქვენ რა გგონიათ, პაკისტანში და ინდოეთშიც ზუსტად ასეა, ქალის მშობლები თავისი შვილისთვის მზითევს აგროვებენ მთელი ცხოვრება და საქმროს ოჯახს გამოსასყიდსაც უხდიან, გააჩნია საქმრო როგორია, – სამივე გულიანად კისკისებს. დარისპანის გასაჭირი გამახსენდა და მეც გულიანად ავკიკისდი. გოგოებმა ამით ძალიან იხალისეს.

– ახლა ის მითხარით, ჯანმრთელობის დაცვის ამბავში როგორაა ავღანელი ქალების საქმე? ამბობენ, კაცი ექიმი ქალს ვერ გასინჯავს და ამის გამო ექსტრემალურ

პირობებში მყოფი ქალები, მაგალიათად მშობიარეები, უმეტესწილად იღუპებიანო. ისიც გამიგია, რომ ვისაც შესაძლებლობა აქვს (ქალებს), სამკურნალოდ ინდოეთში დადიანო.

– ჰო, ესეც მართალია. სოფლებში და პროვინციებში ქალებს მშობიარობის დროს ბებიაქალები ეხმარებიან. ქაბულში ბევრი ქალი გინეკოლოგია, კაცებიც არიან, მაგრამ ცოტა. ეს პრობლემა ქაბულში ისე მწვავედ არ დგას, როგორც პროვინციებში, მაგრამ არ არის საკმაო სამშობიაროები. ეს პრობლემაც კულტურიდან და ადათ-წესებიდან გამომდინარეობს, თორემ ისლამში ასეთი რამ ნახსენებიც კი არ არის. – თავიდან დაიწყო ისლამის პროპაგანდა რაჰიმამ.

– მართალს ამბობს, მართალს, – დაუდასტურეს დაქალებმა. მაზარში, ჰერატში და ასეთ დიდ ქალაქებში სამშობიაროები არის და ქალი გინეკოლოგებიც ჰყავთ. მშობიარე ქალთა სიკვდილიანობის შეთხვევები ძირითადად სოფლებშია, სადაც კრიტიკულ შემთხვევებში ბებიაქალები უძლურები არიან ქალი გადაარჩინონ.

– ქუჩაში თუ დადიხართ მარტო, მამაკაცის გარეშე?

– როგორ არა, ტაქსით სადაც მინდა იქ წავალ, – მპასუხობს როზია.

– ტაქსით არა, ფეხით, ქუჩაში, – ჩავეძიე

– არა, ფეხით მარტო არ გავივლი, დაუცველი ვარ, შარენაოზე (ქაბულის ცენტრი)კი ბატონო, თავისუფლად, მაგრამ იმის იქით ან გარეუბანში – ვერა, აზრადაც არ მომივა, თუ ძალიან ახლობელი, ქმარი, ძმა, მამა, ან ბიძა... არ მახლავს. არა, ნამდვილად ვერ გავივლი ქუჩაში მარტო. ბაზარში ორი ქალი ერთად დასაშვებია, „ჩიქენ სთრითზეც“, მაგრამ მარტო, ცენტრიდან მოშორებით – არა.

ვესნას მობეზრდა ჩემი დაუსრულებელი ინტერვიუ და თეფშების ალაგებას შეუდგა, ამასობაში ლანჩის დროც გათავდა. მე გავჩუმდი. გოგოებმა დამამშვიდეს, ნუ გეშინია აქ არა ვართ, როცა გინდა, რასაც გინდა იმას მოგიყვებითო. აბა, ხვალამდე მეთქი ვუთხარი და ყველანი ჩვენ-ჩვენს მერხებს მივუბრუნდით.

გვიან ღამით ყანდაღარიდან ახალი წერილი მომივიდა ჩემი ფილიპინელი გრეისისაგან. კიდევ ერთი ამბავი ავღანელ ქალთა შესახებ საშინელებათა სერიებიდან: ქალთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფარში 15 წლის გოგონა მიიყვანეს. ის მთელი დღე კედლისკენ სახით იგდა და კედელს თავს ურტყამდა. არავის ელაპარაკებოდა და იკარებდა. რამდენიმე კვირის მკურნალობის და ფსიქოლოგიური ჩარევის შემდეგ მოუყოლია, რომ მისი ბიძა, ძმები და ბიძაშვილები სამი წლის განმავლობაში აუპატიურებდნენ.

ამას ახსნა არა აქვს. როცა ენას გამოხატვა არ ძალუძს, ხოლო მოქმედება ვერ აღწევს შედეგს, იმდენად უძლური ხდები, რომ სირაქლემასავით თავს ქვიშაში თხრი და „უკომენტაროდო" გაიძახი მთელ მსოფლიოზე. უკომენტაროდ!

თავი 17

სვეტლანა ალჟანოვა ყაზახია, რახატი – ყირგიზი, ორივე ჩემი ახლო მეგობარია და სულ ერთად ვართ სამუშაოზეც და საღამოსაც. ბევრს ვსაუბრობთ ჩვენი ქვეყნების, ანუ, ყოფილი საბჭოთა კავშირის შუა აზიის რესპუბლიკების (ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი) სვე-ბედზე, რომელთა მსოფლიო დღეს ცენტრალური აზიის „სტან" ქვეყნების ჯგუფს მიაკუთვნებს, რადგან არაქართულ ენებზე ამ ქვეყნების სახელწოდებები „სტან"-ზე მთავრდება (ყაზახსტანი, ყირგისტანი, უზბეკისტანი და ა.შ.). ამ ქვეყნების პოლიტიკაში ერთ-ერთი უმთავრესი თემა დღეს რუსული ენის დომინირებისგან განთავისუფლებაა. ამ ქვეყნებში, რომელთაგან რამდენიმე დიდ რუსეთზე მდიდარიცაა, სახელმწიფო ოფიციალური ენა ფაქტობრივად რუსულია და საქმის წარმოებაც ჯერ კიდევ რუსულად მიმდინარეობს.

მათი გარუსების მიზეზი, სვეტასა და რახატის ნაამბობის მიხედვით სრულიად შემაძრწუნებელია. ამ ყვეყნების საქმე „უფროს ძმას" ისე მოუქცევია, რომ იქ საბჭოთა კავშირის დროს აბორიგენი მოსახლეობა, თურმე, ეროვნულ უმცირესობად მიიჩნეოდა, რასაც მოჰყვა საყოველთაო გათქვეფა და გარუსება. დიდ ქალაქებში რუსების მასობრივი ჩასახლება ხდებოდა. ლარისა და რახატი ორივე პროვინციიდან იყვნენ, პატარა აულებიდან და იქაც კი, საბავშვო ბაღშიც და სკოლაშიც მხოლოდ რუსულს ასწავლიდნენ. სახლშიც რუსულად ლაპარაკობდნენ და ერთადერთი, ვისაც მაშინ

ოჯახში ეს საკითხი აღელვებდა, მოხუცი ბებია იყო, რომელსაც თავისი შვილიშვილების არ ესმოდა და თავადაც ვერაფერს აგებინებდა მათ.

– საწყალი ბებია სულ ჩხუბობდა, ყაზახური ისწავლეთო, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა. ყაზახური სკოლა ერთი იყო სოფელში და იქ თითქმის არავინ დადიოდა. ახლა ნელ-ნელა დავიწყეთ ყაზახური ენის აღდგენა სახელმწიფო დაწესებულებებში. კარგ ტონად ითვლება, თუ მოხსენებას ყაზახურად წაიკითხავ. მაგრამ ამ დონეზე ძალიან ცოტამ იცის მშობლიური ენა. ჩემმა ძმამ დახვეწა და ახლა მეც ბევრს ვმუშაობ ამაზე – მეუბნება სვეტა.

– ღმერთო ჩემო... რა გაუნათლებლები ვართ, არაფერი ვიცი თვენს შესახებ, არადა 70 წელი ერთი სახელმწიფო ვიყავით, – აღმომხდა მე.

– მე მამაშენის წიგნებს ვკითხულობდი.

– მასე მეც ვკითხულობდი ჩინგიზ აიტმატოვს, მაგრამ ის ხომ რუსულად წერდა.

– როგორ მამაშენი რუსულად არ წერდა?

– არა, ქართულად, რუსულად როგორ დაწერდა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს?“ – გული კინაღამ გამისკდა ამის გამგონეს. – ისე, ყაზახურ ენაზეც არის თარგმნილი და ყირგიზულზეც.

– მე რუსულად მაქვს წაკითხული და ძალიან მომწონს.

– ჩემს კლასში მარტო მე ვიყავი ყირგიზი, დანარჩენი სულ რუსები იყვნენ, – ჩაერთო საუბარში რახატი.

– რატომ, რუსულ სკოლაში დადიოდი?

– აბა რა, ყირგიზული სკოლა ბიშკეკში სულ ორი იყო და არაფრად ვარგოდა.

ამათგან განსხვავებით, მე ამაყად ვყვები, როგორ ვსწავლობდი ქართულ სკოლაში, ქართულ უნივერსიტეტში, ვმუშაობდი ქართული ლიტერატურის ინსტი-

ტუტში და როგორ დავდექით მთელი ერი ყალყზე დიდი საბჭოეთის წინააღმდეგ, როგორც კი დედაენის სახელმწიფოებრიობას დაემუქრნენ. თუმცა, არც ის დამვიწყებია, რომ ჩვემი საკანდიდატო დისერტაცია რუსულად ითარგმნა, მოსკოვში გაიგზავდა და იქ დამტკიცდა. ხომ შემეძლო საერთოდ არ დამეწერა დისერტაცია? რაში გამომადგა რო!

მამაჩემი ერთ ნამდვილ ამბავს ანეკდოტივით ყვებოდა: სსრკ უმაღლესი კომიტეტის ერთ-ერთ სესიაზე შუააზიელ მინისტრს უკითხავს, თქვენს სკოლებში რა ენაზე ასწავლიანო და როცა მამაჩემმა უპასუხა ქართულადო, იმას რუსულად დაუცინია: „კაკ ვი ოტსტალი, უ ნას უჟე ვსიო ნა რუსკომო" (როგორ ჩამორჩით, ჩვენთან უკვე ყველაფერი რუსულადაა). ეს ამბავი რახატს და სვეტას მოვუყევი და სიცილით გასკდნენ, რას ერჩი იმ მინისტრს, სიმართლე უთქვამსო.

რა ვიცი, რა ვთქვა, ასეთი ზეწოლა საქართველოს გასარუსებლად, პირადად მე არასროს მიგრძვნია, პირიქით კი ვხედავდი, რომ ზოგიერთი კუდაბზიკა ქართველი საკუთარი ინიციატივით მიილტვოდა გარუსებისკენ, საუბრის დროს ბოდიშს იხდიდა, ქართული არ მეხერხებაო და რუსულზე გადადიოდა. ეტყობა, რუსები საქართველოში ამის ნიადაგს ვერ ქმნიდნენ, ვერ ბედავდნენ. ან მაინც და მაინც არ სჭირდებოდათ, თორემ შუა აზია მართლა გარუსებული ჰყავდათ.

მახსოვს, როგორ მეხამუშებოდა, როცა ჩემი ოჯახის მეგობარი, აფხაზი პოეტის, გენა ალამიას აზიელი (უიგური) ცოლი რაბიგიული, წმინდა მოსკოვური აქცენტით ლაპარაკობდა. ივეტა, ჩემი სომეხი თანამშრომელი კი ანკეტაში წერდა: დაბადების ადგილი – თბილისი, ეროვნება – სომეხი, მშობლიური ენა – რუსული. რა ექნა, სრულ სიმართლეს წერდა იმ ანკეტაში. ასე

აეწყო მისი ცხოვრება დიდ საბჭოეთში – „ნენორმალ-ნად!" ყველაფერი განსხვავებული ჰქონდა და არასდროს დაფიქრებულა, რატომ? როცა ვკითხე, სომხური რატომ არ იცი ან ქართული მეთქი, რაში მჭირდება ან ერთი ან მეორე, ჩემი მშობლიური ენა რუსულიაო, მიპასუხა. ეს, რაც მე ვიცი, ერთეული შემთხვევები...

ჩემი ოჯახის ისტორია კი ისე აეწყო, რომ ნათესაობაში თითო-თითო ეროვნების თითქმის ყველა გვყავს, აფხაზი, რუსი, უკრაინელი, პოლონელი, სომეხი, მაგრამ ყველა, თავანკარა, რუსთაველის ქართულით მეტყველებს. ერთ-ერთი გარე მამიდა, ნახევრად სომეხი, ქართული ენისა და ლიტერატურის დამსახურებული პედაგოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი და ცნობილი პროფესორია.

– წარმოუდგენელია, თქვენში, რუსებიც კი ქართულად ლაპარაკობენ?! – აღტაცებით აღნიშნა სვეტამ, როცა დაინახა როგორ ვსაუბრობდით ავღანეთში მისთვის გაუგებარ ენაზე მე და ლარისა რომანენკო.

– ლარისა რა რუსია, ჯერ ეს ერთი, უკრაინული გვარი აქვს, მერეც მეორე, საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, თან დედით ქართველია, – მივახალე და მაშინვე მივხვდი, როგორ გამიმართლა: ეს იყო არაჩვეულებრივი მაგალითი – დასტური იმისა, რასაც ასე აღფრთოვანებით აღნიშნავდა ერთი წუთის წინ ყაზახი სვეტლანა ალჟაევა.

– ეს ყაზახეთში სულაც არ არის საკმარისი, აბა, ამდენ ხანს რას გიმტკიცებდი – მითხრა მან.

ამასობაში „ბარონში" უცნაური მოვლენები დაიწყო. ჯერ ჩვენი პარტნიორი პროექტის კომუნიკაციის დირექტორს ფრენსის არდინს, კონტრაქტი შეუწყვიტეს პროექტის ბიუჯეტის შემცირების მიზნით. გასაგებია, სხვა ვერაფერს მოიმიზეზებდნენ, რადგან ფრენსისს არც

მეტი, არც ნაკლები „სიენენში“ მოღვაწეობის ოცწლიანი და რეიგანის პრესსამსახურში რვაწლიანი მუშაობის გამოცდილება ჰქონდა უმაღლესი შეფასებებითა და რეკომენდაციებით. იმით აღშფოთებულმა, რომ კონ-ტრაქტი დაურღვიეს, ფრენსის ვურჩიე, გაასაჩივრე მეთქი (ამერიკის სასამართლოს შეუბღალავი ავტორიტეტის იმედით) და მან მოკლედ მომიჭრა, ამერიკის მთავრობას არავინ უჩივისო. ჩუმად დაიხურა ქუდი და დეკემბერში, ვიდრე მე შვებულებაში წავიდოდი, 2011 წლის საშობაო არდადეგებზე დიდი ზარ-ზეიმითა და ბანკეტით სამუდა-მოდ დაგვემშვიდობა. სულ ერთი კვირის თავზე, იგივე მიზეზით ჩემი ფილიპინელი გრეისიც გაისტუმრეს. მერე ნელ-ნელა, ყოველი შემთხვევისათვის მიგვანიშნეს, რომ ასეთი გადაწყვეტილებისგან არცერთი ხართ დაზღვე-ულებიო. „ბარონი“ ახლა ნამდვილ ციხეს დაემსგავსა, სადაც არავინ იცის, როდის დაგიძახებენ „ს ვეშამი!“

თავი 18

კატმანდუ

საახალწლოდ ოცდაორდღიან შვებულებაში მივდივარ. ვესნა ნეპალში აპირებს თავის მეგობართან ერთად წასვლას და მეც საშინლად მომინდა ამ საოცნებო ქვეყანაში მოგზაურობა. გადავწყვიტე, შვებულებიდან ათი ღღე მომეპარა და ვესნას ავკიდებოდი. იმან ეს რომ გაიგო, ისე გაიხარა, ოღონდაც არ გადაიფიქროსო, მთელი საორგანიზაციო საქმე თავის თავზე აიღო და ყველაფერი, თავისიც და ჩემიც ერთ კვირაში საათივით ააწყო. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ ავღანეთში თუ მუშაობ და უცხოელი ხარ – „ექსპატი", მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა ძალიან გაადვილებულია. შენ ოღონდ აირჩიე!

რა მაგარი და მოხერხებული უნდა იყო, რომ კატმანდუში, სადაც ნორმალურ სასტუმროში ღამის გათევა სულ ოცდასამი დოლარი ღირს (ბესო ხვედელიძემ მითხრა მე ხუთ დოლარიანში ვცხოვრობდი სამჯერადი კვებითო), ორას დოლარიანი მოძებნო? სწორედ ეს მოახერხა ჩემმა ვესნამ, თან ისე ამაყად გამომიცხადა ამის თაობაზე, მეგონა მაშაყირებდა. სიცილი რომ დავაყარე, ამიხსნა, მსგავს „იაფ" ადგილებში, უსაფრთხოებისთვის ჯობს მეტი გადაიხადოო.

– თან ეს ორასი სამად გაიყოფა (ჩვენთან ერთად ვესნას ბოსნიელი დაქალი ლეილაც მოდიოდა) და საკმაოდ მისაღები ფასი გამოგვდის, – ისე დამაჯერებლად მიმტკიცებდა, უსიტყვოდ დავემოჩილე, თუმცა, გულში

მაინც მენანებოდა ამხელა თანხის მხოლოდ ხუთ ვარსკვ-ლავში გადაყრა.

„ბარონიდან“ 23 დეკემბრის დილის 8 საათზე გავე-მგზავრეთ მარშრუტით: ქაბული – ნიუ დელი – კატ-მანდუ. შუადღეს უკვე დელის გაპრიალებულ-გაწკრი-ალებულ და ფეშენებელურ, თანამედროვე აეროპორტში ვიყავით. აეროპორტზე რაღამ გააგიჟაო, იფიქრებთ ალ-ბათ, და მართლიც იქნებით, რადგან დიდად არაფრით გამოირჩეოდა სხვა თანამედროვე აეროპორტებისგან, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ბოლო დროს სულ ქაბულის აეროპორტიდან მინევს მგზავრობა და მცირედ განსხვავებასაც კი ასეთ აღფრთოვანებაში მოვყავარ (კატარის აეროპორტით აღფრთოვანება ჯერ კიდევ წინა მაქვს!).

ასე, რომ დელის „გაწკრიალებული“ აეროპორტიდან ორ საათში ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ჩავფრინ-დით. კატმანდუზე წაკითხულიც უამრავი მაქვს და გაგო-ნილიც. ალბათ თქვენც და ამიტომ, დარწმუნებული ვარ, კარგად გამიგებთ თუ გეტყვით, რომ ყველაფრისთვის ვიყავი მზად და მიუხედავად ამისა, დავდგი თუ არა ფეხი ნეპალის მიწაზე, გული კინაღამ საგულედან ამო-მივარდა, ძარღვებში სისხლი ამიდუღდა და თვალდახუ-ჭული, თავით გადავეშვი თავგადასავლების სამყაროში. უკვე ოთხი დღეა, რაც ფეისბუქზე და სკაიპში მიდევს „პოსტი“/მიმართვა – „ჯომოლუნგმა, ამომიშვი?!“

რისი ამძრომი და ამსვლელი ვარ, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ აქვე რომაა ყურისძირში და თვალს რომ მჭრის, დაპყრობას არ ნიშნავს ჩემნაირი მოკვდავებისთვის? კი ნიშნავს, თუ არა და წადით და თავად ნახავთ!

ნეპალი ძალიან სტუმართმოყვარეა, საქართველო-სავით, ვიზას იქვე, აეროპორტში გაძლევენ სულ რაღაც

25 დოლარად. საპასპორტო სამსახური ხუმრობა-ხუმრობით და საუკეთესო სურვილებით გზას გილოცავს მათ დალოცვილ მიწაზე. ნიუ-დელისგან განსხვავებით აეროპორტი ძალიან მოკრძალებულია. ღამის 11 საათზე აეროპორტიდან გამოვდივართ და კალიებივით გვესევიან ტაქსის მძღოლები და მზიდავები. როგორც იქნა ავარჩიეთ მძღოლი და აქედან დაიწყო ის, რასაც მოველოდი და საერთოდ არ მოველოდი ნეპალის მიწაზე, ანუ ის მინდა ვთქვა, რომ ყველაფრისთვის მომზადებული ნამდვილად არ ვყოფილვარ! მერე და რა ჯობია ამას... ამდენი არცერთ სხვა ქვეყანაში მიმხიარულია.

ჩვენი ტაქსის ავტომანქანა რა „ბრენდი" იყო, ვერ გეტყვით. დარწმუნებული ვარ, ეს არც პატრონს ახსოვდა უკვე. ასეთი მანქანები კი მინახავს. მსგავსი ჯაბახანებით ადრე გლეხებს სოფლიდან ხილი და ბოსტნეული ჩამოჰქონდათ. გახსოვთ ალბათ ტრასაზე კარტოფილით, კომბოსტოთი ან ვაშლით სავსე ჟანგიანი მსუბუქი ავტომანქანები ღია, კომბოსტოთი გაძეძგილი საბარგულებით. მათგან განსხვავებით ჩვენი ტაქსი ოდნავ პატარა იყო და ჩემი და ვესნას ჩემოდნები ერთად საბარგულში ვერ ჩაეტია. ამიტომ, ერთი, ჩემთან ერთად „სალონში" შემოაკვეხეს. „სავარძლებზე" ძველი, გაქექილი და მტვრიანი პლედი ეფარა, ჭერი ადგილ-ადგილ ისე ორიგინალურად იყო ჩამოდღლეზილი, რომ ჟანგიანი მეტალისა და მიფხრეწ-მოფხრეწილი ქსოვილის ერთობ საინტერესო კოლაჟს ქმნიდა.

– ეს ნეპალია! – მხიარულად მითხრა დისპეჩერმა, როცა ჩემი გაფართოებული თვალები დაინახა და შემატყო, რომ მანქანაში ჩაჯდომა-არჩაჯდომაზე ვორჭოფობდი!

– კი, ვხედავ, – დავეთანხმე და ისტერიული სიცილი ამიტყდა. როგორც იქნა ჩავეკვეტე, კარი როგორც მიხვდებოდით, ვერ მოვიკეტე, რადგან მანქანას სახე-

ლურები და სამინეები არ ჰქონდა. მძღოლმა გარედან მოაჯახუნა კარი საიმედოდ. ვესნაც ასევე ძლივს მოთავსდა წინა სავარძელზე, მასაც ორი კაცი აწვებოდა დანჯღრეულ კონსერვის ქილაში ჩასაჯდომად და მასაც საიმედოდ მოუხურეს კარი გარედან. ვესნაც ჩემსავით ისტერიულად იცინოდა. იცინოდა მძღოლი, იცინოდა ტაქსების დისპეჩერიც, იცინოდენ ცაზე უშველებელი ვარსკვლავები და ყველა ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავით!

– კატმანდუში რა გინდათ, იქ ხომ საშინელი ჭუჭყია? – წამოსვლის წინ გვკითხა ვესნას რუსმა მეგობარმა, ალექსეიმ და ამ სიტყვებთან ერთად საბოლოოდ დაეცა ჩემს თვალში სრულიად რუსეთის ავტორიტეტი. კაცს, რომ ნეპალის ხსენებაზე, მარტო ჭუჭყი და დისკომფორტი გაახსენდება, ის რა სახსენებელია მეთქი გავიფიქრე. ამან ჩემი ძველი თანამშრომელი ტუსა ჭყონია გამახსენა. პარიზში ტუსას და მის ბიძაშვილს ემიგრანტმა მამიდამ ანდერძით პატარა სახლი დაუტოვა. მემკვიდრეობის მისაღებად ქალბატონები საფრანგეთში გაემგზავრენ და ერთი თვის შემდეგ იქიდან დაბრუნებული ტუსა გვიყვებოდა, რა ბინძური ქალაქია პარიზი, რომ ტროტუარები სულ ძაღლის ფეკალიებითაა სავსე. თან მამიდაზეც გაბრაზებული იყო, ორივეს თუ გვიტოვებდა ბინას, ბარემ კეთილი ენება და თვითონ გაეყო შუაზე, ჩვენ რას გვაწვალებდაო.

მოკლედ, როგორც იქნა მოვეწყვეთ იმ „საკალელ" სათამაშოში და გავსწიეთ ჩვენი ორასდოლარიანი სასტუმროსკენ. კატმანდუ ზუსტად ისეთი ჩაბნელებული იყო, როგორც თბილისი 90-იან წლებში, ქუჩები კი ისეთი მინგრეულ-მონგრეული და ოღრო-ჩოღრო, როგორც გურიის ორლობეები. ჯაყჯაყ-ჯაყჯაყით მიგვაქროლებდა ბნელ ქუჩებში ჩვენი მხიარული მძღოლი, გზადაგზა კატ-

მანდუს ღირსშესანიშნაობების მბჟუტავ კონტურებზე მიგვითითებდა და დამტვრეული ინგლისურით მათ ისტორიასაც გვიყვებოდა.

ქუჩები ცარიელი იყო, სახლები ზოგი სრულიად ჩამქრალი, ზოგის პატარა ფანჯრებიდან კი ოდნავ მბჟუტავი შუქი გამოდიოდა. აი ისე, ჩვენთან რომ იყო, როცა ნავთის ლამფებით ვანათებდით ჩვენ ბინებს...

– კატმანდუში დაბნელებასთან ერთად ყველაფერი კვდება, – გვეუბნება მძღოლი. კატმანდუს დასათვალიერებლად ორი დღე სავსებით გეყოფათ, შემდეგ სხვა ადგილები უნდა დაათვალიეროთ, ნეპალი ლამაზი და დიდებულია, თუ გნებავთ, ჩემი ტურისტული სააგენტოთი მოგემსახურებით! უმაღლეს დონეზე! საუკეთესო ფასად! ამ მანქანით კი არა, საუფროსო მანქანით!

რა თქმა უნდა „დავუჯერეთ" და ისეთი ისტერიული და უზრდელი სიცილი აგვიტყდა, სასტუმროს კარამდე ნეპალელი მძღოლის ხმა აღარ გაგვიგია. შევედით ბნელ (არ დაგავიწყდეთ, რომ 23 დეკემბერია და ორ დღეში შობაა), ასკეტურად ჩაშავებულ „დრაკონის" ქანდაკებებითა და დიდი წითელად მბჟუტავი ნეპალური ფარნებით სავსე და გაყინულ ციხესიმაგრეში. ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი კარისკაცი შემოგვეგება და სარეგისტრაციო მაგიდამდე მიგვაცილა. რეგისტრაციის მაგიდასთან სიცივისგან გალურჯებული, მაგრამ პროფესიული ღიმილით აღჭურვილი მეტრდოტელი დაგვხვდა. ჩვენი ბარგი კარისკაცს მიანდო, ნომრები გააფორმა და საზეიმოდ გადმოგვცა ოთახი № 508 – ის მძიმე, ძველებური გასაღები. მეხუთე სართულზე ლიფტით ავედით. ჩვენი ნომერი გრძელი, ნესტიანი და სუნიანი დერეფნის ბოლოში აღმოჩნდა. ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ოთახისკენ მიმავალს თვალწინ სულ ის ხუთი ვარსკვლავი და ინტერნეტში ჩვენი სასტუმროს სახელის გასწვრივ იქ გასატარე-

ბელი ერთი ღამის აღმნიშვნელი 200 დოლარი მიელავდა.

კარისკაცმა ნომერი გაგვიღო, „გათბობა ჩაგვირთო" და ნეპალური ჟესტიკულაციით დამშვიდობების რიტუალი ჩაგვიტარა. გათბობას ამაოდ ველოდით. სააბაზანოში კი არ ციოდა, ყინავდა. ეგ იყო, რომ ცხელი წყალი მოდიოდა და გადავწყვიტეთ ამ საშუალებით გავმთბარიყავით. აბაზანაში ჩასახტომად რომ გავემზადე ამ დროს სინათლე ჩაქრა. ვესნა მობილურის ფარნით შემოვარდა აბაზანაში და იქიდან გამოსვლაში დამეხმარა. ორივენი „ტან-აბჯარ-ასხმულები" გაყინულ ლოგინში შევძვერით. ეს ვესნას მე ვასწავლე საკუთარი ქართული გამოცდილებიდან. აღარ გვციოდა, ფანჯრის მინები დაიორთქლა, პირიდანაც ოთქლი ამოგვდიოდა, რადგან გიუებივით ვიცინოდით, არა – ვხარხარებდით, ვკიოდით. სიცილისგან საფეთქლები მტკიოდა...

– ეს ღამე როგორმე უნდა გადავაგოროთ და ხვალიდან ჩემი ფეხი აღარ იქნება ამ სასტუმროში, – ძლივს ამოილულლულა ვესნამ და წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო, რომ სინათლე აინთო.

– ვერ მოგართვით! ამას აღარაფერი ეშველება! – ხმამაღლა შევძახე ნათურას და წარმოიდგინეთ, შეისმინა და მაშინვე გამოირთო.

ასე გავატარეთ პირველი ღამე ბედკრულ ავღანეთში მომუშავე ბედკრული ბოსნიისა და ბედკრული საქართველოს შვილებმა არანაკლებ ბედკრული ნეპალის მიწაზე. სასაცილოა, აბა რა! ჰოდა, ჩვენც ვიცინოდით და მშვენივრად ვიცოდით, რაც გვაცინებდა!

დილის 6 საათზე ორივეს სიცივისგან გაგვეღვიძა, ვესნამ კიდევ ერთი ჯემპრი ჩაიცვა და ძილი შეიბრუნა. მე ავდექი და ფანჯრიდან გავიხედე. გულზე მომეშვა, ჩვენს ქვემოთ უმშვენიერესი პარკი იყო გაშენებული გაყინული აუზით, გედების ტბით და ამურებიანი ფან-

ტანით. ფიქრის დრო თავზე საყრელად მქონდა და მეც მივყევი ოცნება-ფანტაზიას იმაზე, რომ ორმოცდაათი წლის წინ, მონარქიის ხანაში ეს სასტუმრო კატმანდუს ერთ-ერთი მშვენება და სიამაყე მოდერნისტული არქიტექტურის პირველი ნეპალური შედევრი იყო. დღეს მისგან სახელის „იაკი და იარი" და ძველი ავტორიტეტის მეტი აღარაფერი შემორჩენილიყო. ფასიც, ეტყობა, ინერციით გადმოჰყვა.

თავგადასავლებს ვეძებდი და დილაც თავგადასავლით დაიწყო. აკი გითხარით, ჩემი ფანჯარა წალკოტს გადაჰყურებდა მეთქი და გადავწყვიტე ეს წალკოტო ფოტოზე აღმებეჭდა. ხის მრავალტიხრული მაღალი ფანჯარა გარეთ იღებოდა. ცალი მხარე გამოვაღე და ფოტოსეანსი ჩავატარე. ოთაში დილის მაცოცხლებელი სუსხი შემოიჭრა. რამდენჯერმე ღრმად ჩავისუნთქე ჰიმალაებიდან მოტანილი დილის სუსხი და ისედაც გაყინული ოთახი საყინულედ რომ არ მექცია, ფანჯარა მალევე მივხურე, მაგრამ ბოლომდე ვერა, რადგან ძველი იყო, მორყეული და არ მნებდებოდა. მეორე ხელი მივაშველე, მეორე რაფას მივაწექი, რომ პირველი დამეფიქსირებინა და მოულოდნელად, ის მეორეც ფართოდ გაიღო. თვითონ ვერ მივხვდი, როგორ აღმოვჩნდი უეცრად ნახევარი ტანით გარეთ, ფანჯრის რაფაზე ჩაბღაუჭებული. გრძელი, ძველებური ფანჯარა იყო, მუხლამდე მწვდებოდა და ტანმა გადამწონა. ხომ გახსოვთ, რომელ სართულზე ვიყავი? ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ – მეხუთეზე! ვაიმე მეთქი, ერთი შევყვირე და ისეთი ძალით მივებჯინე ფეხის თითებით იატაკს და ისეთი ძალით გადმოვიზნიქე უკან, რომ რაღაც სასწაულით უკან შემოვვარდი ოთახში და იატაკზე გავიშხლართე. უკნიდან ვესნას ღმუილი მესმოდა, ბოსნიურად მოთქვამდა და როცა შევხედე, სახე ისე ჰქონდა დამანჭული, ვერ მივხვდი, იცინოდა, თუ ტი-

როდა. მერე ისეთი ზლუქუნი მორთო, რამდენიმე წუთი მის დამშვიდებას მოვუნდი. თავზე ვკოცნიდი და გურულად ვულოცავდი: „გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ნუ გეშინია! გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ნუ გეშინია!

– არა, დღესვე უნდა გავასწროთ ამ სარკოფაგიდან – ყვიროდა ვესნა და ისტერიულად ალაგებდა ჩემოდანს.

„იაკიდანაც" და „იარიდანაც" დილიდანვე ამოვეწერეთ, ოღონდ მთლად ზარალში რომ არ გადავარდნილიყავით, საუზმეზე მაინც წავედით სასტუმროს რესტორანში. გამოგიტყდებით, ისეთ მშვენიერ გარემოში და ისეთ მდიდრულ სასადილოში აღმოვჩნდით, ერთი პირობა კინაღამ... მაგრამ არა, იქიდან გადასვლას ვერავითარი ძალა წინ ვერ აღუდგებოდა. ჩვენი ბარგი-ბარხანა გამოვაგორეთ ოთახიდან. როცა რეგისტრატურაში ოფიცერს მოვახსენეთ ოთახში ჯერაც არ არის ჩართული არც სინათლე და არც გათბობათქო, იმან ძალიან, ძალიან შეგვარცხვინა – ქვეყანაში ენერგოკრიზისია, მთელი ნეპალი ამ დღეშია და ჩვენ გამონაკლისი ხომ ვერ ვიქნებითო! მერე ჩვენს ხარჯზე აპირებთ კრიზისის დაძლევას, ორას დოლარს რაში გვახდევინებთ თქო – შევეპასუხეთ ჩვენ. იმან მხრები აიჩეჩა, პასპორტები დაგვიბრუნა და ჩვენი ჩემოდნები ოთუს ბირად საბარგო ოთახში გაამწესა.

ახალი ტაქსი დავიქირავეთ და სხვა სასტუმროს ძებნას შევუდექით. ვესნას ძვირფასი სასტუმროების სათადარიგო სია ეჭირა ხელში. მე ყოველი შემთხვევისათვის, ინტერნეტში იაფი სასტუმროები მოვიძიე. ვესნას ვთხოვე, უამრავი დრო გვაქვს, მოდი, ჯერ იაფი სასტუმროები დავათვალიეროთ ცენტრში, ეგებ მოგეწონოს მეთქი. უხალისოდ, მაგრამ მაინც დამთანხმდა. რას იზამდა, ერთი საათის წინ მის თვალწინ კინაღამ მეხუთე სართულიდან ვიფრინე, ჩემი განერვიულება არ შეიძლებოდა. ამიტომ უსიტყვოდ დამიკრა თავი.

ერთ-ორი პატარა შესახვევი და კატმანდუს ცენტრში აღმოვჩნდით. გეზი სასტუმრო „განეშა და ჰიმალასკენ" ავიღეთ. ნეტავ რა მოსწონდათ ამ ქალაქში ჰიპებს? ალბათ ჭუჭყი და ქაოსი თქო ვფიქრობდი, და მართლაც, ამდენი ჭუჭყი მხოლოდ 90-იანი წლების თბილისის მეტეხის დასახლებაში თუ მინახავს, როცა ერთი ჰუმანიტარული პროექტის ფარგლებში ღარიბი ოჯახების გამოსავლენად და დახმარების გასანაწილებლად დავდიოდით. რაც შეეხება ქაოსს, აქ კატმანდუს ბადალი არა ჰყავს. ასეთი რამ კალკუტაშიც კი არ მინახავს: სად მანქანა, სად მოტოციკლეტი, სად თხა და ძროხა, სად კაცი და სად ჭრელი ველო-რიკშა. ყველაფერი ისე იყო ერთმანეთში აზელილი, ერთი უშველებელი ტალახიანი გუნდა გეგონებოდა.

ჩემი კოლეგა ტრიშ კონრად-დიუპონი მაფრთხილებდა, კატმანდუ გენიალური გაუგებრობაა, ასეთ რამეს ვერსად ნახავ, მაგრამ პირბადე მაინც დაგჭირდება, ისეთი გამონაბოლქვიაო. ეჰ, ტრიშ, შენ ეტყობა ნამდვილი გამონაბოლქვი არ გინახავს და ჩემი ფილტვების მოკალულობაზე წარმოდგენაც არა გაქვს-მეთქი ვუთხარი მაშინ. ახლა კი ვუყურებ პირბადეაფარებულ სრულიად კატმანდუს (ჩვენ ორისა და რამდენიმე თავზეხელაღებული ტურისტის გამოკლებით) და ვხვდები, რომ გამონაბოლქვი რა არის, არც მე მცოდნია სათანადოდ. მართალი გითხრათ, ძალიან შემაწუხა ამ გამონაბოლქვმა, ყელიც გამომიშრა, ამტკივდა, მაგრამ პირბადე მაინც ვერ „ვაკადრე" ჰიმალაების სამშობლოს.

მე კატმანდუ ზვიადი მთებით გარშემორტყმული, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან გადმოხვეწილი „ვეტერანი" ჰიპებით, გარუჯული შერპებითა და სიმძიმეების თრაქვით ზურგჩაზნექილი იაკებით დასახლებული საზღაპრეთი მეგონა და რა დამხვდა? – ერთ დროს ვრცელ,

ბრინჯის ყანებზე „ფურთხით“ აშენებულ მინგრეულ-მონგრეულ, უსისტემოდ ჩაწყობილ, ზერელედ შეთითხნილ, ფანჯარამორყეულ და ფარდაჩამოფხრეწილ სკასავით სახლებს შესეული ათას ენაზე მოლაპარაკე და ათასი ტომის ესკიმოსური გარეგნობის მისახლეობა. აშკარად იგრძნობა, რომ ინდოელებზე არ გიჟდებიან, სამაგიეროდ, ჩინური დემოკრატია და ადამიანის უფლებები ხიბლავთ. ინდურ რელიგიასა და კულტურას ამ ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე სერიოზული დაღი დაუსვამს და ახლა ნეპალელთა მაოისტური „კლანი“ ამ დაღის წაშლასა და ნეპალის სრულ ტრანსფორმირებას (რასაც თავად „რეფორმებს“ უწოდებენ“) ეწევიან.

როგორც იქნა ერთი საათის ცოდვილობის შემდეგ, საცობი გავარღვიეთ და სულ ორ ნაბიჯში მდებარე „განეშა ჰიმალას“ მივადექით – პატარა, ოთხსართულიან ტერასულ სასტუმროს შიდა და გარე ბაღებით. აქ, ალბათ, ყველაზე ცნობილი ჰიპები იბუდებენთქო, გავიფიქრე, როგორც კი ფეხი შევდგი სასტუმროში. უკვე რეგისტრატურასთან დაუდევრად ეყარა რამდენიმე გაქონილი ზურგჩანთა, მოპირდაპირე მხარეს კი წვრილი ხის ტახტები მუთაქებით იყო მოფენილი. ვიწრო მაღალსაფეხურიან დახვეულ კიბეზე გრძელთმიანი, გარუჯული ახალგაზრდა და საშუალო ასაკის, გემოვნებით აჩაჩულ-დაჩაჩული, ბოჰემური იერის ევროპელები ადიჩადიოდნენ, რომლებსაც, ეტყობოდათ, ძალიან უნდოდათ ადგილობრივ კოლორიტს შერწყმოდნენ და ამიტომ თავიანთ მხარტვრულ-დაუდევარი ტანისამოსი ისეთი ნეპალურ-ჰიმალაიური დეტალებით ჰქონდათ გამდიდრებული, როგორიცაა ყელსახვევი, თმის სამაგრები, ქაშმირის გრძელი შარფი და ა.შ. უფრო ერთგულებს დახეულ ჯინსებზე იაკის ძაფით ნაქსოვი ნეპალური ორნამენტებიანი სვიტრები ეცვათ, ბენვის ქუდები ეხუ-

რათ და სხვაზე მეტად იყვნენ გარუჯულები. ესენი სერიოზულ მწვერვალებზე დადიან მეთქი, გავიფიქრე.

მზიანი დილა იყო და სასტუმროს ბინადარნი ეზოს ბაღში ისხდნენ, ყავას სვამდნენ და გაზეთ „ჰიმალაიას" კითხულობდნენ. მეც ავიღე ერთი ეგზემპლიარი. იქ მარტო ჰიმალაის ახალი ამბები და „ბოლივუდის" ვარსკვლავების პიკანტური ისტორიები ეწერა. სწორიც იყო: არა მგონია ამ გაზეთის მკითხველებს მსოფლიოს მიმდინარე პროცესები და პოლიტიკური კატაკლიზმები აინტერესებდეთ, განსაკუთრებით, როცა ნეპალში ჩამოდიან – „ჰიმალაების დასაპყრობად"!

რეგისტრატურაში გვითხრეს, ამჟამად სასტუმრო სავსეა და ნომრები მხოლოდ ხვალიდან გვექნებაო. ფასს არ იკითხავთ? მშვენიერი, ორადგილიანი ნომერი 29 დოლარად. ჰო, კაცი კი არა, მთელი ნომერი. სასტუმროს დათვალიერება მოვინდომეთ და კოტიტა ნეპალელი –კბილებჩაცვენილი, ძალიან მომღიმარი და კეთილგანწყობილი კაცი მოგვამაგრეს. იმას შერპასავით ეცვა. პირდაპირ სახურავზე აგვიყვანა. კიბეზე სულ იმას ვეკითხებოდით, გათბობის საქმე როგორაათქო და „ნოუ პრობლემო", გვპასუხობდა. გენერატორი გვაქვს და გამათბობლები, როცა სინათლე მიდისო – გვამშვიდებდა. იქიდან ბრტყელი გადახურვის სახურავზე რამდენიმე ოთახშიც შევიჭყიტეთ და გული გაგვინათდა, ისეთი ნათელი მშრალი და „მხიარული" გვეჩვენა. ტერასულ შუშაბანდებშიც გავიარ-გამოვიარეთ და აღვფრთოვანდით იქაური ყვავილნარით, ქალაქის ხედებით, სახურავიდან კი ისეთი პანორამა იშლებოდა კატმანდუსა და მის შემოგარენზე, რომ თავი ფაქტობრივად უკვე ჯომოლუნგმას წვერზე მეგონა. არა, აქედან არსად აღარ მივდივარ მეთქი ვუთხარი ვესნას. მე მიყვარს „გენეშა ჰიმალა" და მორჩა ბაზარი! ჩვენი გამყოლი ხვდებოდა ჩემს

აღფრთოვანებას და ფართოდ გვიღიმოდა. სამაგიეროდ, რეგისტრატურაში გვეუბნებოდნენ შეწუხებული სახეებით, ხვალ მობრძანდით, დღეს ვერაფერს გაგიხერხებთო.

ვესნამ მითხრა, ახლა „ჰაიტი" ვნახოთ და თუ მოგვეწონა, ერთი ღამე იქ გავათენოთო. რას ვიზამდი, მორჩილად დავეთანხმე, როგორც აკიდებული „პასაჟირი" და იმავე ტაქსით „ჰაიტისკენ" გავსწიეთ. რა ვიცოდი, თუ ვესნას ეს სიურპრიზი დიდი ხნის ჩაფიქრებული ჰქონდა და განეშა ისე, ყოველი შემთხვევისათვის შეათვალიერა. ტაქსი ყველგან გველოდებოდა, მძღოლი ბედნიერებას ვერ მალავდა იმით, რომ ორი „როკფელერი" ქალბატონი იშოვნა თავისი მოკრძალებული, ვერ გეტყვით, რა ჯიშის ავტოსთვის. „ჰაიტამდე", სიაში კიდევ რამდენიმე სასტუმრო გვქონდა ჩაწერილი, მაგრამ მხოლოდ გარედან თვალის შევლებით დავკმაყოფილდით. შევატყვე, ვესნას იმთავითვე ჰქონდა გადაწყვეტილი „ჰაიტში" დასახლება და სხვა სასტუმროებს სულ ჩემი ხათრით ათვალიერებდა. როგორც იქნა მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს. დიდი რკინის ალაყაფი გაგვიღეს და ჩვენი საცოდავი ტაქსი გასრიალებული, ერთობ შთამბეჭდავი გზით ნეხვის ხოჭოსავით შეიძურწა ბეტონის სოლიდური შენობის ავტოსადგომზე. ორი დიდი მოჩუქურთმებული ხის კარი და ფართო შუშაბანდები ძალიან ამსუბუქებდნენ მასიურ კონსტრუქციას.

ოთხი კარისკაცი ეცა ჩვენი მანქანის კარებს, მაგრამ ვერ მივართვით, ერთი კარი არ იღებოდა. მერე საბარგულიდან გადმოიღეს ჩვენი დათხვრილი ჩემოდნები და შესასვლელისკენ გააგორეს. თან თავის ქიცინით „მობრძანდით, მობრძანდით!"-ო გვეხვეწებოდნენ. ჩვენც ამაყად გავყევით უკან და მძღოლს ყოველი შემთხვევისათვის ვუთხარით, დაგვლოდებოდა. რეგისტრატურამდე ვარდისფერი მარმარილოს იატაკზე გავიარეთ, გზად,

ნეპალის ღირსშესანიშვაობების მინი მოდელებს და მუთაქებიან მოსასვენებელ კუთხეებს ავუარეთ გვერდი. რეგისტრატურაში გავიგეთ, რომ „ჰაიტიში" ნომერი ოდნავ მეტი ღირდა, ვიდრე იმ ავადსახსენებელ „იაკსა და იარში", მაგრამ გათბობა 24 საათიანი იყო და ფასში დილის საუზმე შედიოდა. ვესნა იქვე გამომიტყდა, რომ მისი მეგობარი ლეილა, რომელიც დღეს საღამოს უნდა შემოგვერთებოდა, უბრალო სასტუმროში გაჩერებაზე უარს ამბობდა და ამიტომ, ვიდრე ბუტანში წავიდოდნენ აქ უნდა დაგვედო ბინა. შემდეგ, მე შემეძლო იმ ჩემს მოწონებულ „განეშაში" გადავსულიყავი.

მივხვდი, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა, თან უმცირესობაში ვიყავი და ჩემი წუწუნი არასოლიდარული საქციელი იქნებოდა, რაც მოგზაურობის დროს დამღუპველი თუ არა ერთობ არასასიამოვნო გარემოებაა. გადავწყვიტე ბოსნიელ მეგობრებთან ერთად „თეთკანიანის" ცხოვრებით მეცხოვრა „ჰაიტიში" ორი დღე და დარჩენილი დრო „ზანგებთან" გამეტარებინა „განეშაში".

ვიდრე ჩვენს ნომერს აფორმებდნენ და ჩვენს ბარგს აბინავებდნენ, შიდა კარით დიდ ტერასაზე გავედით ყავის დასალევად. იქიდან იშლებოდა არაჩვეულებრივი სივრცე და ხედი კატმანდუს სიამაყეზე, მთავარ ბუდისტურ სტუპაზე სახელად „ბუდანა სტუპა" (ბუდას სახლი). სტუპა სასტუმროდან ფეხით სავალ მანძილზე მდებარეობდა და გადავწყვიტეთ ლეილას ჩამოსვლამდე დღე იქ გაგვეტარებინა.

ბუდანა (ასე ეძახიან მას მოფერებით ნეპალელები) გრანდიოზული, მრავალსაფეხურიანი, გედივით ქათქათა, გუმბათოვანი ბუდისტური ნაგებობაა, მოედნის შეაგულში. გარს მილიონი პატარ-პატარა სასუვენირო მაღაზია, რესტორანი, ბარი და კაფე არტყია. სტუპასა და მათ შორის, მთელ წრეზე სალოცავი ბორბლებია ჩამწკრივე-

ბული, შესასვლელში კი – დიდი დედა ბორბალი. ბორ-ბლები გაუჩერებლივ ტრიალებენ, რადგან არ წყდება მათ ხელის შესახებად და დასატრიალებლად ნრეზე მიმავალ ადამიანთა რიგი. ამ ბორბლების ბრუნვა სამ-ყაროსავით მარადიულია. მთავარ შესასვლელში დედა ბორბალი ტრიალებს, იქ ყველა განსაკუთრებული მოწი-წებით შედის, როგორც სალოცავში. მის გვერდით თავი ჭიანჭველა ggონია.

თავად სტუპა თოვლივით თეთრია, სამთვალა, ორი ნუშის ფორმის თვალითა და შუაში მესამე, კითხის ნიშნის ფორმის სიბრძნის თვალია. საიდანაც არ უნდა მოუარო, ყოველი მხრიდან თვალებში გიყურებს და სულში გიძვრება. დიდხანს მზერას ვერ ვუსწორებ. სტუ-პას შესასვლელში დარაჯებად სპილოს ქანდაკებები დგას. გუმბათის სვეტიდან პატარა სტუპებამდე მსხვი-ლი თოკებია ჩამოშვებული ზედ ფერადი სალოცავი დროშებით. ტერასულად განლაგებულ სალოცავებში და დერეფნებში მსოფლიო სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მომლოცველები ბუდას სადიდებლად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ რიტუალებს ასრულებდნენ.

ნრეზე სხვადასხვა ეროვნების ადამიანები გვხვდებიან. უმეტესობა საკუთარ ეროვნულ ტანსაცმელშია გამოწყო-ბილი და ეს ტანსაცმელიც იმდენად მრავალფეროვანი, ვინრო კუთხური და ტომურია, ვერ მიხვდები, ვინ საიდ-ანაა და რა კავშირი აქვს ბუდასთან. ევროპელები, რომ-ლებიც ლურჯ კაბებში არიან გამოწყობილები (ქალიც და კაციც), დამწყები ბუდისტები არიან, მათ სამოსს კი „მორჩილების კაბა" ჰქვია და საოცრად ლამაზია.

მთავარ კასტას აქ მაინც ლამები წარმოადგენენ. ისინი მოკრძალებული თვითდაჯერებულობითა და სიდინჯით მიდი-მოდიან ბუდანას ტერიტორიაზე და უბრალო მოკვ-დავთა აღტაცებულ მზერაში დაცურავენ. ყველას მათ-

თან უნდა სურათის გადაღება და ისინი არავის ეუბნებიან უარს, ეს რიტუალი, რა თქმა უნდა, მეც აღვასრულე. რამდენიმე სურათი გადავიღე იქაურ ლამებთან.

აღწერის ხელოვნებაზე ალბათ მიხვდებოდით, ბუდიზმის რა მცოდნე და პროფესიონალი მკვლევარი გახლავართ. შესაბამისად, არც ის გაგიკვირდებათ, თუ ჩემი უკიდეგანო განათლების გამო ამ სფეროში, ერთობ უხერხულ სიტუაციებშიც ამოვყოფდი ხოლმე თავს ბუდიზმის ამ მექაში. ჰოდა, ჯანი გავარდეს, მოდი ამის შესახებაც მოგიყვებით:

უკვე მესამე წრეზე მივდივართ მე და ვესნა და სტუპაში შიგ შესასვლელ კარს ვერსად ვაგნებთ. კინაღამ ფეხები მოგვწყდა და ბოლოს, ვიღაც მიხუც მომლოცველს დამტვრეული ინგლისურით ვკითხეთ, როგორ შევიდეთ სტუპაშითქო. მას ნეტარმა ღიმილმა გადაჰკრა სახეზე და გვითხრა, ვერაფრით შეხვალთო. მე და ვესნა გავშრით.

– რატომ? – ვიკითხეთ გულუბრყვილოდ, პატარა ურჩი ბავშვებსავით.

იმან ღიმილითვე გვიპასუხა. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ სტუპაში შესვლა მარტო ბუდისტების პრეროგატივაა და ჩვენნაირი ურწმუნოების ადგილი იქ არ არის. ქალი კვლავ გვიღიმოდა კეთილი ღიმილით, თითქოს ვეცოდებოდით, მაგრამ ვერაფერს გვშველიდა. უცბად უკნიდან ვიღაცის ხავერდოვანი ხმა ჩამესმა, ჩვენს გვერდით შინდისფერ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ლამა იდგა, სახეზე ისეთივე ნეტარი ღიმილი უთამაშებდა, როგორიც ის მოხუც მომლოცველ ქალს.

– იმიტომ რომ იქ, შიგნით, ბუდაა!

ძალიან შემრცხვა, მაგრამ ლამა ისე ტკბილად გვიღიმოდა, რომ მივხვდი ამ „ტურისტულ" შეკითხვაზე დღეში ასჯერ მაინც უხდებოდა პასუხის გაცემა და ამაში სამარცხვინოს ვერაფერს ხედავდა. გვეშველა, როგორც

იქნა წერტილი დაესვა ჩვენს უაზრო წრეზე ტრიალს და შვებით ამოვისუნთქეთ. ახლა ყავის დალევაც შეიძლებოდა.

აკი მოგახსენეთ, სტუპას გარშემო, ერთმანეთის მიჯრით უთვალავი სუვენირების მაღაზია, კაფე და ტერასული რესტორანია ჩალაგებული. პირველი, რომელიც თვალში მოგვივიდა, იყო თავერნა წარწერით, „ღვთაებრივი ხედი". ვიწრო, მაღალსაფეხურიანი, დახვეული კიბით ავძვერით თავერნის სახურავზე, საიდანაც ბუდალას ღვთაებრივი თვალი გვიმზერდა. მოაჯირთან განყობილ მაგიდას მივუსხედით და მზეს მივეფიცხეთ. ვესნამ მასალას ჩაი შეუკვეთა, მე დარჯელინგი. ჩვენს უკან ერთი ევროპელი ქალი იჯდა და გამალებით აკეთებდა ჩანაწერებს. ძალიან შემშურდა მისი. გვერდით სუფრიდან ახალგაზრდა წყვილი ბუდალას სურათებს უღებდა, კუთხეში კი მზისგან გადამწვარი ოთხი ნეპალელი ჩია კაცი გახუხულ პურს და მწვანე ჩაის მიირთმევდა და საერთოდ არ იყურებოდა ბუდასკენ.

მალე სხვენზე ხმაურით გერმანელი ტურისტების ჯგუფი შემოგრიალდა. შუაში ერთი გრძელი მაგიდა დაიკავა და იმ ოთხ კაცს დაუწყეს ლაპარაკი. როგორც მივხვდი, მათი გამყოლები იყვნენ. გამყოლებზე გამახსენდა, „ღვთაებრივი ხედით" რომ ვიჯერეთ გული, ჩვენთვის ექსკურსია მძღოლის, უფრო სწორად, ტურისტული საგენტოების დათვალიერებას შევუდექით. ესენიც მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი სტუპას საერო ნაწილში, ანუ მის სასეირნო წრეზე. ჩვენი ყურადღება „პაშმინა" შარფების მაღაზიის თავზე წარწერამ „საბინას ჰოლიდეიზ" მიიპყრო. ისარი შიდა ეზოსკენ მიუთითებდა. ეზოში ორი პატარა ნეპალელი ფეხბურთს თამაშობდა. ბიჭებს ვკითხე, „საბინა ჰოლიდეი" სად არის მეთქი. იმან არ აცია, არ აცხელა ყვირილი მორთო – ფრემ! ფრემ! მეორე სართულზე ვიღაცამ ფაჯარიდან გადმოიხედა.

ბავშვებმა უთხრეს, ჩამოდი, შენ გიძახიანო. ის ვიღაცა ისე დიდხანს მოუნდა ჩამოსვლას, რომ გაბრაზებულებმა უკან გაბრუნება დავაპირეთ. უცებ, თვალი მოვკარი, რომ თაღის ქვეშ, კიბეზე ახალგაზრდა, ხეიბარი ყმაწვილი ჩამოდიოდა.

– დაბრუნდი, ვესნა! – გავძახე ეზოდან თითქმის გასულ ვესნას და ისიც უმალ გვერდში ამომიდგა.

ასე გავიცანით ფრემ ლამა – ჩვენი ექსკურსიამძღოლი, ლამების ტომის შთამომავალი, თავისი საქმის პროფესიონალი და ჩემი ნეპალური შთაბეჭდილებების დაუვიწყარი პერსონაჟი. ფრემი შეყვარებულია თავის საქმეზე და ავადმყოფი ფეხი საერთოდ არ უშლის ხელს მუშაობაში. ისე დახტის კიბეებზე და კლდეებზე, გეგონება ფეხი ამ საქმისთვის სპეციალურად აქვს მისადაგებულიო.

ფრემი, ბუდანამ საჩუქრად გამოგვიგზავნა. იგი ლამების შთამომავალი იყო, ნამდვილი გურუ, ყოვლისმცოდნე, მხიარული და საყვარელი. სამი დღე დილიდან საღამომდე ჩვენთან იყო, გვერდიდან არ მოგვცილებია და აეროპორტშიც მან წაგვიყვანა. ფრემის გარეშე ფეხს ვეღარ ვადგამდით კატმანდუში.

ფრემთან ერთად მოვიარეთ კატმანდუს ყველა ღირსშესანიშნაობა „მაიმუნების ტაძრისა“ და ბუდა პარკის – სიამბუს ჩათვლით; ქალაქი პაჰტაპური ჰინდუისტური ტაძრებითა და კამასუტრას ხეში ნაკვეთი შედევრებით. ნაგარკურთში დავესწარით მზის ჩასვლას. არა, ასე უბრალოდ რომ ვამბობ, ეგრე კი არაა – მზის ჩასვლას ჰიმალაის ცეცხლოვან, მზით გავარვარებულ და ალისფრად მოხატულ მწერვალებში. ეს სასწაული გრძელდება მანამ, ვიდრე დისკოს წითელი ნათება ვარდისფრად არ შეღებავს ჰიმალაების კალთებზე მოზოზინე სქელ ღრუბლებს. მერე ის ვარდისფერიც ქრება და ჰიმალაების მწვერვალებიდან მუქი ნაცრისფერი ფარდა ეშვე-

ბა. წარმოდგენა დამთავრებულია. დილას, 5 საათზე, მზის ამოსვლამდე. მშვიდობით, მშვენიერო ნაგარკურთ! რამ დამავიწყოს შენი მზის სხივებით გასხივოსნებული დორჯელაპა, ლანტანი და შირაპანმა. ეჰ, როგორ მინდა თქვენთან დაბრუნება, მშვიდობით, ჯომოლუნგმა, მადლობელი ვარ, რომ შენი ხილვის ღირსი გამხადე!

დღეს კი ქვისმჭერლთა ოსტატების ქალაქში მივდივარ – ჰინდუისტური ტაძრების საოცრებათა კიდევ ერთ სამყაროში სახელად პატანი და პოსუპატი. რამდენჯერ აღმომხდა გულიდან: ეჰ, ჩემო ქმარ-შვილო სადა ხართ, რატომ არა ხართ ჩემს გვერდით, რომ ჩემთან ერთად ეზიაროთ სამყაროს ამ დაუნომრავ სასწაულებს?!

ერთხელ ინდოეთში, ზღვისპირა ქალაქ პურის სანაპიროზე (ბენგალის ყურე) ჩემმა მასპინძელმა ამარენდრა ჩაკრავორტიმ ოკეანეში შეჭრილ ბეტონის მოედანზე მიმითითა და თან მითხრა, კარგად დააკვირდი იმ ადგილსო. მოედანი მთლიანად ზაფრანის ყვითელი გვირგვინებით იყო მოფენილი. ზედ მორებისაგან შეკრული რამდენიმე მაღალი ტახტრევანივით კონსტრუქცია იდგა. მოედანი კვამლსა და ბურუსში იყო გახვეული.

– პურის და მიმდებარე სოფლების მიცვალებულებს, ყველას აქ უკეთებენ კრემაციას, – მითხრა ამარენდრამ.

შორიდან ვუყურებდი და ერთადერთი, რასაც განვიცდიდი იყო არაჩვეულებრივი ფერადაოვნების შეგრძნება, საინტერესო ტილო, როგორც ყველაფერი დანარჩენი ინდოეთში. თავად კრემირების პროცესი ჩემს შეგრძნებებს არ ეკარებოდა, რადგან ძალიან შორს იყო და ბურუსში გახვეული, საიდუმლო და მისტიკური, სრულიად განსხვავებული იმ შეგრძნებებისგან, რომელზეც ახლა მოგიყვებით.

ფრენთან ერთად პოსუპატის ჰინდუისტური ტაძრების უბანში დავსეირნობდი და შიგადაშიდ მინაზე გაფე-

ნილ სუვენირებს ვათვალიერებდი. დაბალ-დაბალი სტუ-პების მოედანზე ჰიმალაელი სვამები შეგროვილიყვნენ. ერთს სტუპის ძირში ეძინა, მეორე სქელ გაქონილ თმებს დიდი ჯაგრისით ივარცხნიდა და იწნიდა, დანარჩენებიც რაღაც „ყოფითი" საქმეებით იყვნენ გართულნი. ამათზე ბევრი კარგი წიგნი წამიკითხავს და ვიცოდი, რომ მატე-რიალური ცხოვრება და სამყარო საერთოდ არ აინტე-რესებთ. შესახედავად ზუსტად ისეთები იყვნენ, როგო-რიც წარმომედგინა: ფერუმარილით გაფერადებულები, ტანზე და სახეზე ცისარტყელის ფერებით შეღებილები, გამხდრები, არა, სიგამხდრისგან გაძვალტყავებულები, ნეტარი ღიმილითა და ტკბილი გამოხედვით, სიყვარუ-ლით უყურებენ ერთმანეთს და ისე იცინიან, ეტყობა სულ კარგ და სახალისო ამბებს ყვებიან საკუთარ თავზე და მონაფეებზე. მათთვის სურათის გადაღება დავაპირე და ერთ-ერთმა ხელით მანიშნა – არაო. მე ჩავთვალე, რომ სურათის გადაღებას პრინციპულად ეწინააღმდეგე-ბოდნენ და სასწრაფოდ ქვემოთ დავწიე ჩემი აპარატი. ფრემი მათთან მივიდა, დაელაპარაკა და უკან დაბრუნდა.

– გადაუღე, 500 რუპია გადავუხადე და დამთანხმდნენ – მეხივით გავარდა ფრენის ბაგეთაგან ეს სიტყვები.

– რას ამბობ, ესენი სვამები არ არიან? – აღვშფოთდი მე.

– სვამები კი არიან, მაგრამ სურათის გადაღებაში ფულს იღებენ – გამიცინა ფრემმა.

– აბა ესენი არ ყოფილან სვამები, ესენი ალბათ აფერისტები არიან, ჩემ გურუს რომ ვუთხრა სვამებთან ფოტოს გადაღაბაში ფული გადავიხადე მეთქი, მეც მომ-კლავს და თავსაც მოიკლავს.

– მოკლედ, გადაუღებ თუ არა სურათს ამ სვამებს, აფერისტებს?

– აბა რას ვიზამ? – სვამებს რამდენიმე სურათი გა-დავუღე. მშვენივრად პოზირებდნენ. წასვლა რომ დავა-

პირე, ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა დამიძახა, მადამ, აქ მოდით ჩვენთან ერთად გადაიღეთ სურათიო.

სვამების შუაში უხერხულად ჩავჯექი და ორი სურათი გადავიღე. თუ დამიჯერებთ, ვიდრე სახლში მივიდოდი სულ მეგონა, რომ ეს სურათები აპარატიდან წაიშლებოდა.

– ფრემ, რა საშინელი სუნი მოდის ამ მდინარიდან, დავიხრჩვი, დროზე გავეცალოთ აქაურობას... – შევევხვეწე ფრემს.

– ცოტა უნდა მოითმინოთ, გასასვლელი იქითაა და ვიდრე აქედან გავალთ, კიდევ უფრო საშინელი სუნი იქნება. მდინარე აქ არაფერ შუაშია, – მიპასუხა ფრემმა და ცხვირსახოცი აიფარა – ეს კრემაციის სუნია, დღეს კრემირების დღეა და იმ ხიდს გადაღმა სულ ცოტა, რვა მიცვალებულს აცილებენ.

ხიდს ვუახლოვდებოდით. გადაღმა, ხიდის ორივე მხარეს ტრიბუნები იყო აშენებული. მის გასწვრივ რამდენიმე კოცონი ენთო. ზოგი ცეცხლის ალებით ბრიალებდა და ზოგიც უკვე მინავლულიყო. ერთი ახლად აეწყოთ და ზაფრანის ყვავილებით იყო შემოსილი. ეს იმას ნიშნავდა, რომ მალე ზედ მიცვალებულს დაასვენებდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ.

ჭირისუფალი კრემაციის პროცესს ბოლომდე, გვამის დაფერფვლამდე ესწრება. ადამიანები, რომლებიც კრემირებას აწესრიგებენ, წელს ზემოთ შიშვლები დადიან და ძალიან ორგანიზებულად და ენერგიულად მოქმედებენ. რალაცით ჩვენს მესაფლავეებს გვანან, ჩქარ-ჩქარა რომ აყრიან მიწას მიცვალებულს. რას წარმოვიდგენდი, რომ მე, მართლმადიდიებელი ქრისტიანი, მანანა დუმბაძე, ოდესმე, ბუდიზმისა და ჰინდუიზმის ეპიცენტრში არა ერთის, არამედ მინიმუმ რვა მიცვალებულის კრემირებას დავესწრებოდი. ეს, იმდენად წარმოუდგენელი იყო

ჩემთვის, რომ ბოლომდე ვერაფერი აღვიქვი, როგორც სანახაობას ისე შევყურებდი იქ მიმდინარე პროცესს და საკუთარი გულქვაობა ბუნებრივად მომეჩვენა, მეტიც, კრემაციის სუნი გულს მირევდა.

მდინარეს, სადაც ეს ხდება, ბაჰმატი ჰქვია. ბაჰმატი წმინდა მდინარეა და განგაში ჩაედინება. ამ ადგილას ბაჰმატი თითქმის დამშრალია, წუმპესავითაა, სავსე ნამწვავებითა და შერუჯული ზაფრანის გვირგვინებით. ღმერთო მაპატიე და, ისეთი ტურტლიანია, მდინარეს ვერც დაარქმევ, აი, „ვერარეჩკაზე" უფრო ტურტლიანი. არადა, ჩემს თვალწინ შავ მაისურიანი ორი პატარა ბიჭი შიგ ისე გემრიელად წუწაობს, შიშისაგან გული მიჩერდება.

– ნუ გეშინია, არაფერი მოუვათ, ამ წყლით ჯერ არავინ მოწამლულა, – მამშვიდებს ფრემი ჩემს გაუბედურებულ სახეს რომ ხედავს.

ხიდზე გადასვლისას ძალიან ახლოდან დავინახე ეს მარტივი, ნამდვილი, ხის კრემატორიუმი. ადამიანი იქ არ იყო, ან იყო და საბედნიეროდ, მე ვერ ვხედავდი. ჭირისუფლები ჯერ კიდევ იქ ისხდნენ ტრიბუნაზე და დუმილით ელოდნენ.

ჩვენ ჩუმად, ფეხაკრეფით დავტოვეთ იქაურობა. ერთი ნაბიჯითაც კი არ ვიყავით იმ ადგილს დაშორებული, რომ გარემო რადიკალურად შეიცვალა. ირგვლივ საოცარი ჟრიამული და სიმხიარულე სუფევდა, ჭრელ, ხმაურიან და სიცოცხლით სავსე ბაზარში აღმოვჩნდით. გარშემო უკიდურესი სიღატაკისა და გაუსაძლისი სიდუხჭირის მიუხედავად, ყველას მხიარული და მომღიმარი სახე ჰქონდა. მხოლოდ ბავშვები ჯღაოდნენ და უსაქციელობდნენ, მათი პატრონი კი ამასაც ღიმილითა და შესაშური სიმშვიდით აგვარებდა, ან საერთოდ არ აქცევდა მათ ჯღავილს და უსაქციელობას ყურადღებას. თბილისი გამახსენდა, დაღვრემილი, პირქუში თბილისე-

ლებით. ქართველებს კარგად როცა ვართ, მაშინაც ცხვირპირი ჩამოგვტირის... ამ ბოლო დროს...

საღამოს ფრენმა „ნეპალის ტრადიციებისა და კულტურის" რესტორანში დაგვიჯავშნა მაგიდა. სახალისო ის იყო, რომ ამ დღეების განმავლობაში ვინც ექსკურსიებზე გვხვდებოდა, რესტორანში ჩვენი მაგიდის გვერდით აღმოჩნდა. მალე მშვენიერი მრავალეროვანი ოჯახური გარემოც შეიქმნა. რესტორნის სამზარეულო მრავალფეროვანი იყო – კერძები ნეპალის ხუთივე რეგიონიდან. გემრიელიც და უგემურიც, სასმელი – იქაური არაყი, ტყვიასავით მაგარი. თიხის მცირე ზომის ფიალებით ვსვამდით და ისე დავთვერით, პირადად მე, მოცეკვაველებთან ერთად სცენაზე შერპების ცეკვა შევასრულე. არ გეგონოთ, რომ მარტო მე გადავირიე, ცეკვის ინსტრუქტორმა დაგვიძახა ამოდითო და მე და რამდენიმე კაცი ავედით. ინსტრუქტორი ჯერ მოძრაობებს გვაჩვენებდა, მერე გუნდში გვაცეკვებდა სინქრონულად. ძალიან მომეწონა, მოცეკვავეები ერთმანეთს გაუგებარ ენაზე და ჟესტებით შეცდომებს ვუსწორებდით და ვცდილობდით სინქრონულობა შეგვენარჩუნებინა. არ ვიცი, ამით რამდენად ვეზიარეთ ნეპალურ კულტურას, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთგაგება და სოლიდარობა რომ დამყარდა, ამას წყალი არ გაუვა.

ახლა კატმანდუს ძველ დედაქალაქზე, პატანზეც მოგიყვებით. პატანი და პაჰტაპური ნეპალის ისეთივე გარეუბნები იყო, როგორც კატმანდუ, მაგრამ ახლა თავისი ჰინდუისტური სამონასტრო კომპლექსებითა და ღირსშესანიშნაობებით კატმანდუს გარეუბნებს მიეკუთვნებიან – პაჰტაპურ დარკარი და პატან დარკარი (დარკარი ნეპალის ენაზე სამეფოს/სასახლეს ნიშნავს). ეს სამეფოები დღეს საერთაშორისო კულტურულ მემკვიდრეობადაა აღიარებული და კატმანდუსგან გან-

სხვავებით მათ განსაკუთრებით უვლიან და იცავენ. პატანში შესვლა 10 დოლარი ღირს. პაჰტაპურში – 12.

– კატმანდუ დარკარიში ტურისტები აღარ მოდიან, რადგან აქაურობა ავტომიბილებმა, მოტოციკლებმა და ჭუჭყმა შეჭამა, ჰაერი ისეთი დაბინძურებულია, ნახევარი ქალაქი აირწინაღით დადის, თორემ ტაძრები და სამლოცველოები აქაც არ აკლიათ, არც უნიკალურობით ჩამორჩებიან პატანის და პაჰტაპურის ტაძრებს, – გულდაწყვეტით ამბობს ფრემი.

– ჰო, როგორც ვატყობ ბუდანას და მაიმუნების მონასტერს თუ არ ჩავთვლით, ტურისტები ძირითადად კატმანდუს გარეთ დაგყავთ. იქ ჰაერიც მეტია და სულისა და ფანტაზიის ცხონების გარდა ხორცის სიამოვნებაზეც ზრუნავენ, – აღვნიშნე მე და პირველივე ღია საჩაიეს მაგიდასთან ჩამოვჯექი – არ დავიღალეთ? თითო ხომ არ დაგველია? – ვკითხე ვესნას. ყველა ძალიან დაიღალა და სიამოვნებით მივეფიცხეთ კაშკაშა ნეპალურ მზეს, ნეპალური ჩაი შევუკვეთეთ და ნეტარებას მივეცით.

მოსვენებულმა, ჩემს წინ ბუდისტური ტაძრის ბურჯებზე ნაკვეთი ფიგურების თვალიერება დავიწყე. დავიწყე და თვალი ველარ მოვწყვიტე. ყოველი ცალკეული ქალღმერთისა და ღვთაების ქვეშ რაღაც საყოფაცხოვრებო სურათი იყო ამოკვეთილი – უმაღლესი ოსტატობით შესრულებული ცხოვრებისეული სიტუაციები: ქალების და კაცების სექსი და „პირიქით"; კაცისა და კაცის, ქალისა და ქალის, ჯგუფური, აყირევებულები, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მდგომარეობაში, წრიულში... მოკლედ, ჩემს თვალწინ ხეში ამღერებული მთელი კამასუტრა გადაიშალა. თან ამას მაშინ მივხვდი, როცა ფოტოაპარატის ზუმი გავაფართოვე და ყოველივე ზემოთქმული მთელი თავისი სიდიადით ცხვირპირზე დამაკვდა. ამის შემყურეს აპარატი კინაღამ გამივარდა ხელიდან. მერე

უკნიდან ისტერიული სიცილი შემომესმა. ვესნა და-ფრემი მომჩერებოდნენ, ორივეს პირზე ხელი ჰქონდა აფარებული, ჩემი აღფრთოვანებისთვის ხელი რომ არ შეეშალათ.

ადრე, „ტრეველ ჩენელით" ერთი დოკუმენტური ფილმი ვნახე. მეოცე საუკუნის დასაწყისში ინგლი-სელ მოგზეურებს ჯუნგლებში ჩაფლული ერთი ძველი სასახლისთვის მიუგნიათ და როცა მის გარშემო ხეების გაკაფვა დაიწყეს იმ სასახლის კედლებზე ისეთი „პორნო-გრაფია" უხილავთ, ჯერ თავად დაცემულან გაოგნებუ-ლები და შემდეგ ამ „უმსგავსობისგან" მსოფლიოს დაცვა განუზრახავთ, ანუ სასახლეს უკან მიაყარეს ის ხეები და „სამარადჟამოდ" დაივიწყეს ის ადგილიცა და იქ ნანახი სასწაულიც. სულ რამდენიმე ათეული წლის წინ რომელიღაცა „ამორალურმა" ექსპედიციამ ეს სასახლე თავიდან აღმოაჩინა და თავისი უმსგავსოებების გამო სამზეოზე გამოიტანა. „ტრეველ ჩენელი" ახლო კადრე-ბით აჩვენებდა კაცობრიობის სექსუალური ხელოვნების ხეში ნაკვეთ შედევრებს და განიკითხავდა იმ უბედურ პურიტან ინგლისელებს, რომლებმაც ასე საგულდაგუ-ლოდ დაუმალეს ქვეყნიერებას ეს განძი. წარმომიდგე-ნია მათი გაკვირვებული სახეები, როცა ხეების კაფვით ნაჯაფები და ოფლმოდენილები პირველად წააწყდნენ იმას, რასაც იქ ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. მესმის იმ ინგლისელების, ნამდვილად.

არ გეგონოთ, პატანში ამის მეტი არაფერი მინახავს და გამკვირვებია, თუმცა, შენი თვალით რომ იხილავ და გაითავისებ, მაინც სულ სხვაა, იმ ალმოკიდებული კრემატორიუმების არ იყოს. თითქოს, ერთი წამით სიკვდილს შიგ თვალებში ჩავხედე. არა, გვერდიდან და სხვის სიკვდილს კი არა, პირდაპირ და საკუთარ სიკვდილს ჩავხედე თვალებში. ზუსტად იქ ვიყავი წამით – სიცოცხლისა და სიკვდილის გასაყარზე.

მოკლედ, ამდენი იმისთვის ვილაპარაკე, რომ კიდევ ერთხელ მელიარებინა „ჭეშმარიტება“, რომ ჰინდუისტური ტაძრის კედლებზე ამოკვეთილი სექსუალური თამაშობები არა არის რა, თუ არა ცხოვრება და მაღალი ხელოვნება, ხოლო გლიანცის ჟურნალზე დახატული და ფირზე გაცოცხლებული სექსი – პორნოგრაფია. ასეა ეს, მე თუ მკითხავთ!

პატანში ფრემმა კიდევ ერთ „ღირსშესანიშნაობას“ მაზიარა. ის იყო ამერიკელი არქივარიუსი, აზიური ხელოვნების მემატიანე და დიდი მოამაგე, სმისონიის ინსტიტუტის საჯარო პროგრამებისა და განათლების განყოფილების პროფესორი სტივენ ტრუაქს ეკერდი (Stephen Truax Eckerd). იგი პატანის ცენტრალურ მოედანზე შეგვხვდა. თავზე ფეტრის შლაპა ეხურა, ლურჯი ჯინსები და ნატურალური ტყავის ბეჟი კურტკა ეცვა. წვრილი ულვაშებითა და ბლანჟეთი ოცდაათიანი წლების ამერიკული კინოს პესონაჟს, კერძოდ, ბანქოს მოთამაშე მოაფერისტო გმირს ჰგავდა, ხმაც ასეთი ტიპაჟისთვის დამახასიათებელი ტკბილი და ხავერდოვანი ჰქონდა.

– როცა ვანის არაჩვეულებრივი ექპონატები ამერიკაში ჩამოიტანეს, მე მათზე ბავშვებისთვის პოპულარული გზამკვლევი დავწერე და ის წიგნი შემდეგ თქვენი მუზეუმის დირექტორსაც ვუსახსოვრე – ამაყად მიყვებოდა სტივენი. მერე ბევრი მელაპარაკა საქართველოს მუზეუმების შესახებ და არა მარტო საქართველოს, ავღანეთის აწ დანგრეული, პირისაგან მიწისა აღგვილი მუზეუმებისა და ისტორიული ძეგლების შესახებაც.

– ნეპალში პირველად სამოციან წლებში ჩამოვედი და მას შემდეგ ეს ქვეყანა ჩემი ნავთსაყუდელი გახდა.

– აბა თქვენ იქნებით სწორედ ის ადამიანი, ვინც ნეპალში ჩამოსულ პირველ ჰიპებზე მომიყვება. ვის არ ვეკითხები კატმანდუში მათ შესახებ და ისე იკატუნებენ

თავს, გეგონება საერთოდ არ გაუგიათ ჰიპი რა ხილია, რატომ? – სხაპა-სხუპით მივაყარე სტივენს, ვცდილობდი გზიდან არ გადამეხვია და ხელიდან არ გამეშვა ის ძაფის წვერი, რომელიც საბოლოოდ ნეპალში გადმოსახლებული ჰიპების სამყაროსთან მიმიყვანდა. სტივენი ამ მხრივ ინფორმაციის ოქროს საბადოს წარმოადგენდა.

– არაერთ „გამოჩენილ" ჰიპის პირადად ვიცნობდი. მათ შორის იყვნენ პოეტები, მხატვრები, ჰაშიშის ბანგს გამოყოლილი უბრალო ევროპელები. მე მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და „ხსნის არმიაში" ვმუშაობდი. ამ დროს ჩამოვიდნენ პირველად „დორსები", მორისონი, – მოგონებებში გადაეშვა სტივენი და ისე დეტალურად დამიხატა ჰიპების აბრეშუმის გზა: ლონდონი-ირანი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთი – ნეპალი, მეგონა თავად ვიჯექი იმ ერთ-ერთ ფურგონიან მანქანაში, რომელიც კატმანდუში ჩამოსვლისთანავე ჰაშიშისა და გუნება-განწყობის სხვა გამახალისებლებში გაუცვალეს ადგილობრივებს.

– ნეპალში მაშინ სულ 250 ათასი კაცი ცხოვრობდა. კატმანდუ პატარა ქალაქი იყო ხისა და აგურის ერთ ან ორსართულიანი სახლებით. რასაც ახლა ქალაქს ეძახიან, სულ ბრინჯის ყანები იყო მარადთოვლიანი ჰიმალაებითა და ზვიადი მყინვარებით გარშემორტყმული. კატმანდუ, მათ ცენტრში აღმოცენებული მზისა და სიყვარულის, უსაზღვრო თავისუფლების, კაიფისა და ნირვანის საბუდარი იყო. ჰიპები აქ ყიდიდნენ თავის ავტობუსებს და სანამ ფული არ დაუმთავრდებოდათ, „ნირვანიდან" არ გამოდიოდნენ, უკან თვითმფრინავით ბრუნდებოდნენ. წლების მანძილზე ასე შემოდიოდა ევროპიდან ნეპალში ფურგონიანი ავტობუსები... მერე, როგორც ყველაფერი მსოფლიოში, ნეპალიც აირია და რასაც ხედავთ, იმას

დაემსგავსა... და მაინც საოცრება და სასწაულია! რას იზამ, დღეს ნეპალში 30 ათასი კაცი ცხოვრობს და აქედან 15 ათასი კატმანდუში, – წუხს სტივენი.

პატანის მოედანზე, სადაც მარტო ფეხით მოსიარულეები დადიან, სტივენს უკვე ოხდახუთი წელია პატარა ბინა აქვს დაქირავებული. განიცდის, ალბათ, ბინის დაცლა მომიწევსო. საქმე ისაა, რომ მოპირდაპირე სახლში ერთ მდიდარ იტალიელს დაუქირავებია ბინა და სახლის პატრონს თვეში ხუთას დოლარს უხდის. ხუთას დოლარს სტივენი თავის ბინაში წელიწადში იხდიდა. ამ იტალიელის გამოჩენამ მთელი უბანი ააფორიაქა, ყველამ გადაწყვიტა ბინებისთვის ფასი აეწია და იმ იტალიელის ქირისათვის გაესწორებია.

– წელიწადში სულ ორჯერ მჭირდება ეს ბინა და სიიაფის გამო ვინახავდი მთელი წელიწადი. ახლა ყოველ ჩამოსვლაზე ახალი ბინა უნდა ვეძებო, კარგი ადგილის შოვნა კი დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელია, – შემომჩივლა სტივენმა.

– ასეა, იმიტომ არ გვიყვარდა კომუნისტებს „დამპალი" კაპიტალისტები. ისე დაგინგრევენ აწყობილ ცხოვრებას, უკანაც არ მოიხედავენ. ეგოისტები, ფულით გაზულუქებული გოიმები, გადააშენე აქედან! ჰიპებიც მაგათ გამო გადაშენდნენ ნეპალიდან, – ეს პათეტიკური სიტყვა ისეთი შემართებით წარმოვთქვი, სტივენი სახტად დარჩა, ერთხანს დაჟინებით მიყურა თვალებში, მართლა ასე ჰგონია, თუ მაშაყირებსო. მერე გაეცინა და იმ იტალიელს სულ გოიმი და მაკარონიჭამია უძახა.

სტივენის მოსმენას არაფერი სჯობს, იმდენი უნახავს, ისეთი გამოცდილება აქვს დაგროვილი... შეხერეზადასავითაა, დასვი და მოაყოლე ზღაპარი ნეპალზე – ათასი და ერთი ღამე. მაგრამ დილას დუბაიში მივფრი-

ნავ და იქიდან ჩემს თბილისში, ახალ წელს ჩემებთან ერთად უნდა შევხვდე. ნეპალში, ალბათ, ვეღარასოდეს მოვხვდები, თუმცა, რა იცი, ეს დედამიწაც ხომ ბურთი-ვით მრგვალია, არა, ჯორდანჩიკ?

თავი 19

„ბარონისკენ“ უკან, ჰერი, ჰერი!

ო... სად ხართ ხალხო, სად, რატომ ვერ გხედავთ, რატომ ვერ გხვდებით, რატომ ვარ მარტო მე გაჩხერილი ოცი წლის წინანდელ 90-იანების საქართველოში. ეს რა სიზმარია, რომ ვერა და ვერ გადამიდგამს ნაბიჯი წინ?! თითქოს მოვდივარ თქვენსკენ და ერთ ადგილს ვტკეპნი. ასეთი სიზმრები ბავშობაში მესიზმრებოდა, როცა გაქცევას ვცდილობდი და ადგილიდან ვერ ვიძროდი. ნუთუ მართლა დროის მაქანის ბორბალი დატრიალდა უკან და მარტო მე გადმომაგდო უკან უშუქო, უგაზო, კრიმინალურ და დანგრეულ საქართველოში, რომელსაც აქაურები რატომღაც ავღანეთს ეძახიან? მე, ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულიდან მოსულმა ადამიანმა, იქ დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით თითქოს ზუსტად ვიცი, რა მოხდება აქ. პრეზიდენტი კარზაის საქმენი საგმირონი უკვე გავლილი მაქვს და თვალდახუჭული შემიძლია გითხრათ, რას ემსახურება ახლა მისი თალიბანებთან „ჩახუტება“ მშვიდობის დასამყარებლად ავღანეთში, ან მისი ნარკობიზნესის წინააღმდეგ გაჩაღებული დაუძინებელი ბრძოლა, როცა ოფიციალურად ოპიუმი ქვეყნის ერთადერთი სტრატეგიული საექსპორტო პროდუქტია. ეჰ, ამ კედლებს და და მავთულხლართებს რა მოვუხერხო თორემ, თავს ავღანეთის „ვანგად“ გამოვაცხადებდი და სულ ნაბიჯ-ნაბიჯ და მისხალ-მისხალ დავალაგებდი ავღანეთის აწმყოსა და მომავალს.

რაც დავბრუნდი, ბარონის კედლებს იქით ფეხი არ გამიდგამს, თავფეხიანად ვარ ჩაძირული ამ გოდოლში. გარეთ სუსხიანი ზამთარია. ყველა ამბობს ცივაო, მე კი, ოთხმოცდაათიანებგამოვლილ, დღესაც ნახევრადგამთბარ ბინაში გამობრძმედილ ქართველს ზედმეტ ფუფუნებად მიმაჩნია ის, რომ ჩემს ოროთახიან ნომერში ორი უმძლავრესი კონდიციონერი 24 საათი ჩართული მაქვს. ისე მცხელა, რომ გარეთ თოვლი და სუსხი მსიამოვნებს კიდეც. მეტიც, ბუნების წყალობად მიმაჩნია კაშკაშა მზე და ულრუბლო ცა, დღის განმავლობაში თავზე რომ მადგას და სუსხიანი საღამოები კრიალა ჰაერით. ყოველ ღამე ისე ლამაზად ბარდნის, თავი ანდერსენის ზღაპარში მგონია.

ის შვედი დიპლომატი მწერალი, დიანა იანსე, ახლა შვედეთის სრულუფლებიანი ელჩი რომაა საქართველოში და თავი „ავღანეთის დღიურებით" გაითქვა, იგივეს გრძნობს, თუმცა, არაფერს ეთანხმება, ვერ გაუგია, რატომ შეეცვალა ფსიქიკა და ძლიერი სულიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, რამ შეაყვარა ეს დეგრადირებული ქვეყანა. ახლა ის ანდერსენის კაის ჰგავს, რომელსაც გულში ჩავარდნილი ყინულის ნამსხვრევი ნელ-ნელა ულღვება. ამას კი გრძნობს, მაგრამ რა ულღობს – ამას ვერა. ბოლოს, დედამიწის გარშემო ხეტიალს რომ მორჩება, აუცილებლად მიხვდება და ნამდვილად არ იქნება გვიან. ყველა დანარჩენი უცხოელივით, ამასაც დაჩემებული აქვს, რამენაირად უნდა დავეხმაროთ ავღანეთსო და ხედავს, რომ თვალსა და ხელს შუა ისე ეცლება აქ გატარებული დღეები, თვეები და წლები, რომ იოტისოდენის გაკეთებასაც ვერ ახერხებს ავღანეთისთვის და ეს სრულიად ბუნებრივია.

მისმა დღიურებმა ძალიან ჩამითრია. ზუსტად ვიცი, სად მართალია და სად ტყუის, უამრავი საკამათო მაქვს

მასთან და სწორედ ეგ მომწონს მაგ დღიურების, ხატოვანების მიუხედავად დიპლომატის „რაპორტს“/ანგარიშს რომ არ მაგონებდეს.

ავღანელები მეუბნებიან, ასეთ ზამთარს ქაბულში ბევრი ვერ გაუძლებსო. ამათ ხომ ჩვენსავით (ოთხმოცდაათიან წლებს ვგულისხმობ) არც შუქი აქვთ, არც გათბობა და არც სხვა რამე საშუალება ყინვიანი ზამთრის „გადასაგორებლად“ (პლანს და ოპიუმს თუ არ ჩავთვლით).

საღამოს, ჩაიზე ვესნა თავისი ავღანელი შეგირდის, ვედას ამბავს მიყვება. ვედა ეკონომიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტია, ოქსფორდის უნივერსიტეტის ორწლიანი სტიპენდია მოიპოვა და მისი ავღანელი ქმარი არ უშვებს. ვესნა აღმაშფოთებულია და უკვირს, რომ სათანადოდ ვერ თანავუგრძნობ ვერც მას და ვერც მის საემანსიპაციოდ გახაზირებულ შეგირდ ვედას. არც ის მოსწონს ვედას ქმარს ობიდს რომ არ ვლანძღავ გამოხატული „შოვინიზმისა“ და „სექსიზმის“ გამო.

ვედასთან და ობიდთან რა საქმე მაქვს, ზუსტად ეგრე ვერ წავედი თავის დროზე მოსკოვის ამერიკანისტიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, რადგან გავთხოვდი და ამით ამოიწურა ეგ საკითხი. არც ჯემალ თოფურიძე გადაუცია ვინმეს ამის გამო ანათემას, მე მგონი, საერთოდ არ გაუგია ჩემი ასპირანტურის ამბავი, რადგან საჭიროდაც არ ჩაგვითვლია არავის ამაზე ყურადღების გამახვილება. ეჰ, ცოცხალი რომ იყოს, ხომ დავამადლიდი, შენი გულისთვის იმხელა კარიერაზე უარი ვთქვი მეთქი?

დეპრესია?

თალიბანების საერთოდ არ მეშინია, პირიქით, მეცოდებიან კიდეც ამ გამყინვარებაში მთებში მგლებივით რომ დაძრწიან და ამერიკანიზმისა და გლობალიზაციის წინააღმდეგ იბერძვიან. დარწმუნებული ვარ

ერთი-ორი „იდეინი“ პოლიტიკოსი მაგათშიც გამოერევა ისეთი, ძალაუფლების ხელში ჩაგდების გარდა, ბედკრული სამშობლოს მომავალიც რომ აწუხებს თავისებურად.

მე უფრო ამათი მეშინია, „ბარონში“ ჩაბუდებული უცხო ჩამოსხმის მგლებისა, რომელთაც არც სქესი აქვთ და არც ჩამოყალიბებული მორალი, მოკლედ რომ ვთქვათ, სინდის-ნამუსი. აქ პატიოსნებაზე ყველაზე ამორალური, ადამიანის მსგავსი, გამოყვანილი ჯიშის რაღაც გაუგებარი სახეობა გელაპარაკება. ყოველი დღე, საათი, წუთი და წამი იზოლირებისაკენ და განმარტოვებისკენ მიგაქანებს, გაქცევისკენ გიბიძგებს და არა მარტო აქედან – დედამიწიდან გაქცევისაკენ. რა იცი, ეგებ იმ თოვლიან გამოქვაბულებში ადამიანთა მხურვალე გულისცემისგან ბევრად უფრო თბილა...

მთელი ცხოვრება მაინტერესებდა, როგორ ხდებოდა თანამედროვე პირობებში ადამიანის მანქურთად „გადამზადება“ და მგონი ვიხილე კიდეც ამ დარგის უმაღლესი სკოლა „ბარონი“ – აქ, ამ ინტერნაციონალურ საკეპ მანქანაში ზუსტად იმ პროცესს გავდივართ, რაც ასე მძაფრად აქვს აღწერილი ჩინგიზ აიტმატოვს თავის რომანში „და დღე ხანგრძლივი საუკუნეზე“. ისე გამოვიდა, რომ მაინც და მაინც საკუთარ თავზე უნდა გამომეცადა მანქურთის ქუდის სიმწარე და გამანქურთებული ადამიანის ცხოველური ვნება. ეჰ, ნამდვილი მწერალი რომ ვიყო, დღიურების ამ ნაწილს, როგორც ეკადრება ისე აღვწერდი, მაგრამ ვაი, რომ თავად მივექანები თავით ამ ძაბრში და რამე სასწაული თუ არ მოხდა, მალე ჩემგანაც ერთი რიგითი მანქურთი გამოდნება, მანქურთის ქუდის ღირსეული მატარებელი.

ამაზე რომ ვფიქრობ, ზუსტად მაშინ მახსენდება, რომ არაფერი დამიწერია იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა თბილისში, სახლში, როცა „ბარონიდან“ შვებულე-

ბით ვბრუნდებოდი ხოლმე. ახლა ვხვდები, რომ ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობისა და გუნება-განწყობის გასაგებად აუცილებლად მჭირდება გახსენება, როგორი იყო თბილისი, სახლი – ნამდვილად სხვანაირი, თითქოს, საკუთარ სახლში სტუმარი ვიყავი, თითქოს, არც აქაა ჩემი ადგილი და არც იქ... არ ვიცი სად... ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს საცდელი ინკუბატორი, „ბარონი" რომ ქვია, ესაა ჩემი სახლი? არა, მაშინ თავი მექნება მოსაკლავი. აუცილებლად უნდა გავერკვე რა ხდება ჩემს თავს, სად არის ჩემი ადგილი, აუცილებლად უნდა ვწერო, ვწერო, ვწერო და მივაგნებ. ამაზე უკეთეს გზას ჯერ ვერ ვხედავ.

დღეს სოსო ჩახვაშვილმა დამირეკა. სოსო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩია ცენტრალურ აზიაში. საელჩო თურქმენეთის დედაქალაქშია და ქაბულში დიპლომატიურ საქმეებზე ჩამოდის ხოლმე. 9 თებერვალს აპირებს ჩამოსვლას. მითხრა ცოტა თავისუფალი დრო მაქვს და ერთად ვისაუზმოთ სასტუმრო „სიერაშიო". სოსო და მე ერთ დროს ვსწავლობდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მას მერე ვმეგობრობთ. ამჯერად საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ჯგუფთან ერთად საქართველოს და ავღანეთის პრეზიდენტების შეხვედრის მოსამზადებლად ჩამოდის. მათ გეგმაში ქართველი ჯარისკაცების მონახულებაც შედის.

მოუთმენლად ველი სოსოს ზარს, ერთი სული მაქვს, როდის შევხვდები ჩვენს ჯარისკაცებს, თორნიკე ასათიანს უკვე ორჯერ ვესაუბრე ტელეფონით და ახლა იმედი მაქვს, მასაც და სხვებსაც გულში ჩავიკრავ. საოცარი მოლოდინია...

სოსოსთან შეხვედრისთვის ჩვენი დაცვა სამი დღით ადრე მოვამზადე. სასტუმრო „სიერა" ნებადართული ადგილებიდის სიიდან ამოღებულია, რადგან შარშან მასზე თალიბანებს მასშტაბიანი თადასხმა განუხორ-

ციელებიათ. ეს ის სასტუმროა, სადაც ყველაზე მაღალი რანგის დიპლომატები, ინვესტორები და პრეზიდენტებიც კი ჩერდებიან და, შესაბამისად, თალიბანების პირდაპირ სამიზნეს წარმოადგენს. დაცვის უფროსმა, გამონაკლისს გაგიკეთებთ, ოღონდ პირადი მცველი გვერდიდან არ მოგცილდებაო. რა თქმა უნდა დავთანხმდი, ისეთი დიდი იყო ქართველების ნახვის სურვილი და მონატრება. სოსომ „სიერას" ადმინისტრაციას ჩემი ჯავშან-ჯიპის ნომერი გადასცა და ტრანსპორტის საშვი დააშვებინა.

ეზოში შესვლის პროცესი წიქარას ზღაპარს გავდა – ცხრაკლიტულს რქებით რომ ამტვრევდა. რამდენი გალავანი „შევანგრიეთ", ამის სათვალავი ამერია, მაგრამ ბოლოს მაინც შევაღწიეთ უთვალავვარსკვლავიან „სიერაში". შევაღწიე და მივხვდი, რომ სულ სხვა ქვეყანაში მოვხვდი. კარგი იყო თუ ცუდი არ ვიცი, მაგრამ ავღანეთი რომ იქ არ იყო, ამაში ეჭვი ახლაც არ მეპარება. ეს არის ძალიან მდიდრული სასტუმრო და ძალიან ინტერნაციონალური, იდეალური, მაგალითად, გაეროს სათავო ოფისისთვის, ან ნატოს, ევროსაბჭოს... მოკლედ დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია, თუმცა, დიდად რესპექტაბელურ პიროვნებად კი მაგრძნობინა თავი.

სოსო ეზოში მელოდებოდა, ჩემს პირად დაცვას თავანკარა სპარსულზე დაელაპარაკა და იმანაც მშვიდად გადასცა ქართველ დიპლომატს ჩემი პერსონა. თორნიკე ასათიანმა დარეკა და გვითხრა, რომ ჩვენთან შესახვედრად მოსვლას ვერ ახერხებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხვალ მე მათ ველარ ვნახავდი, ვერც სხვა დროს, რადგან ამის აღარავითარი საშუალება აღარ მექნებოდა. ქართველი ჯარისკაცები საქართველოს პრეზიდენტის დასახვედრად ემზადებოდნენ. „სიერაში" ოთხ საათზე მეტი დავყავი, თუმცა, ჩემთვის ეს არ იყო საკმარისი დრო დრო იმისათვის, რომ დიდი ხნის

მეგობართან სითბოთი და მოგონებებით გული მეჯერა. დროს ვინც განკარგავდა, იმან ნიშანი მომცა და „სიერას" ეზოში, წიქარას უკანასკნელ რკინის კართან, მე და სოსო ისრაელ-პალესტინის საზღვარზე გაცვლილი ტყვეებივით დავცილდით ერთმანეთს.

მეორე დღეს ქაბულში ქარბუქი და დიდთოვლობა დაიწყო. დილას სოსოს ტელეფონით ველაპარაკე. მითხრა დიდთოვლობის გამო პრეზიდენტი ვერ ჩამოდის და შეიძლება ხვალ დილას აშხაბადში გავფრინდეო. ხოლო საღამოს, ჩემს გაკვირვებას არ ჰქონდა საზღვარი, როცა ადგილობრივი ტელევიზიით ჯავშან-ჟილეტში ჩაცმული მიშა სააკაშვილი ჩვენს ჯარისკაცებთან „ჩახუტებული" ვიხილე. ეტყობა რაღაც სხვა გზებით მაინც ჩამოფრინდა. მერე ფეისბუქით გავიგე, რომ იმავე დღეს მეცადინეობების დროს ერთ-ერთი ქართველი ჯარისკაცი ტრაგიკულად დაღუპულა.

ღმერთო, როგორ მინდა, ვიდრე სამშობლოში დავბრუნდები, ყველა პოლიტიკური პროცესი, ყველა შეხლა-შემოხლა და კატაკლიზმი გადასული იყოს. როგორ მინდა ერთხელ მაინც გავაკეთო სწორი პოლიტიკური პროგნოზი... იმას ხომ მაინც ვიტყოდი, აი, გეუბნებოდით და არ დამიჯერეთ მეთქი!

აქედან, ავღანეთიდან საქართველო დედამიწის ზურგზე მძევლად დატოვებული პაატა სააკაძე მგონია. სულ იმაზე ვლოცულობ, ზედმეტად არავის გამოეჩხიროს თვალში, ვნატრობ, რაც შეიძლება ნაკლები ვნებები დატრიელდეს ჩემს ქვეყანაში, რომ ვინმეს არ გაახსენდეს საქართველოს არსებობა, აი ისე, არაჩვეულებრივ გამოფენაში რომაა, აგული ერისთავი თბილისში ყველას მკვდარი რომ ჰგონია და სინამდვილეში მშვენიერი ოჯახი რომ აქვს ყოველგვარი „ჩრდილოეთის ციალის" გარეშე.

„ალჯაზირას“ რომ ვუსმენ, სულ იმის მეშინია, საქართველოზე რამე არ წამოცდეთ. აბა კითხეთ ერთი რიგით ავღანელს, როგორ უხარია მისი პატარა ქვეყანა მსოფლიო ყურადღების ცენტრში რომ არის მოქცეული და ათასი არამკითხე ყოველდღე საქვეყნოდ რომ რეცხავს მისი ქვეყნის ჭუჭყიან საცვალს? მერედა, რომ არ ირეცხება?! მეტი ჭუჭყი და ნაგავი რომ ეკვრის? ამდენი ნაგვის ქექვით სუნიც რომ ასდის და ყველა რომ ცხვირს უბზუებს, შუა საუკუნეებში არიან გაჩხერილებიო? ნეპალიც ხომ ვნახე რას დაამსგავსეს და ახლო აღმოსავლეთი?

არ გვინდა გამოფენები, გაუშვი, ვეგონოთ ყველას ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულები. რაც უფრო ღრმად ჩაყვინთავ, მით უფრო სუფთაა წყალი, მკაფიოა აზრი და ნათელი თვალსაწიერი. ვიდრე ესენი ერთმანეთს გადაკეთ-გადმოაკეთებენ, ჩვენ ჩვენი სახე და ღირსება უნდა გადავარჩინოთ შეძლებისდაგვარად. მათი იმპერიები რომ იშლებოდნენ, მაშინ ჩაყვინთა საქართველომ რამდენიმე საუკუნით და როცა ვეშაპებმა ერთმანეთი გადაყლაპეს და აღგავეს პირისაგან მიწისა, პატარა საქართელომ თავისი ხუთმილიონიანი კიდობნით ნაპირზე გამოსცურა. დაე, იცურაონ დიდმა თავზებმა ოკეანეში მეორედ მოსვლამდე, ჩვენ შავ ზღვაში ვიჭყუმპალაოთ...

რა სისულელეებს ვწერ, მაგრამ აკი გითხარით, ჩემი მდგომარეობის და გუნება-განწყობის გასაღებს ვეძებმეთქი. აი იმ თამაშში რომ არის, დამალული ნივთის ძებნა, „ცივა-თბილა-ცხელა“: – ცივა? თბილა? ცხელა? თქვენ უნდა მითხრათ? თუ ძალიან ცივა, ხომ კარგი. და თუ დაცხა, ის დროა ქართველებმა მართლა კიდობნის კეთებას მივჰყოთ ხელი!

ნამდვილი განგაში

დღეს დილას დეპრესიისგან თავისუფალმა გავიღვიძე და ერთობ დიდი შემართებით ვეკვეთე სამუშაო მაგიდას, სადაც სულ ცოტა სამი „საქსეს სთორი“ (წარმატების ამსახველი ამბავი) მქონდა დასამთავრებელი იმის თაობაზე, თუ როგორ იღვწის „ტაფა“ ბიზნესის კლიმატის გაუმჯობესებისათვის ავღანეთში. ჰოდა სწორედ ამ ცხრაუცნობიან განტოლებას ვეჭიდავებოდი, როცა განგაშის გამაყრუებელი კივილი გაისმა. გავიხედ-გამოვიხედე და საეჭვო რომ ვერაფერი დავინახე, მეცადინეობაამეთქი ვიფიქრე, განტოლებას დავუბრუნდი. მერე, რომ აღარ გათავდა განგაში, ჩემს პირდაპირ მჯდომ დიზაინერს ვკითხე, რა ხდებამეთქი.

– არ ვიცი, – მოკლედ მომიჭრა ქაზიმმა, დაავლო ჩანთას ხელი და სწრაფად გამეცალა. იმას სხვებიც მიჰყვნენ.

– არაფერი სერიოზული, არ შეშინდეთ! – ამ სიტყვებით შემოვიდა ოთახში გაფითრებული აჰმად ზია – არაფერი სერიოზული, მაგრამ სანამ განგაში არ მოიხსნება ყველა მეორე სართულზე უნდა ავიდეთ თავდაცვის ოთახებში.

– ეს ნამდვილი განგაშია, – თქვა თრიშმა და დერეფნისკენ მოცოცხა. მივხვდი, ფიქრის დრო აღარ იყო, დავავლე ხელი ჩანთას და კარისკენ დავიძარი, მერე უკან მოვბრუნდი, გამახსენდა, სავარძელზე წავის ქურქი რომ მქონდა გადაკიდებული, დავსტაცე მასაც ხელი და კისრისტეხით გავიქეცი დერეფნისაკენ, საიდანაც თანამშრომლების ავღანურ-მსოფლიური ნიაღვარი ქვემოდან ზემოთ, ანუ აღმა, მეორე სართულისკენ მიემართებოდა, რომ თავდაცვის პუნქტებისთვის თავი შეეფარებინათ. ეს რამდენი ყოფილან კაცო და თითქმის, ყველა უცნობი. ამდენი ხალხი რომელ ბუნკერში უნდა დაეტიოს? – ვფიქრობდი მე.

– აბა პანიკის გარეშე! ყველა ერთ ოთახში ნუ შეცვივდებით! მშვიდად, საგანგაშო არაფერია! ნუ ჩამორჩებით! სწრაფი და ორგანიზებული ნაბიჯით! – გზას გვიკვალავდა რადიომიმღები. მივუყვებოდი ტოტალური ევაკუაციის მღვრიე ნაკადს და გზად არცერთი ნაცნობი სახე არ მხვდებოდა. სრულიად უცნობი ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდი. საშინელმა გაურკვევლობამ მომიცვა, მარტოდ მარტო დავრჩი... მარტოდ მარტო... სადა ხარ დიანა... გრეისი... რაჰატ... ისმაილ... სად ხართ? ესენი ვინ არიან, საიდან მოვიდნენ, სადა ვარ... „ჩი მი კუნი... როზია?“ (სად მიდიხარ, როზია?)...

– ძლივს არ გიპოვნე! – მომესმა უცბად საოცრად ნაცნობი ხმა და ვიდრე მოვიხედავდი, უკვე ვიცოდი, რომ ეს იყო ვესნა – ათას განგაშს და ომს გამოვლილი ჩემი ბოსნიელი მეგობარი ვესნა სტოიანოვიჩი.

წამში მოვეგე გონს, ყველაფერი თავის ადგილას დადგა, იმ უსახო მდინარეში ნელ-ნელა ნაცნობი სახეების გარჩევაც დავიწყე და ისიც შევამჩნიე, რომ ეს სახეები დაღვრემილი და დაბნეული კი არა, საკმაოდ მხიარული და მომღიმარი იყო. ხალხი ერთმანეთს საყოფაცხოვრებო საქმეებზე ელაპარაკებოდა. დიდი ხნის უნახავები ერთმანეთს ოჯახის ამბებს ეკითხებოდნენ, ზოგი რადიო განცხადებებს შორის პოლიტიკურ ანეკდოტის მოყოლასაც ასწრებდა. რადიო კი პერიოდულად მოქცევის წესებსა და მიმდინარე სიტუაციის დეტალებს გვამცნობდა. ზუსტად რა მოხდა, რასთან დაკავშირებით გამოცხადდა გაგაში ჯერ არავინ იცოდა. ყველა სხვადასხვა ამბავს და ამ ამბის სხვადასხვა ვერსიას ყვებოდა. ყველაზე სანდო წყაროს მიხედვით კი, საქმე ასე ყოფილა:

სულ რაღაც ნახევარი საათის წინ მეზობელი დასახლების ორმოცდაათამდე სოფლელი თავისი ახალგაზრდა ლიდერით, დროშებითა და ტრანსპარანტებით

„ბარონის“ კარიბჭეს მოადგა, ერთი უთქვამთ „სიმ-სიმ გაიღე!“ და ბარონის ცხრაკლიტულიც მოჯადოებულივით გახსნილა მათ წინ. ვიდრე ასევე მოჯადოებული დაცვაც აზრზე მოვიდოდა, დემონსტრანტები კომპლექსის რეგისტრატურამდე მისულან და დაცვის უფროსთან შეხვედრა მოუთხოვიათ (ჩვენი ბედი, რომ დემონსტრანტებმა ამჯერად პროტესტის ცივილიზებული მეთოდი აირჩიეს). აი მაშინ კი დაფაცურდნენ, განგაში გამოაცხადეს, შეიარაღებული ძალების მობილიზება მოახდინეს და ავღანურ პოლიციასაც გამოუძახეს. დემონსტრანტებს ალყა შემოარტყეს, გაჩხრიკეს და რომ ნახეს, რომ არცერთს იარაღი არ ჰქონდა, მათთან მოლაპარაკება დაიწყეს. ამასობაში ჩვენ ბუნკერებში მოგვათავსეს.

დემონსტრანტები აპროტესტებდნენ იმ ფაქტს, რომ ბარონის შესასვლელში დამაგრებული სათვალთვალო კამერებით დაცვა მათ სახლებში და ეზოებში იჭვრიტებოდა და ამით მათი პირადი ცხოვრების უფლებებს არღვევდა. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ ამ აპარატურის მოხსნას და მშენებლობებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

მოლაპარაკება დაახლოებით ორმოცდახუთი წუთი გაგრძელდა. ეს იქიდან დავასკვენი, რომ ზუსტად ამდენი ხანი ვისხედით ბუნკერში. ბუნკერიდან კი გამოგვიშვეს, მაგრამ ყველა გასვლითი სამუშაო რამდენიმე დღით დაიბლოკა. მანქანები, ყოველი შემთხვევისათვის, ტერიტორიაზე დატოვეს და მთელი ღამე სახურავებზე ავტომატებიანი ჯარისკაცები და სნაიპერები პატრულირებდნენ.

ავღანელმა თანამშრომლებმა დაცვის უნიათობის გამო ხმა აიმაღლეს და უფროსობას პასუხი მოსთხოვეს. ეს უკანასკნელნი თავს იმართლებდნენ, 50 მშვიდობიანი დემონსტრანტისთვის სროლა რომ აგვეტეხა, საერთაშორისო სკანდალში გავეხვეოდითო. კიდევ რამდენიმე

მსგავსი უბადრუკი მიზეზი მოიშველიეს, თუმცა, კი აღიარეს, რომ რაც მოხდა, ეს ნამდვილად არ უნდა მომხდარიყოო. საქმე ისაა, რომ ამ ამბავს წინ თავდაცვის კუთხით განხორციელებული ერთი მეტად სერიოზული ცვლილება უსწრებდა. სულ რამდენიმე დღით ადრე ჩვენმა დამქირავებელმა კომპანიამ ბრიტანული დაცვის კომპანია "გლობალთან" კონტრაქტი შეწყვიტა და ამერიკული კომპანიით „დაინკორპით" ჩაანაცვლა – გაზრდილი დაძაბულობის პირობებში ამერიკულ დაცვას მეტი ნდობა გამოუცხადა. ამ უკანასკნელს კი, ჩვენი ჩათვლით, აშკარად არ გაუმართლა და პირველივე ექსტრემალურ შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, – ჩაისვარა.

პირველად შემეშინდა სერიოზულად. როგორც აქციებისა და დემონსტრაციების ექსპერტმა, კარგად ვუწყი, რომ რაც დაიწყება, ის პირველი და უკანასკნელი არასდროს იქნება. ვფიქრობ, ეს აქციაც რაღაც სერიოზულის დასაწყისი იყო მხოლოდ. ამჯერად ავღანელებმა მოსინჯეს, რა ძალასთან აქვთ საქმე და რა შესაძლებლობები გააჩნიათ თვითონ. ამას ის მაფიქრებინებს, რომ აქცია საკმაოდ ორგანიზებული იყო, ჰყავდა ლიდერი და ჰქონდათ ჩამოყალიბებული მოთხოვნები. აკი შემოაღწიეს კიდეც, ანუ, არ გამოვრიცხავ, რომ დემონსტრაცია მართული იყო და დემონსტრანტებს დაცვაში დასაყრდენიც ჰყავდათ. თუმცა, ამას რომ ვამბობ, კოლეგები მეუბნებიან, ბევრი დეტექტივებით გაქვს თავი გამოტენილიო.

თუ მეშლება, მაშ რას მივანერო ის, რომ „ბარონის" შესასვლელში დამონტაჟებული სათვალთვალო აპარატურა მთელი ნელი არავის უშლიდა ნერვებს და უცებ გადარია მთელი სოფელი: აპარატურის მოხსნას ხომ კატეგორიულად მოითხოვენ, ახლა „სპეც ნაზში" სამსახურიც მოუნდათ. მოკლედ, მე თუ მკითხავთ, ამათ პროგრამაც ჩამოყალიბებული აქვთ, სტრატეგიაც და

ტაქტიკაც. ისინი ამ ერთი აქციით არ შემოიფარგლებიან. გაგრძელება აუცილებლად იქნება. მე კიდევ მუშობის ექვსი თვე დამრჩა და ეს ამბავი სერიოზულად მაფიქრებს.

ახლა ამ ამბავს რომ ვიხსენებ, საკუთარ თავზე გულიანად მეცინება. პირველ რიგში რასაც ხელი დავავლე თავშესაფარში გაქცევისას, სავარძელზე გადაკიდებული წავის ქურქი იყო. სამუშაო ფურცლები, ლეპტოპი, მნიშვნელოვანი დოკუმენტები საერთოდ არ გამხსენებია. არც ის „ხელისდასავლები" ჩანთა მქონდა სადმე ახლო-მახლო. რა, ოფისში ხომ არ ვატარებდი თან? მოკლედ, გასაქცევად არ გახდეს საქმე, თორემ, რაც ისწავლე და წინასწარ მოაწესრიგე, ყველაფერი უკან დაგრჩება.

ოცკილოიანი ჯავშან-ჯილეტი და ჩაჩქანი საერთოდ მეორე საკითხია. პირადად მე, მას ძვრას ვერ ვუშვებოდი და საცდელი განგაშის დროსაც კი ბუნკერში ჯავშან-ჟილეტის გარეშე გავრბოდი, თავზე „კასკით". კოორდინატორი მეუბნებოდა, თვითონ თუ ვერ იცმევ, მეგობარს სთხოვე დაგეხმაროსო. მეგობარი ჩემზე გაჭირვებული იყო... მე კატეგორიულად მოვითხოვდი ჩემთვის უფრო პატარა და მსუბუქი ჯავშანი მრეცათ, მაგრამ ისინი მპასუხობდნენ ასეთი კრისტიან დიორს აქვს პოდიუმზე გამოსასვლელადო. ჰოდა, მეც ვურჩევდი, ყოველ შეკრებაზე ჩემი წიკვინის მოსმენა თუ არ გინდათ, კრისტიან დიორის ჯავშან – ჟილეტი მომიტანეთ თქო.

გაგიკვირდებათ და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს მომიტანეს ახალი დიზაინის, რაც მთავარია, ჩემი ზომის, უდაბნოსფერი, თხელი და ძალიანაც მოხდენილი ჯავშან-ჟილეტი, ფერთან შეხამებული „კასკითურთ". რომ მოვიზომე, ისე მომეწონა, კინაღამ მართლა პოდიუმზე გავვარდი. აი ასე, ვინც ეძებს – ის პოულობს! მართალია ეს!

რაც ავლანეთში ვარ, საქართველოზე არაფერი დამიწერია, არადა ოქტომბერში ორი კვირით ხომ ვიყავი ჩამოსული. თითქოს, არც არსად წავსულვარო, ისე ჩვეულებრივი იყო მაშინ ჩემი სახლში დაბრუნება. ალბათ იმიტომ, რომ აქ „ბარონში" მშვენიერი საცხოვრებელი პირობებია, მომსახურება – იდეალური. ბარონი სასტუმროცაა და ამავდროულად მყუდრო, იზოლირებული ბინაც. მაქვს საკუთარი სამზარეულო და ვფუსფუსებ, როცა მომენატრება და როგორც მომენატრება ისე. რაც ყველაზე უფრო მომწონს ისაა, რომ პირველად ჩემს ცხოვრებაში მომეცა იმის საშუალება, რომ ეკონომიაზე არ ვიფიქრო და რამდენიც მინდა, იმდენი ფული დავხარჯო, გავაგზავნ-გამოვაგზავნო და ბოლოს და ბოლოს – გავფლანგო. ეს ძალიან მაგარი გრძნობა ყოფილა. „ტრულაილას ფული რად უნდა, ტრულაილა თვითონ ფულია!"... ღმერთო, რა სულელი ვარ... და რა ცოტა მყოფნის იმისთვის, რომ თავი „ტრულაილად" ვიგრძნო.

ნახევარი წელია აქა ვარ, ბუზი არ აფრენილა ჩემს თავს და მეგონა სულ ასე იქნებოდა. დღეს კი, პირველი სერიოზული განგაში რომ გადავიტანეთ, მივხვდი, სად ვიყავი და რა ნალმზე ვიჯექი. დიანა მეუბნება ანას ჰოსს ისტერიკა ჭირს და ვერ ვამშვიდებთო.

– რა ატირებს ანას, ისეთი მომზადება აქვს გავლილი? – მიკვირს მე

– პატარაა, 19 წლის და ეშინია, რის მომზადება, რა ტრენინგი... მპასუხობს დიანა, – აბა ერთი წარმოიდგინე შენი შვილი რომ იყოს აქ! – დიანას თბილისში ყავს 19 წლის ქალიშვილი და ანას ადგილზე მისი წარმოდგენაც კი სზარავს.

– ვერა, ვერ წარმოვიდგენ, ჩემი შვილი კაცია და არა მგონია, განგაშმა გული გაუხეთქოს, შენი კი ძალიან კარგად მესმის, თუმცა, ისიც კარგად ვიცი, რომ შენი 19

წლის მარი აქ ვერასგზის ვერ მოხვდებოდა, ჯერ მკვდარ დიანაზე უნდა გადაებიჯა!

– მოიცა კაცო, ეგ რა შუაშია?

– სწორედაც რომ შუაშია, შენს მარიამს მამა არ ჰყავს, მაგრამ ცოცხალი კედელივით აღმართული ათასი პატრონი იცავს ავღანეთისგან და მსგავსი სულელური იდეებისგან. ანას კი მამაც ჰყავს, დედაც, ახალგაზრდა ბებია და ბაბუაც, დები, ძმები... და საკუთარი თავისგან დამცველი კი არავინ. სრულიად „უპატრონოა" და თავის თავს ახლავე თუ არ მიხედა, ამ შემთხვევაში ავღანეთში ან რომელიმე მსგავს ცხელ წერტილში თუ არ დაიწყო კარიერის კეთება, შეიძლება „ამერიკულმა ოცნებამ" ისე აუაროს გვერდი, თვალის დახამხამებაც ვერ მოასწროს. ამას ბავშვობიდან უკიჟინებენ მშობლები და ნათესავები. არჩევანი თვითონ უნდა გააკეთოს. აი, ამით განსხვავდება ანა შენი მარიამისგან. სურათი მარტივია და თვალსაჩინო.

– ასეა თუ ისე, პატარაა, ეშინია და შენი ფილოსოფიის დრო ახლა არაა, – ამბობს დიანა და ორივემ კარგად ვიცით, რომ ის მართალია, მე კი... მე ვატრაკებ, იმიტომ რომ მეშინია...

მახსოვს, საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ომის დროს, როცა ზვიად გამსახურდია ციხეში იჯდა, მისი ვაჟი კოკო ჯარში გაიწვიეს, ავღანეთში. მაშინ თათია ხაინდრავამ ხელჩაკიდებული კოკო ჩვენთან მოიყვანა და მამაჩემს სთხოვა, უშველე, ზვიადის გასამწარებლად უშვებენ ავღანეთშიო. მამაჩემმა სარდალს დაურეკა და დახმარება სთხოვა, იმან უარი უთხრა, ეკუთვნის და უნდა წავიდეს, სხვები თუ მიდიან, მაგაზე რატომ გავაკეთოთ გამონაკლისიო. მაშინ მამაჩემი დაემუქრა, საერთაშორისო სკანდალს მოგიწყობთო და დაუთმეს კოკო. სულ ის მიკვირდა, რატომ არ ახსენდებოდა ზვიადს ეს ამბავი,

როცა მაღალი კათედრიდან ნოდარ დუმბაძეს ლანძღავდა და საქართველოში კრიმინალური ინტელიგენციის დამაარსებლად ნათლავდა? რას გაუგებ ამ ბელადებს, მაგათთვის პოლიტიკა ხომ შვილზეც მაღლა დგას. ანდა „ფაქიზ" კოკოს მართლა რა უნდოდა ავღანეთში? ანას ტირილი და ისტერიკა ამასთან მონაგონი იქნებოდა.

ჰოდა, ხომ ხედავთ, ამ ავადსახსენებელი ავღანეთიდან დასახსნელად კოკოსაც გამოუჩნდა პატრონი, როცა მამა ციხეში ჰყავდა. ესენი 17-19 წლის „უთვისტომო" გოგო-ბიჭები კარიერის და ფულის საკეთებლად ისე მიდი-მოდიან ცხელ წერტილებში, თითქოს, სხვა ყველა გზა „ნათელი მომავლისაკენ" გადაკეტილი ჰქონოდეთ. ჩემი ბარონელი მეზობელი დენისი, მაგალითად, ფულს მარტო პირველადი მოხმარების საგნებზე ხარჯავს, თან ამაყობს, ვაგროვებო. რვა წელია ავღანეთშია და ქმარს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნახულობს. არადა სამხრეთ აფრიკაში უკვე აიშენეს რამდენიმე სახლი, კიდევ რაღაც მიწები და სხვა უძრავი ქონებაც შეიძინეს ტკბილი სიბერის უზრუნველსაყოფად, მანამდე დენისი თალიბანებმა თუ არ მომტაცესო, ამბობს, თურმე, დენისის ქმარი.

განგაშისგან გამოწვეულ სტრესს ისიც დაემატა, რომ დიანას მეზობელი ელბი, ინდოელი ეკონომისტი, შეთავსებით ხირომანტიც ყოფილა. ამის შესახებ რომ გაიგო, ვესნამ, მის საპატივცემულოდ სასწრაფოდ საზეიმო საუზმე გამართა და სრულიად „ბარონის" მდედრობითი სქესის წარმომადგენლები მოიწვია. საუზმე იმიტომ, რომ ელბი თურმე ხელის გულზე ბედის ხაზებს მხოლოდ დილის საათებში ხედავს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ელბიმ მითხრა, გრძელი სიცოცხლე არა გაქვს, ასე, სამოცი წლის მოკვდებიო. რაღა ვქნა ახლა, გინდა არ გინდა, მზადება უნდა დავიწყო, თორემ 60 წლის შარშან 24 ივნისს უკვე გავხდი და

ახლა წლის დასრულებამდე სულ რაღაც სამიოდე თვე, 91 დღე, 2 184 საათი, 131 040 წუთი და 7 862 400 წამი, დარჩა.

მართალი გითხრათ, ასე უცბად აბარგება გაღმა ნაპირზე მაგრა მეზარება, არც მეადვილება და ღმერთს ვთხოვ, ცოტა გადამივადოს ეს საქმე. ახლა ნამდვილად არ არის ამის დრო, თან არავის ეს არ ჭირდება. მე ნამდვილად და მამაზეციერს ხომ ასი წელი არაფერში ვჭირდები.

არა, მაინც რომელ სულელს მოუვიდა თავში ხელზე მარჩიელობა შუაგულ ავღანეთში? ეს ელბიც ხომ უნიკალური მარჩიელი გამოდგა. პირველად ვნახე მარჩიელი, ადამიანს პირში ეუბნებოდეს დღეს არა და ხვალ მოკვდებიო. როგორ უნდა შემხედოს აწი თვალებში, ფაქტობრივად ხომ სასიკვდილო განაჩენი გამომიტანა? მაგისთვის ადვილია, მაგათ ხომ რეიკარნაციის სჯერათ, ჰოდა, ფეხებზე არ ჰკიდია, როდის გარდავიცვლები?.. ერთი მე მკითხოს, მზად ვარ? ცოტა მეტი დრო მაინც მოეცა!

ხელის გულზე მარჩიელობით დაშოკილმა ქაბულით და ავღანეთით ჩემი „აღტაცება" ისე დაამინა, რომ ახლა ყოველივეს გაცილებით მუქ ფერებში ვხედავ. ვერადა ვერ დავიჭირე ოქროს შუალედი, ან გადამეტებით ვაქებ აქაურობას, ან დაუმსახურებლად ვკიცხავ. მოკლედ, რასაც ამ რამდენიმე ფურცელზე წაიკითხავთ, „სასოწარკვეთილი პაციენტის" ავადმყოფური ჩანაწერი იქნება და ჩემი ხასიათის ამბავი რომ ვიცი, ამ მდგომარეობას დიდი-დიდი ხუთი ფურცელი დასჭირდეს, არც კი. დანარჩენი, თუ ცოცხალი დავრჩი, სულ ტაშ-ფანდური და სიცილ-კისკისი იქნება.

თავი 20

ფეისბუქი რომ არ ვარგა და აქლიავებსო, ნაწილობრივ ვეთანხმები, მაგრამ აქ, „ბარონში" სკაიპი და ფეისბუქი ანტიდეპრესანტი და ფსიქოთერაპიაა, ხანდახან – სასწაულმომქმედიც. აი, მაგალითად, დღეს დილას ანა მარგველაშვილისაგან „შეარით" (გაზიარება) ჩემს გვერდზე დაიდო ერთი ძალიან სახალისო ფოტო: უშველებელ დაწნულ კალათაში გასული საუკუნის 30-იანი წლების სტუდენტი გოგონები სხედან, ყველას ძალიან ბედნიერი ღიმილი დასთამაშებს სახეზე. კომენტარები ასეთია:

ხათუნა მაღლაკელიძე: გაგანია 38 წელი და გოგოები ილიმიან... რომელია აბა შენი დიდედა? (დიდედა – ბებიაა თუ ბებიის და?)ამით

ავთანდილ კობახიძე: ბებიის დედა

ლევან კალანდაძე: ანა, სამედიცინოს სტუდენტები ხომ არ არიან?

ანა-ანასე მერგველაშვილი: დიდედა ანუ ბებია = დიდი დედა :))) ლევან. კი სამედიცინოა

ლევან კალანდარიშვილი: გაგიკვირდება და სამის სახელს ეხლავე გეტყვი: მარჯვნივ ქსენია კოკაიაა, მის გვერდით, მეორე რიგში ქეთო არეშიძეა-ცოცხალია!!! კალათის შუაში კი მამიდაჩემია, ლილი კალანდარიშვილი!!! გაგიჟებას ცოტა მიკლია:)))

ანა-ანასე მერგველაშვილი: ლევან, რას ამბობ? ეს ფოტო თქვენც გაქვთ? მე მთელი სერია მაქვს ამ გოგოების – ცელქობის :)

ლევან კალანდარიშვილი: მთელი სურათები ამოღებულია 1942 წელს, ბაბუაჩემი რომ აიყვანეს ბაქოში მაშინ, თუ რამეს მომაწვდი ცის ტოლა მადლობას შემოგწირავ, 27 იანვარს ეგ „ბანდა" ჟორესის №43 იკრიბებოდა ხოლმე მუდმივად მამიდაჩემის დაბადების დღეზე

ანა-ანასე მერგველაშვილი: ვახ. ნეტა დიდედაჩემიც, ანუ ნინო ნოზაძეც? ლევან, დავასკანერებ და მოგაწვდი აუცილებლად. ძალიან შთამბეჭდავი ფოტოებია :)

ლელა გაფრინდაშვილი: ვა, რა მაგარი ფოტოა?!

ლევან კალანდერიშვილი: რომ ჩამოვალ მამიდაჩემის ეზოში (შენი ხომ ნუკრიანში ექიმობდა ასე მახსოვს, ჩემი კიდევ საგარეჯოში) ხოდა მის ეზოში ჩემი ხელით დაწურული საფერავი ჩემზე იყოს:)

თიკო სულაძე: ფოტო მაგარია და ამ ფოტოს მოყოლილი ამბები, ხო გადასარევი :)

ლევან კალანდარიშვილი: ეგ ორი ქალბატონი მე და ჩემს მამიდაშვილს ფეხებს დაგვბანდნენ ხოლმე და ისე გვაწურინებდნენ ღვინოს, ეჰ

თიკო სულაძე: თვალებზე ცრემლები მომადგა

ლევან კალანდარიშვილი: გმადლობთ, ანა!!!

ანა-ანასე მერგველაშვილი: ლევან, პირიქით. ამ ფოტოს უკვე ისტორიაც აქვს. აქამდე ვერავის ვერ ვცნობდი. მოკლედ, უახლოეს ხანში დავასკანერებ :)

ლევან კალანდარიშვილი: მაგათ კურსზე კიდევ თალიკო დგებუაძე, ბაბო ფალავა და რუსიკო ბუაჩიძე სწავლობდენენ, ოლონდ, მაგ ფოტოთი მიჭირს მათი ამოცნობა;

მანანა დუმბაძე: ეს არის შესანიშნავი მოთხრობა. მეც მქონდა ერთხელ ასეთი შემთხვევა, ჯემალ თოფურიძის ბებიის დის ვალენტინა დუმბაძე-მიქაბერიძის (რეჟისორ სანდრო მიქაბერიძის მეუღლის) ბინაში ჩემი 37-ში დახვრეტილი ბაბუის სურათი აღმოვაჩინე. ახალგაზრდები

მინდორში ისხდნენ და პიკნიკი ჰქონდათ გამართული. ქალბატონმა ვალენტინამ (ასე ვეძახდით ვალია ბებიას) თითი ახალგაზრდა მკერდგაღეღილ ყმაწვილზე დამიდო და მითხრა, ეს ბაბუაშენი, ლადო დუმბაძეაო. ეს სურათი ჩვენ სახლში არ გვქონდა, რადგან 37-ში ნათესავებმა შიშით ყველა სურათი გაანადგურეს. ბებიას გადასახლებაში ბაბუაჩემის ერთი საპასპორტო სურათი გაყვა და მხოლოდ ისღა გვქონდა მთელი ალბომიდან შემორჩენილი. ამ ამბავს თავის დროზე მე მოთხრობა მივუძღვენი – „დაკარგული წინაპრები გაყვითლებული ფოტოსურათებიდან". სამწუხაროდ, იმ ფოტოს ასლის გადაღება ვერ მოვასწარი, ქალბატონი ვალენტინა მალე გარდაიცვალა და ოჯახმა ფოტოს ვეღარ მიაგნო. ამბავი კი ჩემს მოთხრობაში დარჩა.

დავუბრუნდეთ ქაბულს, აკი გითხარით რა ხასიათზეც ვარ. დიანა თბილისში მიდის საოპერაციოდ და ჩემზე უარეს ხასიათზეა, ჯივანი 12 თებერვალს ამთავრებს კონტრაქტს და საერთოდ ტოვებს აქაურობას. ვესნას ისეთი დაძაბული ურთიერთობა აქვს თავის იდიოტ უფროსთან, შეიძლება ვადაზე ადრე დაამთავრებინონ კონტრაქტი და მარტში დატოვოს პროექტი. გრეისი უკვე წავიდა და ისე მენატრება, წერილებსაც ვერ ვწერ. ანდრეი სვამს, რაჰატი არ ვიცი, როდის ჩამოვა, არც სვეტლანა. სამაგიეროდ, ამას წინათ დიანას პროექტში ჩამოვიდა თემური, ახალგაზრდა უზბეკი იურისტი. თემურმა დიანასგან შეიტყო, რომ ნოდარ დუმბაძის შვილი ვარ და მეორე დღესვე ოფისში მომადგა ყვავილების თაიგულით და მამაჩემის რომანებიდან ციტატების მთელი გუდით. სირცხვილისგან ვიწვოდი, როცა, ვერ ვიხსენებდი რომელი გამონათქვამი რომელ პერსონაჟს ეკუთვნოდა, თვითონ კი სიცილით კვდებოდა, ამას მამამისის ნაწარმოებები წაკითხული არა აქვსო. როგორ

არა მაქვს წაკითხული, მაგრამ ისეთი ჩამჭრელი ციტატები მოჰქონდა, ამას, დარწმუნებული ვარ, თვითონ მამაჩემიც ვერ გაიხსენებდა.

ქეთინომ, ჩემმა დამ „ვეფხისტყაოსნიდან" ავთანდილის ანდერძი ზეპირად რომ ვერ ჩაარაკრაკა, ამისათვის ქართულში ოთხიანი დაუწერეს მისაღებ გამოცდაზე, ქულა დააკლდა და იმ წელს ვერ მოხვდა უნივერსიტეტში. დედაჩემმა ამ საკითხთან დაკავშირებით ოჯახური კრება მოიწვია მამაჩემის უშუალო მონაწილეობით. მართალია, ჩემთვის აზრი არავის უკითხავს, მაგრამ, საკუთარი ცოდვების მისაჩქმალად ამ ფაქტის გამო ისე უსინდისოდ „აღვშფოთდი", გეგონებოდა ოთხიანი როგორ იწერებოდა, ისიც კი არ ვიცოდი.

– როგორ, ავთანდილის წერილი არ იცი ზეპირად?

– ჰო, შენ რა იცი? – შემომიტია ქეთიმ

– ვიცი, აბა არ ვიცი, ჩემს კლასში ეგ ანდერძი თითქმის ყველამ ზეპირად იცოდა! – თავგამოდებით დავიცავი ჩემი კლასის ღირსება, თუმცა, რაზე დაყრდნობით ვაცხადებდი ამას, ვერ გეტყვით. დედაჩემმა თქვა, მე ამ ბავშვებთან აღარაფერი გამდისო და სადამსჯელო სადავეები მამაჩემს გადასცა. მამაჩემს კი აშკარად დაეზარა ამ საქმისთვის ხელის მოკიდება და იქვე გადაწვა ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო ასპარეზისკენ მიმავალი ყველა ხიდი.

– ავთანდილის ანდერძი თვითონ რუსთაველმა არ იცოდა ზეპირად, რომ ცოდნოდა, ფურცელზე არ დაწერდა! – გამოაცხადა მან და ბედნიერ ქეთინოს თვალი ჩაუკრა. – შენ გააფუჭე ეს ბავშვები და შენ მიხედე აწი! – თქვა დედაჩემმა, უიმედოდ გააქნია თავი და კრება დემონსტრატიულად დატოვა. ამის შემდეგ მამაჩემი ჩვენი საგანმანათლებლო პრობლემებით აღარავის შეუწუხებია.

თემური ისე შემიყვარდა, თითქმის ვიშვილე. უნდოდა არ უნდოდა, ყოველდღე ცხელ სადილს ვაძალებდი ბავშვივით. იმას მადლიერების ნიშნად, პარასკევობით მე და დიანა „გრინ ვილიჯში" დავყავდით უცხოელების წრეებში საყოველთაოდ განთქმულ „გაეროს ბრანჩზე" (საუზმე – შვედური მაგიდა).

ორი დღე გადაუღებლად ბარდნიდა. „ბარონი" ანდერსენის ზღაპარს დაემსგავსა. ღამე სახლში შემოსვლა აღარ მინდოდა, ისეთი ლამაზი იყო გარემო. საცოდავი, მთვარიანი და ატალახებული ქაბულიც თეთრ ქურქში გახვეულ ულამაზეს ყინულის დედოფალს დაემსგავსა. ღამე ავღანელი დარაჯები ბარონის სკვერებში უშველებელ თოვლის ბაბუებს, თოვლის ცხენებს, ვეფხვებს, ქალის ტორსებს და სხვა ლამაზ ფიგურებს აგებდნენ, ნამდვილი ხელოვნების გამოფენა იყო.

„ბარონის" და ლენდკრუიზერის დაჯავშნული მინის იქით რა ხდებოდა, ამაზე არ მიფიქრია. ეს მაშინ გავაცნობიერე, როცა განგაშიდან მესამე დღეს ბარონის კედლების დატოვების უფლება მოგვცეს. ამასობაში თოვლმა დნობა დაიწყო, დათოვლილი გზები არ იწმინდებოდა და ამიტომ ყოველ მეორე წუთას საცობში ვიჭედებოდით. გაჩერდებოდა თუ არა მანქანა, ბრონირებულ მინას ახალშობილი ბავშვით ხელში ატატებული, ტალახში ამოთხვრილ ბურკიანი ქალი მოაწყდებოდა ხოლმე. იქიდან მათი საცოდავი კუთვა და წკმუტუნი მესმოდა, საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ ცახცახებდნენ სიცივისაგან ბავშვები, ტირილსაც ვერ ახერხებდნენ. მე კი ფანჯრის გაღების არც საშუალება, არც უფლება მქონდა. თვალებში მიყურებს, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის და ვერაფერს ვაკეთებ. იმ მათხოვარზე უარესი ტუსაღი და მათხოვარი ვარ. ბურკიანი ქალი ფანჯარაზე მიკაკუნებს და გაუჩერებლად კნავის. ორმოცდაათ მეტრში იგივე მეორდება.

მე „ფაინესტში“ მივემგზავრები. ერთი კვირის სამყოფი სანოვაგე უნდა მოვიმარაგო. პროდუქტებით სავსე მანქანით ისევ საცობში ვხვდებით და ისევ მინაზე ცხვირმოდებული ბურკიანი ქალების კვნესა მესმის. ისე არავინ შემზიზღებია ცხოვრებაში, როგორც საკუთარი თავი. მაინც და მაინც უნდა აგაფეთქონ, ან მოგიტაცონ? ეს რა, ნაკლები წამება და სასჯელია? გაზეთები იტყობინებიან, რომ ავღანეთი წელსაც მზად არ არის ზამთრისთვის. მიწურებში მრავალშვილიანი ოჯახები იყინებიან და იხოცებიან. ელექტროობა ხალხს რამდენიმე დღეა, რაც გრაფიკითაც არ მიეწოდება.

მინა გაჭირვებულებისთვის საბნებს, ტანსაცმელს და ფულს აგროვებს. ლამის ყველაფერი მივცე, ისე დამნაშავედ ვგრძნობ თავს იმ თეთრ ბრონირებულ ლენდ-კრუიზერში. ღმერთო, ნეტავ საქართველოშიც ასე იყო 90-იანებში? უკვე დამავიწყდა, 37-ში? – ძალიან ცოტა დარჩა, ვისაც ახსოვს. ღმერთო, დაილოცოს ადამიანის ბუნება. ყველაფერი ისეთ შავ ფერებში რომ გვახსოვდეს, როგორც სინამდვილეში იყო, სიცოცხლეს აზრი არ ექნებოდა.

ავღანელები ამბობენ, ჩვენ აღარაფრის იმედი არა გვაქვს და მომავალზე ხელი გვაქვს ჩაქნეულიო და მაინც არაერთხელ გამიგია მათგან რაღაც ჩვენი „ოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“-ის მაგვარი. არაერთხელ დამიჭერია შუქის ნაპერწკალი მათ ლურჯ-მწვანე თვალებში, არაერთხელ მომისმენია მათი ხალისიანი სიმღერა და გულიანი სიცილი. ესეც ამათი ბუნებაა, ადამიანური და ასე რომ არ იყოს, ამათ სიცოცხლესაც აზრი არ ექნებოდა.

აეროპორტის ტრასას არა უშავს, გაწმენდილია, მაგრამ ტროტუარებზე ისეთი ჭყაპია, ვერც კი წარმოიდგენ, რომ ორი დღის წინ თეთრად ბარდნიდა. ტყლაპოებში

ამოსვრილი ბავშვები პლასტმასის სანდლებით, ან საერთოდ ფეხშიშველები და ნახევრადჩაცმულები დარბიან. ამათ ისეთი ენერგია აწვებათ, ეტყობა სიცივეს ვერც გრძნობენთქო, ვიმშვიდებ თავს, მაგრამ იქვე გაზინტლულ და გათხუპნულ მუთაქბზე მოკალათებულ მოხუცებს რომ ვუყურებ – დაძენძილ ჭინჭებში რომ გახვეულან და თავზე სველი, ტალახიანი ჩალმები ახურავთ – ამას ველარ ვიჯერებ, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს საოცრად ფილოსოფიური მზერა აქვს და დინჯად საუბრობს, ზოგი ჩილიმსაც აბოლებს და ჩაისაც წრუპავს. შედარებით ახალგაზრდებს მაყალი გამოუტანიათ და მალაზიის წინ მწვადებს წვავენ. სპეციალური სანიავებელი ცოცხი, რომლითაც მაყალს აღვივებენ, ისეა გაჭვარტლული, მწვადის სახსენებელს შეგაძულებს. ზუსტად ისეთივე გაზინტლული და გაჭვარტლული შალვარ-კამიზები აცვიათ და ძალიან მხიარულ მზერას აყოლებენ ჩვენს დაჯავშნულ მანქანას. ქალები ამ მოყინულ ტყლაპოებში წვრილქუსლიანი და თხელძირიანი ფეხსაცმელებით დადიან.

ვიხსენებ, ვიხსენებ, ჩვენთან როგორ იყო იმ ავადსახსენებელ 90-იანებში და მახსენდება ეზოებში გაჩაღებული საბურავების კოცონები, ჩვენი სახლის წინ აალებული ჯიხურები, ატალახებული, ასფალტამოყრილი ოღრო-ჩოღრო გზები, მეორად ტანსაცმელებში გამოხვეული ჩვენი ლამაზმანები, კბილებჩაცვენილი ცნობილი მსახიობები და საზოგადო მოღვაწეები. შიმშილისგან ყბებჩავარდნილი მწერლები და მასწავლებლები... მათხოვარი ქალები და ბავშვები, განსაკუთრებით აგრესიული ქართველი მოხუცი მათხოვრები, ლოყებღაჯღაჟა ბავშვები „დამეხმარე, დამეხმარეს" კნავილით, გათოშილი ბინები და სიცივისგან უდროოდ გარდაცვლილი ახლობლები. ვისაც ეს არ ახსოვს, ის ორმოცდაათკაციან

დალხენილ საქართველოს წარმოადგენს, ვირტუალური მიღწევებითა და წარმატებებით მოამაყე საქართველოს „ელიტას“.

განსხვავება დიდია. საქართველოში ეს ხდებოდა ოცი წლის წინ, ამას აქ არც დასაწყისი უჩანს და არც ბოლო. ხალხი თითქოს მიეჩვია ასეთ ყოფას. სულ არ მიკვირს ასეთი ზიზღი რომ აქვთ გადამთიელების მიმართ, რომლებმაც მათი ქვეყანა ექსპერიმენტულ ლაბორატორიად აქციეს და მილიარდებს ხარჯავენ მისი საბოლოო გაპარტახებისათვის. რა ეშველება ასეთ დამოკიდებულებას, მე არ ვიცი. არც არავინ იცის. ღმერთმა იცის მხოლოდ – ალაჰმა, რომელმაც ხელი აიღო ავღანეთზე, ისევე, როგორც ჩემმა ღმერთმა დიოსკურიაზე და საბოლოოდ დაძირა იგი.

„დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია. ერთ დროს სიცოცხლე იყო დიოსკურიაზე და ზღვა სულ არ იყო იქ. მერე ზღვა მივიდა და დიოსკურია კუნძულად გადაიქცა. ზღვა რომ აღელდებოდა, მისი ტალღები თეთრი ქვითნაშენ სახლებს ანგრევდა, მერე წყნარდებოდა და ისევ უკან იხევდა. ხალხი თავიდან აშენებდა დანგრეულ სახლებს და ოჯახებს. შემდეგ ისევ მოვარდებოდა ზღვა და თავიდან იწყებოდა ყველაფერი. ერთხელაც, სულ მოშორდა ზღვა დიოსკურიას. ზღვა არაფერს ერჩოდა, მაგრამ ახლა ადამიანები დაერივნენ ერთმანეთს: ხოცავდნენ, ულეტდნენ, აუპატიურებდნენ, სპობდნენ! ადამიანები თავიანთ საკუთარ ოჯახებსაც ანგრევდნენ და სპობდნენ ფიზიკურად და მორალურად. შეგნებულად და შეუგნებლად, ნებსით და უნებლიეთ. ოჯახებს კლავდნენ განზრახ, ნებსით და უნებლიეთ. საშინელება ტრიალებდა დიოსკურიაში. გაბრაზდა დიდი ზღვა, ისევ მოვარდა ქალაქში და მთლიანად ჩაძირა ის. არავინ იცის,

პირველად რატომ მივიდა ქალაქთან ზღვა, რატომ ანგრევდა, რატომ მოშორდა და ბოლოს, რატომ ჩაძირა სულ. ზღვამ გააჩინა დიოსკურია და მისცა ადამიანებს სიცოცხლე და სიკეთე. მერე მივიდა და გამოსცადა მათი სიკეთე. დიდხანს ცდიდა ზღვა. იმიტომ, რომ იცოდა,

სიკეთეს ყველაზე მეტ ხანს სჭირდებოდა გამოცდა. წავიდა მერე და რომ გაიგო ხალხის ცოდვები,

უკან დაბრუნდა და ჩაძირა მთლიანად თეთრი ქალაქი. ზღვა ყოვლისშემძლეა!..(ნაწყვეტი ჯემალ თოფურიძის მოთხრობიდან „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“)

პროექტმა „ტაფა“ სავსებით გაამართლა თავისი აბრევიატურა, ანუ, ხან ცივია, ხან ცხელია და ხანაც მწველი – ეს დანჯღრეული „ტაფა“. არც კი ვიცი რა დავწერო მის შესახებ, რადგან რაც ჩამოვედი მას შემდეგ ჩემი სტატუსი და სამუშაოს კონტექსტი ავღანეთში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ კრიზისთან და „დურაკი“ დირექტორის „ხუშტურებთან“ (რბილად რომ ვთქვათ) ერთად რამდენჯერმე შეიცვალა. ერთხან მართლა იმას ვაკეთებდი, რაზეც ჭიპი მაქვს მიჭრილი და ხუთიანზე ვიცი. მერე ის დამავალეს, რაზეც არც თავად იცოდნენ რამე და, მე ხომ, საერთოდ წარმოდგენა არ მქონდა, მაგალითად, წიგნი-გზამკვლევისთვის – „როგორ ვივაჭროთ ავღანეთში“ – ორი თავის დაწერა. თავიდან როცა მითხრეს ამ თემაზე უნდა დაწეროო, კინაღამ ბანარში გავუყარე თავი, მაგრამ რას ვიზამდი, შუა გზაში ხომ არ გადმოვხტებოდი ნავიდან, დავჯექი და შესაწირი კრავივით უხმოდ დავიწყე შრომაზე სახელწოდებით „ელექტრონული კომერცია“ (e-commerce) მუშაობა. ამის შესახებ ცხოვრებაში არამც თუ დამიწერია რამე, არც კი წამიკითხავს და მაინც, თქვენ წარმოიდგინეთ, პირველად გამომადგა ცხოვრებაში ასე ძალიან ჩემი სამეც-

ნიერო ალღო და გამოცდილება. ინტერნეტში ქექვის შემდეგ ამ თემაზე სრულიად უნიკალური მასალები მოვიპოვე, ბევრი ვიკითხე, ამ სფეროში საერთაშორისო ექსპერტებთან მიწერ-მოწერა გავაბი, შევისწავლე განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობა ამ კუთხით, შევუჯერე ავღანურ სინამდვილეს და მშვენიერი შრომა გამოვაცხვე.

ჩემდა საუბედუროდ, ნაშრომმა ხელმძღვანელობის მოწონება დაიმსახურა და ახლა კიდევ უფრო აბსურდული და ჩემთვის გაუგებარი ახალი თავის დაწერა დამავალეს: ავღანეთის ვაჭრობის პერსპექტივები რუსეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან (ყოფილი საბჭოთა შუა აზიის ქვეყნები). გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებ-ის პრინციპით ეს თავიც როგორც იქნა მოვახლაფორთე. პარალელურად ჩემს პირდაპირ მოვალებასაც ვასრულებდი და სიზმრებში, თუ ასეთი მეღირსებოდა ხოლმე, ხან ბროწეულს ვყიდდი თურქმენეთის საზღვარზე, ხან ჰერატის ხალიჩებს პაკისტანში და ხან ოპიუმის ბარიგებთან ვდებდი საიდუმლო გარიგებებს. მოკლედ, დიდ გასაჭირში და გაუგებრობაში ამოვყავი თავი. ბოლოს აღმოჩნდა, რომ „ტაფას“ დირექტორი მართლა „დურაკი“ ყოფილა და არაგეგმიურად დაუხარჯავს მთელი პროექტის ფული. ამას მოჰყვა პროექტის ოთხიდან ორი სტრატეგიული და ერთი ნაკლებსტრატეგიული განყოფილების ვადაზე ადრე დახურვა. მეც სწორედ იმ ნაკლებსტრატეგიულში მოვიაზრებოდი და, შესაბამისად, აპრილის შუა რიცხვებში პროექტის და ავღანეთის დატოვება მიწევდა. ასე რომ, სრულიად მოულოდნელად, მეც შევუერთდი ავღანეთიდან ნელ-ნელა გამსვლელ იმ ძვირფას არმიას, რომელთან განშორებასაც ასე მწარედ განვიცდიდი.

ეს რომ გავიგე მე და ჩემმა მეგობრებმა, ბრაიენის ოთახში დიდი წვეულება და კარაოკე მოვაწყეთ. მე და

ანდრეი საბჭოთა მარშებს და წითელარმიელთა საველე სიმღერებს ვბღაოდით, ბრაიენი და ძმანნი მისნი კი ამერიკულ ფოლკს, როკს, სოულს და მეტალიკს ერთად. ასეთი „კრუშონი“ აბა სად და ვის დაგილევიათ? ასე იყო თუ ისე, მაყურებელმაც, მსმენელმაც და შემსრულებელმაც მაგრად ვიხალისეთ. იმდენი ვიმაიმუნეთ და ვიხმაურეთ, დაცვამ კინაღამ გაუთვალისწინებელი განგაში გამოაცხადა. აკი გეუბნებოდით აქა-იქ, მინორი არ გამომდისმეთქი. ამიტომაც აღმოვჩნდი ავღანეთში ერთობ მხიარულ ნოტაზე, თორემ ჯერ კაცი არ შემხვედრია საქართველოში, არ ეკითხა, იქ რამ წაგიყვანაო!

თავი 21

სასტიკად ცივა. ეს ათი გრადუსი ცელსიუსით აქ, რატომღაც, რუსეთის ორმოც გრადუსს უდრის. ვერაფრით ვათბობ სახლს, თუმცა, ორივე კონდიციონერი ოცდაათ გრადუსზე მაქვს ჩართული. დილით ადგომა სიკვდილია. ავღანელ თანამშრომლებს სახლში საერთოდ არა აქვთ გათბობა, რადგან არა აქვთ შუქი, გაზი. მდიდარსაც და ღარიბსაც, უკლებლივ ყველას, რითაც თბებიან – ნავთი, დიზელი ან სხვა რამ საშუალება, იმის სუნი ასდის. მოკლედ, გაიხსენეთ 90-იანი წლების საქართველო და მიხვდებით „რაზეა ბაზარი".

დღევანდელ გაზეთში სამხრეთ ყანდაღარის ერთი ლტოლვილი ოჯახის სურათი დევს პირველ გვერდზე – სამი თმახუჭუჭა ბიჭი, აი, არაბ უფლისწულებს რომ ხატავენ ხოლმე ისეთი, საბნიდან აბრიალებს კაკლის მურაბასავით შავ თვალებს. მათი აქლემის ბენვის მოსასხამში გახვეული ლტოლვილი მამა ხალიჩაზე ზის და ისეთი მედიდური სახით იყურება იმ სურათიდან, გეგონება შაჰ-აბასის დარბაზებში ჰქონოდეს ოჯახისთვის საძინებელი გაშლილი. სინამდვილეში კი ქაბულის ჩარახი-ქამბერის უბანში გაუშლია კარავი და თავის საბნის ქვეშ შემძვრალ ცოლ-შვილთან ერთად იქ აპირებს გამოზამთრებას.

დღეს, ღამე ისე ცივა, სასეირნოდაც ვერ გავედი ეზოში. არ მახსოვს, გითხარით თუ არა, ყოველდღე თითო საათი წრეზე სეირნობა დავუნიშნე საკუთარ თავს და ასე ვცდილობ გონებრივი და ფიზიკური ფორმის

შენარჩუნებას. ოთახში დამატებითი გამათბობლები შემოვიტანე და ყინვა ასე თუ ისე მოვტეხე. ახლა ტვინს ის მილრნის, რამდენი ავღანელი დაილუპება სიცივით დღეს, იმ ხუჭუჭა ბიჭების ბრიალა თვალები არ ამომდის თავიდან. იმედი მაქვს, იმათ ყინვა ვერაფერს დააკლებს, მაგრამ ძალიან პატარები არიან. მერე რა, რომ ავღანურად უელავთ თვალები? ერთ-ორ საბურავს მოიპარავენ, დაწვავენ და გათბებიან, აი, ჩვენი ბიჭები როგორც თბებოდნენ ეზოებში მაშინ, 90-იანებში.

ავღანელებს იუმორი ყოფნით და ხუმრობენ, ქალაქი ეკოლოგიურად გაიწმინდა, მანქანები ველარ მოძრაობენ და გამონაბოლქვი აღარ არისო. ამათ გამძლეობას საზღვარი არა აქვს, ამათი მოთმინების ფიალა ნამდვილად უძიროა, ამათ სევდას ბოლო არ უჩანს, არც გლოვას და არც გულზვიადობას. ამათი სიამაყე მოუთოკავია. მე, ალბათ, ფეხზე დამდგარი ავღანეთის ნახვას ვერ მოვესწრები, ისევე როგორც მისი მტერ-მოძულე ვერ იხილავს მას დაჩოქილსა და გაუპატიურებულს. გაზეთში კი მსხვილი ასოებით ასეთი სლოგანია გამოტანილი: „სიცივე – ასობით ლტოლვილი ბავშვის ახალი ავღანელი კილერი!".

მთელი საღამო სკაიპში გავატარე ნინო ჯახუასთან საუბარში. მისი ქმარი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი წამყვანი დიპლომატია და სამინისტროს ჯგუფთან ერთად ავღანეთში დილპლომატიური მისიით ჩამოსვლას აპირებდა. ნინოს აინტერესებდა, რა როგორ უნდა ჩაიცვას მისმა ქმარმა – ძალიან თბილად, თუ ისე რა... „კასკები" და ჯავშანჟილეტები თან უნდა წამოიღონ თუ არა, ექნებათ თუ არა ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ქსეროქსი, ინტერნეტი და ა.შ. ისე ნერვიულობდა, გეგონება ქმარს ფრონტის წინა ხაზზე უშვებდა, ისე, არც ბევრი უკლდა...

არადა ის რომ იცოდეს, რომ მე ჩემი „კასკიდან“ აბაჟური გავაკეთე და ჯავშან-ჟილეტიდან – შირმა, ამდენს არ ინერვიულებდა. სკაიპში სულ გმირი მეძახა. რა იცის მინდვრის თაგვივით რომ ვარ „ბარონში“ შეყუჟული და ყოველ გაჩხაკუნებაზე ბუნკერში რომ მიკრავენ ხოლმე თავს. ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვა ეს დელეგაცია. ეგებ სადმე ნებადართულ ადგილზე შევხვდე და დაველაპარაკო მონატრებულ თანამემამულეებს.

ვესნა მიდის. ამაზე ფიქრიც არ მინდა. აქ ავღანეთში ნამდვილი მეგობარი შევიძინე და ახლა უნდა მომწყვიტონ გულიდან! რატომ მოგწყვიტონო, მეტყვით, ამდენი სკაიპი, ელ.ფოსტა, ამდენი ფეისბუქი და ათასი ოხრობა, მაგრამ ამას არაფერი კავშირი არა აქვს ვესნასთან.

– ამ სამსახურს დაწყების დღიდან ვერ ვიტანდი, ახლა კი შენს გამო აღარ მინდა აქედან წასვლა. შემიყვარდა კიდეც, რადგან მანანა მაჩუქა, ამას რომ ამბობს, ულამაზეს თვალებზე კურცხალი ადგება და ნიკაპი უკანკალებს, გაცინებას ცდილობს და ტუჩები ემანჭება. უკვე რვა წელია ავღანეთში მუშაობს, გაეროს სხვადასხვა პროექტებში, კიდევ დაბრუნდება, მაგრამ უკვე უჩემოდ მოუწევს აქ ყოფნა.

რამდენიმე დღეში მიდის ჯივანიც, ჩემი მალაიზიელი ძმაკაცი. ორივე გრეისი, ავსტრალიელიც და ფილიპინელიც, უკვე წავიდა. ასე უკაცრიელდება ნელ-ნელა ჩემი პატარა კუნძული, ჩემი ინტერნაციონალური პლანეტა „ვარსკვლავური ომების“ ყველაზე ცხელ წერტილში. მალე პატარა უფლისწულივით მატერიკზე მარტო მე და დიანა დავრჩებით, ჩვენი ყვავილები ქარმა წაიღო, როგორც მოიტანა ისე.

ვესნა წავა და დამთავრდება იოგას გაკვეთილები ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს 6 საათზე ჯარისკაცივით რომ მივაშურებდი ხოლმე. მართალია, ვესნას

ვარჯიშებს საერთოდ არ ვაკეთებდი, მე ჩემი სისტემა მაქვს, მაგრამ, ის რამდენიმეკაციანი ჯგუფური ვარ-ჯიში სტიმულს მაძლევდა და არასდროს ვაცდენდი. მორჩა იოგა! მე მარტო ამის გამკეთებელი არა ვარ. თუმცა ვნახოთ, აქ ხომ ყველაფერი სხვანაირად ხდე-ბა ხოლმე. ეგებ მარტოობამ და შეპარულმა დეპრესიამ იოგაც მავარჯიშოს მარტოს, სახლში. ჩემს ბინას ამხე-ლა „ბარონში" მარტო მე ვეძახი „სახლს" დანარჩნები, „ჩემს ნომერს" ან „ჩემს ოთახს" ამბობენ. საქმე ისაა, რომ ჩემთვის ადგილი, სადაც ვცხოვრობ ქვეყნისა და ტერიტორიის მიუხედავად, ყველა სახლია. ამით გან-ვსხვავდები სხვებისაგან – დედამიწაა ჩემი სამშობლო და ადგილი, სადაც ვცხოვრობ – ჩემი მყუდრო სახლი.

ვესნამ მგზავრობის ფორმა შეავსო და ზედ ხელის მოწერა სთხოვა თავის მარაზმატიკ უფროსს. ასეთი წე-სია. იმან გულდასმით წაიკითხა მარშრუტი: სარაევო, ბოსნია-ჰერცოგოვინა... და როგორ, სამივე ადგილას მი-დიხარო – ჰკითხა? ვესნამ, რომელსაც უკვე ფეხებზე ეკიდა, კიდევ რა სიურპრიზს მოუწყუბდა ის ბებერი იდიოტი, ოლიმპიური სიმშვიდით ბალკანეთის რეგიონ-ის მოკლე გეო-პოლიტიკური ექსკურსი ჩაუტარა. თან ალბათ იმასაც იმედოვნებდა, უმეცრებისთვის ცოტას მაინც დავამცირებო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, იმას ის უფრო გაუკვირდა ბოსნია-ჰერცოგოვინა ერთი ქვეყა-ნა რომ იყო და არა ის, რომ ამის შესახებ, სულ ცოტა „სიენენის" საშუალებით მაინც უნდა ჰქონოდა გაგო-ნილი. ერთი გაფიქრება კი გავიფიქრე, ალბათ, იხუმრა მეთქი, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ მის ერთ-ერთ კვარტალურ ანგარიშში, რომელსაც ახლა განყოფილე-ბების ანგარიშებთან შეჯერების შემდეგ სათავო ოფისში ვაგზავნიდი, ეწერა: „ავღანეთ-რუსეთის საზღვარზე...". მექანიკური შეცდომა მეგონა და თავად ჩავასწორე,

მაგრამ როცა მეორე ანგარიშშიც იგივე შეცდომას გადავაწყდი, აღარ დავინდე და ძალიან რბილად მივწერე „ამას რას მიედ-მოედებით მეთქი". ერთი საათი არკვევდა თავის თანამშრომლებთან, რას ესაზღვრებოდა იმ ადგილას ავღანეთი და როგორც იქნა გაარკვია, რომ უზბეკეთს. უზბეკეთი ისევ რუსეთი მეგონაო, ასე გაიმართლა თავი. რა გასაკვირია, ფრედი ხომ ამერიკელია და ამერიკელებისთვის დედამიწა შეერთებული შტატებით იწყება და მთავრდება. დანარჩენი სამყარო მისი უღიმღამო მომყოლია, სატელიტი. ამიტომ იბრძვიან დედამიწის ყოველი გოჯი მიწისთვის, მნიშვნელობა არა აქვს, ეკუთვნით მათ ეს მიწა, თუ არა. მთელი დედამიწის დირექტორები არიან და მრავალშვილიანი მამასავით ხანდახან შვილების სახელები ავიწყდებათ.

უზრას ძმა ავღანეთის ომში მონაწილეობდა და გადარჩა. მერე დიდი ვაი-ვაგლახით ავსტრალიაში მოახერხა წასვლა და იქ მელბურნის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გულის შეტევით გარდაიცვალა. უზრა და გოგოები ამბობენ, რომ ავღანელი თალიბანები ავღანელებს არ ხოცავენ.

– აბა ვის ხოცავენ?

– მტრებს!

– მშვიდობიან ავღანელებს ვინ ხოცავს?

– მტერი, მესამე ძალა... კატეგორიულად აცხადებს უზრა.

ღმერთო ჩემო, მართლა ერთი დიდი ოჯახია ეს დედამიწა, თორემ ასე ერთნაირად როგორ მიდის ყველგან ყველაფერი. ხომ გახსოვთ, სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომის დროს სულ მესამე ძალას რომ ვაბრალებდით ქართველები ყველაფერს?

თავი 22

„ტაფაში“ „Пятилетка пышных похорон“ დაიწყო. ჯერ ედი გაუშვეს, პროექტის დირექტორი, დიდი ზარ-ზეიმით, მერე კარმელი, თავისი მეოთხე კომპონენტიანად (რომლისგანაც მარტო მე გადავრჩი) და ბოლოს ფრედს, ვესნას უფროსს, მიადგნენ. სამი დღეც არ აცალეს ასაბარგებლად. დარჩა სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციის კომპონენტი, საბაჟო და ადმინისტრაცია. მალე მეც მოვყვები ამ მორევში, მაგრამ ჩემი კონტრაქტი ისედაც მალე მთავრდება და ამიტომ ჯერ არ მერჩიან, თან შვებულება მაქვს ასათვისებელი – ეს წმიდათა წმიდაა!

ჩემი უზბეკი შვილობილი თემურ ნურატდიდოვი ყოველდღე დერეფანში მხვდება და ილიკო და ილარიონიდან ციტატებით და ისევ სიცილით კვდება, როცა რომელიმე ციტატას ვერ ვცნობ. გადავწყვიტე სპეციალურად მისთვის ქართული სუფრა გამეშალა ვესნასგან დატოვებული წითელი ღვინითა და შამპანურით. თემურმა სუფრაზე ყველა ქართულ კერძს თავისი ნამდვილი სახელი უწოდა და მოგების ნიშნად დაამატა, ამ სუფრას მჭადის მეტი არაფერი აკლიაო. მერე არც აცია არც აცხელა, თამადობა დაიწყო. რა გითხრათ, ნამდვილი, ტრადიციული ქართული სუფრა წარმართა თავისი სადღეგრძელოებითა და ლექსებით.

ამას არ ვჩიოდი, ეს „ბარონი“ ბაბილონის გოდოლია მეთქი? ქართველი დიასახლისის მიერ გაწყობილ სუფრას უსხდნენ: ბოსნიელი, ალბანელი, ამერიკელი, გერმანელი, რუსი, კახელი, ლიბანელი, თამადობდა უზბეკი

და მრავალჟამიერს მღეროდა რუსი. თემური ღვინოს იზოგავდა, რადგან სულ ორი ბოთლი გვქონდა, ქალები შამპანურს გეახლებოდით რუსები კი – არაყს. თემური სადღეგრძელოების რიგითობას მკაცრად იცავდა და ღვინოსაც ამის მიხედვით ანაწილებდა.

საიდან იცის თემურმა ეს ყველაფერი? თურმე, ოთხი წელი ქართველ გოგონას ხვდებოდა და ცოლად მოყვანაზე რომ მიდგა საქმე, იქ უზბეკემა მშობლებმა მოიკლეს თავი, ეს გადამთიელი რად გვინდაო და აქ რა მოხდებოდა საქართველოში, თავადაც კარგად წარმოიდგენთ. თემურს შეუთავაზებია, მოდი, ბავშვი გავაჩინოთ და მშობლები წინააღმდეგობას ველარ გაგვიწევენო, მაგრამ ამის გამგონე ქართველ დიაცს, მშობლებზე უფრო გაუგიჟებია თავი, ეს როგორ მაკადრეთო და უგზო-უკვლოდ გადაკარგულა. იმ გოგონას ჩემსავით მანანა ერქვა თურმე. ჩემი კულინარული მონაცემებით აღფრთოვანებული თემური სულ იმას გაიძახოდა, არა, რაც უნდა მომხდარიყო ის ქართველი გოგო ხელიდან არ უნდა გამეშვაო. ახლა უზბეკი ცოლი ჰყავს, ორი ვაჟი და მათ სარჩენად აზია-აფრიკის ცხელ წერტილებში დადის სამუშაოდ. მარტო ავღანეთში უკვე ოთხჯერაა ნამყოფი.

ოთხშაბათია, „ტაფა“ მის დირექტორს, აბდელკადერ ედ ელრაჰალს ემშვიდობება. ასეთ გაურკვევლობაში ახლა რომ ვარ, მაშინ არ ვყოფილვარ, პირველად რომ შემოვდგი ფეხი „ბარონში“ და ყოველი მხრიდან „ექსტრიმი“ რომ მომიწყვეს. თუმცა, განა მარტო მე ვარ ასეთ დღეში? მთელი პროექტი დარეტიანებული ქათამივით დაფართხალებს იქით-აქეთ. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა არ იყოს, არავინ იცის ვისი „სმიჩოკი“ ვის როიალშია. ყველას პროექტიდან მოულოდნელად დათხოვნის ეშინია და მარჩიელობენ, ვის როდის მოუწევს აბარგება. ავღანელებმა არ იციან, რა გზით

გაიქცნენ ამ ქვეყნიდან. უცხოელები კი თავს იკლავენ, როგორმე გაიხანგრძლივონ აქ ყოფნა. ცხოვრება მიდის თავისი გზით, სადღაც მსოფლიოს ყველაზე დაცულ ბანკებში ავღანეთში ნაშრომ-ნაჯაფი დოლარი დოლარს ემატება, აქ კი ბეტონის კედლებიან, მავთულხლართებიან და სნაიპერებიან „კომპაუნდებში" – დღე დღეს, თვე-თვეს და საუკუნე საუკუნეს.

ედი თავს იმშვიდებს და ჩვენც გვაბოლებს, უკეთესი სამსახური ვიშოვე შტატებში, ოჯახთან ახლოსო, მაგრამ მის დასევდიანებულ თვალებში იმასაც კი წაიკითხავ, რამდენი კოლოგრამი დააკლდა ამ რამდენიმე დღეში მის გასიებულ უკანალს, მიხვდები, რომ არც ისე სამხიარულოდ და საზეიმოდ აქვს საქმე. საზეიმოდთქო იმიტომ ვამბობ, რომ ზუსტად სამი დღე უწყობდნენ გაცილებას ჯერ უცხოელი თანამშრომლები, დაცვის მაღალი ეშელონებისა და სამინისტროების დონეზე, შემდეგ ადგილობრივი შტატი, დაბოლოს, „მეგობრები" ვიწრო, ინტიმურ წრეში. უმღეროდნენ დითირამბებს და გრძლად ყვებოდნენ, რა დიდი წვლილი მიუძღვის ავღანეთის რეფორმების „წარმატებით" გატარებაში. ერთი კი ვიკითხე მოკრძალებით, ასეთი მაგარი თუა, სად უშვებთ-მეთქი, მაგრამ გულში ვიკითხე და ბუნებრივია, პასუხი არ მიმიღია.

საქართველოსი არ იყოს, ავღანეთშიც ძალიან უყვართ გაზვიადებული, „წარმომადგენლობითი" შეხვედრები და გაცილებები, გაწელილი, მაღალფარდოვანი გამოსვლებითა და მიძღვნებით. დამანგრეველს ისე გააცილებენ, გამოუცდელ კაცს აღმშენებელი ეგონება. კი გავს ამ მხრივ ავღანეთი საქართველოს, სუფთა აღმოსავლური ნიუანსებით, მაგრამ ფაქტია, რომ ნახევარი საუკუნით მაინც ჩამორჩება ჩვენს „განვითარებად" დემოკრატიას. საქმე ისაა, რომ მათ რუსების ჩექმის გემო ჩვენსავით

ბოლომდე, დედის რძესავით არ შეურგიათ, თორემ ხომ იქნებოდნენ ახლა თუნდაც უზბეკეთივით „წინ წასული“?

რა ვქნა, ვიტირო ედი თუ ვიცინო, აღარ ვიცი. გული რომ არასდროს დამწყდება მის გამო და ასი წელი აღარ გამახსენდება, ეს ფაქტია, მაგრამ, რატომღაც, მაინც მეცოდება და წასვლის წინ მინდა რამით მაინც ვასიამოვნო, თუნდაც, სადილი გავუმართო. ამდენი ხანი ამის სურვილი არ გამჩენია. ესეც იდიოტური ქართული ხასიათია. დღეს დილას ეზოში შემხვდა და იმდენი სურათი გადავუღე, მაიკლ ჯექსონს რომ არ ღირსებია. მერე ერთის გარდა ყველა წავშალე და „ბარონის“ მატიანეს ყოველი შემთხვევისთვის შემოვუნახე.

„გრინ ვილიჯი“ (მწვანე სოფელი) გაეროს დასახლებაა ქაბულში. სულ რამდენიმე კილომეტრითაა „ბარონისაგან“ დაშორებული და ასე სამ-ოთხ თვეში ერთხელ თალიბანების სარაკეტო თავდასხმების სამიზნე ხდება ხოლმე. უკანასკნელი თავდასხმის დროს ოცდაექვსი თანამშრომელი გარდაიცვალა, მათ შორის ბავშვები და ქალებიც და მიუხედავად ამისა, გრინ ვილიჯი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დასახლებაა საერთაშორისო „კომპაუნდებს“ შორის. განსაკუთრებით სახელგანთქმულია იქაური „ბრანჩი“, ანუ ამერიკული ბუფეტი შვედური მაგიდის სტილში.

„გრინ ვილიჯის“ შესახებ ჯერ კიდევ თბილისში მქონდა გაგებული და ვიცოდი, რომ დაახლოებით ისეთი დასახლებაა, როგორც ამერიკული სოფელი დიდ დილომში. „გრინ ვილიჯი“ იმიტომ ჰქვია, რომ ამ გადახრიოკებულ ქაბულში ეს შედარებით გამწვანებული ტერიტორიაა. მართლა სოფელს ჰგავს ერთსართულიანი სახლებითა და ბარაკებით, პატარა მაღაზიებით, კაფეებით, კლუბითა და თაღებიანი სკვერებით. გარემოს მართლა არა უშავს, მაგრამ მათი „კონტეინერები“ (გარაჟის ტიპის

პატარა ბარაკები-ვაგონეტები) სამხეცეს მაგონებს, სადაც კუდის მოსატრიალებელი ადგილიც კი არაა. ჩემი „ბარონის" ოროთახიანი ბინა ამასთან, კემპინსკის ლუქსია. ჰოდა, ფაუსტინომ, რომელიც პროექტიდან ჯერ კიდევ დეკემბერში დაითხოვეს და გაეროს რომელიღაც პროექტს შეაფარა თავი, ძველი მეგობრები „გრინ ვილიჯის" ბრანჩზე დაგვპატიჟა. იმის გამო, რომ ავღანეთში მოახერხა დარჩენა, ფაუსტინოს ბედნიერებისგან გონება დაებინდა და უკვე მეოთხედ გვიყვება „გრინ ვილიჯის" ღირსშესანიშნავობებზე, კერძოდ, სრულიად აღფრთოვანებულია იმით, რომ აქ არის კოკა-კოლას ცენტრი და ნაყინი საუზმეზე.

თავი 23

გზად საბაჟოზე, ბრონირებული ლენდკრუიზერის ფანჯრიდან მთელი ორი დღის ბარდნის შემდეგ თეთრ საბანში გახვეულ, შემცივნებულ ქოხმახებსა და მინგრეულ – მონგრეულ ტროტუარებს გავცქერი. ოთხივ მხრივ აზიდული თოვლიანი გორაკები მედიდურად დაგვყურებენ და კრიალა ცას მზეზე აალებული წვერებით ხვრეტენ. გზის პირას ფეხშიშველა, სიფრიფანა ძონძებში გამოხვეული ბავშვები გუნდაობენ და გზაზე მიმავალ თითო-ოროლა ჩვენნაირ მანქანას თოვლის გუნდებს როგორც ყუმბარებს, ისე ესვრიან. ლოყები უღაჯღაჟებთ და ბედნიერებისაგან თვალები უბრწყინავთ. მოხუცებს თავიანთი ქოხმახების წინ თუნუქის კასრებში ცეცხლი დაუნთიათ, გარშემო შემომსხდარად და ჩაისა და შიშას შეექცევიან. იქვე დათოვლილ დახლზე მზისფერი ფორთოხლის და მწვანე ვაშლების ზვინებია აღმართული. ერთი მოხუცი ურიკას მოაგორებს. ურიკაზე თოვლიდან რაღაც წითელი გამოსჭვივის. მივუახლოვდით და მკაფიოდ გავარჩიე, რომ ის წითელი რაღაც მარწყვი იყო, თოვლში გაფანტული კვასკვასა წითელი მარწყვი. გაკვირვებისგან ხმამაღლა შევყვირე:

– მარწყვი, ავღანეთში, ამ შუა ზამთარში?

– ჰო, მარწყვია, იყიდება, გინდათ? – დამიდასტურა მძღოლმა.

– ნამდვილია, აქაურია, სათბურისაა?

– ფრეშ! – ამაყად და ოდნავ გაკვირვებით მიპასუხა მძღოლმა.

– ფრეშ რომ არის ვხვდები, სათბურისაა, თუ ბაღის?

– ბაღის, ფრეშ! – მოთმინებით გამიმეორა მძღოლმა. მატყუებს, ან თვითონ არ იცის მეთქი, ვფიქრობ.

– აზიზას უთხარით და მოგიტანთ, – მეუბნება.

– საოცარია, რა ლამაზია თოვლში?!

– ძალიან გემრიელია, ჩვენი მარწყვი ადრე მოდის და ძალიან გემრიელია.

სათბურის მარწყვის გემო არ მიყვარს, მაგრამ ამ ჭუჭყიან ურიკაზე, რაღაც მონაცრისფრო ჯვალოზე დაყრილი წითელი მარწყვი ძალიან მიზიდავს. უნდა მოვატანინო აზიზას. ურიკა უკან ჩამოგვრჩა და თვალს მოეფარა. მანქანა მოყინულ ტრასაზე ძლივს მიზოზინებს. საბაჟომდე კიდევ ბევრი დარჩა.

– ზამთარი ფრანების შეჯიბრის სეზონია. თუმცა, წელს რომ ზამთარი გვაქვს, ამისთანაში ფრანებსაც კი დათვებივით სძინავთ. – მეუბნება ჩემი ასისტენტი მუსტაფა – როგორც კი ოდნავ შეშრება, ფრანებით რბოლა დაიწყება ქაბულში და მერე ნახე, როგორ აჭრელდება ცა. ავღანელებს გვაქვს რამდენიმე უსაყვარლესი ტურნირი: ერთი ფრანებით სრბოლაა, მეორე – ბუსკაში, მესამე – მტრედების გადაფრენა და ბოლოს – მარმარილოს ბურთებით კენჭაობა.

– ხუთი კენჭი მეც ვიცი, ბავშობაში ხშირად მიკენჭავია, მაგრამ სერიოზულ სპორტად არ მივიჩნევთ, თან სადაა ამდენი მარმარილო საქართველოში... – „ვეპათხალიმები“ მუსტაფას.

– კენჭაობით ჩვენთანაც ძირითადად ბავშვები ერთობიან, აი ბუსკაში სხვაა, ეს ძველი და ყველაზე საყვარელი შეჯიბრებაა, სუფთა ავღანური.

– მსგავსი რამ ჩვენცა გვაქვს აფხაზეთში და სამეგრელოში – ცხენბურთი, მაგრამ შენი არ იყოს ბუსკაში მაინც სხვაა. ვგრძნობ ისე წავალ აქედან, ბუსკაშზე

ვერ მოვხვდები. ჩემთვის კორიდაზე მოხვედრა უფრო ადვილია, ვიდრე ბუსკაშზე. არადა, ყველაზე მეტად ეგ მაინტერესებს – გულდაწყვეტით ვამბობ.

– მე კი მტრედების გიჟი ვარ. უნიკალური მტრედები მყავს. აი ნახე, – მეუბნება მუსტაფა და მობილურზე ვიდეოთი გადაღებულ თავის სამტრედეს მათვალიერებინებს. – აი, ესენი ამას წინათ ვიყიდე და დიდი ფულიც ჩავანთხლიე!

მუსტაფას სახლის ბანზე აშენებულ სამტრედეში ყელმოღერებით დასეირნობს ოთხი თეთრგულა და ყავისფერფრთიანი მტრედი. კუთხეში მტრედების საჭერი ბადეა აყუდებული. პეპლების საჭერს ჰგავს, ოღონდ ბევრად უფრო დიდია. სხვის მტრედებს სტვენითა და საკენკით იტყუებენ საკუთარ სამტრედეებში. ხანგრძლივი გადაფრენებით გადაქანცული და დამშეული მტრედი ადვილი შემოსატყუებელია და ფაქტობრივად თავად ექცევა ბადეში, როცა გამალებით დააცხრება ხოლმე მისთვის წინასწარ გამზადებულ სატყუარა საკენკს. რაც მეტ მტრედს შემოიტყუებ, მით მეტი ქულა გეწერება. დაკარგული მტრედების პატრონი იწყებს თავისი მტრედის ძებნას და თუ გაიგებს სად არიან დატყვევებულები ეახლებიან ხოლმე „მომპარავს“ და გამოსასყიდს სთავაზობენ. მტრედების ჯიში და გარეგნული ნიშნები განსაზღვრავს მის გამოსასყიდ ფასს. ამბობენ ამ ბიზნესში დიდი ფული კეთდება და, შესაბამისად, საქმე თურმე სერიოზულ კრიმინალურ გარჩევებამდეც მიდის ხოლმე.

– ხედავ, კამერა სულ ერთ მტრედს დაჰყვება, ეს ძალიან ძვირფასი მტრედია. ეს სამტრედე ერთ ძალიან პატივცემულ ავღანელს ეკუთვნის. ამ სამტრედეს სანახავად პროფესიონალი მემტრედეები სპეციალურად დადიან და რომ პატრონს თავიანთი პატივისცემა დაუდასტურონ, ძღვენიც კი მიაქვთ ხოლმე. ამ მტრედის გადაღებას, კი სპეციალური უფლება სჭირდება.

– კი, ვხედავ სხვაობას, ყველა მტრედი შავ-თეთრია, ეს კი თეთრი გულით და ყავისფერი ფრთებით, თან რაღაც სხვებთან შედარებით ძალიან დაკუნთული და ძლიერია. ეს განსაკუთრებული ჯიშის მაჩვენებელია?

– ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეს მტრედი ღმერთის მოციქულია. მას ფაქტობრივად ფასი არა აქვს, იმდენად ძვირია.

– ეს მტრედი რომ მოიპარონ, პატრონი რამდენს გადაიხდის დასაბრუნებლად?

– ასეთი მტრედის გამო ჩემს ბიძას ფეხებში ოთხი მძიმე ჭრილობა მიაყენეს. მერე იმან, საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, ოთხი კაცი ჩაცხრილა კალაშნიკოვით და ციხეში წავიდა.

– მტრედის გამო ოთხი კაცი მოკლა და მხოლოდ ციხეში წავიდაო იძახი?

– ოჰ, ეს დიდი ისტორიაა, მოკლედ კი ასე მოხდა: ბიცოლაჩემის ძმას ერთი ასეთი მტრედი ჰყავდა. მოპარეს და შემოუთვალეს, შენი მტრედი აქა და აქ არისო. იმან ბავშვი გაგზავნა გამოსასყიდი ფასის გასაგებად. ქურდმა იუკადრისა, ბავშვი როგორ გამომიგზავნაო, ბავშვს სილა გააწნა და უპასუხოდ გამოისტუმრა სახლში. ამაზე გაბრაზებულმა ბიძაჩემმა თავად მიაშურა ქურდებს. კამათი, რა თქმა უნდა, ჩხუბში გადაიზარდა და ბიძაჩემი ისე დაჭრეს, რომ საავადმყოფოში გახდა წასაყვანი. როცა საავადმყოფოდან გამოვიდა, მხარზე კალაშნიკოვი გადაიკიდა და კიდევ ერთხელ მიაკითხა მტრედის ქურდებს, ოღონდ ამჯერად მათი რეაქციისთვის აღარ დაუცდია, კარი გაუღეს თუ არა, პირდაპირ სახლში შეაჭრა და ოთხი კაცი იქვე ჩაცხრილა. ამის შემდეგ ერთხანს ციხეში იჯდა.

– ერთხანსო? ახლა რა, გარეთაა? რანაირად, ის ოთხი კაცი გაცოცხლდა თუ როგორაა საქმე?

– ეს დიდი ხნის წინ მოხდა. თალიბანები რომ მოვიდნენ, ციხის კარი გახსნეს და პატიმრები ბიძაჩემიანად გარეთ გამოუშვეს. ამ ამბავს კიდევ ჰქონდა გაგრძელება, მაგრამ უკვე მოვედით საბაჟოში და თუ ხასიათზე ვიქენი, სხვა დროს მოგიყვებით. ოღონდ, ეს რომ ავღანეთში ვინმემ წაიკითხოს, კარგი დღე ნამდვილად არ დამადგება.

– არ წაიკითხავენ, ჩემი „შედევრები" ქართულად იწერება და არა მგონია ბესტსელერი გახდეს და მსოფლიო ენებზე ითარგმნოს. მაინც ვეცდები კონსპირაციულობა არ დავარღვიო – გულწრფელად დავპირდი მუსტაფას, რაც იმას ნიშნავს, რომ მუსტაფა მოგონილი სახელია და ჩემს ასისტენტად არასდროს უმუშავია.

მართლაც ისე გაირბინა დრომ, ვერც კი გავიგე, როგორ მივუახლოვდით საბაჟოს, სადაც სულ სხვა ისტორიების მოსმენა მომიხდა. ეროვნული მაკონტროლებელი სამსახურის ორი თანამშრომელი მელოდა იმის მოსათხრობად, რა კარგია, როცა საბაჟოს ყველა ოფისში სათვალთვალო კამერაა დამონტაჟებული და მათი და კამერების შიშით ავღანელი მოქალაქეები, კერძოდ ვაჭრები და ექსპორტ-იმპორტიორები ავღანელ მებაჟეებს ქრთამს ვეღარ ჩრიან ხელში ყველას დასანახად.

– ეს კამერები ყველაფერს იწერს და ჩვენ საეჭვო კადრებს მაკონტროლებელს გადავცემთ. თვეში ერთხელ, წესით, განყოფილების უფროსი უნდა ითხოვდეს ჩანაწერებს, იმის გასაკონტროლებლად, თუ რა დარღვევები შეიძლებოდა მომხდარიყო ერთი თვის განმავლობაში. ჩენ ვაძლევთ სრულ სურათს, – მიხსნის სამსახურის უფროსი ჰასიბ ჰოსეინი.

– რამდენი დარღვევა გაქვთ დაფიქსირებული მაგალითად ამ თვეში და ვინმემ თუ აგო პასუხი დარღვევაზე? – ვეკითხები, თითქოს მთვარიდან ვიყავი ჩამო-

ვარდნილი და საბაჟოს და ქრთამს ერთმანეთთან ვერაფრით ვაკავშირებდი.

– დიდი ხანი არაა, რაც ეს აპარატურა დავაყენეთ და საბაჟოს უფროსს ჯერ მასალები არ გამოუთხოვია, შესაბამისად, არც არავინ დასჯილა... ერთი კია, ოფისიდან თავისუფლად ველარავინ გადის თვითნებურად, ვერც ვაჭრები შემოჰყავთ თავის' ჭკუაზე ოთახში. რაღაც გზებს მაინც ნახულობენ, მაგრამ რა შედარებაა, „ბაბაუსი" ყველას ეშინია, – ეღიმება ჰასიბს.

– „ბაბაუ" ვინაა?

– ძილის წინ ბავშვებს რომ აშინებენ, დაიძინე თორემ „ბაბაუ" მოვიდაო, ხომ გაგიგიათ, ჰოდა, ჩვენც ასე ვაშინებთ ჩვენს მებაჟეებს იმ კამერებით, წესიერად მოიქეცით, თორემ მოვიდა „ბაბაუ"-თქო, – იცინის ჰასიბი და დიდ ტელეეკრანზე ლაივში მაჩვენებს, რა ხდება ამ წუთას ქაბულის საბაჟოზე. დიდი არც არაფერი, საბაჟოა რა, წინ და უკან დაბოდიალობენ პიჯაკებში გამოწყობილი პაპკიანი კაცები, მათ ჩალმებიანი და უჩალმო ავღანელები დასდევენ და ჰასიბმა ზუსტად იცის, ვინაა ქრთამის მიმცემი და ვინ ამღები.

ჰასიბს უნივერსიტეტი მოსკოვში აქვს დამთავრებული და საბაჟოსთან დაკავშირებულ პირად პრეტენზიებზე, დიქტოფონის გამორთვის შემდეგ, რუსულად მესაუბრება. ჩემში რატომღაც მოძმესა და თანამოაზრეს ხედავს, საბჭოთა წრთობა გამოვლილმა კარგად უწყის, რომ მიკროფონში ბევრი ყბედობა, სულ ცოტა, სამსახურის დაკარგვის პირდაპირპროპორციულია.

თავი 24

მობილურზე ვიღაც ავღანელები რეკავენ ხოლმე და ქალის ხმას რომ გაიგებენ, აღარ გეშვებიან. ჯერ-ჯერობით, მათი თავიდან მოცილების მხოლოდ ორ გზას მივაგენი – ორივე ჭრის. ერთი – უეჭველი, მეორე – ცოტა რთულია, რადგან ამისთვის საჭიროა გვერდზე პაშტუზე მოლაპარაკე მამაკაცი გედგას. პირველ შემთხვევაში გადადებ ტელეფონს გვერდზე და დააცლი იმ ვიღაცას, როდის დახარჯავს მთელ დარიცხულ ავღანებს. როცა მიხვდება, რაც დაემართა, მეორედ აღარ გაბედავს დარეკვას. მეორე ხერხი გუშინ გამოვცადე ჩემს შვილობილ უზბეკ თემურიკოსთან სტუმრობისას. იქ იყვნენ მისი ბოლივიელი ძმაკაცი ანდრესი და ამერიკელ-ავღანელი, გაამერიკელებული სემი. ბოლივიელს ის უფრო ჰგავდა. ანდრესს ავღანეთში ბიზნესი ჰქონდა და მაქსიმალურად ცდილობდა ადგილობრივი იერის მიღებას: წვერიც ჰქონდა მოშვევბული, ავღანურ ყელსახვევებსაც ატარებდა და პაშტუზეც ლაპარაკობდა. სემი წმინდა დაუნტაუნის სლენგს უბერავდა.

– სად მუშაობ? – ვეკითხები

– არსად, ვსვამ და ვეწევი.

– მე ანდრესის პარტნიორი მეგონე.

– ჰო, რა, ასეც არის, ვეხმარები ცოტას.

– რაში ეხმარები? კითხვა ვერ დავამთავრე, რომ ჩემმა ტელეფონმა დარეკა.

– აუ, დაიწყო! წამოვიძახე და ტელეფონი თემურს მივაჩეჩე, ეგებ იმ ვიღაცამ კაცის ხმის გაგონებაზე რეკვის ხალისი დაკარგოს მეთქი. თემურმა ერთხანს ინგლი-

სურ-სპარსულად აგინა და მერე ყურმილიც გადავდეთ. ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონის ზარი ისევ გაისმა და ხაზზე ისევ ის ვილაც დაუდგრომელი „ანანისტი" იყო.

– მოიტა ერთი ეგ ტელეფონი, – მითხრა სემმა და მობილური გამომართვა. წამში ერთი მსახიობის შოუს მაყურებლები გავხდით. საფირს ჩემი მობილური მიკროფონივით ეჭირა და წაწვრილებული ხმით, აი ისე, თბილისელი მორფინისტები რომ „ბაზრობენ" ხოლმე, გრძელ მონოლოგს კითხულობდა, ისეთი საამო იყო სასმენად, რომ მონუსხული ვუსმენდი

– რა ენაზე ელაპარაკება? – ვკითხე თემურს.

– პაშტუზე, – ჩამჩურჩულა მან და ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო; ნუ უშლიო.

– ეს რა ლამაზი ენა ყოფილა, რას ეუბნება? – ძალიან უადგილო და ლოგიკას მოკლებული კითხვა გამომივიდა.

– თვითონ გეტყვის! – აიცილა პასუხი თემურმა – მე პაშტუ არ მესმის. ანდრესი იცინოდა.

– აჰა, დაკიდა და ჭკუა თუ აქვს, ცხოვრებაში მობილურს აღარ გაეკარება, – თქვა სემმა და მობილური მომაწოდა.

– რა უთხარი?

– ერთი ეროვნული ეპოსი წავუკითხე.

– კი გავდა, ძალიან ლამაზად ჟღერდა. პაშტუზე ეპოსიც ისეთივე ლამაზად თუ ჟღერს, როგორც გინება, ხვალიდანვე მასწავლებელს ავიყვან.

– ეპოსი იყო.

– მომიყევი... – თემურს სიცილი აუტყდა.

– ამ ეპოსში მარტო სასვენ ნიშნებს თუ გაახმოვანებ...მოკლედ იმ კაცმა შეიძლება შიშით შენ კი არა, მამამისსაც აღარ დაურეკოს.

– ჰო არა? აბა ვნახოთ! მე კი ეს სპექტაკლი ცხოვრებაში არ დამავიწყდება... „სიმონ, გაიგე?.." – ზუსტად ისე, როგორც თბილისში.

საერთაშორისო ტურისტულ-სამოგზაურო ტელეპროგრამა „ფოქს თრეველ“ დღეს ქაბულს ეძღვნება. ავსტრალიელი ახალგაზრდა მოგზაური ჟურნალისტი ქაბულის უბნებში დადის და ავღანურ წრეებში მოშინაურებას ცდილობს. ეჰ, ამას მეც კი ვცდილობ, მაგრამ „ბარონში“ ძალიან ვერ გაინავარდებ. ამას თავადაც ხედავთ. ავსტრალიელს ამ საქმეში ავღანელი ჟურნალისტები, მათი მეგობრები და დაცვის თანამშრომლები ეხმარებიან. მე იგივენი განძრევის საშუალებას არ მაძლევენ. ყველაფერი რასაც ვეძებდი, იმან იპოვა და გადაიღო. მტრედებზე, რომ გიყვებოდით ხომ გახსოვთ, ჰოდა, ის ჟურნალისტი მტრედებზე მონადირეებს თავად ეწვია, ინტერვიუებიც ჩამოართვა და ის მტრედიპარია ავღანელებიც თავისი „ქურდული“ გაგებიანად ვიდეოზე ჩაიწერა. მერე, ფრანების რბოლაში მიიღო მონაწილეობა. ცნობილ ქაბულელ მეფრანესთან, ნურადთან ფრანის მართვა ისწავლა, საუკეთესო ფრანიც შეიძინა მისგან და მერე, ნურადის თოთხმეტი წლის ბიჭთან „სამარცხვინოდ“ დამარცხდა. კომენტატორი აღშფოთებისგან ვერ ცხრებოდა, ნურადის ფრანით დამარცხება როგორ გაბედაო. ფრანების ტურნირის შემდეგ, ავსტრალიელი ჟურნალისტი ავღანურ სალონში შევიდა, ქალაქურად გამოიპრანჭა, თმები ბრიოლინით გადაიგლისა და ავღანურ „ნიჭიერში“ ქაბულის ვარსკვლავთან, შაკირ ჰაზდასთან ერთად იმღერა (ეს იგივეა, თბილისში ანრი ჯოხაძესთან დუეტში რომ იმღერო).

საღამოს ანდრეიმ დამირეკა და წყვილში პინგ-პონგის სათამაშოდ დამპატიჟა. ძალიან დიდი სიხარულით გავეშურე სპორტული დარბაზისკენ და ამ ხნის განმავლობაში პირველად ვნახე, რომ „ექპატებთან“, ანუ ჩვენთან, ავღანელი მძღოლები მოსულიყვნენ სათამაშოდ. ანდრეი ძლივს სუნთქავდა, მაგიდის მეორე

მხარეს ფეხშიშველი ავღანელი დახტოდა და ისეთ ტოპ-კებს ურტყამდა, ჩემი ტატო ურჯუმელაშვილი გამა-ხსენდა. თვალები გამიფართოვდა, უკვე ნახევარი წელია ხან ვისთან ვთამაშობ წყვილში, ხან ვისთან (რაც ტატო წავიდა, ძირითადად ანდრეისთან ვთამაშობ ხოლმე და უძლიერეს წყვილად ვითვლებით) და ავღანელი მოთა-მაშე აქ ჯერ არ მინახავს.

– რა ხდება? – ვეკითხები ანდრეის?

– ის ხდება, რომ ეს ტოფიკია და არა სტივი, ისე ადვილად ვერ მოუგებ, მომკლა, იმდენს მარბენინებს, მაგარი კონცენტრაცია დაგვჭირდება ამათ მოსაგებად, – ამ ბოლო წინადადებას ანდრეი რუსულად მეუბნება.

– „გუდ ივნინგ მემ", ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე მქვია ტოფიკი და ვარ მძღოლი, ანდრეიმ დამპატიჟა სათამაშოდ, – გამომეცნაურა ლურჯჯინსე-ბიანი, შავგვრემანი, მწვანეთვალება და დაბალბლან-ჟეიანი რიგითი, სიმპათიური ავღანელი ახალგაზრდა კაცი, ასე, 25 – 28 წლისა.

– გამარჯობა, ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნოა, კე-თილი იყოს თქვენი შემოერთება ჩვენს გუნდთან.

ჩვენი ძმაკაცი გარი განზე იდგა და ყურადღებით ადევნება თვალს ანდრეისა და ტოფიკის თამაშს, თან სასიამოვნოდ იღიმებოდა, რადგან იმედი მიეცა, ტოფიკ-თან ერთად ახლა ნაღდად აიღებდა ჩემსა და ანდრეიზე რევანშს. ანდრეი გეიმს სულ რამდენიმე ქულით იგებ-და, ძალიან ძვირად უჯდებოდა მოგება, წვალობდა და გაიძახოდა „არა, ეს სტივი არ არის, სტივი არ არისო" (სტივი გარის ყოფილი მეწყვილე იყო, ორმეტრიანი და უჩვეულოდ მოუქნელი ამერიკელი, ყოფილი სამხედრო ექსპერტი).

– ასეთი ჟინით რომ გებრძოლათ თავის დროზე ავღანეთში, ეგებ, დღემდეც აქ ყოფილიყავით. – შევახსენე ანდრეის მისი დამპყრობლური გენეტიკა.

– ახლა ეგ რუსეთს და ამერიკას ერთად ებრძვის და იმიტომაა ასე გამხეცებული. მე იმპერიის ღირსებას ვიცავ და რუსეთის მაგივრად რევანში უნდა ჩავატარო. – თქვა ანდრეიმ და თავისი მარადიული კოკა-კოლა-ვოდკა მოწრუპა. ლაპარაკის ტონზე ეტყობოდა, რომ ტოფიკისადმი, როგორც ღირსეული მოწინააღმდეგის მიმართ, სიმპათია გასჩენოდა.

– ტატოს შემდეგ ასე არავის ვურბენივარ.

– ჰო? ჰოდა შენ გარისთან წყვილში ითამაშე, მე – ტოფიკთან. ვნახოთ, ვინ და როგორ რევანშს ჩაატარებს.

ანდრეიმ გეიმი „ბოლშე-მენშეთი" მოიგო. მე ტოფიკს დავუდექი და მაშინვე შევამჩნიე, როგორ იუცხოვა ავღანელმა ემანსიპირებულ ქალთან წყვილში თამაში, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ იუკადრისა. პატარა მოთელვის შემდეგ, მივხვდი, რომ საქართველო-ავღანეთის გუნდის ორთაბრძოლა რუსეთ-ამერიკის კოალიციასთან იმთავითვე დამარცხებისთვის იყო განწირული, თუმცა, ამ ავღანელს თავში რა მოუვიდოდა მარტო ალაჰმა უწყოდა მითუმეტეს, რომ პინგ-პონგის ბურთიც ხომ მრგვალია... და მოხდა ზუსტად ისე, როგორც მოხდა. ვერც ანდერეიმ და ვერც გარიმ ტოფიკის და ჩემი თითქმის ვერცერთი მოწოდება ვერ აიღეს, ჩვენ კი იმათ რამდენიმე აუღებელ კომბინაციას ზედ დავაკვდით, რაღაც სასწაულები ჩავატარეთ და ერთი გეიმი ანგარიშით – 21:19 მოვიგეთ. ანდრეი იცინოდა, რა დალიე ასე რომ გადაირიე, მეც დამალევინეო... ტოფიკი ძალიან მორცხვად იდგა თავის ძმაკაცებში და შუბლიდან ოფლს იწმენდდა. მერე მობილურზე დაურეკეს, ბოდიში მოიხადა საქმეზე გამომიძახესო და დაგვტოვა. დანარჩენი მძღოლებიც უკან გაჰყვნენ. ანდრეი იძახდა გავაგრძელოთო – გარიც. სასწაულებრივი ტრიუმფით თავბრუდახვეულს, მე წაგების აღარავითარი სურვილი არ მქონდა და ეგრევე უარი ვთქვი გაგრძელებაზე.

– შენ და გარიმ ითამაშეთ ერთი-ერთზე, მე ძალიან მეძინება, სახლში უნდა წავიდე! – თავი მოვიმკვდარუნე, ჩოგანი მაგიდაზე დავდე, „საერთაშორისო სტანდარტების დაცვით“ მოთამაშეებმა ხელის გულები მივურტყით ერთმანეთს და მხოლოდ ამის შემდეგ, ქანცგაცლილი და ძალამიხდილი დარბაზიდან გამოვლასლასდი. ასე იყო თუ ისე, ჩვენ გაგვიმართლა თუ იმათ უმტყუნა ბედმა, ფაქტია, რომ „ბარონში“ დაგეგმილი „რუსული რევანში ავღანეთზე“ არ შედგა. აი ასე!

მეორე დღესაც ვითამაშეთ, არც მაშინ და არც მერე ტოფიკი აღარ გამოჩენილა, რატომღაც არც სტივი აღარ ჩანდა. ძალიან გამიკვირდა, რადგან მანამდე არცერთი თამაში არ გამოუტოვებია.

– სტივი სად დაიკარგა? – ვკითხე გარის

– სტივი გაუშვეს.

– სად, როდის?

– სახლში, გუშინ.

– ეგ როგორ, კონტრაქტი გაუთავდა? ახლახან არ ჩამოვიდა?

– არა, კონტრაქტით კიდევ ორი თვე ჰქონდა დარჩენილი, უთხრეს პროექტი შეიკვეცა და შემცირებაში მოყევიო.

– რას ამბობ, ეს ხომ კონტრაქტის დარღვევაა, ასე როგორ შეიძლება, ეს ხომ კანტორა არ არის, ამერიკული პროექტია, სტივი რას ამბობს?

– რა უნდა თქვას, დღეს წავიდა, საღამოს რეისით.

– არ გააპროტესტა?

– არა, ამერიკის მთავრობასთან არავინ არაფერს აპროტესტებს, განსაკუთრებით ავღანეთში.

– რატომ, ჯაშუში იყო?

– ეგ მე არ ვიცი, კონტრაქტები ისე აქვთ გაწერილი, ვერ მოედავები, თან ისეთი ადვოკატები ჰყავთ, ჩივილს

აზრი არა აქვს. მოკლედ, წავიდა და ყველამ თავისი საქმე იცის რა!

– სტივის განყოფილება დახურეს?

– სტივი თვითონ იყო განყოფილება, შესაბამისად, სტივის დახურვით არავინ დაშავებულა.

– ეს კარგია, აბა ფრედის და კარმელის განყოფილებას თხუთმეტი ავღანელის სამუშაო ადგილი შეეწირა. კი პირდებიან სხვა განყოფილებებში გადაგანაწილებთო, მაგრამ ავღანელებს ამის მედი არა აქვთ, იძახიან სამ თვეში კიდევ ორი განყოფილება უნდა დაიხუროსო.

სტივის ამბავი ნამდვილად არ მომწონს. არადა სტივი მარტო არაა ასეთ დღეში, უკვე მესამე შემთხვევაა ჩემს აქ ყოფნაში. ადვილი ხომ არაა, კაცი ათას რამეზე დახუჭავ თვალს, გადადგამ ამ ნაბიჯს, წამოხვალ ტერორიზმის ეპიცენტრში და აქ ისეთ სიურპრიზს დაგახვედრებს დამქირავებელი, აზრზეც რომ ვერ მოხვალ. რამდენიმე ნაღმზე ერთად გიწევს ჯდომა: სიკვდილ-სიცოცხლის და უკეთეს შემთხვევაში, სამსახურის ნაადრევად დაკარგვის. იმიტომაა, რომ ამ ბუმბულებიან და ბულბულებიან „ციხეში“ ყველას დეპრესია და ფსიქოზი ჭირს.

მოკლედ, სტივი გულით გამოვიტირე, მერე დავფიქრდი და გამახსენდა, რომ ერთობ გაურკვეველი ვილაცა იყო. ბოლომდე მაინც ვერ გავარკვიე, რომელ პროექტში მუშაობდა. ერთხელ მომესმა, დამტვრეულ დარიზე ლაპარაკობდა ტელეფონით, ვკითხე, სად ისწავლე -მეთქი და მითხრა ბავშვობა ირანში მაქვს გატარებული და ცოტა სპარსული კიდევ მახსოვსო. მგონი ეგ სტივი „შპიონების“ დინასტიის შთამომავალი უნდა იყოს და ამიტომ გაჩნდება და გაქრება ხოლმე ალაგ-ალაგ. ერთხელ მარკ მაკნამარამ მითხრა, „ბარონი“ ჯაშუშებითაა სავსეო, უფრო სწორად „ცერეუშნიკებითო“.

მაკნამარამ ერთი საინტერესო ამბავიც მომიყვა თავის შოტლანდიელ დიდ ბაბუაზე, რომელსაც სამშობლოში ორი პატიოსანი შოტლანდიელი მოუკლავს და ამერიკაში მიმავალ პირველივე გემს აჰკიდებია. გემი ნაპირს რომ მიადგა და მარკის ბაბუა სამალავიდან გამოძვრა, კოლუმბივით მასაც თავი „ინდოეთში" (ამ შემთხვევაში – ამერიკაში) ეგონა. ნაპირზე გადმოსული მიხვდა, რომ ეს ამერიკა კი არა, ავსტრალია იყო, ფული მაგას არ ჰქონდა და საბუთები, თან, ავსტრალიიდან ცივილიზაციისკენ გემები საუკუნეში ერთხელ გადიოდა. რაღას იზამდა, დარჩა იქ, სადაც ბედმა თავისი ფეხით მიიყვანა და სხვებთან ერთად ყამირი ავსტრალიის გატეხვას შეუდგა.

მარკ მაკნამარას საოჯახო საგაზე მუშაობა მისი შთამომავლებისთვის მიმინდვია, მაგრამ არ დაგიმალავთ, როცა ფოტოებზე მარკის სახლი და კარმიდამო ვიხილე – ოკეანის პირას ულამაზეს ლაგუნაში გაშენებული მწვანე კოტეჯი პატარ-პატარა თეთრი ხიდებით, ირგვლიც აბიბინებული კოინდრით, პალმებითა და მომწვანო-მოწითალო-მოიასამნისფრო ხვიარებით, მაშინვე ის ჩვენი ყბადაღებული ლეგენდა გამახსენდა, მინების დარიგების დროს დაგვიანებულ ქართველებს ღმერთმა თავისთვის გადანახული ნაკვეთი რომ უბოძა. ვგონებ, მეორე ნაკვეთი მაკნამარას ბაბუას შეხვდა.

დემონსტრაციები ქაბულში არ მთავრდება. ანდრესი ამბობდა, ხუთი დღეც და ყველა სახლში წავაო, მაგრამ უკვე ერთი კვირა გავიდა და ანდრესის პროგნოზი რაღაც ვერ ამართლებს. ოფიციალური ცნობებით შვიდი მომიტინგე უკვე მოკლულია. გუშინ კი გამოაცხადეს, რომ ქაბულის „რკინის სასახლეში", დედამიწის ზურგზე ყველაზე დაცულ შენობაში (შინაგან საქმეთა სამინისტრო) ორი ამერიკელი (აქ ყველა უცხოელს, ბრიტანელს

ან ამერიკელს ეძახიან, ადრე, ალბათ, რუსს ეძახდნენ...) ესპერტი გარდაცვლილი იპოვნეს. ორივე იარაღით იყო მოკლული.

„ბარონში" ამასთან დაკავშირებით ომობანას გვათამაშებენ. ჩაგვიტარდა თავდაცვის ტრენინგები და სავარჯიშო განგაშის „სირენაც" ორჯერ ჩართეს. ამის ხმას ნამდვილი ომი მირჩევნია, ტვინს მიყინავს და თავის ქალას მხდის. ჯავშან-ჟილეტი იგივე მაქვს, ორი ზომით დიდი, ძვრას რომ ვერ ვუშვები, ისეთი. ამიტომ ისევ სავარძლის უკან მაქვს დასვენებული და ხელს არ ვკიდებ. ხოლო „კასკისგან", როგორც ადრე გეუბნებოდით, აბაჟური გავაკეთე და ახლა იმის დაშლას ვუნდები. ბოლოს, როგორც იქნა, უჟილეტოდ, მაგრამ თავზე „კასკით" შევარღვიე ჩვენი თავშესაფარი, რომელიც, ამავე დროს, მარკ მაკნამარას ოთახია. ოთახში სადილის ისეთი სურნელი და ოხშივარი იდგა, განგაშის დასრულების შემდეგ, იქიდან გამოსვლაზე ყველამ ფეხი აითრია (მაკნამარა მთელ „ბარონში" განთქმული მზარეული იყო), მაგრამ მასპინძელს დიდი სტუმართმოყვარეობა არ გამოუჩენია და იძულებულები გავხდით, ზოზინ-ზოზინით დაგვეტოვებინა თავშესაფარი. მაკნამარასიც მესმის, ოცდახუთი კაცის სამყოფი რეზოტო, მაგას კი არა, „ბელა იტალიასაც" არ აქვს.

კიდევ ერთი ბრძოლის ველი ჩემი და ჩემი ქმრის სკაიპით ურთიერთობაა. ვადიკა მწერს ელექტრონულ წერილებს, სკაიპით გირეკავ და არასდროს მპასუხობო. მე ვპასუხობ – ეს მე გირეკავ და შენ ხარ სულ წასული მეთქი. მოკლედ, იმის მაგივრად რომ ერთმანეთს განშორების ჭრილობები მოვუშუშოთ, პირიქით ვშვებით, სულ მუჭა-მუჭა მარილს ვაყრით ნაიარევს. არადა მშვენივრად ვახერხებ ლაპარაკს ქეთინოსთან, ნოდარიკოსთან, ოკეანის გაღმელ ძმებთან და დებთან და

ვადიკასთან, ზავიც კი ვერაფრით დავამყარე. ბოლოს შევთავაზე, სანამ არტილერიულ თავდასხმებზე გადავსულვართ, მხოლოდ ელექტრონული ფოსტით ვიურთიერთოთ მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, გაამართლა, ან როგორც რუსები იტყვიან, დაიწყო „ზატიშიე პერედ ბურეი!"

თბილისიდან ისტერიულად მირეკავს ქეთინო, ევაკუაციას რატომ არ გიკეთებენო. იქ თურმე ისეთ რამეებს გადასცემენ ავღანეთზე ახალი ამბებით, ჰგონიათ შუაგულ ომში ვარ, წინა ხაზზე. იმათ აქაურ სიტუაციაზე უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე მე აქ „ალჯაზირასა" და „ბიბისის" შემყურეს. „ბარონი" ერთი დიდი ვაკუუმია, სადაც საცდელი კურდღლებივით ვყრივართ, კარგს ვჭამთ, კარგს ვსვამთ, ვერთობით კიდეც და რეალობაზე კი ძალიან, ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის ასე ჯობია, მაგრამ ეს გაუცნობიერებლობა, ტვინს რომ აბლაგვებს ხომ ფაქტია? „ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის!" – ასეა ჩვენი საქმე, მაგრამ პირუკუ. აქ ქვეყანა იქცევა და „ბარონში" თავს იკლავენ, სტრატეგიულ გეგმას ზუსტად ვასრულებთო.

ერთი განყოფილება რომ საერთოდ არ ყოფილა საჭირო, ეს ხომ უკვე გაირკვა და წყალში გადაყრილ მილიონებთან ერთად, ერთი ხელის მოსმით დაიხურა. მეც ამ განყოფილებას ვეკუთვნოდი, თუმცა, ბოლომდე არა და ამიტომ, რაღაც სასწაულით შემოვრჩი, მაგრამ როდემდე, არც მე ვიცი და არც იმ ავადსახსენებელ სტრატეგიაშია გაწერილი „ყველაფრის გარანტად" რომ ჩამოგვირიგეს, თან გაგვაფრთხილეს, ეს არის თქვენი „ბიბლიაო", ანუ შიგაგანაწესი. ჰოდა, ამ „ბიბლიის" მიმდევართა ერთი ნაწილი უკვე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მეორე ნაწილი – სტარტზეა,

მათ შორის მეც, იმ განსხვავებით, რომ მე ჩემი საავღანეთო რესურსი თითქმის, ამოვწურე და ახლა გისოსებში გამომწყვდეულს სულ აღარ მაინტერესებს, როდის დამიძახებენ „დუმბაძე სვეშჩამი!

მოკლედ, ვზივარ ციხე-სიმაგრეში, სადაც ფრანგული სამეფო კარის ინტრიგები დაწყებითი კლასის გაკვეთილებადაც არ გამოდგება. ვინ ვის აბეზღებს, ვინ ვის უთხრის ძირს, აქაც მხოლოდ ურმის გადაბრუნების შემდეგ ირკვევა. გარეთ კი ავღანეთი სისხლისგან იცლება, არამარტო ავღანური სისხლისგან...

როგორც კარმელი ამბობს, „Who Cares?" – მთავარია ეს სისხლისღვრა რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს და „ლიდერებმა" რაც შეიძლება მეტი კაპიტალი დააგროვონ. როცა პროექტს ცხვირწინ უხურავენ, ამბობენ „რა მოხდა, ცხელი ქვეყნებით სავსეა დედამიწაო". მითუმეტეს ახლა, როცა სირიასა და ლიბიაში გაჩაღდა ცეცხლი და მის ჩასაქრობად განვითარებული სახელმწიფოებიდან პროექტების ნიაღვარი დაიძრა სულ ახალ-ახალი სამუშაო ადგილებით „ექსპატრიატებისათვის".

აბა, შენ რას აკეთებ მანდო, მკითხავთ და გიპასუხებთ, რომ იგივეს, თუმცა, ვგრძნობ, რომ პირველად და უკანასკნელად... ამას ბაინც ვერ ავცდებოდი. ასეა გაწერილი ჩემი ცხოვრება: ან კატაკლიზმების ეპიცენტრში უნდა ვიყო, ან ჭაობში. ჰოდა, ახლა პირველის პროცესს ვამთავრებ. სულ მალე ჭაობიდან შემოგეხმიანებით.

ის შვედი ელჩი/მწერალი „ავღანურ წერილებში" რომ წერს, ცვლილებების შეტანა მინდა ამათ ცხოვრებაშიო, სულ ტყუილია. რისი შემცვლელი და გადამრჩენია, ავღანეთი, ერაყი, სირია და მსგავსი განვითარებადი ქვეყნები მისნაირი „მისიონერების" საუკეთესო თავშესაფარი და მყუდრო ნავთსაყუდელია. აქ ყველა ერთნაირად ბედნიერი და განსხვავებულად უბედურია

(ტოლსტოის მოვპარე, მაგრამ ზუსტად ასახავს აქაურ ყოფას და შემერგება). ბედნიერება გაცხადებული და გამოაშკარავებულია, უბედურება კი, გასაიდუმლოებული და ტაბუდადებულივით ლაპარაკობს. ამ კასტის ქალებს სახლში დაბრუნება არ უნდათ, აქვე ცდილობენ თვისტომის მოძებნას და ცხოვრებისეული ღრმულების ამოვსებას. ზოგმა, აქ ოჯახის შექმნაც კი მოახერხა. განსაკუთრებული პოპულარობით დაცვის სამსახურის ჯიშიანი „ბიჭები" სარგებლობენ – ისინიც მიტოვებულები, მარტოსულები და ცხელ წერტილებში მოხეტიალეები. მათ პოპულარობით ოდნავ ჩამორჩებიან უცხოურ პასპორტზე და „გრინ კარტაზე" მონადირე ავღანელი ვაჟები/ჟიგოლოები, რომელთათვისაც „მისიონერი" ქალები სწორედ ამ ღირებულებებთან ასოცირდებიან.

მე მყავს ოჯახი, მოსიყვარულე ქმარ-შვილი, შვილიშვილები, მაქვს უკვე ასაკი, რომელიც ქართველი ქალისთვის სავსებით საკმარისია დასვენებისა და სიმშვიდის მოსაპოვებლად, მაგრამ ამავე დროს, მყავს პენსიონერი ქმარი და მაქვს არასტაბილური სამშობლო, რომელიც ორმოცწლიანი აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ გვიხდის ასათ ლარ პენსიას, არ გვაძლევს სამუშაოს, პოლიტიკური და იდეოლოგიური არამდგრადობის გამო სამათხოვროდ და დედამინის ზურგზე სახეტიალოდ ვყავართ განწირულები. აი, რატომ ვაფარებ თავს ავღანეთს, რომელიც ზუსტად ასე ექცევა ჩვენ არა და – თავის მოქალაქეებს.

აქ მე ბურკაჩამოცმულ ქალს ვგავარ, რომელსაც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საკუთარი ქმრის ფიზიკურ, თუ სულიერ პოტენციაზე, ქონებრივზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და მაინც დაჟინებით ცდილობს ფსკერამდე ჩაყვინთოს ამ უძირო ოკეანეში და იქიდან თავისთვის რაღაც ფასეული ამოიღოს. ჰოდა, დავი-

წყე ავღანეთზე წიგნის წერა. ვნახოთ, სადამდე მეყოფა სუნთქვა და რა „თვალ-მარგალიტი" ამომყვება ზედაპირზე. რა უბრალოც უნდა იყოს ჩემი მონაპოვარი, ვიცი, რომ მაინც ავღანური ქვებივით განსხვავებული და თვალისმომჭრელი იქნება.

დღეს, დარის გაკვეთილზე, რომ იტყვიან, მეორე სუნთქვა გამეხსნა. ისეთი აქტიური და შედეგიანი ვიყავი, საკუთარი თავით აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი. საერთოდ, ძალიან მიჭირს დარის სწავლა, რთული ენაა, თან ლოგიკას არ ექვემდებარება. ამიტომ, მისი ასაკში სწავლა, მე თუ მკითხავთ, გმირობის ტოლფასია. არადა მათემატიკასავითაა – ამოცანას ამოხსნი და საოცარი თვითკმაყოფილება გიპყრობს, თავი მაგარი ვინმე გგონია. ზუსტად ასეთი კმაყოფილი ვარ დღეს, მიზეზი კი ის არის, რომ იმაზე ცოტა მეტი ვიმეცადინე, ვიდრე ვმეცადინეობ ხოლმე. ასეა, ქართველი ვარ – ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი!

კარმელის გამოშტერებულობას საზღვარი არ აქვს, სამჯერ გაგზავნილ ტექსტს მეოთხეჯერ მთხოვს, აღარ ახსოვს, რომ ერთი თვეა უკვე თითქმის ყოველდღე ვუგზავნი. ნეტა სად მიაქვს? მესმის კარმელის. ის ზუსტად იმ კატეგორიის ქალებს მიეკუთვნება, რომელსაც ორმოცდაათი წლის ასაკში არც ოჯახი აქვს, არც სამეგობრო მიჯაჭვულობა სჭირს და მთლიანად ცხელი წერტილების არსებობაზეა დამოკიდებული. რამდენიმე დღის წინ განყოფილება დაუხურეს (ამაზეც ზემოთაც გიყვებოდით) და ახლა ოფისის სავალდებულო „ვრეპინგ აპს", ანუ „დაახვიეს" აკეთებს. ამის კეთება და სამსახურის დაკარგვა ერთად როგორი გადასახარშია, თავად მიხვდებით, რა თქმა უნდა, გამოცდილი თუ გაქვთ.

კარმელმა ოფისი დახურა და წასასვლელად გაემზადა. მე მის გაცილებას ვერ დავესწრები, რადგან ამ

დღეებში გაზეთების მსოფლიო ასოციაციის მორიგ კონ-
გრესზე მივემგზავრები დუბაიში. ხოლო იქიდან დაბრუ-
ნების შემდეგ ერთ თვეში, მისი და პროექტის ყოფილი
ხელმძღვანელის სიბრძნისა და გამჭრიახობის წყალო-
ბით, მე და რამდენიმე წამყვანი სპეციალისტი ერთად
გამოვემშვიდობებით „ტაფასა“ და „ბარონს“, ოღონდ ავღა-
ნეთს – არასდროს!

თავი 25

მსოფლიო გაზეთების ასოციაციის (WAN) შუა აზიის მედიის პრობლემებისათვის მიძღვნილი კონფერენცია 2012 წლის 28 – 29 მარტს გაიმართა. შუადღეს ჩავედი დუბაიში. სასტუმროში რომ მივედი, კონფერენცია უკვე დაწყებული იყო. პირდაპირ საკონფერენციო დარბაზს მივაშურე, გავიარე რეგისტრაცია, ავკრიფე ჩემი „ქეისი" და ბოლო რიგებში მოვკალათდი. კონფერენცია ძალიან მდორედ მიდიოდა, რასაც მოვუსმინე, იმან მაინც და მაინც არ დამაინტერესა. ვფიქრობდი, როგორ შეიცვალა ეს სამყარო და მასთან ერთად WAN-იც. სად არის ის ცეცხლი და ქარიშხალი, WAN-ის კონფერენცია-კონგრესებზე რომ ჩაღდებოდა (პირადად მე ექვსს მაინც ვარ დასწრებული და თვითმხილველის ენით გელაპარაკებით)? გაზეთი „მარილზეა გასული" და ამ პროცესს უკან ველარაფერი დაატრიალებსო, რომ ამბობენ მავანნი, ეტყობა, მართალია. ამაზე დუბაის კონფერენციის „მრავალფეროვნებამ", „დინამიკამ" და „სისხლსავსეობამ" დამაფიქრა. ვიდრე დიდ პესიმიზმში გადავიჭრებოდი, სადილის დრომაც მომიწია და თავი „გრანდ მარიოტის" „პიანო ჰოლში" ამოვყავი.

სადილი აღმოსავლური ფუფუნების თვალსაჩინო ნიმუში იყო: ძალიან უხვი, გემრიელი და მრავალფეროვანი. ზუსტად ისეთი, როგორიც შეეფერება კულტურული მრავალფეროვნებისა და კოსმოპოლიტიზმის მექას – დუბაის. ტკბილეული ისეთი ლამაზი და თვალისმომჭრელი იყო, ისეთი სურნელი ასდიოდა, თავი ვერ შევიკავე და

ოთხთვიან უშაქრო დიეტას უსირცხვილოდ მივაყარე მიწა. მერე ისე გავბრაზდი, საკუთარ თავზე ჯავრი რომ ვერ ვიყარე, არაბი ჟურნალისტი ქალების ქარ-ცეცხლში გატარებას მივყავი ხელი.

მე: „ვითომ ჩადრები ახურავთ, თავსაბურავებში არიან გახვეულები, სამაგიეროდ ისეთი მოტმასნილი შავი, კოჭამდე გრძელი კაბები აცვიათ ლერწამივით თხელ, თეძო და მკერდ მაღალ სხეულზე, სექსუალურობით ყველა ძუძუ და ბაყვებგადმოყრილ, ემანსიპირებულ ჟურნალისტს უბეში ჩაისვამენ. წელზე ფართე ოქროსფერი ქამარი აქვთ შემორტყმული და ისე ჭრის თვალს, უბრალო მოკვდავი თუ ხარ, მორცხვად დაგახრევინებს თავს“. ეს არის ჩემი მონოლოგი, ხმამაღალი ფიქრი, რადგან პირველად ხდება, რომ WAN-ის კონფერენციაზე ნაცნობის ჭაჭანება არაა და პასუხის გამცემიც არავინ მყავს.

Next Generation („ახალი/მომდევნო თაობა“) – ასე ჰქვია სესიას, რომელსაც მინდა, ბოლომდე ძალიან სერიოზულად მოვუსმინო. სესიის ანოტაციიდანაც იმ-თავითვე ნათელია, რომ WAN-ის აღმოსავლური ფრთის მესვეურთ მიუჩნევიათ, რომ შუა აზიაში რევოლუცია და ევოლუცია სწორედაც რომ ამ სფეროდან უნდა დაიწყოს, პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს და განადგურდეს ყველა ბეჭდვითი ორგანო და გამომცემლობა და ყამირზე ახალი და ნოვატორულ/რეფორმირებული უნდა აღმოცენდეს, უცხო თესლიდან – ახალი ჯიშის გამოყვანას აპირებენ. რისი მიღება სურთ, უთუოდ, თავად აქვთ ჩაფიქრებული და ამას რიგით კონფერენციაზე არავინ გაგიმხელს ბოლომდე.

მე: აბა თქვენი ჯერიც დამდგარა, რაღა გიჭირთ, რა დღეშიც მთელი ქართული ჟურნალისტური სკოლა და ბეჭდვითი მედია აღმოჩნდა ამ ოციოდე წლის რეფორ-

მირების შედეგად, ზუსტად იგივე დაგემართებათ თქვენც და მერე გვიანი იქნება თითზე კბენანი... – ესეც ჩემი მონოლოგია, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მოპასუხე გვერდით არავინაა. – ისევ გამოცდილებიდან მოგახსენებთ, რომ ექსპერიმენტი მეტწილად სცილდება, ხოლმე, აღებულ გეზს და მოლოდინის ნაყოფი, ანუ შედეგი, მოლოდინს აჭარბებს, ანუ ბავშვის მაგივრად რაღაც მუტანტი შეგრჩება ხელში, რომლის შემდგომი ქმედებები არამცთუ დასახულ გეგმას, წინასწარმეტყველებასაც კი არ ექვემდებარება.

გამომცემლობებში შტატის შეკრება სულ ახალი ტიპის სამუშაოს აღწერილობებით ხდება. აღმასრულებლების სამუშაო აღწერა უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე შემსრულებლების, რადგან დღევანდელ მსოფლიოში კატასტროფული სისწრაფით იცვლება საგაზეთო ბიზნესის წარმოება, გაზეთის ფორმა და შინაარსი და რაც მთავარია – კონცეფცია და ფილოსოფია. დღეს სახეზეა მულტიმედია ოპერაციები, რაც მელნით ნაბეჭდი გაზეთის უკუპროპორციულია. მსოფლიოში ახალი ტიპის მენეჯერებზე ნადირობენ. ეს სახეობა კი შუა აზიასა და საქართველოში ჯერ კიდევ გამოსაყვანია. ასეთმა მენეჯერებმა ძირფესვიანად უნდა შეცვალონ გაზეთის სტრატეგიული ფუნქციები. საკადრო ცვლილებები ამ მიზნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია და რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს, რათა ახალი თაობის მედიალიდერებს გზა გაეკვალოთ დამოუკიდებლობის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ნათელი მომავალისაკენ.

სამოცი ათასი წიგნი დაწერილა და გამოცემულა ლიდერობაზე. იორდანიის პრინცესამ, რომელიც WAN-ის შუა აზიის კონფერენციის საპატიო სტუმარი იყო, განაცხადა „ლიდერობა“ კი არა „მსახურებაო“. მე მჯერა

რომ გაზეთს ჯერ კიდევ დიდი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოების ჩამოყალიბებაშიო. განსაკუთრებით დამაჯერებლად იორდანიის პრინცესასგან, რა თქმა უნდა, ფორმულირება „მსახურება" ეღერდა.

Embrace the Future – create your own future! (დაეუფლე მომავალს, თავად შექმენი საკუთარი მომავალი!) – ამ ჭეშმარიტების მქადაგებელმა ინგლისელმა დევიდ ბეტლერმა დარბაზს მიმართა, აბა, ვინც ლიდერი ხართ, ფეხზე წამოდექითო. თავიდან ათიოდე კაცი/ქალი წამოდგა, პირველი – ვილაც ეღალი თმახუჭუჭა ქალი. მერე მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და იმ მოქადაგემ გაიცინა, აი, ხომ ხედავთ დარბაზი ლიდერებითაა სავსეო.

მერე დიდ ბილბორდზე ვერტიკალურად, ზევიდან ქვევით დაწერილი სიტყვა LEADERSHIP გაგვინათა და ყოველ ასოს ის სიტყვა მიუსადაგა, რომელიც ლიდეროობის კრიტერიუმად და იარაღად მიაჩნდა. ასე მაგალითად: L – Listen (მოსმენა), Learn (სწავლა); E – Envision (წარმოსახვა/წარმოდგენა); A – Authentic (აუთენტური); D – Decide (გადაწყვეტა), R – Risk (რისკი); S – Sustainable (მდგრადი); H – Humble (მოკრძალებული/მორიდებული) Human (ადამიანი); I – Improvise (იმპროვიზება); P – Passion (განცდა/ვნება).

როგორც იქნა მეღირსა მსოფლიოში სახელგანთქმული დუბაის მოცეკვავე შადრევნის ხილვა და მოსმენა. ეს არაბები უეშმაკესი ხალხია და დუბაი ხომ ყველაფრის და განსაკუთრებით კი ფულის მახე, კაკანათი, სასიამოვნო და ნებაყოფლობითი – მოკლედ, რაც გინდა დაარქვი – გლობალური ბაზარი. ეს საოცარი შადრევანი დუბაის გრანდიოზული სავაჭრო ცენტრისა და ახალ ცათამბჯენებს შორისაა განთავსებული. შადრევანი დაგრეხილი აუზიდან ამოდის და მხოლოდ ათი წუთი ცეკვავს.

ჰოდა, ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენი პრეზიდენტი განა ყოველთვის ტყუის, როცა თავისას სხვა ქვეყნის შადრე-

ვნებს ერთმანეთს ადარებს? თქვა, ბათუმის შადრევანი მსოფლიოში საუკეთესოაო და ასეცაა, ჩვენი უფრო გრანდიოზულიცაა და მგონი, უფრო დიდხანს და ენერგიულად ცეკვავს. დუბაის შადრევანი ნახევარ საათში ერთხელ ირთვება და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჰანგებზე ცეკვავს. პირველი ათწუთიანი შოუ ჩინურ მუსიკაზე იყო აწყობილი. ვიშიშვლე ფოტოაპარატი და ვიდრე ფოტოსესიის ეშხში შევიდოდი, ყველაფერი დამთავრდა. ჩემსავით ახალბედა ტურისტებმა ჩემსავით დაუმალავად გამოთქვეს უკმაყოფილება ხანმოკლე სიამოვნების გამო და დროის მოსაკლავად, შადრევანის წინ მოციმციმე „ოქროს ბაზარს" და „დუბაი მოლს" მიაშურეს. რუსი ტურისტები კი, რომლებითაც გადავსებულია სრულიად დუბაი, ამბობდნენ „ხაროშევო პო ნემნოშკუო".

აი, სწორედ აქ ძევს არაბთა ეშმაკობის გასაღები. შადრევანი, რომელიც ყოველ ნახევარ საათში ირთვება, იძულებულს გხდის ის ნახევარი საათი და მეტიც სავაჭრო ცენტრში გაატარო, სადაც ისე გაგატყავებენ და გაგფცქვნიან, რომ გამოფზილებასაც ვერ მოასწრებ. მიზეზი კი ისაა, რომ იმაზე ფიქრობ, მეორე შოუზე არ დაგაგვიანდეს, წინაზე უფრო ლამაზი, ნაცნობი, ზოგადსაკაცობრიო და ხანგრძლივი მუსიკა მოისმინო. ხოლო ის, რომ გრანდიოზული ვაჭრობის შემდეგ შადრევანის ყურებაში ფულს არავინ გთხოვს (და ასეთი ეს ერთადერთი ადგილია დუბაიში), უდავოდ, შვებაცაა და ნუგეშიც.

მეორე შოუ მართლაც უფრო სასიამოვნო აღმოჩნდა. არაბულ მუსიკაზე დუბაის შადრევანი ბევრად უფრო მხიარული, ელასტიური და სასმენად საამური იყო, მაგრამ, კვლავ ძალიან ხანმოკლე. როგორ მოახერხეს არაბებმა თავიანთი გაწელილ-დაუმთავრებელი ბაიათების ასე შეკრეჭა-შეკვეცა აზრზე ვერ მოვდივარ. თუმცა, რა მიკვირს, ყველა ფოკუს – მაგია და სასწაული მაგათი მოგონილი არ არის?

კონფერენცია გახურდა: არაფერს გვაჩვენებენ შუა აზიელები. სამაგიეროდ, ყველაფერი სამზეოზე გამოიტანეს ამერიკელებმა, ევროპელებმა და შორეული აზიის წარმომადგენლებმა. რა ვიფიქრო აღარ ვიცი – არა აქვთ არაფერი საჩვენებელი, მალავენ თუ – კიდიათ? არადა, მათი გაზეთები ბრდღვიალებს ხარისხისგან. თუ არა აქვთ – საიდან? თუ არ იციან – როგორ? მშვიდად უსმენენ, როგორ ასწავლიან ზემოხსენებულნი ლიდერობას მედიის სფეროში, ახალი ამბების უახლეს მეთოდოლოგიებს, ფულის კეთების ტექნოლოგიებს, ბიზნესის წარმოებას და ა.შ. ესენიც მორჩილად უსმენენ, უსმენენ... რამეთუ „სინდისი ჰქენჯნით", რომ მაგათ ბრდღვიალა ჟურნალ-გაზეთებს ნავთობის სუნი უდით.

დუბაი ის ქალაქია, რომელშიც დამებადა კითხვა: ამ ქალაქში ვინმე ცხოვრობს? აქვთ სახლები, ბინები, ოჯახები, თუ მთელი ქალაქი მარტო სასტუმრუები, რესტორნები, გასართობი კომპლექსები და სავაჭრო ცენტრებია? ამ კომპლექსებში მომსახურე პერსონალი ან ჩინელია, ან ვიეტნამელი, ან კამბოჯელი, ან იაპონელი, ან რუსი. მომხმარებელი – კი მსოფლიო. მაშ, სად სძინავს გაერთიანებული ემირატების ძირძველ მოსახლეობას? დავიჯერო ყველა ვილაზეა და ფეხის გულებს იფხანს? ან დიდი საანგარიშო „ჩოთქი" უჭირავს და შემოსავალს ითვლის? მინდა, მინდა პასუხი ამ სულელურ კითხვაზე, რომელიც აქ ჩამოსვლისთანავე გამიჩნდა და პასუხს კი ვერ ვეღირსე. ბოლოს, ეს კითხვა პორტუგალიელ ტაქსის მძღოლს დავუსვი. იმან მიპასუხა, აქ არაბები არ მუშაობენ, აქ ჩვენ ვმუშაობთ მაგათზეო. ვერა გენაცვათ, ვერაფრით დავიჯერებ, რომ ამ 26 საუკუნოვან ქვეყანაში ყველაფერს სხვა აკეთებს, მისი მარტო ფული ჩხრიალებს და ნავთობი დულს მეთქი, შევეკამათე მძღოლს და იმან მითხრა, აბა ვისაც გვჯერა გაგვატარეო.

ეს რომ არ დავწერო არ შემიძლია: კონფერენციის მსვლელობის დროს, დარბაზში შემოვიდა ერთი „ჩრდილოეთის დედოფალი“, თეთრი-თეთრი, ქათქათა, დიდი საჯდომითა და მსუქანი ბარკლებით. ეცვა ტაფტის შავ-თეთრი კუბოკრული მოკლე კაბა. მოკლე ძალიან რბილად ნათქვამია. ქუთაისში ამას „რაღა დაგიმალოს“ ეძახიან. ძლივს შემოეკვეტა ჩვენს წინა რიგში და ზუსტად ჩემს გვერდით მჯდომი თეთრ შალვარ-კამიზში და ჩალმაში გამოწყობილი არაბის წინ დაიწყო სკამზე მოკალათება. წაიკუზა და თავისი ჩანთა იატაკზე, სკამის ფეხთან მოათავსა, შემდეგ კაბის კიდე გაისწორა, რომელიც ძლივს უმალავდა საშვილოსნოს ყელს და როგორც იქნა, დაჯდა. როგორც იქნა მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მის უკან მჯდომ, არაბ გამომცემელს თვალსა და ხელს შუა ალები დაეწყო, სისხლმა ტვინში აასხა და სიმწრისაგან თვალები დახუჭა. ამ ქალის ადგომას და კოლეგა არაბის საცოდაობის ყურებას რომ ველარ გავუძელებდი, მივხვდი და სანამ სიცილი წამსკდებოდა, ბოლო რიგში გადავბარგდი.

აქ, დუბაიში, ქართველი ქალების სულ ერთი, ყბადაღებული გამოთქმა მახსენდებოდა: „რად მინდა, ვის გავეპრანჭო, გათხოვებას მე აღარ ვაპირებ და...!“. რატომ გამახსენდა? იმიტომ, რომ აქ დუბაიში რომ დავდივარ მაღაზიებში და ჩადრით სახედაფარულ ქალებს ვუყურებ, როგორ გამოდიან პიერ კარდენის, კარტიეს, ვალენტინოს და სხვა მაღალი ბრენდის მაღაზიებიდან სავსე ყუთებითა და ძვირფასად შეფუთული ჩანთებით, მეტი კითხვა არ მებადება. ამ შავი კაბების მატარებლებს რად უნდათ ამდენი ძვირფასი საქონელი, ვის უნდა აჩვენონ ან სად უნდა ჩაიცვან? ნუთუ ეს ყველაფერი ერთი კაცისა და მისი რამდენიმე ცოლის თვალის „დასათხრელად“ კეთდება? ისე, ეს კაცები ერთი წუთითაც

არ ტოვებენ თავიანთ თავიდან ფეხებამდე „შეფუთულ“ ქალებს. როცა ქალი „საშოფინგოდ“ მაღაზიაში შედის, ისინი დიდი მოთმინებით საათობით ელოდებიან მას. საათობით მომლიდინე კაცის გვერდით ხშირად ეტლში ჩაძინებული ბავშვიც დამინახავს. მოკლედ, როგორც ვატყობ, ეს არაბი კაცები, არც ისეთი საშინელები, მტარვალები და მოძალადეები არიან, როგორც გვასწავლიდნენ. ანუ, არც ისე საშიშია ეშმაკი, როგორც ფურცელზე ჯღაბნიან.

ეს საცოდავი ჩადრი და შავი კაბა, ტრადიციაა და წესი, რომელსაც გინდა თუ არა, ორივე უნდა დაემორჩილოს. ასეთია ცხოვრება ამათ „პლანეტაზე“. რა არ იფაფხურეს ამათმა მეფეებმა, ზოგმა მოახერხა და თავისი ქვეყანა ერთი ხნით გააევროპულა, მაგრამ არა შეჯდა მწყერი ხესაო, ხომ გაგიგიათ, ვინ შეარგო, ვინც ეს გააკეთა ზოგი თავისი ამალით დღესაც ამერიკასა თუ ევროპას აფარებს თავს, ზოგი ძელზე გასვეს და ზოგიც თავისი ნებით ჩაძვრა უკან შალვარ-კამიზში და თავზე ჩალმა შემოიდო. რას იზამ პეტრუხა, „ვოსტოკ დელო ტონკოე!“

ახლა დუბაის კიდევ ერთ ღირსშესანიშნაობაზეც უნდა გესაუბროთ. ეს არის მოვლენა, ფენომენი, რომელსაც „რუსები დუბაიში“ ჰქვია. „გრანდ მარიოტში“ცხოვრება მდორედ მიედინებოდა, აკადემიურ შეხვედრებსა და ბრტყელ-ბრტყელ სესიებს შორის. სასტუმროს მომსახურე პერსონალი დაბალ ტონებში გვევლებოდა თავს, კონფერენციის მონაწილე ჟურნალისტებისა და გამომცემლების აქტიურობა ზომიერად დინამიური იყო, შუა აზიელთა პრეზენტაციები თავშეკავებული, ამერიკელები კი ცდილობდნენ დარბაზისთვის ცეცხლის შენთებას, თუმცა, მთლად ისე ვერ ახერხებდნენ, როგორც თვითონ უნდოდათ, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნავთი

და ბენზინი არაბების ხელში იყო და ამერიკულ-ევროპულ „ტინგიცობას" აღმოსავლური სიდინჯე და სიდარბაისლე დაუპირისპირეს. კონფერენცია ასევე დინჯი და დაიბაისლური სადილით დამთავრდა და მე, მაშინათვე, უფრო იაფფასიან და შედარებით „პროლეტარულ" „სითი მაქს" ჰოტელში გადავბარგდი.

შევადგი თუ არა ფეხი ფოიეში, თავი სოჩაში მეგონა, ან აგუძერაში. ჰო, აგუძერაში უფრო, რადგან ჯერ ეს ერთი, აგუძერას უკეთ ვიცნობ და მერეც მეორე, აგუძერა უფრო პროლეტარული იყო, წმინდა რუსულ მუშათა კლასს ემსახურებოდა და, მაშასადამე, სწორედ იქ ტრიალებდა ნამდვილი მუშურ-გლეხური რუსული სული. იგივე რუსი ქალები და კაცები, ხელკავგაყრილები და ცხვირაწეულები რომ დასეირნობენ „ბულვარზე". კაცებს მეორე ხელში თავიანთი ქალების ჩანთა ან „ავოსკა" უჭირავთ და ორივეს მზისგან დამწვარ და აჭარხალებულ სახეზე ტონა მზისდამცავი კრემი უსვია.

სასტუმროს პერსონალი შესანიშნავად ლაპარაკობს რუსულად, ვინაიდან იმპერიალისტური რუსეთის მუშათა კლასი ვერ და არ ლაპარაკობს ინგლისურად. მოკლედ, ჩვენ რომ რუსები „გავყარეთ" საქართველოს ზღვისპირა კურორტებიდან, უკლებლივ ყველა აქ, ემირატებში გადმობარგებულა. ღამეში მინიმუმ ას დოლარს იხდიან და არცერთ გასართობ ღონისძიებას და ექსკურსიას აკლდებიან. დასვენება, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, როგორი ორგანიზებული იციან.

პლიაჟზე ავტობუსით მივყავდით, ის ავტობუსიც რუსებით იყო გაჭედილი. ჩასხდომის რიგს არავინ არღვევდა. მე მათ არ ველაპარაკებოდი, მხოლოდ ვუსმენდი, ასე მეგონა, დროის ჩარხი უკუღმა დატრიალდა და ყველა ერთად 30-40 წლის წინანდელ ზღვისპირა საქართველოში გადმოგვისროლა: იგივე დიალოგები,

იგივე ურთიერთობები, განწყობები და ემოციები. ეს ის ძველი „ოტდიხაიუშჩიე" რუსები იყვნენ, რომლებიც ძალიან ღიად ყვებოდნენ თავიანთ ოჯახებზე, ნათესავებზე, სამსახურზე, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში მთლიანად მოშლილა.

– ჩვენები უმაღლესი განათლებითაც ვერ შოულობენ სამსახურს, აქ კი ყველა დასაქმებულია, – ჩიოდა სტაფილოსფერთმიანი ხნიერი ქალი.

– ამიტომაა ჩვენი გოგოები რომ გარბიან რუსეთიდან და ამათზე თხოვდებიან, ჩემი დისშვილი მეოთხე ცოლად გაჰყვა არაბს, დაქალმა დააკვალიანა, ახლა უკან გამოიქცა და ბავშვს ვერაფრით იბრუნებს, – ხმა აუბა მეორემ, ძალიან გამხდარმა და უფრო ინტელიგენტურმა.

– რატომ?

– ამათი კანონით, ცოლი ისევ რუსად რჩება, ბავშვი კი არაბია და მამას ეკუთვნის. მოკლედ, თუ ქალმა გაყრა დააპირა, ვერც ქონებას წამოიღებს და ვერც ბავშვს წამოიყვანს.

– მერე ამაზე გათხოვებამდე ვერ იფიქრა?

– საქმეც ისაა, რომ ვერ იფიქრა, გაგიჟებულები არიან ეს ჩვენი გოგოები არაბებზე... (გახსოვთ, ლამაზი რუსი ქალებით ახორხლილი ქართველი ბიჭები აფხაზეთში? ჰა,ჰა,ჰა!!!, რა მარტივია ეს ცხოვრება! სტალინი შეცვალეს და ქართველი ბიჭების არაბებით, თურქებით, ბერძნებით, ეთიოპიელებით და ა.შ. შეცვლას რა უნდა?)

პლიაჟიც, ასევე, საშუალო ფენის რუსებითაა მოფენილი. კვარიათსა და ქობულეთში რომ ჩითის კაბიან და ჩალის შლაპიან ქალებს ცხელი სიმინდი, ცივი ხილი და სასმელები დააქვთ, აქ შუა ხნის რუსი ქალები კატალოგებით დასეირნობენ ქოლგებსა და შეზლონგებს შორის და დამსვენებლებს ქურქებსა და ტყავის საქონელს სთავაზობენ. პლიაჟზე რუსების გარდა აქა-იქ ყოფილი

საბჭოთა კავშირის აზიური ნაწილის თითო-ოროლა წარმომადგენელიც დავინახე. მათზე რუსმა ქალებმა „ნაშიო" თქვეს. მე დაჟინებული მზერით მათვალიერებდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ „ნაშის" კატეგორიას ვეკუთვნოდი, თუ სხვას. კითხვას კი ვერ მიბედავდნენ, არადა ეჭვი ჰქონდათ, რომ მათი ნალაპარაკევი მესმოდა. მეც ვუყურებდი და ხმას არ ვცემდი, ასე მერჩივნა, ასე უფრო მეტს ვიგებდი მათ დღევანდელ ყოფაზე, რომელიც როგორც ვატყობ, არც თუ ისე ცუდია, როგორც ჩვენები გვიკიჟინებენ. მე დაწვრილებით მოვისმინე მათი დასვენების განრიგი და ტურისტული მარშრუტი და როცა ჩემსას შევადარე (საკმაოდ ძვირიანს), აღმოჩნდა, რომ იმათი გაცილებით მრავაფეროვანი და ძვირი იყო. იმ წუთასვე ჯანსაღი კონკურენციის ჟინმა ამიტანა და ჩემს მარშრუტსა და განრიგს რამდენიმე ახალი პუნქტი დავუმატე. აბა რუსს თუ არ აჯობე, რა ქართველი ხარ?!

ასე „მადამ იქსივით" ვიკვლევ ყველაფერს, რაც ხდება გარშემო და საოცრად მომწონს ძალიან დაინტერესებული და ეჭვიანი თვალებით რომ მიყურებენ, ვითომ პროფესიონალი ჯაშუში ვიყო. ვისმენ ყველაფერს და აბა, გამოიცანით ჩემო ყოფილო უფროსო დანო და ძმანნო ვინა ვარ, რა მინდა და რას გიპირებთ?

სასტუმროში დასაბრუნებლად ბოლო ავტობუსის რიგში თეთრი ყვავივით განზე ვდგავარ. ოთხის ნახევარზე „სიტი მაქსიდან" ვოიაჟები იწყება. ავტობუსის რიგი იმაზე ოთხჯერ გრძელია, ვიდრე აქ წამოსვლისას იყო. მე ადრე გამოვედი პლიაჟიდან და ამიტომ რიგით მეორე ვარ. ყველა ვარიანტში მეკუთვნის ავტობუსში ერთი ადგილი. რიგი არაბუნებრივად იზრდება, უკვე ლენინის მავზოლეუმის რიგს დაემსგავსა. მიუხედავად ამისა, ყოველი ახალი მოსული ზრდილობიანად კითხულობს, ბოლო ვინ არისო.

ავტობუსი იგვიანებს და შესაბამისად, რიგიც იზრდება. უცბად ერთი კაცი უკნიდან წინ გადმოვიდა და თქვა, მე გუშინ პირველი ვიყავი და ვინც უკან იყო ავტობუსში ისინი ჩაჯდნენო. ამას საზოგადოების საერთო აღშფოთება და ამ კაცის წინააღმდეგ წინა რიგებში მდგომთა ერთ მუშტად შეკვრა მოჰყვა. კაცს უკანა რიგებიდან ქომაგები გამოუჩნდნენ და დაუდასტურეს, რომ გუშინ ისინიც წინა რიგებში იდგნენ და უკანებმა დაჯაბნეს. ლარივით სწორი და დალაგებული რიგი ალაგ-ალაგ გაწყდა და გამრუდდა. ამასობაში მზემ ისე დააჭირა, რომ რამდენიმეს გული წაუვიდა. ისინი ჭირისუფლებმა ტაქსით წაიყვანეს. მათ კიდევ რამდენიმემ მიბაძა. მე არა – მე საოცრად მაინტერესებდა რა მოხდებოდა, როცა ავტობუსი მოვიდოდა.

თავზე კეპკა ჩამოვიფხატე და ჩემს ადგილზე გავმაგრდი. ჩემ წინ რომ ქალები იდგნენ იმათგან ყველზე ჩაფსკვნილმა დანარჩენებს გადაუჩურჩულა, ავტობუსი რომ მოვა, მე პირველი შევძვრები და თქვენ ადგილებს დაგიკავებთო. მივხვდი, რომ იმ ქალთან ახლოს უნდა დავმდგარიყავი. მოკლედ, ამუშავდა ჩემი მიძინებული საბჭოური ინსტინქტები. სამკვდრო-საციცოცხლო ომისთვის მოვემზადე. ამ ავტობუსში რომ არ ჩავმჯდარიყავი, აბუდაბის ექსკურსიაზე დამაგვიანდებოდა. რატომღაც უკვე ნახევრად სავსე ავტობუსი ნელა გვიახლოვდებოდა, რიგი აიმღვრა, ყალყზე დადგა, ახმაურდა, აკივლდა აყირავდა, მე იმ ქალზე ავიღე ორიენტაცია, ის, როგორც დაპირდა თავის დაქალებს პირველი შეხტა ავტობუსში, ახლა მის დაქალებს ავეკარი, კარგად გამოვიყენე დემონსტრაციებზე და დარბევებში შეძენილი უნარ-ჩვევები: ისე მივნი-მოვწიე შემოტმასნილი ბრბო, ისეთი პოზიცია დავიკავე, რომ ბრბომ თავად შემტენა იმ „ოცნების ავტობუსში", „ოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ" ანუ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დიდ საბჭოეთში!

ბოლოს და ბოლოს ვინ მოხვდა იმ ავტობუსში? მე, ის რუსი ქალი თავისი დაქალებით, ის რუსი კაცი, რომელმაც რიგში რევოლუცია წამოიწყო, თავისი რუმინელი მეგობარი ცოლ-ქმრიანად (ამათ ხომ ჩვენზე მწარე „საბჭოთა კავშირი აქვთ გამოვლილი!) და კიდევ ახალგაზრდა რუსი ტურისტების ერთი ჯგუფი, რომელიც საერთოდ არ იდგა რიგში, უბრალოდ ავტობუსის კარი ზუსტად მათ ცხვირწინ გაიღო და იმათაც არ დააყოვნეს.

ასე მეგობრებო, აბა რა გეგონათ, ასე ადვილია სამოცდაათწლიანი იმპერიის დანგრევა? ის არსად წასულა, უბრალოდ მავზოლეუმის რიგმა დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და აქ დუბაიში გადმოინაცვლა – ნაწილმა თურქეთში, ნაწილმა საბერძნეთში, ესპანეთში... დროებითო? ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს! არა, აფხაზეთში დადიან თურმე „დიკიმ ობრაზომ", მაგრამ ის კატეგორია, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილ სავანეებზე ჯერ-ჯერობით ხელი და ჯიბე არ მიუწვდება.

ბევრი ვილაპარაკე რუსთა შემოსევაზე გაერთიანებულ ემირატებში და ჯინაზე, მეორე დღეს, ჩემი შეზლონგის გარშემო თავი ვიკინგთა მთელმა დინასტიამ მოიყარა. შვედები იყვნენ მე მგონი, „ენა მეცნო!". მოშორებით გუშინდელი რუსები ისევ რუსულ-არაბულ ყოფით ურთიერთობებს არჩევდნენ.

ავღანეთისგან სრულ დასვენებას ორი დღე თავისუფლად ეყო. ახლა მარტო ვმოგზაურობ და გუშინ „დუბაი კრიკის" კრუიზში ორჯერ ჩამეძინა მაგიდასთან. ავტობუსში მარტო ინდოელები ისხდნენ და ისეთი „ველურები", ახლოს ვერ მიეკარებოდი, მაშინათვე იღრინებოდნენ. სამკაციანი ახალგაზრდა, მოძველბიჭო „კამპანიაც" იყო, ორი კაცი და ქალი. ერთ-ერთს, უფრო სიმპათიურს, ლევისის ლურჯი ჯინსი და ჭიპამდე გაღეღილი კუბოკრული პერანგი ეცვა, მეორე, უფრო იაფფასიან

ტანსაცმელში გამოწყობილი, მელოტი იყო და შეუხედავი. ქალი ჩასუქებული იყო, ლამაზი სახის ნაკვთებითით, იმასაც კუბოკრული პერანგი ეცვა და ძვირფასი ჯინსები პუტკუნა ტრაკზე ჰქონდა შემოტმასნული. ერთმანეთს სურათებს უღებდნენ. ხელგადახვეული კაცები თითებით „ვიქტორიას" აჩვენებდნენ. რა არ წარმოვიდგინე ამ სამეულზე, მეტი რა საქმე მქონდა, ალბათ ფანტაზიაში გადავამეტე კიდეც, მაგრამ მომბაის „ტრუშობების" გენერლები რომ იყვნენ, ამას ჩემი აზრით წყალი არ გაუვა.

კრუიზი ძალიან ნელი და მომაბეზრებელი მომეჩვენა. ვახშმის დროს ცოტა გამოვფხიზლდი. გავგიჟდი თურმე რამდენს ჭამენ ინდოელები, ოთხჯერ მაინც დაუარეს იმ შვედურ მაგიდას და ახლა დესერტს იღებენ მეორეჯერ. კიდეც იყვნენ ზომაზე მეტად გადაპუტკუნებულები. კრუიზი როგორც იქნა დამთავრდა და ნაპირზე ჩამოსვლისას, ის კუბოკრულპერანგიანი წყვილი გამომელაპარაკა.

– მარტო ხართ? – მკითხა ახალგაზრდა კაცმა.

– დიახ, დღეს ჩამოვედი და მარტო ვარ.

– ჩვენ კი გვეგონა, თქვენს მაგიდასთარ რო წყვილი იჯდა იმათთან ერთად იყავით. გვინდოდა თქვენთან გასაუბრება, მაგრამ ოჯახური სიმყუდროვის დარღვევას მოვერიდეთ, – თქვა ქალმა, მერე მივხვდით, რომ მარტო ხართ, ძალიან მოწყენილი მოგვეჩვენეთ.

– არა, მოწყენილი არა ვარ, დაღლილი ვარ, თან ეს კრუიზიც მე მგონი თვითონაა ძალიან მოსაწყენი.

– აქ ოჯახებით დადიან ხოლმე სავახშმოდ, მარტო წამოსვლა მართლა მოსაწყენია. რამდენჯერმე თვალიც დაგეხუჭათ, – მხარი აუბა კაცმა.

– შეამჩნიეთ? მრცხვენია, მაგრამ მართლა დაღლილი ვარ და ეს ნელი რწევაც აძინებს, – გამეცინა მე, – ბევრ საინტერესო ექსკურსიაზე ჩავეწერე დღეს, ალბათ კარგად გავერთობი.

– კარგი გიქნიათ, აბა ამ დუბაიში ცათამბჯენების მეტი არაფერია, საფარაში წადით, აბუდაბიში, ინდოეთის ოკეანის კრუიზში ფუჯერას მთების გავლით, აბუდაბიში დარჩენაც შეიძლება... მოკლედ დუბაიდან გარეთ იმოგზაურეთ და მაგრა გაგისწორდებათ... ვნანობ, რომ ადრე არ გამოგეცნაურეთ, მიყვარს თვენნაირ ადამიანებთან საუბარი, ჩემს გოგოსაც ძალიან მოეწონეთ...

– ჩემთვისაც დასანანია, დიდი მადლობა რჩევისთვის, ზუსტად ისე მოვიქცევი, როგორც მითხარით. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და მე ჩემი ავტობუსისკენ გავიქეცი, ისინი თავისისკენ. მე ჩემი „კონტინენტისკენ“, ისინი თავისისკენ და სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს. ავტობუსში კიდევ რამდენჯერმე ჩამაყვინთა:

დალი ფირცხალავამ მითხრა, შენ ის მანანა დუმბაძე არა ხარ, მთელი ცხოვრება რომ აწვები და არაფერი გამოგდისო? რას ვაწვები, ვერ ამიხსნა, მაგრამ ამ სიტყვებით უმძიმესი განაჩენი კი გამომიტანა. დალი ჩემი ამხანაგი არასდროს ყოფილა და გამიკვირდა, რა იცოდა, რას ვაწვებოდი, როგორ და რამდენ ხანს. გამოდის, რომ, თურმე, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ჩემს თვალთვალში გაუტარებია, ჩემი ცხოვრებით უცხოვრია და სულ ზედმიწევნით შეუსწავლია ჩემი ყოველი ნაბიჯი, მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, მეტიც, ხანდახან მისი გვარიც კი მეშლებოდა და ფირცხალავას მაგივრად კურცხალიას ვეძახდი ხოლმე. პრეზიდენტ სააკაშვილში იყო უგონოდ შეყვარებული. თურმე მიშას ინგლისურს ასწავლიდა ბავშვობაში.

გაინტერესებთ, ალბათ, რატომ გამიმეტა ასე? კი ბატონო, ახლავე მოგახსენებთ. შვედეთიდან ჩვენი საერთო მეგობარი, თავგამოდებული მიშისტი მარია აქსელი-

ცხონდია ჩამოვიდა და ქართულ სეირებს მონატრებულმა, ნაციონალი და ოპოზიციონერი მეგობრები ჩაიზე ერთად დაგვპატიჟა, მერე თავად შემოგვიგდო რამდენიმე მაპროვოცირებელი საკითხი და ოთახიდან გავიდა შვედეთთან ტელეფონით სალაპარაკოდ. რომ დაბრუნდა, პირზე დუჟმომდგარი დალი პოზიციასაც და ოპოზიციასაც მიშას გენიოსობას გვიმტკიცებდა. ერთ ზვიადისტს ისიც უთხრა, მიშასთან ზვიადი განათლებით ახლოსაც ვერ მოვაო. ზვიადისტი სკამზე ძლივს დავაკავეთ, სამაგიეროდ, ეთერ არგანაშვილმა იყარა მისი ჯავრი და მიშას სულ დორბლიანი და ჟღვლინტიანი ეძახა. დალი ფეხზე წამოხტა და ვიდრე რამე უარესს წამოისროდა, მე დავასწარი – დაჯექი, გენაცვალე, შენი ამბავი უკვე გარკვეულია მეთქი. ჰოდა ყველაზე ერთად გამწარებულმა დალიმ თვალი თვალში გამიყარა, მერე მოჭუტა და ჩემს მიმართ ამდენი ხნის გულში ჩახვეული მთელი შხამი ერთად განდმომანთხია: შენ ის მანანა დუმბაძე არა ხარო...? აბა, ასეც ხდება, თურმე. თურმე, ვიღაცა მთელი ცხოვრება დურბინდით გაკვირდება, ლამის, შენი ცხოვრებით ცხოვრობს და შენ კი ბაიბურში არა ხარ.

რატომ გამახსენდა ეს ამბავი დუბაიში? ეტყობა, ძალიან ბევრი თავისუფალი დრო მაქვს საფიქრად, ცხოვრების ასაწონ-დასაწონად, რაღაც-რაღაცეების თაროებზე დასალაგებლად. სად იყავი დალი ფირცხალავა აქამდე? რაც მითხარი, სულ მართალია, რაც ვიოცნებე, იქიდან, ბევრი ვერაფერი ავიხდინე. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჯიქურ და ბოლომდე არაფერს მივწოლილვარ, თან რაზეც მე ვოცნებობდი, მიწოლით ვერ მიიღწევა, იმას სხვა უნარი და ნიჭი ჭირდება. მოკლედ, ერთი დიდი წიგნის დაწერისთვის ვემზადებოდი მთელი ცხოვრება და აი რას ვწერ... მართალს ამბობ! რომ მკითხო რისი

მოხელე-ნაჩალნიკი გახდიო, ძალიან უნდა დავფიქრდე რომ გიპასუხო: ლიტერატორ-ჟურნალისტ-პიარ-მარკეტოლოგი, ახლა კიდევ „საერთაშორისო ექსპერტი". აქედან არცერთზე, არასდროს მიოცნებია, მაგრამ თუ ამ სფეროდან რომელიმეში რამეს მაინც მივაღწიე, შენთვის მომიძღვნია ჩემო მეგობარო, ალალი იყოს! მე ხომ ერთი „მოკრძალებული" საგას დაწერა მინდოდა მარტო და... ვაი, რომ ამას ვერანაირი მიწოლა ვერ უშველის, თვითონ უნდა დაინეროს.

„ჯიპ-საფარა" რეისი ადრენალინის გამოყოფის უტყუარი საშუალებაა. მე არ ვიცი, მჭირდებოდა თუ არა ეს ამბავი ავღანეთის შემდეგ, მაგრამ მაინც ჩავენერე ამ ტურში და ნამდვილ, ქვიშიან უდაბნოზეც დავადგი ფეხი. მერე მის ოქროსფერ გორაკებზე ვიხტუნავე ლენდკრუიზერით და ერთი წლის სამყოფი ვიკივლე და ვინივლე გურულად.

მანქანაში, უკანა სავარძლებზე ექვსი მამაკაცი ზის და სომხურად ლაპარაკობს. მინდა გამოვეცნაურო, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ახლა კივილით ვარ დაკავებული. შესვენების დროს ფოტოების გადასაღებად რომ მანქანიდან გადმოვედით, ვკითხე სომხები ხართ მეთქი? იმათ ნიშნისმოგებით მიპასუხეს, ყარაბახელი ტერორისტები ვართო. ახლა დავრწმუნდი საბოლოდ, რომ სომეხი ქართველს შეჯიბრს ვერასდროს მოუგებს. რას წარმოიდგენდა ის ექვსი ყარაბახელი „ტერორისტი" სომეხი, რომ მე, ერთი პატარა ქართველი ქალი, ტერორიზმის აკვნიდან, ავღანეთიდან ვიყავი ჩამოსული მათ ასაფეთქებლად და ჩანთა ყუმბარებით მქონდა გატენილი. არ გაუმართლათ!

ამაზე დიდი კურიოზი წინ გველოდა. როცა დაბნელდა, პროგრამის მიხედვით საფარის ბედუინთა ბანაკში მიგვიყვანეს ღამის შოუზე. იქ აქლემებით სეირნობა, ვახშამი და მუცლის ცეკვა გველოდა. მრგვალი სცენის

გარშემო ხალიჩები ეგო, ზედ დიდი და პატარა მუთაქებით და დაბალი ვიწრო მაგიდებით. მე იქვე სცენასთან წამოვგორდი. შოუ მომნუსხველი სუფისტური ცეკვით დაიწყო, მერე ფოკუსები, მერე კიდევ რაღაც მისტიკური ნომერი და ბოლოს, მუცლის ცეკვა. ამის საცქერლად შეკრებილან აქ, გაერთიანებული ემირატების უდაბნოში, შუაგულ საფარაში, ბედიუნების ბანაკში ადამიანები დედამიწის ყველა კუთხიდან. და აი, გამოაცხადეს კიდეც „მშვენიერი, დიდიებული და თვალწარმტაცი... ოლგა!" დიახ, არც ჯამილა, არც ნაზირა, არც გულჩიტა და არც ზემფირა – ოლგაო, ოლგა! გამხდარი, დაკუნთული, კულტურისტი რუსი ოლგა!!! მომესმა მეთქი ვიფიქრე, მაგრამ კონფერანსიე ისეთი აღტაცებით იმეორებდა ამ რუსულ სახელს, რომ ყველა ეჭვი უდაბნოს ქვიშაში გაიბნა და დაიკარგა. მოკლედ, ატრიალა ოლგამ ტრაკი, აქნია გვერდები უმისამართოდ და პირადად ჩემი დიდი იმედგაცრუება გამოიწვია, სამაგიეროდ, უდაბნოს ყველა სხვა იდუმალი ხმა იქ დამსწრე მუსულმან კაცთა ღმუილმა და ოხვრა-ხვნეშამ გადაფარა. არა, მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, დაიპყრეს აღმოსავლეთი რუსმა ტურისტებმა მეთქი. რუს ქალს ხომ მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს, მისი შემყურე გმინავს მსოფლიო და მე რით ვერ მომაწონა ნეტავ თავი? მშურს „ბოიშვილი ვიყო!"

აი, არაბ ქალებს კი ერთნაირი შავი კაბები აცვიათ, ჩადრით და თავსაფრით, და მიუხედავად ამისა, შეუიარაღებელი თვალით მიხვდები, ვინ რომელ კასტას ეკუთვნის და რა შეძლებისაა. განსაკუთრებული აქცენტი აქსესუარებზე – ჩანთასა და ფეხსაცმელებზეა გადატანილი. ზოგს ისეთი ძვირფასი აქვს ორივე და ის შავი კაბაც ისეთი გიპიურითაა გაწყობილი, ვერცერთი დასავლური ფეშენ შოუ კონკურენციას ვერ გაუწევს. ასეთ ტანსაცმელში გამოწყობილები ძირითადად მაღალი,

თხელი, თეძოფართე და მაღალმკერდიანი ქალები არიან. მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო, ამათზეა ნათქვამი, არაფერი მოუჩანთ და ყველაფერი კი ზედმინევნით ნათელი და გამჭვირვალეა.

დუბაიში 42 მილიონი პალმა დაურგავთ და კიდევ ბევრის დარგვას აპირებენ. ჩემთან, გულრიფში, პალმა სულ რომ არ დაგვიპატიუებია, ისე ამოვიდა დაუკითხავად ფეხსალაგის უკან.

თავი 26

სასჯელმისჯილივით ვტოვებ დუბაის და ვბრუნდები ბარონში, სადაც ცივა, სადაც ყველაფერია სითბოსა და სიყვარულის გარდა – ბეტონის კედელი, მავთულხლართები, ავტომატიანი დაცვა სადარბაზოს კართან, ხელებში შემყურე დამლაგებელი ქალები, ამბიციური „ექპატრიატები" გაუთავებელი ინტრიგებით და დეპრესიებით. უკვე მეცხრე თვეა ამ ქვაბში ვიხარშები, ცოტაც და მეც „ექპატთა" ღირსეულ ოჯახს შევერწყმოდი, რომ არა ერთი მძლავრი შემოლანუნება ზემოდან, გეყო, სახლში წასვლის დრო მოვიდა, მთელი მსოფლიოს ფულს შენ ვერ იშოვნიო!

„საქართველოში ისე ამყრალდა სიტუაცია, ვგონებ, მეომარ ავღანეთში დარჩენა ჯობს. აქ ის მაინც იცი, რომ ისვრიან და ბოლომდე არაფრისგან ხარ დაზღვეული. გარკვეულია, ვინ მტერია და ვინ მოყვარე. აქ ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია!"

და ავღანეთის ეპოპეაც დასასრულს მიუახლოვდა. წერტილის დასმა ძალიან მიძნელდება, მითუმეტეს, რომ „ბარონში" ჩემი წამოსვლის დროს სრულიად ახალი ეტაპი იწყება – გასამხედროება. კორპუსის კართან კალაშნიკოვიანი დაცვა დაგვიყენეს, დაცვის ახალი დაჯგუფებები შემოიყვანეს და ცხვირწინ ორ ახალ მოედანს გვიშენებენ, რისთვის, ჯერ არავინ იცის, დილიდან საღამომდე მუშაობა მიდის, შესვენებების დროს ავღანელები მშენებარე მოედანზე ფეხბურთს თამაშობენ. ეს სურათი „რემბოს" მაგონებს. გემახსოვრებათ, სტალონე ავღანელებთან

ერთად ცხენბურთს რომ თამაშობს რუსების შეტევისგან „დასვენების" დროს: როგორი მხიარულებაა, ჟინი და ვნება, ყიჟინი და სიცილ-ხარხარი, ნეტარება დიდი შტორმის წინ... და თავს დამტყდარი შეტევის ახალი ტალღა, ერთმანეთში აგლესილი ცხენი და კაცი, ბავშვი და ქალი... რა შეიცვალა მას შემდეგ? არაფერი, ყველა ისევ იგივეს მოლოდინშია. აქ ომი და შვიდობა ორივე ომს ნიშნავს და ორივეს „მშვიდობას" ეძახიან.

კვირას ახალ დაცვასთან შეხვედრა-გაცნობის და მადლიერების პიკნიკი გვაქვს „ბარონის" მოლზე. ბარბექიუ, ჰოთ-დოგი, ვაშლის ნამცხვარი და კოკა-კოლა თავზე სასხმელად. ძალიან ამერიკული პიკნიკი. მთელი დაცვის სამსახური ჯარისკაცებიან უფროსებიანად ასე ერთად თავშეყრილი პირველად ვნახე. გენერალს ისეთი სამხედრო ტემბრი ჰქონდა დაყენებული მისასალმებელი სიტყვისთვის მიკროფონი საერთოდ არ დასჭირვებია. განგაშის „სირენასავით" ჩამესმოდა მისი სიტყვები და ყურები დამიგუბდა. გენერალი შეცვალეს და ელვარე მისალმებებით გამოვიდნენ (ძირითადად „აისაფის" მიღწევებზე საუბრობდნენ)კომუფლიაჟში ჩაცმული, მოტოვებული სამხედრო მოსამსახურე ქალები და ყველა ჯარისკაცს დედაშვილური და დაძმური სიყვარული გამოუცხადეს, მომღიმარ სახეზე ერთი-ორი ცრემლიც აუციმციმდათ და ირგვლივმყოფთა გულის აჩუყება და მხურვალე ოვაციები გამოიწვიეს.

მერე უხვად დაიყარა სასმელი, საჭმელი, იქაურობა მუსიკის ჰანგებმა მოიცვა და თავი აღლუმზე მეგონა, სამართლიან ომში დიდი გამარჯვების აღლუმზე. გავხალისდით და გავმხიარულდით, ერთმანეთს ვკოცნიდით და ვეხვეოდით, სურათებს ვიღებდით ჯარისკაცებთან ერთად. ასე დაახლოებით სამ საათში „პიკნიკი" დასრულდა და მიღებული შთაბეჭდილებით აჟიტირებული

საღამოს გადაღებული ფოტოების ატვირთვა დავიწყე კომპიუტერში, ვიფიქრე, ნაკლებად ინფორმატიულს „ფეისბუქით“ მეგობრებს გავუზიარებ მეთქი. არ გამომივიდა, რადგან თითქმის ყველა სურათის ზედა ნაწილში ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე მოსეირნე, ავტომატმომარჯვებული სნაიპერია მოხვედრილი. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი სამხედრო „პიკნიკი“ ავღანეთში, უფრო კონკრეტულად – „ბარონში“

– ჩემი თანამშრომელი რუსეთ-ავღანეთის ომის დროს მსახურობდა ქაბულში და დღემდე ავღანეთის სილამაზეზე და მიმზიდველობაზე ლაპარაკობს. რა არის ახლა ეს, ომის სინდრომი? – მეკითხება ჩემი მოსკოველი მირონი კირა ანდრონიკაშვილი.

– სინდრომზე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ, მართლა ძალიან მიმზიდველია ეს ქვეყანა, თავისებურად ლამაზი, ახლა ისეა დანგრეულ-გაცამტვერებული, სილამაზისგან ცოტა რამ თუ დარჩა, მაგრამ რუსეთ-ავღანეთის ომის დროს და ცოტა ადრე მართლა ძალიან ლამაზი ყოფილა, აღმოსავლეთის ბაღჩას და ვარდს ეძახდნენ. ორმოცი წელია ინგრევა და ნადგურდება ეს ბაღჩა ხან მომხვდურის, ხან დამხვდურის ხელით. რომელ სილამაზეზეა ლაპარაკი, და მაინც საოცრად მიმზიდველი და საინტერესოა, – ვუხსნი კირას, რომელიც თავად არის პოლიტიკური ჟურნალისტი და ავღანეთზე თითქმის ყველაფერი აინტერესებს, ისეთი არაპროფესიონალისგანაც კი, როგორიც მე ვარ.

სრულებით არ მსურს აბარგება-გამომგზავრებაზე საუბარი. ავღანელმა თანამშრომლებმა წამოსვლის წინ შესვენებაზე ყავა-ნამცხვრის სუფრა გამიშალეს. ეს არ იყო ოფიციალური გამომშვიდობების ცერემონიალი, ყველას რომ „აბიზალოვკასავით“ უწყობდნენ პროექტში, ამაზე თავად ვთქვი კატეგორიული უარი იმ მიზეზით,

რომ ისედაც დიდი წარმოდგენა მაქვს საკუთარ თავზე და დამატებითი დითირამბები ნამდვილად აღარ არის საჭირო მეთქი. გამომშვიდობება შესვენების დროს გაიმართა ძალიან ინტიმურ, მეგობრულ გარემოში, სადაც ბევრი ვიცინეთ და ვაშაყირეთ ერთმანეთი. ცოტაც ვისევდიანეთ. ამხანაგებიდან მხოლოდ კაცები დამრჩენოდა. ქალმა მეგობრებმა ჩემზე ადრე დატოვეს „ბარონი", ქალებიდან მარტო დიანა და სვეტა ისხდნენ და ორივე ჩემს კურიოზებს ყვებოდა.

მინამ, ჩემი წასვლის ამბავი რომ გაიგო, სახლში დამპატიჟა მეგობრებთან ერთად. ამ სახლში მოხვედრა ყველა ბარონელის ოცნებაა – ავღანური კულტურის სახლს ჰგავს თავისი ხელოვნების ნიმუშთა კოლექციითა და შიდა ბაღით. ესეც ჩემი ბოლო საღამო იყო ავღანეთში.

ღამე „ბარონს" რამდენიმე წრე დავარტყი. მართალი გითხრათ, აღარ მახსოვს დამეძინა თუ არა მშვიდად და უშფოთველად.

აეროპორტში დილის 6 საათზე მივდიოდი. ჩემი „ბრონიტრანსპორტიორის" მძღოლიც ჩემი ავღნელი მეგობარი ჰაიდარი იყო. აეროპორტში ყველა გასასვლელ პუნქტს უკვე თვალდახუჭული ვაგნებდი. ქაბული-დუბაის რეისს არ დაუგვიანია. დინებას საოცარი სიმშვიდითა და უშფოთველობით მივყავდი ერთი პატარა ჩანთით სამშობლოს მიმართულებით. ჩემგან დამოუკიდებლად ავღანეთიდან საქართველოსკენ მიემართებოდა ცხრათვენახევარში დაგროვილი ჩემი ბარგი ავღანური ხალიჩებითა და სხვა სამახსოვრო ნივთებით. ავღანეთში რჩებოდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი. მთლიანად რჩებოდა, ვინმესთან გაუნაწილებლად და გაუზიარებლად. ამასთანავე, სამშობლოში თან მომყვებოდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე უცნაური გამოცდილება, ასევე ვინმესთან გაუნაწილებლად

და გაუზიარებლად. აზრზე არა ვარ, რა უნდა ვუყო ამ ერთ, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილ მონაკვეთს, ასე რომ მიღრღნის გულსა და გონებას? არა, აუცილებლად უნდა გაგინაწილოთ და გაგიზიაროთ. მაშ, უყურეთ ავღანეთს „ბარონის" ჭუჭრუტანიდან!

ყოველთვის ვიცოდი, რომ საკუთარი ცხოვრების მესაჭე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ცუდი მესაჭეც არასოდეს მყოლია, ხრიოკ და ხორკლიან გზაზე, ყოველთვის დამიფენს ხოლმე სიფრიფანა ფარდაგს ქვა-ღორღზე სიარულმა ფეხის გულიდან სისხლი რომ არ მადინოს. ჰოდა, ავღანეთიდან გზად ამ ჩემმა ცხოვრების მესაჭემ ქაბულის აეროპორტში პატარა სამშობლო დამახვედრა: სამი ქართველი ავიო-პილოტი. მათაც ჩემსავით კონტრაქტი გაუთავდათ და სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ამათ თავიანთი ამბები ჰქონდათ ავღანეთზე – ბევრად უფრო მრავალფეროვანი ამბები, რადგან სამი წლის განმავლობაში თავიანთი „ვერტალიოტით" ავღანეთის ყოველი კუთხე-კუნჭული ზეპირად ჰქონდათ შესწავლილი. ვეკითხებოდი და ვეკითხებოდი, ისინიც დიდი სიამოვნებით მიყვებოდნენ. არა, ნატოს ჯარში არ მსახურობდნენ – რომელიღაც ეკონომიკურ პროექტში, რომელსაც რომელიღაცა ამერიკული კომპანია ახორციელებდა. ხვდებით ალბათ, რომ შიდაგანაწესის თანახმად კომპანიის დასახელების უფლება არა აქვთ.

– პირველად განგაშის დროს ბარაკებიდან ელდანაკრავებივით გავრბოდით ბუნკერში. მერე ისე შევეჩვიეთ, მეორე გვერდზე გადავბრუნდებოდი ხოლმე და ძილს ვაგრძელებდი, – იცინის თამაზი.

– კაი კაცო, აბა მე აბაზანის მარცხენა კუთხე გავცვითე, თავზე კასკას კი ვიხურავდი, მაგრამ ჯავშანჟილეტს ძვრას ვერ ვუშვებოდი, – ვპასუხობ მე.

– ერთხელ ლანჩის დროს სარაკეტო თავდასხმა გამოაცხადეს, მთელი სასადილო იატაკზე გაწვა, ამას რომ

უყურებ – თავის მეწყვილეზე მანიშნა, – განგაშმა მაშინ მოუსწრო, მაგიდისკენ პოდნოსით რომ მოდიოდა. ერთი წუთით გაჩერდა, გაიხედ-გამოიხედა და აუღელვებლად გააგრძელა გზა იატაკზე გართხმულ თანამშრომლებს შორის. გადაბიჯება-გადაბიჯებით და „სლალომით" თან გზას მიიკვლევდა პოდნოსითურთ თან იატაკზე გაწოლილებს ძალიან ზრდილობიანად „ექსკუზ მი, ექსკუზ მის" ეუბნებოდა – თამაზმა ეს სცენა ისე ოსტატურად განასახიერა, სიცილისგან კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი.

– ამბობენ, ქართველი პილოტები მთელ საბჭოთა ავიაციაში ყველას უხურავდნენო, მართალია?

– მართალია, ამათ რომ უყურებ, ამათი ბადალი აქ არავინაა, ახლა ჩავალთ, საკვალიფიკაციო ტესტს ჩავაბარებთ და ცოტა ხანში ჩვენზე ისევ დიდი ნადირობა ატყდება, ძალიან გვაქვს სახელი განთქმული.

– როგორ გამიმართლა თქვენთან ერთად რომ უნდა ვიმგზავრო სახლამდე, – ესა ვთქვი და დუბაის აეროპორტში აირზენას წარმომადგებელმა გამოგვიცხადა, ტექნიკური მიზეზების გამო ჩვენი ფრენა სამი საათით გადაიდოო. ქართველ პილოტებს გაუხარდათ, ბავშვებისთვის საჩუქრებს ვიყიდითო. აბა ავღანეთში რის ყიდვას შეძლებდნენ. მე მეწყინა, ვუთხარი არაფრის ყიდვას არ ვაპირებ, თქვენ ჩანთებს ვუდარაჯებ მეთქი.

როცა დაბრუნდნენ, აირზენას ოფისში გადარეკეს ამბის გასაგებად და იმათ უთხრეს თვითმფრინავი გამოსულიაო.

– რა მოხდაო? – ვკითხე მე.

– ნაწილი გაფუჭებიათ და შუა გზიდან მობრუნებულან გამოსაცვლელად.

– რას ქვია!

– ჰო, რა, ხდება ხოლმე, რა მოხდა?

– რას ქვია რა მოხდა, რომ ვერ მოასწრონ უკან დაბრუნება, ეს ახალი ნაწილიც რომ გაფუჭდეს?

– იმედია, არ გაფუჭდება.

– მაგ იმედზე უნდა ვიყო მე? რას მეუბნებით!

– არ გაფუჭდება, რადგან გამოცვალეს.

– კარგი ნუგეშია, არსადაც არ გავფრინდები.

– ეჰ, დუბაი ფლაის უნდა გავყოლოდით... – ინანა თამაზმა.

– რატომ დუბაი ფლაის?

– ახალი თვითმფრინავები აქვთ და დროზე გაფრინდა თბილისში.

– აბა აირზენაო, ქართველი პილოტებიო... მე მატყუებდით?

– არა, რაც პილოტებზე მოგახსენეთ, სულ სიმართლეა.

– მოკლედ, გამაგიჟებთ თქვენ მე, ნეტავ საერთოდ არ დაგერეკათ იმ აირზენაში... – ამ ამბავში ვიყავი, როცა ჩასხდომა გამოაცხადეს, მივეკარი იმ ჩემს ახალგაცნობილ პილოტებს (გეგონება, რამე რომ იყოს, ჰაერში ისინი მიშველიდნენ) და ძალიან უიმედოდ შევლასლასდი „აირზანას" ჭანჭიკგამოცვლილ თვითმფრინავში.

– მოგესალმებით პატივცემულო მგზავრებო, – დაიწყო გამოცხადება ეკიპაჟმა – დიდ ბოდიშს გიხდით ჩვენთვის გაუთვალისწინებელი შეფერხების გამო. სამწუხაროდ, ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფომ, ირანმა, საფრენი გზა სამი საათით გადაგვიკეტა. შევეცდებით გზაში ნაწილობრივ ავანაზღაუროთ დაკარგული დრო... – და ა.შ, არაფერი უთქვამთ ტექნიკურ პრობლემაზე და დაზიანებულ ნაწილზე, პირიქით, სულ იტრაბახეს და იტრაბახეს აირზენას მოდერნიზებული თვითმფრინავებით.

რამდენიმე რიგით უკან მჯდომ პილოტებს გავხედე, ისინი გულუბრყვილოდ მიცინოდნენ და ჟესტებით მანიშნებდნენ, რა გოიმურად ავარდი შავ ავიახუმრობაზეო. კი, ვაღიარებ, რომ, მაგ სფეროს იუმორთან მართლაც მწყრალად ვარ და მივიღე კიდეც დამსახურებულად.

მოკლედ, თბილისში მშვიდობით დავბრუნდი. ქართველ პილოტებს გულმხურველედ დავემშვიდობე და მას მერე მათ შესახებ არაფერი გამიგია. ავღანეთის ამბებს ტელევიზიით ვიგებ და გული მისკდება, ეს სად ვყოფილვარ, რას ვარ გადარჩენილი, რას ვფიქრობდი იქ რომ მივდიოდი?.. რატომ, რატომ? რისი გულისთვის, ვისი გულისთვის?.. ამდენი რატომის მერე იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ყოველივე მოსმენილს და ნანახს ერთი 50 პროცენტი უნდა გამოაკლო, მერე ნაშთს განწყობის მიხედვით, რამდენიც გინდა იმდენი პროცენტი უნდა მიუმატო. რაც დაგრჩება, ზუსტად ის არის რისკის ფაქტორი. ასეთი მათემატიკა ზედგამოჭრილია ავღანური ოპტიმიზმისთვის.

აქ დავსვამ მეთქი წერტილს ვიფიქრე, მაგრამ ახლა ერთი თბილისურ-ავღანური პატარა ისტორიაც მინდა გიამბოთ, რომელსაც გაგრძელება აუცილებლად ექნება, მაგრამ არ შეგეშინდეთ, წერას აღარ გავაგრძელებ, მხოლოს დასაწყისს გიამბობთ.

„ბუქ ჰაუზში" (ასეთი ლიტერატურული კაფეა პეტრიაშვილისა და გუდაურის ქუჩის გასაყარზე) მამაჩემის იუმორისტული მოთხრობების კითხვაზე მაია ქებურია გავიცანი. მაია „ინტერნეიშენალ სქულის" ხელოვნებათმცოდნეობის პედაგოგია და მითხრა, რომ მის წრეზე რამდენიმე ავღანელი მოწაფე დადის.

– და-ძმანი არიან, ძალიან ნიჭიერები და მხიარულები, დიდი ოჯახია, რამდენიმე წელია აქ ცხოვრობენ, – მითხრა მაიამ.

– აბა მიეცი ჩემი ტელეფონი და თუ უნდათ, დამიკავშირდნენ, – შევთავაზე მე.

– კარგი, მივცემ, მე მგონი ძალიან გაუხარდებათ.

– მეც გამიხარდება.

რამდენიმე დღეში მართლაც დამირეკა ერთმა ავღანელმა გოგონამ მაიას სახელით და მითხრა ძალიან

გაგვიხარდება თქვენი გაცნობაო. პირველად თქვენ გვესტუმრეთ, ჩვენ ძალიან ბევრი ვართო. შევთანხმდით, რომ კვირას 3 საათზე დელისის მეტროსთან შევხვდებოდით ერთმანეთს.

შეხვედრაზე საშუალო სიმაღლის თხუთმეტიოდე წლის გოგონა მოვიდა. მას მაჯიუბა ჰქვია. თხელი, შავგვრემანი, შავი თვალებით და ძალიან ტიპური ავღანური ღიმილით. უფრო ტაჯიკს ჰგავს. თან უმცროსი ძმა აბიდი ახლდა. მივუხვდი ავღანელ კაცს, და ქუჩაში მარტო არ გამოუშვა. მაჯიუბას თავსაფარი არ ეხურა, ძმას კი ჩვეულებრივად, თბილისელი თინეიჯერივით ეცვა, შორტები და მაისური.

აბიდი წინ გაგვიძღვა და თაღიან ეზოში შევედით. ჩეხური ტიპის კორპუსის მეორე სართულზე ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობენ. ბავშვებმა მისაღებ ოთახში შემიყვანეს და დივანზე დამსვეს, ათასი სასუსნავით, თხილეულით და ხილით გაწყობილ სუფრასთან. აბიდი გავიდა და ოთახში მისი კიდევ ორი უფროსი და რაბია და ამენა შემოვიდნენ, ორივე მხრიდან დამიმშვენეს გვერდი და ტყვიამფრქვევივით მომაყარეს კითხვები: შემაყვარეს თუ არა ავღანელებმა ჩაი, მომეწონა თუ არა ქაბული, ქაბულის გარდა კიდევ სად ვიყავი ნამყოფი, რამდენი შვილი მყავს, საიდან მოვხვდი ავღანეთში და ა.შ.

– ჩაი მანამდეც ძალიან მიყვარდა, ავღანელებმა ავღანეთი შემაყვარეს და იმიტომ ვარ დღეს აქ, – გულის სიღრმიდან ამომხდა მე – ქაბულს იქით ფეხი არსად გამიდგამს და მართალი გითხრათ, ქაბულშიც სულ თითო-ორილა ადგილზე თუ ვარ ნამყოფი, ჩემდა სამარცხვინოდ, ერთი შვილი მყავს, მაგრამ მყავს სამი შვილიშვილი და უსირცხვილოდ ვწერ ავღანურ ჩანაწერებს, სხაპა-სხუპით მივაყარე მეც.

აბიდი ახალ მაისურსა და ჯინსის შარვალში ჩაცმული დაგვიბრუნდა. დივანის კუთხეში ჩამოჯდა. გოგოებმა საო-

ჯახო ალბომი მომიტანეს დასათვალიერებლად. ოთახში მოხუცი ქალბატონი შემოვიდა თავსაფრით.

– ეს ბებიაჩემია, კობრა, გაიცანით, – თქვა მაჯიუბამ. ავღანელი ბებიები უკვე ნანახი მყავდა ბალიზანანაში. ძალიან გავდნენ ჯემოს აკიე ბიბის, პეპელასავით სიფრიფანები, მორიდებულები და კეთილად მომღიმრები. კობრამ რამდენიმე წინადადება მითხრა დარიზე და მეც ვუპასუხე გრამატიკული შეცდომებით. გაუხარდა, იცინა და მითხრა, აბა მე სხვა ენა არ ვიცი და რას იზამ, მასე უნდა მელაპარაკოო.

ძალიან გამომადგა ის დარის გაკვეთილები, რაღაც მარტივი წინადადებები მითხრა და გავიგე. ამის გამო ძალიან ამაყად ვგრძნობდი თავს. ეგ რა არის წერა-კითხვა უკეთ ვიცი თქო წავიტრაბახე. ბებია კობრამ მაგიდაზე მიმითითა, რატომ არაფერს მიირთმევო და თვითონ კი აბიდთან ჩამოჯდა დივანის კუთხეში. ვიდრე მე სურათებს ვათვალიერებდი, მაჯიუბამ ლეპტოპი შემოიტანა.

– აქ ჩემი ბიძაშვილის ქორწილის სურათები მაქვს. გაინტერესებთ ავღანური ქორწილი როგორია?

– ძალიან მაინტერესებს, მე ერთხელ ვნახე ვიდეოზე, მაგრამ კაცების ოთახი და ქალების ნაწილზე მხოლოდ წიგნებში მაქვს ცოტ-ცოტა წაკითხული, ამბობენ ისე იხატებით, ველარავინ გცნობთო, მართალია?

– ჰო, მართალია, ძალიან ბევრი მაკიაჟი, სამკაული, ოქრო, ბევრი ოქროს სამაჯური, დიდი მედალიონები, მძიმე ყელსაბამები. ძვირფასთვლიანი ბეჭდები. ქორწილი ორ დღიანია, პირველ დღეს აუცილებლად მწვანე კაბა უნდა გეცვას, აი, როგორც ამ სურათზეა, მეორე დღეს – თეთრი, ან სხვა ფერი, უფრო თეთრი კაბა აცვიათ ხოლმე, აი, დაახლოებით ასეთი...

– აუ, ეს სულ ოქროებია?

– აბა? ბაჯაღლო!

– ასე დახატვას დიდი ოსტატობა სჭირდება და უფრო მეტი დრო.

– ამის დიდოსტატები გვყავს ავღანეთში, შეხედე, რა ლამაზია, – სურათიდან შუააზიის რომელიღაცა ფოლკლორული ანსამბლის ვარსკვლავი იმზირებოდა ძალიან მდიდრულ კოსტიუმში გამოწყობილი. ერთ სურათში ეროვნული კოსტიუმი ეცვა, მეორეში ევროპული დეკოლტიანი მოკლე კაბა და მესამეში ინდური პანჯაპი. სამივე შემთხვევაში ტანსაცმელზე უფრო თვალშისაცემი ოქრო და ძვირფასეულობა იყო თავისი ზომით, წონითა და რაოდენობით.

– რა სიმდიდრეა, ვერც კი წარმოიდგენ, რომ ეს ავღანეთია, – წამომცდა მე..

– დედაჩემი და მამაჩემი ადრე ისეთი ღარიბები იყვნენ, მამას თავის ქორწილში ნათხოვარი ტანისამოსი ეცვა, ქორწილიც ნათესავის ბინაში გადაიხადეს. მამა მოსკოვში სწავლობდა იურიდიულზე, იქიდან რომ დაბრუნდა დიდხანს უმუშევარი იყო, შემდეგ „იუნისეფში" დაიწყო მუშაობა და ნელ-ნელა ამოისუნთქეს. ახლა კარგი ხელფასი აქვს. სუდანში მუშაობს „იუნისეფის" ოფისში.

– აქ საიდან მოხვდით?

– 2008 წელს ჩამოვიდა ომში გაეროს დამკვირვებლად ორი წლით და ჩვენც ჩამოგვიყვანა. ჩვენ ყველა საერთაშორისო სკოლაში დავდივართ, სწავლის გადასახადის ნახევარს გაერო იხდის, ნახევარს – მამა. დედა არ მუშაობს, პატარებს უვლის. მოვა ახლა და ჩაის დაგვალევინებს.

– დედაჩემს ბევრი თავისუფალი დრო აქვს, სთხოვეთ და დარის გასწავლით, სკოლის მასწავლებელი იყო ქაბულში. ან ხშირად მოდით ხოლმე ჩვენთან და ბებია

იძულებულს გაგხდით ისწავლოთ. ინგლისური მაგან არ იცის და ლაპარაკი ძალიან უყვარს.

– მეც ძალიან მიყვარს მოხუც ხალხთან ლაპარაკი, ყველაზე საინტერესო ამბებს ეგენი ყვებიან. ძალიან მომწონს თქვენი სახლი, ეს ხალიჩები ქაბულიდან ჩამოიტანეთ?

– არა, დიდი პატრონისაა, ჩვენ ეს პატარები ჩამოვიტანეთ. ხომ იცით, ჩვენ ხალიჩაზე გვიყვარს ჭამა, იატაკზე.

– ვიცი, მინახავს, ხალიჩების მაღაზიაში, შესვენების დროს, ხალიჩაზე სადილობდნენ გამყიდველები, მინდა ჩემს სახლში დაგპატიჟოთ ყველა და ჩემი ავღანური ნივთებიც გაჩვენოთ.

– როდის? ხომ იცით, ჩვენ ღორის ხორცს რომ არ ვჭამთ, არც სასმელს ვსვამთ.

– კი ვიცი, ღორის ხორცს რომ არ ჭამთ, მაგრამ ალკოჰოლზე ვერ დაგეთანხმებით, ჩემი ნაცნობი ავღანელებიც იძახდნენ არ ვსვამთ არ ვსვამთო და მერე ძალიანაც კარგად ხუხავდნენ არაყს?

– მამაჩემიც სვამს,– ჩაიცინა მაჯიუბამ.

– რუსებისგან აბა მეტს რას ისწავლიდა? – ამაზე, ჩემდა გასაკვირად, ბებია კობრამაც გაიცინა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. თურმე პატარა შვილიშვილი ჩუმად უთარგმნიდა ჩემ და მაჯიუბას დიალოგს.

– აზიზ ჯან! – ისეთი სიტკბოთი და სიყვარულით გამოთქვა ეს ფრაზა, მაშინათვე მივხვდი შვილის სახელი წარმოთქვა.

– აი, დედაც მოვიდა, – წამოიძახეს გოგოებმა. ოთახში კოხტა თავსაფრიანი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა გამიღიმა და მაჯიუბას ძალიან გრძელი წინადადება უთხრა.

– ეს დედაჩემია, მარზია და ჩემი ძმა იუსუფი. დედა ბოდიშს იხდის სახლში რომ არ დაგხვდათ, მაგრამ მალე

ავღანეთში მივდივართ და საყიდლებზე იყო გასული. ახლა ჩაის დავლევთ და თქვენს განკარგულებაში ვიქნებიო.

– ნუ შეწუხდებით, მე უკვე კარგად მოვშინაურდი, არაფერი მიჭირს. გამარჯობა მარზია, გამარჯობა იუსუფ, შენ ნამდვილი ავღანელი კაცი ხარ, რამდენი წლისა ხარ?

– მალე თხუთმეტის გავხდები.

– მოგწონს აქაურობა? გაიჩინე აქ მეგობრები?

– კი მყავს, სკოლაშიც და რამდენიმე ეზოშიც.

– მოგწონს თბილისელი ბიჭები, უგებ ?

– კი, კარგებიც არიან და... ყველანაირები, მე კარგი ამხანაგები მყავს, ისე უფრო ხშირად და-ძმასთან ვარ და დედას ვეხმარები, – იუსუფს მგონი მწვანე თვალები აქვს, თუ მუქი ლურჯი, კარგად ვერ გავარჩიე, შავგვრემანია, საშუალო სიმაღლის, კლასიკურად აწყობილი, ტიპური ლამაზი ავღანელი ყმაწვილია, უკვე მამაკაცი, ოჯახის უფროსი.

რაბიამ და ამენამ ელექტროჩაიდანი შემოიტანეს და ჩაი დაგვისხეს. აქეთური ვთქვით, იქითური, ბოლოს მე ისინი ყველანი კვირას ჩემთან დავპატიჟე სადილად, ძალიან გაუხარდათ, აუცილებლად მოვალთო. მერე მე ოჯახის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები გადავკოცნე, ავღანური წესით. მერე მკერდზე მარჯვენა ხელისგული მივიდე და მამაკაცებს თავი დავუხარე.

სახლში დაბრუნებისთანავე, დიანასაც, ვესნასაც და გრეისისაც ჩემს ავღანელ-თბილისელ ოჯახზე „იმეილი" გავუგზავნე. სამივე მაგრა დაინტერესდა და მომწერეს, მოუთმენლად ველით კვირის ამბებსო. მეც მოუთმენლად ველოდი მთელი კვირა ჩემს ახალ მეგობრებს. რაც კი თხილი, ფისტაშკა, ჩირი და შაქარლამა ვნახე გუდვილში, ყველა ორ-ორ ეგზემპლიარად ვიყიდე. ზედ ნამცხვრებიც მივაყოლე. სადილის გაკეთება ვერ გავბედე, რადგან კარგად ვიცნობ ამ აზიზ ავღანელებს, სხვისი საჭმელები არ უყვართ, არ უყვართ კი არა, არ ენდობიან.

ამიტომ უხერხულად რომ არ ეგრძნოთ, თავი ტკბილი და მშრალი სუფრა გავშალე.

შვიდ საათზე დაპატიჟებული ჩემი სტუმრები ზუსტად ავღანური პუნქტუალობით მოვიდნენ – ცხრა საათს წამი არ გადაცდენია. მაჯიუბას უკვე მობილურზე ვურეკავდი, გზაში რამე ხომ არ შეემთხვათ თქო, მაგრამ ნომერი მიუწვდომელი იყო. მერე გამახსენდა ეს ავღანური ტრადიცია და სტიქიას მივენდე. როგორც კი დავმშვიდდი, სტუმრებიც გამოჩნდნენ. მოვიდა ოჯახის მარტო ქალთა ფრთა – ბებია, დედა, ორი და და მაჯიუბა. ესეც ვიცოდი, რომ კაცები არ წამოყვებოდნენ. მე კი სახლში ამ ტრადიციულ ავღანელ ქალებს ძალიან ემანსიპირებული და თავისუფლად მოაზროვნე ჩემი თბილისური ჩამოსხმის უკრაინელი დარდი-მანდი ქმარი დავახვედრე.

აბა, ეს იყო სიურრეალიზმი: მე, ავღანელი ბებია, მაჯიუბა, დები მისნი და ვადიკა „გიტარით და ოჩი ჩორნიეთი"! ქალებიდან უფროს თაობას თავზე კლდემამოსილად თავსაფარი ეხურა და დარწმუნებული ვარ, ნანობდნენ, რატომ ბურკები არ ჩავიცვითო. წარმოიდგენდნენ, რომ ჩემთან მოსულს მთავარ მასპინძლობას მამაკაცი გაუწევდათ? ნამდვილად ერთობ არაბუნებრივი რამ ხდებოდა მათ თავს. ვადიკა თავგამოდებით ცდილობდა ქალების გართობას, თავს დასტრიალებდა, გაუთავებლად რაღაცას სთავაზობდა, თავის პირად და ოჯახურ ალბომებს ათვალიერებინებდა. ჩაიც ჩვენთან, ქალების გარემოცვაში, მიირთვა, ისაუბრა პოლიტიკაზე, საერთაშორისო ვითარებაზე, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე, გლობალურ დათბობაზე და ესეც რომ არ იკმარა, „ვაბანკ"-ზე წავიდა – ბანტიანი გიტარა გამოიტანა.

ჩემი სტუმრები საოცრების მოლოდინში გაისუსნენ. თვალმიბნედილმა ვადიკამ „ოჩი ჩორნიე“ ჩამოკრა და მერე „ეხ რაზ, ეშჩო რაზო“ დასცხო. სტუმრებისკენ გავაპარე თვალი. პატარა გოგოები გაბრწყინებული თვალებით იყურებოდნენ, მაჯიუბას უხერხულად ეცინებოდა, დედა და ბებია კი ერთმანეთს თვალებით ანიშნებდნენ, თავი შეიკავეო. ამაზე მე სიცილი ამიტყდა, ავღანელები მორცხვად ამყვნენ. მივხვდი, ერთი გადახარხარება ახლა სიცოცხლეს ერჩიათ და გავუსწორე – ისეთი ისტერიული სიცილი ავტეხე, მუცელი და საფეთქლები მეტკინა. თითქოს ამ ნიშანს ელოდნენო, ავღანელებიც სიცილისგან კინაღამ ჩაბჟირდნენ. ბებიამ, სიცილი რომ დაემალა, თავსაფარი სახეზე ჩამოიფხატა. რამდენიმე წუთი ვიცინეთ ასე გიჟებივით. ბოლოს, სიცილით დაღლილ-დაქანცულები ყველანი დივანზე მივეყარეთ.

ყველა ფარდა და ბარიერი მოიხსნა, ირგვლივ საოცარმა სიმყუდროვემ და თავისუფლებამ დაისადგურა, კმაყოფილი ვადიკა ჯამბაზობას განაგრძობდა და შიგადაშიგ ავღანელ ბებიას ხელზე კოცნიდა. ის ყურადღებას აღარ აქცევდა. ზღვა სითბო დაიღვარა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, კობრა ბებიას თაფლიანი ღიმილი მიდგას თვალწინ. არა ეს სიურრეალიზმი კი არა ნამდვილი კაიფი იყო – სრული განტვირთვა.

გუშინ სკაიპით ვესნას ველაპარაკე. ვესნა ავღანეთში დაბრუნდა და ახლა გაეროს რომელიღაც პროექტში მუშაობს. ერთი „სასაცილო“ ამბავი მიამბო. მათ განყოფილებაში ავღანელი კაცი თურმე გათხოვილ ავღანელ ქალს გამიჯნურებია და ჩუმად მისთვის სასიყვარულო ესემესი მიუწერია. ქალი აღშფოთებულა და ეს ამბავი ქმისთვის ჩაუკაკლავს. ქმარი ცივილიზებულად მოქცეულა: იმის მაგივრად, რომ მისი თავმოყვარეობის შემლახველისთვის ყელი გამოეჭრა, ცოლის თაყვანისმცემელს

პირდაპირ სამსახურში, ანუ, გაეროში უჩივლა. იმათ დამნაშავეს იმპროვიზებული ტრიბუნალი მოუწყვეს, გათხოვილი ქალისთვის „ესემესის“ გაგზავნა სექსუალურ ძალადობად შეუფასეს და სამსახურიდან დაითხოვეს. მე თუ მკითხავთ, ძალიან იოლად გადარჩა! უფრო „სასაცილო“ ის არის, რომ ამ კაცს სახლში თურმე ორი ცოლი ჰყოლია, ტაჯიკი და პუშტუნი. ერთი დარიზე ლაპარაკობს, მეორე პაშტუზე, ერთმანეთის არ ესმით არაფერი და ქმრის გარეშე ვერ კონტაქტობენ. ჰოდა, რა ექნა იმასაც, ორ ენაზე (დარიზე და პაშტუზე) მოლაპარაკე ქალის ძებნა დაიწყო... ეძება, ეძება და რაც გამოთხარა, თავად ხედავთ... სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოსო – ასე ამბობენ არა? აქ პირიქითაა – ნამდვილად სატირალია, სასაცილო რომ არ იყოს!

ამ ამბავზე მე და ვესნამ იმდენი ვიცინეთ, სკაიპი კინაღამ ამიფეთქდა. მაინტერესებს, ეს რომ ჩემ ავღანელ დაქალებს მოესმინათ, რა რეაქცია ექნებოდათ? ისევე იხარხარებდნენ, როგორც ვადიკას „ოჩი ჩორნიეზე“ ქნეს, თუ? ეს ცნობისმოყვარეობა აუცილებლად უნდა დავიკმაყოფილო. ახლა ყველანი არდადეგებზე არიან ქაბულში. დაბრუნდებიან და პირველი ამ ამბავს მოვუყვები.

ეპილოგი

გუშინ კარზე შუახნის კაცმა დამირეკა, „ავღანელი“ ვარ და დამეხმარეთო. ახლა დავბრუნდი ავღანეთიდან-მეთქი ვუთხარი, რითი დაგეხმაროთქო. ცარიელი ბოთლები ან ცოტა თანხას თუ გაიმეტებთო. ბოთლები არ მქონდა. სახლში არ შემოვიდა, ფული გამომართვა, 80-იანი წლების საბჭოთა კავშირი-ავღანეთის ომის მონაწილე იყო, გამხდარი, დაბალი წვერით. ახალი ამბები მოვუყევი ჩვენს ქართველ ბიჭებზე ავღანეთში, ცოტა რამ ქაბულზეც ვუთხარი. ვხედავდი, რომ რცხვენოდა და წასვლას ჩქარობდა. სახელი არ მიკითხავს, ვიცოდი, მაინც არ გამიმხელდა. თბილად დავემშვიდობე და წავიდა თავის გზაზე. კი მქონდა გაგონილი, რომ უბანში ვილაც ავღანეთში ნაბრძოლი დადიოდა ხოლმე და მოწყალებას თხოულობდა, ბოლოს ჩემამდეც მოაღწია... რას წარმოიდგენდა, რომ აქ მე დავხვდებოდი ჩემი წილი ავღანეთით...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მანანა დუმბაძემ ააღორძინა საქართველოში მივიწყებული სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურა, რომელიც ჩვენთან დაამკვიდრა სულხან-საბა ორბელიანმა თხზულებით, „მოგზაურობა ევროპაში" იონა გედევანიშვილის ხუთწლიანი მოგზაურობაც (1805-1810) სამოგზაურო ჟანრის წესების შესაბამისად არის აგებული. აღსანიშნავია, აგრეთვე, რაფიელ დანიბეგაშვილის წიგნი „მოგზაურობა ინდოეთში ქართველი ვაჭრისა, რაფიელ დანიბეგოვისა".

სხვათაშორის, ინდოეთში თოთხმეტწლიანი მოგზაურობის შემდეგ, იგი ავღანეთის გავლით ჩავიდა ჯერ რუსეთში და იქედან კი-თბილისში. საერთოდ, მეჩვიდმეტე საუკუნიდან, ამ ჟანრის წიგნებისადმი ინტერესი გამოიწვია საზოგადოების სწრაფვამ, მიეღო ინფორმაცია დედამიწის შეუსწავლელი ადგილებისა და იქ მცხოვრები ხალხების შესახებ. სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურა იმითაც არის საყურადღებო, რომ უშუალოდ აღწერილი ქვეყნის გარდა, ავტორის პიროვნებასაც კარგად წარმოაჩენს, რისი დასტურიც არის ეს წიგნი.

„ინდური დღიურები", „შორია ქაშიდან გულრიფშამდე" (ერთი პატარა თურქული სოფლის ამბავი), „გაუგზავნელი წერილები როდოსიდან", „ვარდი უეკლოდ ამერიკაშიც არავის მოუკრეფია" და „ავღანეთი ბარონის ჭუჭრუტანიდან" მანანა დუმბაძის თბილი იუმორით, მახვილი თვალითა და უკიდეგანო სიყვარულით დახატული დედამიწაა იმ კუთხიდან, საიდანაც იგი ყველაზე ლამაზად იმზირება.

მადონა უჯმაჯურიძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი